საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძის

ლექსები

და

პოემა

ბალავარი



თბილისი
„მეცნიერება"
1987

83.3Гр 7
ო 44

წიგნში დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის მეუღლის—ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან. ეს მასალა ნათელს ჰფენს იმ ურთიერთობას, რომელიც ამ ორ ადამიანს აკავშირებდა და, ამავე დროს, იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, თარგმნეს, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთეს ლ ე ი ლ ა
ს ა ნ ა ძ ე მ და ლ ა მ ა რ ა მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა

რედაქტორი ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი გ. შ ა რ ა ძ ე
რეცენზენტები ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატები: ლ. შ ა ვ გ უ ლ ი ძ ე
ზ. კ ი კ ნ ა ძ ე

ო $\frac{4603010202}{М\ 607(06)—87}$ 112—86 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1987

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში მოთავსებულია ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა მეუღლესთან — გალაკტიონ ტაბიძესთან. წარმოდგენილი მასალიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ განუზომელი იყო ის გრძნობა, რომელიც ამ ორ ადამიანს აკავშირებდა.

გალაკტიონი და ოლია ერთმანეთს 1912 წელს გაეცნენ და დამეგობრდნენ. ეს იყო პოეტური ბუნების ქმონე ორი ადამიანის დიდი სულიერი მეგობრობა, რაც მალე თავდავიწყებულ სიყვარულში გადაიზარდა. მათ ეს დიდი გრძნობა ათას განსაცდელში გამოატარეს, მაგრამ თითოეული მათგანის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე სხვადასხვანაირია ამ გრძნობის გამჟღავნების ფორმა. ვინც დიდ პოეტს პირადად იცნობდა, იცის, თუ რაოდენ გულდახურული და სიტყვაძუნწი იყო იგი. ხასიათის ეს თავისებურება მეღავნდებოდა მისთვის ყველაზე ძვირფას მეგობართან — ოლიასთან ურთიერთობის დროსაც. ოლიას დღიურებსა და წერილებში ნათლად ჩანს ის დარდი და გულისტკივილი, რასაც გალაკტიონის წერილის დაგვიანების ყოველი წამი იწვევდა მასში. ამიტომ არის, რომ ოლია ხშირად გულნატკენია, უჩივის გალაკტიონს, დარწმუნებულია, რომ იგი დაივიწყეს. მის ჩანაწერებში ხშირია ლაპარაკი მარტოობაზე, სიკვდილზე და თვითმკვლელობაზე. მაგრამ ეს გრძნობა წამიერია, სტრიქონებს, რომელშიაც გადმოცემულია ასეთი განწყობილება, უმალ მოსდევს მზრუნველობითა და დიდი სიყვარულით გამთბარი სიტყვები. საკმარისი იყო გალაკტიონისაგან წერილის მიღება, მისი დარდისა თუ ლხინის შეტყობა, რომ ოლია სულ სხვა ადამიანად გადაიქცეოდა ხოლმე ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია

1913 წლის 2 დეკემბრის ჩანაწერი, რომელშიაც ვკითხულობთ: „ო, მივიღე თუ არა შენი პესიმისტური წერილი, ოპტიმისტად ვიქეცი. წერილმა გამამხნევა — პირიქით იმოქმედა. თუმცა შენი წერილის მიღებამდე თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი, ყველა იმედი გადაწურული მქონდა, რწმენა დაკარგული, მაგრამ ახლა სხვანაირად ვფიქრობ, რომ იცოდე ტანჯვა-წამებაში გამოვიბრძმედე, და ამიტომაც გეტყვი: გწამდეს, რომ სიცოცხლე მშვენიერია!“ ყოველივე ეს გაპირობებული იყო, ერთი მხრივ, ოლიას „ამაყი, მოუთმენელი და ფიცხი“ ბუნებით, ხოლო მეორე მხრივ, გალაკტიონისადმი მისი უზომო, ან, როგორც თვითონ ოლია იტყოდა, „უგონო“ სიყვარულით. გალაკტიონზე თავდავიწყებით შეყვარებული ოლია მეუღლისაგანაც სათანადო ყურადღებასა და გრძნობების გამჟღავნებას მოითხოვდა. პოეტის ბუნებიდან გამომდინარე იგი ხშირად უგვიანებდა ოლიას წერილებს და ვერ მიაგებდა ისეთ ყურადღებას, როგორსაც მისი მგზნებარე სიყვარული მოითხოვდა. ეს კი ოლიას გულისტკივილს იწვევდა. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე. ამას ნათლად ადასტურებს არა მხოლოდ ოლიას დღიურები და პირადი წერილები, არამედ 1927 წელს სამტრედიიდან გალაკტიონის ძმის აბესალომ ტაბიძის მიერ გამოგზავნილი წერილი რძლისადმი. ამ წერილში შესანიშნავად არის ახსნილი ცოლ-ქმარს შორის არსებული გაუგებრობის მიზეზი — გალაკტიონის პოეტური, არა პრაქტიკული, ბავშვური ბუნება. მოგვყავს ამონაწერი ამ წერილიდან:

„დაო ოლია!

ვერ წარმოიდგენთ იმ საშინელ მწუხარებას, რაც მე განვიცადე თქვენგან გამოგზავნილი წერილის გამო.

წერილის ტონი, თქვენი ავადმყოფობა, ჩემი უცნაური და გამოუცნობელი ძმის ხასიათი!... ყველა ამან ძალიან ცუდად იმოქმედა ჩემზედ...

რამდენიმე ხნის წინ თბილისში ვიყავი. გალაკტიონისათვის, რასაკვირველია, წერილის შესახებ არაფერი მითქვამს. თვითონ მითხრა: ყოველივე გაუგებრობა მო-

სპობილიაო და მე, მართალი მოგახსენოთ, ძალიან გამახარა ამ გარემოებამ. იცით, ოლია, თქვენ ჭკუიანი ქალი ხართ და გალაკტიონის შესახებაც გექნებათ შემდგარი ერთგვარი აზრი... უმთავრესი ის არის, რომ მას ისე ვერ გავზომავთ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ და გარეშე პოეზიისა, ოცნებისა და მაღლა-მაღლა ფრენისა მას არაფერი აინტერესებს. დიდებულია იგი, როცა მაღლა დაფრინავს, მხოლოდ სასაცილოა, როდესაც ძირს ეშვება და ჩვეულებრივი ადამიანის სახეს იღებს, ამიტომ, დაო, ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ, თუ იგი გვიყვარს!.. მაინც ლმობიერი უნდა ვიქნეთ, მაინც უნდა გვიყვარდეს ეს უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ადამიანი და გულუბრყვილო ბავშვი...“.

სამდურავი, რომელიც ასე ხშირად გაისმოდა ოლიას წერილებში, გალაკტიონს არც წყინდა და არც შეურაცხყოფდა. ეს კარგად ჩანს პოეტის ერთ-ერთი წერილიდან: „როგორი კილოთი მწერ უკანასკნელ წერილს? რამ გამოიწვია შენი აღელვება... იყავი კარგად, მე შენს მეტი არავინ, არავინ არ მიყვარს...“ გალაკტიონმა იცოდა, რომ ოლიას საყვედურები წუთიერი ემოციის შედეგი იყო. მათ მიღმა კი იგი გრძნობდა ოლიას დიდ სიყვარულსა და მზრუნველობას. ამიტომ არ ღიზიანდებოდა, დაგვიანებით, მაგრამ მაინც სიყვარულით გამთბარ წერილებს წერდა, მისი უსაფუძვლო ეჭვიანობა იუმორში გადაჰქონდა. ამას კარგად ადასტურებს 1914 წლის ერთი ბარათი: „...მე ისევ ძველებურად, გაგიჟებით და დიდი სიყვარულით მიყვარხარ!... რას იზამ, ოლკინ, მე რომ მოვკვდე?... მოკვდა საწყალი გალონი და დაასაფლავეს. რას იზამ მაშინ? ჩემო ძვირფასო, ერთადერთო მეგობარო, ერთადერთო ნუგეშო და დიდო ადამიანო, ჩემო პატარა ჩმოკლინ...“.

ზოგჯერ კი პოეტი ოლიას განაწყენების მიზეზს თავის წერილებში ხედავს და ბრალს დებს საკუთარ თავს გრძნობებისა და სათქმელის გადმოცემის სისუსტეში:

„მინდა ვთქვა და დავწერო ის, რასაც ვფიქრობ და გამოდის სრულიად სხვა. ვამბობ და ვწერ იმას, რაც არავის არ ესიამოვნება — ეწყინება“, — წერს იგი ერთგან.

გალაკტიონს ხიბლავდა არა მხოლოდ ოლიას წერილებიდან მომდინარე სითბო და ყურადღება, არამედ მოსწონდა მისი წერის მანერაც. „მაოცებს პოეტური ტემპერამენტი საზოგადოდ შენი წერილებისა, ოლია, ნუ მოგვაკლებ ჩვენ ასეთ წერილებს“, — სწერს იგი ოლიას და ურჩევს დაიწყოს ნოველების წერა.

ოლიას ოცნება და ფიქრები ყოველთვის გალაკტიონის გარშემო ტრიალებდა, იყო ის ჭიათურასა თუ ქუთაისში, მოსკოვში თუ თბილისში, სამშობლოდან მოცილებული თუ სამშობლოში.

დაქორწინებამდე ოლია ჭიათურაში მუშაობდა მასწავლებლად. ამის გამო, ბუნებრივია, შეყვარებულები ერთმანეთს ხშირად ვერ ხვდებოდნენ. ერთ წერილში გალაკტიონი ოლიას სწერდა: „მას შემდეგ რაც შენ წადი, რაღაც საშინელმა სიცარიელემ მოიცვა მთელი ჩემი არსება... სიცარიელემ, რომლის განადგურებას არ ვიცი, რანაირი მდგომარეობა შეძლებს და რა არის მისი წამალი? როდესაც შენ აქ იყავი, მე შემეძლო დამენახე შენ... ჩემთვის უბრალოდ შენს ახლოს ყოფნა საკმარისი იყო, შენს გარდა, არაფერზე არ მეფიქრა. როდესაც მწარე ფიქრები, სევდიანი და სასოწარკვეთილი სულიერი განწყობილება შემიპყრობდა, მე მოვქროდი შენკენ...“ ანალოგიური განწყობილება ჩანს ოლიას იმდროინდელ დღიურებში. ჭიათურაში იგი თავს მარტო გრძნობს, კვლავ გალაკტიონთან შეხვედრაზე ოცნებობს და თითქმის ყველა ჩანაწერს მას მიუძღვნის. „გალონ, შენ ხალხში ტრიალებ. მაგრამ აბა წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა, რა ცხოვრებაა ეს — მთელი დღე ვზივარ ოთხ კედელშუა, არავის არ ველაპარაკები და ასე ყოველ დღე გრძელდება ეს უსასრულოდ... გალონ, მინდა შენი ნახვა, შენთან საუბარი, მინდა მოგეხვიო და შენი სიახლოვე ვიგრძნო, გეხვევი, გკოცნი“, — წერს იგი თავის ერთ-ერთ დღიურში.

თავდაპირველად ოლიას ნათესავები არ თანაუგრძნობდნენ ახალგაზრდების სიყვარულს, შემდეგ კი დიდ პატივს სცემდნენ სიძეს.

სიყვარულმა თავისი გაიტანა. ახალგაზრდებს ოცნება აუსრულდათ. 1916 წლის აგვისტოში მათ ჯვარი დაიწერეს. ახლად დაქორწინებულები მოსკოვს გაემგზავრნენ სწავლის გასაგრძელებლად. ისინი უზომოდ ბედნიერები არიან, მაგრამ უსახსრობის გამო გალაკტიონი იძულებულია დაბრუნდეს სამშობლოში, ოლია კი მოსკოვში რჩება სწავლის გასაგრძელებლად.

მოსკოვში ოლიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თებერვლის რევოლუციის ბობოქარი დღეების ხილვამ. იგი აღფრთოვანებით უერთდება რევოლუციონერებს და წერს: „ნუთუ ესოდენ ნანატრი დღე დადგა? ეს დღე არის დღეს და მეც აქ ვარ — მოსკოვში! უდიდესი სიხარულის ცახცახმა ამიტანა, მეც ხალხს მივყვები... ო, ასე მეგონა, გული სიხარულით გამისკდებოდა!...“.

უსაზღვროა ოლიას აღშფოთება რევოლუციის მტრების მიმართ, როცა მათ თავისი ბინძური ხელი აღმართეს რევოლუციის ბელადზე — ლენინზე. ეს კარგად ჩანს 1918 წლის 31 აგვისტოს ჩანაწერიდან, სადაც ვკითხულობთ: „ლენინი ცოცხალია, — დიდება მას! სირცხვილი და ლაფი, თქვენ, საცოდავო მემარცხენე ესერებო“.

ყოველივე ეს სრულიად გასაგებია, ოლია ხომ ცნობილ რევოლუციონერთა ოჯახიდან იყო, რომლის ყოველი წევრი არა მხოლოდ თანაუგრძნობდა რევოლუციას, არამედ არალეგალურადაც მოღვაწეობდა. „ოკუჯავებთან დაახლოებამ, ამ ოჯახის რევოლუციურმა პათოსმა, უშუალო კავშირმა რსდმპ ორგანიზაციებთან გალაკტიონ ტაბიძის იდეურ ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა. სწორედ ამ ოჯახთან დაკავშირების შემდეგ უახლოვდება და თანაუგრძნობს გალაკტიონი ბოლშევიკურ ფრაქციას, ამყარებს მჭიდრო კავშირს სოციალ-დემოკრატიული გაზეთების რედაქციებთან“*.

---

* ი. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, 1968, გვ. 54.

მოსკოვში სწავლის პერიოდში ოლია აქტიურ შრომით საქმიანობასაც ეწეოდა. ცნობილია, რომ 1919 წლის პირველ ლენინურ შაბათობაზე მან ხელი დაიზიანა, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ოლიას 1917—1921 წლების წერილები ნაკლებადაა შემორჩენილი. მაგრამ გალაკტიონის წერილებიდან ჩანს, რომ მოსკოვში მყოფ ოლიას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ფიქრი და ზრუნვა გალაკტიონზე. იგი ხშირად უგზავნიდა მას დეპეშებსა და წერილებს, ღელავდა მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო. თავის მხრივ გალაკტიონი ცდილობს დაამშვიდოს მეუღლე და აიმედებს, რომ მოკლე ხანში აუცილებლად ჩავა მოსკოვში. „და როცა ჩამოვალ—წერს გალაკტიონი,—უთუოდ ერთად უნდა ვიცხოვროთ, აქედან წამოვიღებ რამე-რუმეებს. ტანისამოსი გინდა შენ, დედოფალო!“ და, მართლაც, იგი 1917 წლის ბოლოს მიემგზავრება მოსკოვში. ისინი ამთავრებენ მოსკოვის სცენის მოყვარეთა ლიგის ერთსემესტრიან კურსებს. გალაკტიონი 1918 წლის ივლისში ბრუნდება საქართველოში, აქ იგი გამოსაცემად ამზადებს თავისი ლექსების მეორე წიგნს — „არტისტულ ყვავილებს“, რომელიც 1919 წელს გამოვიდა კიდეც. ოლია კი საქართველოში 1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დაბრუნდა.

ცოლ-ქმარი თბილისში ჯერ კეცხოველის ქუჩაზე ცხოვრობდა, მერე კი (1935 წლამდე) კრილოვის ქუჩის № 10-ში, შემდეგ ისინი საცხოვრებლად მწერალთა სახლში გადავიდნენ ჟორესის (ახლანდელი მარჯანიშვილის) ქუჩაზე. დედის ავადმყოფობის გამო ოლია ძალიან ხშირად იძულებული იყო თავისიანებთან ეცხოვრა. მიუხედავად ამისა, როგორც ოლიას ამ პერიოდის ჩანაწერები მიუთითებენ, იგი ერთი წუთითაც არ ტოვებდა გალაკტიონს უყურადღებოდ და ყველანაირად ცდილობდა შეექმნა მისთვის შემოქმედებითი მუშაობის პირობები.

თბილისში ოლია ჯერ სახელმწიფო ინსპექციაში მუშაობდა, ხოლო შემდეგ — საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში. რაც შეეხება გალაკტიონს, იგი

მთლიანად შემოქმედებით მუშაობაში იყო ჩაფლული — დადიოდა მივლინებებში, ბევრს წერდა და ბეჭდავდა. მუშაობის დროს მის გვერდით განუყრელად იყო ოლია, რომელსაც დიდად აინტერესებდა მეუღლის შემოქმედებითი საქმიანობა. იგი ვერ ფარავდა თავისი სახელოვანი მეუღლის შედევრებით გამოწვეულ აღტაცებას. ოლია იყო გალაკტიონის ლექსების პირველი მსმენელი და შემფასებელი. იგი დაუღალავად, ხალისით თარგმნიდა და აკეთებდა გალაკტიონის ლექსების პწკარედებს რუსულ ენაზე. 1934 წლის 24 იანვრით დათარიღებულ დღიურში ვკითხულობთ: „ვზივარ და ვაკეთებ მისი ლექსების რუსულ პწკარედებს.. თარგმანი ისეთი კარგი გამოდის, როგორც არასდროს“. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ გალაკტიონის ლექსების ოლიასეულ თარგმანებს. ერთი კი ცხადია, ყველაფერს რაც გალაკტიონს ეხებოდა, ოლია არაჩვეულებრივი მონდომებით და თავდავიწყებით აკეთებდა.

გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას მეგობრობა ეს იყო ორი მაღალი სულისა და ინტელექტის ზედნიერი შეხვედრა. მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრება ისე აეწყო, რომ მათ ხშირად ერთად ყოფნის საშუალება არ ჰქონდათ.

ოლიასა და გალაკტიონის მიმოწერიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ განუზომელი იყო ის სევდა და მწუხარება, რასაც მათი განშორება იწვევდა. თითოეული მათგანის საფიქრალი ერთიმეორეზე ზრუნვა იყო, ხოლო ოცნება კი — კვლავ შეხვედრა. მაგრამ ამ ოცნებას ახდენა არ ეწერა.

პოეტისაგან ასეული და ათასეული კილომეტრებით დაშორებული ოლია ურჩევს მას გაუფრთხილდეს საკუთარ ჯანმრთელობას, იკვებოს კარგად, ჩაიცვას თბილად, ეჩვენოს ექიმებს, მძიმედ დაავადებული, ჯანმრთელობაშერყეული ოლია იწერებოდა: „შეშა გაქვს? გალიკ, ოთახი არ გააცივო, შენთვის ძალიან ძნელი იქნება სიცივეში

მუშაობა. გემუდარები, უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელობას გაუფრთხილდი — ამას გთხოვ...“ ან კიდევ: „რას ჭამ? როგორ იკვებები? გაქვს კი თავის დროზე საჭმელი? სუფთა ჩასაცმელი, თეთრეული და ყველაფერი, რაც აუცილებელია?“.

ოლიასათვის უპირველესი საზრუნავი ყოველთვის გალაკტიონისათვის შესაფერისი სამუშაო პირობების — შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა იყო. სამშობლოსაგან წლებით მოწყვეტილს მას სახლში დაბრუნებაც კი, პირველყოვლისა, სწორედ ამიტომ სურდა: „გაგიჟებით მინდა სახლში ყოფნა — შენს გვერდით, რათა შეგიქმნა პირობები დაწყნარებული მუშაობისათვის, მინდა წყნარად და ნაყოფიერად რომ იმუშაო“. უსასოო მდგომარეობაში მყოფი შორეული რუსეთიდან იგი მეუღლეს იმასაც კი უთვლიდა, რომ შეეძინა თბილი პალტო, ქუდი, კოსტიუმი და კალოშები; უზიარებდა მას ახლად წაკითხული წიგნებით მიღებულ შთაბეჭდილებას და ურჩევდა ამ წიგნების შეძენას. და ეს მაშინ, როცა თვითონ იზოლირებული იყო გარე სამყაროდან, უჭირდა სულიერად და ფიზიკურად.

როდესაც ოლია ოკუჯავას წერილებსა და დღიურებს ვეცნობით, აშკარა ხდება, რომ ამ ქალისათვის არ არსებობდა არავითარი პირადული, იგი მისი სახელოვანი მეუღლის სიცოცხლით ცხოვრობდა, ზრუნავდა მასზე, როგორც პატარა უმწეო ბავშვზე. წუხდა, როდესაც მის გვერდით არ იყო, რათა მიხმარებოდა მას ყველაზე უმნიშვნელო საქმის მოგვარებაშიც კი, რადგან იცნობდა გალაკტიონის ბავშური, არაპრაქტიკული ხასიათის ყოველ დეტალს.

ოლიამ კარგად იცოდა, ვისაც და რასაც ემსახურებოდა. მას სწამდა გალაკტიონის გენიის უკვდავებისა. აკი ასე მიმართავს კიდეც იგი გალაკტიონს თავის დღიურში 1927 წელს:

„წლები გავლენ, მაგრამ საუკუნეთა ნალექებში არასოდეს არ შთაინთქმება პოეზიის მონარნარე ხმა. უცხო ადამიანები გრძელ ღამეებში მოისმენენ მას და სულით ამაღლდებიან. ათასწლეულების შემდეგ იმღერებენ შენს ლექსებს და სრულიად უცხო ადამიანები, სრულიად უცხო და უკეთეს პირობებში მოგიალერსებენ შენ“.

თავის მხრივ გალაკტიონმაც კარგად იცოდა ოლიას თავგანწირული სიყვარულის ფასი, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად მხოლოდ წერილების მეშვეობით აღწევდა თავის ობიექტამდე. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მოწიწებით შემოინახა არა მარტო ოლიას წერილები და ქაღალდის ნახევზე სახელდახელოდ მიწერილი სტრიქონები, არამედ მისი ყმაწვილქალობის დროინდელი დღიურებიც* კი, რამაც ჩვენ დღეს საშუალება მოგვცა მკითხველისათვის შეგვეთავაზებინა წინამდებარე წიგნი.

წიგნში წარმოდგენილი მასალა, გარდა პოეტისა და მისი მეუღლის ურთიერთდამოკიდებულებისა, აზუსტებს ან ახლებურად აშუქებს გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთ დეტალს.

ოლიას დღიურებსა და წერილებში იხსენიება გალაკტიონის ისეთი თხზულებანი, რომლებიც ჯერჯერობით ცნობილი არ არის ჩვენთვის.

ამ წიგნში დაბეჭდილი ყველა მასალა დაცულია გალაკტიონ ტაბიძის პირად არქივში, რომელიც ინახება გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. ოლიას დღიურები და წერილები, გალაკტიონის 26-ე, 34-ე წერილი და ნეგორელოედან გამოგზავნილი დეპეშის ტექსტი

---

* გალაკტიონის გაცნობამდე დაწერილი დღიურებიდან წინამდებარე წიგნში მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდეგნილი.

რუსულადაა დაწერილი. მათი ქართული თარგმანი ჩვენ მიერ არის შესრულებული და უმეტესობა პირველად ქვეყნდება. რაც შეეხება გალაკტიონის ყველა დანარჩენ წერილს, მათი ტექსტი და შენიშვნების ნაწილი აღებულია პოეტის თხზულებათა სრული კრებულის XII ტომიდან (1975 წ.).

ლეილა სანაძე
ლამარა მეგრელიშვილი

ოლია ოკუჯავას დღიურები

1910 წელი

0 ოქტომბერი

დილით ადრე ავდექი. ძალიან მოთენთილი ვიყავი, გარეთ ქარი ხმაურობდა.

რაღაც შიში მიპყრობს — ძალიან არ მინდა გაკვეთილებზე წასვლა. მინდა ვიწვე და თავდავიწყებას მივეცე.

წერილი გავგზავნე. ველი პასუხს. საღამოა. ამხანაგის წერილი მივიღე, — მშვიდობით ვიმგზავრეო. გაკვეთილების შემდეგ ბნელ ოთახში ვიწექი, მაგრამ ვერაფრით ვერ დავიძინე. მოგონებებში ხელახლა განვიცდი ერთხელ უკვე განცდილს.

ახლა დიასახლისის ოთახში სტუმრები მხიარულობენ, — გიტარაზე უკრავენ, მღერიან, გაცხარებით საუბრობენ. მე ამხანაგებთან ერთად ჩემს ოთახში ვარ. საღამოა — წყნარი, მთვარიანი.

9 ოქტომბერი

გაკვეთილებმა ძალიან კარგად ჩაიარა: ბოლო გაკვეთილის შემდეგ მესამე კლასის მოსწავლემ სახელმძღვანელოები დაარიგა. მე ბავშვებთან საუბარი გავაბი. ვუამბობდი წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე, რომ მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოები არაფერს არ მისცემს მათ, რომ ბევრი უნდა იკითხონ, განვითარდნენ, უნდა

წაიკითხონ გაზეთები, გაეცნონ სიახლეებს, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და ქალაქებში ხდება.

გამოვკითხე მათ ჭიათურის ბიბლიოთეკაზე. მაინტერესებდა დადის თუ არა იქ ხალხი. მხოლოდ მუშები დადიანო, აქ მიღებული არ არისო ქალების სიარული ბიბლიოთეკაში, — მიპასუხეს ზოგიერთებმა. ავუხსენი მათ, რომ ეს სწორი არ არის. მთხოვეს მეზრუნა, რათა მათთვის ბიბლიოთეკაში სიარულის ნება დაერთოთ. ძალიან გავიხარე, რომ შევძელი მათი ასე დაინტერესება. დავამთავრე მათთან საუბარი.

უკვე საღამოა. ჩემთან იყვნენ ნინა და მარუსია. მათი წასვლის შემდეგ უსიამოვნება შემხვდა. ამხანაგმა მითხრა — რა მარტოსული ვინმე ხარო... მე გავჯავრდი და მთებში გავიქეცი, ავედი სულ მაღლა და დიდხანს მწარედ ვტიროდი. ჩემს ქვემოთ მოჩანდა მთელი ჭიათურა, ყვირილა ხმაურობდა, სადგურზე ბევრი ხალხი ირეოდა, ელნათურები ენთო. შორიდან ვიოლინოს ხმა ისმოდა, ამან კიდევ უფრო იმოქმედა ჩემზე, როცა დაბნელდა, ცოტა შევშინდი, გზა არ დამებნეს-მეთქი. ჩამოვედი და ოთახში შევედი. ამხანაგმა დამშვიდება დამიწყო, სულაც არ მინდოდა შენი წყენინებაო. შენთვის ვამბობდი, რომ ავადმყოფობა არ გაგირთულდესო. მე წერილის წერა დავიწყე და ჩემი განცდები მას გავანდე. შვება ვიგრძენი.

შემოვიდა დიასახლისი, მკითხა — რა დაგემართაო.

ამხანაგი დაწვა. მე კვლავ ვწერ. მეორე ოთახში გიტარას უკრავენ და სევდიანად ღიღინებენ.

მივწერე წერილი დედას, ჟენიას, დათიკოს, სხვებსაც. კიდევ ორი წერილი დამრჩა დასაწერი და ისევ პასუხები...

ძალიან მინდა ახლობლებთან ყოფნა, ეს ოცნებაა...

კითხვა უნდა დავიწყო. მოწყენილი ვარ, ეს საშინელებაა.

გიტარაზე კვლავ უკრავენ.

10 ოქტომბერი. კვირა

ღამის 10 საათი.

დილის 10 საათზე ვკითხულობდი. შემოვიდა მარგალიტა და მითხრა ჩაიცვი, კრებაზე უნდა წავიდეთო, სახალხო უნივერსიტეტის წევრებს ირჩევენო. ჩვენ ხუთნი ვიყავით, წავედით, ცოტა დავაგვიანეთ, კრება გაეხსნათ, თავმჯდომარე და მდივანი აერჩიათ. სცენაზე მაგიდის ირგვლივ ვიღაცეები ისხდნენ, ვიკითხე, ვინ არიანმეთქი. მასწავლებლებიაო, — მიპასუხეს. ჯერ გააკეთეს მოხსენება ძველი კომისის საქმიანობის შესახებ. მოხსენებაში გააკრიტიკეს მათი უმოქმედობა.

მუშები ცალკე ჯგუფად იყვნენ შეკრული. ერთი მათგანი ადგა და კომისია გააკრიტიკა. იგი მშვენივრად ლაპარაკობდა, — საქმიანად და დალაგებულად.

თავმჯდომარე ცუდად ასრულებდა თავის მოვალეობას. წესრიგი არ იყო, — არ ველოდი.

დიდი კამათის შემდეგ ახალი კომისია აირჩიეს. ხმის მიცემის დროს ჩვენებმა ხმა მისცეს მუშების წარმომადგენლებს, ეს მე ძალიან მომეწონა. ჩავეწერე ამ საზოგადოების წევრად. საწევრო გადასახადი წელიწადში მანეთია. ხალხი დაიშალა. ორი საათი იყო, სახლში რომ დავბრუნდით.

სადილამდე გაზეთი წავიკითხე, სადილის შემდეგ კი წიგნს ვკითხულობდი საღამომდე, შემდეგ ვიღაც ახალგაზრდები მოვიდნენ, ცოტა ვისაუბრეთ. ისევ კითხვა განვაგრძე ღამის 10 საათამდე. 10 საათზე შემოვიდნენ ალექსანდრე, მარგალიტა და კიდევ ერთი, ერთი-ორი საათი ვილაპარაკეთ, ისინი წავიდნენ, ამხანაგი დაწვა, მე ვკითხულობდი, შემდეგ დღიური მუშაობის ანგარიშს ვწერდი კრებაზე წარსადგენად.

20 ოქტომბერი

მთელი დღე მარტო ვიყავი და ვკითხულობდი. როცა დაბნელდა და სიტყვების გარჩევა აღარ შეიძლებოდა,

ასევე გაუხდელი ჩავწექი. ძლიერ დაღლილობას ვგრძნობდი. ოთახში ბინდი იდგა, ფარდები დაშვებული იყო, კარები ჩაკეტილი, სისუფთავე და სიწყნარე. უმალ ჩამეძინა, მაგრამ მალე ძილში კარზე ბრახუნი ჩამესმა, წამოვხტი და კარი გავაღე, დავინახე მარგარიტა, ძალიან გამეხარდა, იგი დაჯდა, ვკითხე ლამფის ანთება ხომ არ უნდოდა, როგორც შენ გსურსო — მიპასუხა, მე არ მინდოდა, რადგან არ ვკითხულობდი. ასე ჯობდა. საინტერესო საუბარი გავმართეთ, შემდეგ მარუსიამ დაუძახა და კვლავ მარტო დავრჩი.

6 საათზე მატარებელი მოვიდა, ჩვენები არავინ არ ჩანს, იმედს არ ვკარგავ.

დღევანდელი დღით კმაყოფილი ვარ — თავისუფალი დრო მქონდა და ბევრი ვიკითხე. ღამის 10 საათამდე ვკითხულობდი.

დიასახლისი შემოვიდა და მითხრა: მუშაობის შემდეგ ამდენი კითხვა ცუდად იმოქმედებს შენს ჯანმრთელობაზეო.

ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით. იგი მიყვებოდა თავის და მისი მეზობლების სასიყვარულო თავგადასავლებს. თერთმეტის ნახევარი იყო, როცა მან მითხრა, რომ კითხვაში ხელს მიშლის, წავიდა და დაწვა. მე კი კვლავ დიდხანს ვკითხულობდი და ისევ არ მეძინებოდა. ძალიან გვიან დავწექი. ვერ ვიძინებ, სულ ჩვენებზე და ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ.

ხვალ დილის მატარებელზე ვინმე ჩამოვა და შეიძლება მთელი დღე საუბარი, რადგან

И чувства не угаснут
И вновь сильнее вспихнут
И бурный дух вновь проснется
И полетит навстречу жизни.

22 ოქტომბერი, 11 საათი

დღეს ბევრი ვიკითხე. უკვე გათენდა. ადგომა ცოტა დავაგვიანე. გვიან გამეღვიძა, არა უშავს, სხვები ჯერაც

არ ამდგარან. საწოლი ავალაგე, დავიბანე და კითხვა დავიწყე. ჩაი შემომიტანეს. ჩაის შემდეგ კითხვა განვაგრძე. უეცრად სადგურიდან პირველი ზარის ხმა შემომესმა, მეორე — და გამოვრბივარ აივანზე, გული სიხარულით მევსება, მატარებელი ჩამოდგა და რამდენიმე წუთის შემდეგ საჩხერეში წავიდა. ახლა სადგურზე ხალხი იშლება, გავცქერი, ვეძებ ჩვენებს, სიარულზე ვიცნობ მათ, აუცილებლად, მაგრამ იმედი ოცნებად დარჩა, ჩემთან ჩამოსვლა არავის უფიქრია. სამი დღეა წერილიც არ მიმიღია. ვფიქრობ, აბა რა ვქნა? ჯობს დავწვე და წიგნი ვიკითხო. ვერ ვახერხებ კითხვას. ვფიქრობ, არ ჩამოვიდნენ და არც მინდა, მეც არ წავალ მორჩა და გათავდა! დავიწყე წერა, რადგან წიგნის კითხვა არ შემიძლია.

მერე მოსწავლეს ვუთხარი წიგნები მოეტანა სამეცადინოდ. ვიფიქრე, დროს არ დავკარგავ-მეთქი. ეგების ხასიათი გამომისწორდეს და მერე მოვკიდო ჩემს საქმეს ხელი, უფრო დამშვიდებით. იმათ კი წერილს არ მივწერ და ამით დავამთავრებ.

შემოდის გოგონა, წიგნები შემოაქვს, თავს ვანებებ წერას.

24 ოქტომბერი

დღეს კვირაა. დილით ადრე ავდექი, ჩაი დავლიე და წიგნის კითხვა დავიწყე. სადილამდე ვიკითხე, მერე სადილზე დამიძახეს. ვისადილეთ, დიასახლისმა ჯოკონდას შესახებ მკითხა, როგორ დამთავრდაო მისი ამბავი. შაბათ საღამოს მე ხმამაღლა ვუკითხავდი ამხანაგს ჯოკონდაზე, როგორც ჩანს, დიასახლისი მისმენდა, მერე ამხანაგს ჩაეძინა, მე კი კითხვა ჩუმად განვაგრძე.

სადილის შემდეგაც ვკითხულობდი, უეცრად საშინლად უგუნებოდ შევიქენი, ავდექი და ვასიკოს წერილი მივწერე, უკვე ოთხი დაწერილი წერილი დამიგროვდა, კონვერტი კი მხოლოდ ერთი მაქვს. წერილებსაც ამდენივეს ვღებულობ, უკვე 2 წერილი მივიღე, პირველზე

პასუხი დავწერე. მარკის ფულიც კი არა მაქვს, საშინელი მდგომარეობაა. ხელფასი არ მიმიღია, 11 დღით დაგვიანეს ხელფასი. დიასახლისის ვალი მაქვს, სხვებისგანაც ვისესხე, ახლა კაპიკი აღარა მაქვს, არც არავისგან შემიძლია ვისესხო.

თეატრში ილია ჭავჭავაძის საღამოა, ყველანი მიდიან, შენ კი სახლში უნდა იჯდე, მაინტერესებს, როგორ ჩატარდება ეს საღამო ჭიათურის თეატრში, მაგრამ არც არავინ არის, ვისთან წასვლაც შეიძლებოდეს, არავინაა ისეთი, აზრი რომ გავუზიარო, არცერთი მეგობარი არ არის ახლოს, მოწყენილობაა, ტირილი მინდა. მშვენიერი მთვარიანი წყნარი საღამოა. მაგრამ მე, მე არაფერი არ მამხიარულებს, ალბათ წერილებსაც არავისაგან აღარ მივიღებ, რადგან ვერავის ვერ ვპასუხობ. რა ვქნა? ბოლოს და ბოლოს ეს საშინელებაა: იცხოვრო იქ, სადაც დილიდან საღამომდე მუშაობ და კიდევ კაპიკიც არ გქონდეს, რომ წერილი გაგზავნო. სახლშიაც უჭირთ ჩვენებს.

ჯანდაბას იქეთ ყველაფერი, უნდა მივატოვო ეს საძაგელი ადგილი. აქ ვღვრი სისხლს, აქ ჭკნება ჩემი ახალგაზრდობა.

დღეები გადის, უკეთესობა კი არ ჩანს. მეგობრებთან ახლოს ყოფნა და მათთან დარდის გაზიარება ოდნავ მაინც დამამშვიდებდა, — მაგრამ არა აქაურებთან, არავისთან არ მსურს დარდის გაზიარება, ისინი მაინც ვერ გამიგებენ, იფიქრებენ, ბავშვია, რომელსაც სულ თავისიანებთან ახლოს ყოფნა უნდაო.

არა, უმჯობესია ჩუმად ვიყო. ოღონდ კი მქონდეს იმის დრო, რომ შენ, ჩემო ალბომო, დარდი გაგიზიარო. ამის დროც არა მაქვს.

ასეთია აწმყო. მომავალი?

მინდოდა მთებში წავსულიყავი და იქ მთვარის შუქზე გადმომენთხია ჩემი დარდი, მაგრამ ერთი ამხანაგი გამომყვა თან: ისეთ ადგილას მივედით, სადაც მე არ ვყოფილვარ. შესანიშნავი ადგილი იყო: ზემოდან მთვარე დაგვნათოდა, მე მთაზე ვიდექი, მარჯვნივ მაღალი მთა, მარცხნივ ხეობა, ქვემოთ ხმაურით მიედინება მდინარე

ყვირილა, რომელიც ვერცხლისფრად ბზინავს მთვარის შუქზე.

დავრბოდი და ვიცინოდი, მაგრამ ეს სიცილი სევდიანი, იძულებითი იყო, მე იქ მთვარის ჩასვლამდე მარტო ყოფნა მინდოდა. რა კარგია — მოელოდე ვინმეს აქ და უსასრულოდ საუბრობდე მასთან, მაგრამ ეს ოცნება აუხდენელია.

ჩემს წინ ჭიქაში ყვავილების თაიგულია, რომელიც დედამ ჩამომიტანა, მე მას ძალიან ვუფრთხილდები და ყოველ დღე ვუმატებ წყალს, რომ არ დაჭკნეს, ისინი ფაციამ გამომიგზავნა. მაგონდება ქუთაისელი მეგობრები, ასეთ მშვენიერ საღამოს ვისაუბრებდი მათთან, მაგრამ...

ასეთი სულიერი განწყობით უნდა ვიკითხო წიგნი, მაგრამ როგორ?

მეორე ოთახში სტუმრებია, ისმის ხმაური, სიცილი და გიტარის ხმა.

6 ნოემბერი, შაბათი

საშინელ გუნებაზე ვარ, მინდა სულ ვიტირო, გავშორდე ყველას, გავეცალო ცხოვრების ყოველდღიურ წვრილმანს. ჩანს, ბედნიერებაა, როცა ძლიერი ხარ.

არაფერს კარგს არ ვხედავ, ახლოს არავინ არის, ყველა თავისი ტკივილით იწვის. სად წავიდე. ქუთაისში, არა, იქ არა, არსად. საერთოდ წავიდე ამ ქვეყნიდან, იქ სადაც არ იქნება ეს ხალხი, იქ სადაც არ არის მწუხარება. არ შემიძლია ბოლოს და ბოლოს ასე ცხოვრება. მაგრამ სად წავიდე? რომელ მხარეს? ვისთან?

დაჯექი და იმეცადინე! — მესმის პასუხად საკუთარი გულის ხმა...

9 ნოემბერი

საღამოს მოვიდა ალექსანდრე და თქვა, რომ ტოლსტოი გარდაიცვალა.

10 ნოემბერი

ახალი გაზეთები მივიღეთ, ყველა მოუთმენლად კითხულობდა. მესამეკლასელებს მოკლედ ავუხსენი ტოლსტოის შემოქმედების მნიშვნელობა, მისი გაქცევის მიზეზები. ყველანი ინტერესით მისმენდნენ, დანაღვლიანდნენ. მთხოვეს, გაზეთები მომეტანა, მე წავუკითხე და ყველაფერი ავუხსენი. ისინი ძლიერ კმაყოფილები დარჩნენ.

გაკვეთილები არ ჩატარდა, დავუშალეთ ბავშვებს თამაშის დროს ტაშის დაკვრა — დიდი შესვენების დროს არცერთი მასწავლებელი არ უნდა ყოფილიყო მათთან.

ტოლსტოი 7 ნოემბერს გარდაიცვალა.

9 ნოემბერს სამასწავლებლოში 5 მასწავლებელი ვიყავით. ფსიქოლოგიაში მეცადინეობის დაწყების წინ ფეხზე დგომით პატივი ვეცით ტოლსტოის ხსოვნას.

ლევ ნიკოლოზის-ძის ბოლო სიტყვები: — „მილიონი ადამიანია ჩვენს ირგვლივ და ბევრი მათგანი იტანჯება, რატომ მევლებით თავს მხოლოდ მე?“.

1912 წელი

21 სექტემბერი

დილას ადრე გამეღვიძა. კარგ გუნებაზე ვიყავი. შევყავი თავი საბნის ქვეშ და დიდხანს, დიდხანს ვფიქრობდი შენზე... უეცრად იმედის ნაპერწკალი გამიჩნდა... და მხიარულად წამოვხტი, იმ იმედით, რომ წერილს მივიღებდი... მოუთმენლად ველოდი წერილს... დარაჯი მოვიდა, წერილი არ მოუტანია, დარდისაგან სიცილი დავიწყე, რათა არავის შეემჩნია ჩემი განცდები. მესმის რასაც ნიშნავს ეს, მაგრამ გვიან მივხვდი ყველაფერს და რატომ! ჩემს თავზე ვბრაზობ... რატომ არ მჯერა ადამიანების უსინდისობა, რატომ! ასე მომიხდება მე. მაგრამ

მომავალში არავის არაფერში არ ვენდობი! მაგრამ სიყვარულში? თუმცა მე ალარავის შევიყვარებ. მაგრამ არც შენ არ დაგანახვებ, როგორ ვიტანჯები შენს გამო; მშვიდობით, ისინი ჩემი უკანასკნელი წერილები იყო შენდამი, შენ იქნებ დამცინი? იცინე, შენმა სიცილმა იქნებ დაგანახოს, როგორიცა ხარ.

ერთს გეკითხები: თუ ასე ფიქრობდი, რატომ მაკოცე გამომშვიდობების დროს? ნუთუ შეიძლება სიყვარულის გარეშე აკოცო ადამიანს? განაგრძე შენი გზით სიარული, მხოლოდ ნუ მოუსპობ ადამიანს რწმენას. რწმენას, გესმის? რითაც იგი ამხიარულებს თავის ცხოვრებას, ცხოვრებას, რომელიც მას ნამდვილ ადამიანად აქცევს, რაც მას აიძულებს, დაეწაფოს ცხოვრებას, რაც მას საკუთარ თავზე მეტად ამაღლებს!...

მაგრამ გამეცალე, გამეცალე, შენთან არც ღირს ლაპარაკი, თუმცა რატომ, მე ადრინდელ გალკთან შემიძლია საუბარი. მეგობართან. მართალია, ის ჩემი მეგობარი გალკი არ აღმდგარა შენში, მაგრამ უჩინარი, ხელშეუხებელი შენი სული, რომლის დანახვაც მხოლოდ მე ძალმიძს, მუდამ იქნება ჩემი მარადიული თანამგზავრი, იგი მარადჟამს წმინდა სახით იცოცხლებს ჩემს მეხსიერებაში.

რა სასაცილოა! ეს ხომ ჩემმა არანორმალურმა წარმოდგენამ შექმნა ოცნება ისეთ ადამიანზე, რომელიც შემდეგ განსახიერდა ამქვეყნიურ არსებად. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს და ვინც არ უნდა იყო შენ, მე მაინც უგონოდ მიყვარხარ.

არ ვდარდობ, სურათი რომ გადავიღე შენთან, მე ხომ მჯეროდა ჩემი სიყვარულისა. მინდა ვნახო ის სურათი, ვნახო ჩემი იმედი, რომელიც ალარ გამაჩნია; გამომიგზავნე ის სურათი, მინდა გავიხსენო ჩემი რწმენა სიყვარულისა. არ მინდა ცრემლები! მაგრამ ახლა ხომ ვერავინ ვერ მოისმენს, ვერ დაინახავს და ვერ გაიგებს ჩემს მწუხარებას, გარდა ჩემი პატარა ოთახისა. იდინეთ ცრემლებო, არავის არ შეუძლია დაგცინოთ თქვენ!

მშვიდობით, ადამიანებო, ვისაც კი გიცნობდით, თქვენ ბევრ რამეში გადამეღობეთ წინ, მაგრამ მე მაინც ვტირი თქვენთან განშორებისას...

მაგრამ კვლავ მოვა გაზაფხული... კვლავ ყველაფერი გაცოცხლდება და აყვავდება... გაზაფხულო, ოხ, ნეტავ ახლა მოდიოდე. როგორ მინდა შევერწყა შენს მქუხარე ტალღებს ამ მშფოთვარე ქარს, ან ქუხილს ძლიერს, დედამიწას რომ აზანზარებს...

სადგურზე ზარი შემოჰკრეს, ნუთუ გაბედავს ვინმე ჩემთან ჩამოსვლას? და ნუთუ მყავს მე ვინმე? წავალ სადგურზე...

მატარებელი ჩამოდგა, ამაოდ ვათვალიერებ ხალხს... არ ჩანს, ვისაც ვეძებდი...

ეს ყველაფერი იმის ნაცვლად, თუნდაც წერილებით რომ გამაცხნეო... რისთვის შემომხვდი ჩემი ცხოვრების გზაზე შენ? რად გინდოდა ჩემი ისედაც გაწამებული ცხოვრების მოშხამვა?

თუ გინდა დამემდურე, იცოდე, კისერზე არ ჩამოგეკიდები, საამისოდ ჩემი სული მეტისმეტად ამაყია. არასოდეს არ შეგახსენებ ჩვენს სიყვარულს, ეს ჩემს ბუნებას არ ესადაგება... ჩემი სიყვარული არასოდეს არ შეგბედავს, — ცუდი გისურვოს რამე... როგორც გინდა, ისე მოიქეცი... მიმატოვე! მაგრამ მე კი ვერასოდეს ვერ დაგივიწყებ... მე ვტირი აქ სიმარტოვეში, ვდარდობ, ვიტანჯები, ვემდური ჩემს ბედს. მაგრამ შენ უტყვი ხარ ჩემი მწუხარების მიმართ. ოი, სად არის ადამიანი, რომ მოვეხვიო და შევჩივლო ჩემი დარდი? სად არის ადამიანი, სად? არა, მე არ მყავს მეგობარი ამ ქვეყნად, მე ვერავის ვერ ვუზიარებ ჩემს დარდებს! დაე, ნურც ნურავინ გაიგებს ჩემს საიდუმლოს!... ჩემთვის ყველა უცხოა. მაგრამ მაინც მინდა ვიპოვო ადამიანი, რომელიც გამიგებს!

ოდნავი დასვენების საშუალება მაინც მქონდეს, მაგრამ სად და როდის დავისვენო: ერთი წუთი მოცლა არა მაქვს.

ვგრძნობ უჩვეულო სულიერ და ფიზიკურ სიძაბუნეს; ჩანს, უსასრულო სიცოცხლე მიწერია, ჩანს ძალიან ამტანი ვარ.

თვითონ მიიღო წერილები და დამშვიდდა, სხვებზე ფიქრი კი ზედმეტია მისთვის, ოღონდ კი თვითონ არ შეწუხდეს. მიიღებ კიდევ წერილებს! ელოდე! რისთვის უნდა ჩავახშო საკუთარ თავში სიყვარული?... არა უშავს, როგორც აქამდე ვიცხოვრე გაწამებულმა, ისე ვიცხოვრებ შემდეგშიც. შენ კი იმხიარულე, გაიხარე!

მაგრამ ჩემი ცხოვრების მიზანი შენ არა ხარ, შენ არა ხარ ჩემი იდეალი, უნდა მოვიშორო ყველაფერი ზედმეტი და საზოგადოებას დავუბრუნდე... ამისათვის კი საჭიროა ვიმეცადინო თავდადებით... თვის ბოლოდან დავიწყებ გაძლიერებულ მეცადინეობას ჩემს ოთახში... მას კი არც ერთი წერილი მომავალში! ჯანდაბას იქეთ გზა ჰქონია! დაე, მოაგვაროს თავისი საქმეები... მე არ მჭირდება ასეთი მეგობარი.

ვიცხოვრო განმარტოებით და ვიმუშაო სად და როგორც მინდა, — აი ჩემი სურვილი და მივაღწევ კიდეც ჩემს საწადელს. ეს წელი გავიდეს ასე, მაგრამ შემდეგში კი...

22 სექტემბერი, დილის 10 საათი

წავიდე ქუთაისში? მაგრამ არა, ჯობს ვიტანჯო და ეს კი არ მოვიმოქმედო.

ხა, ხა, ხა, როგორ მოვტყუვდი! როგორი მეგონა იგი! რა იქნება მომავალში? ოი, როგორ მინდა, რომ იგი ისეთი გამოდგეს, როგორიც მეგონა. 3 საათი და 7 წუთია.

გამისკდა გული ამდენი დარდისაგან! სული დაიღალა გრძნობებთან ჭიდილში!... რისთვის და რატომ გამიჩინე ასეთი უჩვეულო სატანჯველი? ვეკითხები ჩემს თავს და პასუხს ვერ ვპოულობ. გემუდარები, უპასუხე ამ კითხვას მოკლედ. აღარ გიყვარვარ? დამივიწყე? თუმც

ჯოჯოხეთურ ტკივილებს მომაყენებს მე ასეთი პასუხი, მაგრამ იყავი გულახდილი, მიპასუხე პირდაპირ, მინდა სიმართლე ვიცოდე, იმ შემთხვევაშიც კი, სიკვდილს რომ მიქადდეს იგი.

ჩემს გამო ნუ გეშინია, მე მაქვს ჩემი გეგმები, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო ასეთი პასუხის შემდეგ. თუ შენს თავს ერიდები, იცოდე ჩემგან ერთ ცუდ სიტყვასაც ვერ გაიგონებ...

მე კი მუდამ ძლიერ მეყვარები, მაგრამ შენგან ყოველთვის შორს ვიქნები. მხოლოდ ერთი რამ მინდა: თუნდაც წელიწადში ერთხელ, შენგან შეუმჩნევლად, სრულიად სხვა სახით, არა როგორც ოლია, მოვიდე შენთან სადაც უნდა იყო, გიყურო შორიდან და გავიხსენო ახლანდელი და ზაფხულის ამბები... მერე წავალ და ვიხეტიალებ მარტო, ასე გავაკეთებ ყოველ წელიწადს და შენ ამის შესახებ შეიტყობ მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ. მარად შენი, არ ვიცი ვინ, უკვე მეუხერხულება მეგობარი გიწოდო, თუნდაც ჩემს გულში, რადგან ეგების შენ აღარც კი გიყვარვარ...

იყავი კარგი, გალკ, იყავი უფრო თამამი და გამიმხილე საბედისწერო სიმართლე. გკოცნი, ვეხვევი ჩემთვის ხელშეუხებელ შენს ხატებას ჩემს ოთახში, ძვირფასო და მარად დაუვიწყარო...

მინდა, მინდა შენთან ასე ყოფნა, — შენზე მარტომ რომ ვილაპარაკო, მაგრამ...

ღამეა... სიჩუმეა...

მხოლოდ საათის წიკ-წიკი ისმის...

23 სექტემბერი

ჩუმი სევდა მერგო საჩუქრად ზაფხულის მთვარიანი ღამეებიდან.

ძლიერ დაღლილობას ვგრძნობ. ბოლოს და ბოლოს როდის დამთავრდება ეს გამოცდები? როდის დაიწყება სწავლა, რომ მეც შემეძლოს ნორმალურად ვიმეცადინო. ერთი კვირაა, წიგნი არ ამიღია ხელში. მთელი დღე ან

სკოლაში ვარ, ან თეატრში. თუმცა ისე კარგია თეატრში! ახალი ხალხი, რეჟისორი სერიოზულად ეკიდება საქმეს. კარგი იქნება, თუ ის ბოლომდე ასეთი დარჩება,— ყოველგვარ წვრილმანს უსწორებს მსახიობებს. ასეც უნდა. სცენის საქმე, ჩანს, კარგად წავა წელს. ძალიან სიმპათიური ჩანს ეს ახალი ახალგაზრდა მსახიობი, თუმცა ამბობენ, რომ ლოთიაო. მაგრამ ხალხს არ უნდა დაუჯერო, ისინი ბოროტები არიან, ორჯერ-სამჯერ თუ დალია, მათი აზრით, ლოთია.

თეატრის შენობა კარგად შეაკეთეს, ერთი სიტყვით, იქ ყველაფერი განახლებულია, სიახლითა და სიცოცხლით სუნთქავს...

24 სექტემბერი, ორშაბათი

ძვირფასო, მარად საყვარელო დედა!

ასეთ რამეებს წერილით ვერ მოგწერ, ალბომში კი შემიძლია დაგწერო, რადგან ამას შენ ვერ წაიკითხავ. დედა, ერთი კვირაა შენს წერილს ველი, მაგრამ ამაოდ. რა მოხდა? რაშია საქმე? ძალიან მეშინია, ხომ არაფერი გიჭირს, ასე მგონია მძიმე ავადა ხარ. და მთელი ღამე არ მძინებია შენზე ფიქრით. მე შენ შეუძლოდ დაგტოვე, შენ ხომ საშინლად გახდი, ფერი დაკარგე და გახველებს კიდეც. ეს მე ძალიან მაშინებს და ვფიქრობ, რომ შენ გჭირს... მეშინია იმ ავადმყოფობის სახელის წარმოთქმა, მაგრამ ცუდი წინათგრძნობა მაქვს. დედა, ჭკუიდან შეგიშლები, შენ რომ რამე დაგემართოს, დედა! შენ ხომ იცი ეს? რატომ არ მიხვალ ექიმთან?... დედა, მინდოდა შენთან ჩამოსვლა, მაგრამ ნება არ დამრთეს, პროგრამა უნდა შევიმუშაოთო. არცერთმა მათგანმა არ იცის, რა მაწუხებს მე. ვინ იცის, თუ როგორ ვიტანჯები აქ მარტო. მე მათთვის არ მითქვამს, რატომ მინდოდა წამოსვლა. ასე მგონია მივატოვებ ყველაფერს და წამოვალ.

დედა, როგორ ვნანობ, რა საძაგელი ვარ, რომ არ დაგემშვიდობე. მაგრამ შენ ხომ მიცნობ, იცი, როგორ ვიტანჯები სულიერად ამ დროს, მაგრამ არ მინდა ეს

ვინმეს ვაჩვენო. ხომ იცი, ჩემში ყოველთვის იმარჯვებს სიამაყე, მოუთმენლობა და სიფიცხე, იცოდე, ასეთია ჩემი ბუნება. შენ ერთი სიტყვითაც კი არ მისაყვედურე ჩემი საქციელის გამო, და ეს კიდევ უფრო მაწუხებდა გზაში, როცა მიშასთან ერთად მოვდიოდი. ჩვენ ისე მოვედით ბულვარამდე, ხმა არ ამოგვიღია. გული მიწუხდა და ცრემლები მახრჩობდა... მახსოვს მიშა ამბობდა: „არა გრცხვენია, ოლია, რომ ტირი? შენ ხომ მალე ჩამოხვალ, ასე ახლოს მიდიხარ, აბა ჩემი მდგომარეობა წარმოიდგინე, მოსკოვში უნდა წავიდე, რამდენჯერ მომინდება ყველა თქვენგანის ნახვა, მაგრამ ერთ წელიწადზე ადრე ვერ მოვახერხებ ამას. თუ ძალიან გაგიჭირდეს, მიატოვე ჭიათურა და ჩამოდი მოსკოვში. ვიცხოვრებთ როგორღაც, ნუ გეშინია. მომწერე, რა წიგნებიც დაგჭირდება და გამოგიგზავნი, ერთი წლის შემდეგ კი შენ თვითონაც იქ იქნები“.

მისი სიტყვები მუდამ მამხნევებენ და მაფხიზლებენ. თუ ის მომავალ წელს იქ იქნება, მე არ ჩავთვლი ჩემს თავს მარტოსულად, მე მეყოლება ჭეშმარიტი მეგობარი, რომელიც ჩემს ცხოვრებას მუდამ წარმართავს ჭეშარიტი და შრომისმოყვარე გზით... მაგრამ ასე მგონია, რომ ვერ მივაღწევ მომავალ წლამდე.

მატარებელი ჩამოდგა, ჩემთან არავინ ჩამოვიდა.

დედა და მიშა! გეხვევით და გკოცნით. მესამე საათია.

1913 წელი

22 ივლისი, ორშაბათი, დილა

დილით 9 საათზე ავდექი. უგემურად ვისაუზმე და ისევ დავწექი. ნუცა ფოსტაში წავიდა. მოუთმენლად მოველოდი მის დაბრუნებას. იგი მოვიდა, მაგრამ წერილი არ მომიტანა. არ ვიცოდი, რა მექნა. ჩემს ტანჯვას ვერც

კივილით და ვერც ცრემლით ვერ გადმოვცემ. დავწექი, მაგრამ ფიქრებმა არ მომასვენეს.

ოხ, როგორ მსურდა შენი ნახვა, ალერსი და ლაპარაკი. მინდოდა მეამბნა შენთვის, თუ რა ტანჯვა გამოვიარე ამ ერთი კვირის განმავლობაში. ოხ, რა ბოროტი და ცუდია ხალხი, არ შეუძლია ადამიანს გაუგოს, იმას კი არ ფიქრობენ, თუ რა ტკივილს აყენებენ პიროვნებას.

შენ ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მაგრამ მაინც არ გინდა დაიჯერო ეს. რატომ არ გჯერა? ვბრაზობ. წერილში ვერ ვახერხებ მოგწერო ჩემი გრძნობების თაობაზე. სიყვარული შენდამი ღრმად, ღრმადა მაქვს ჩანერგილი გულში და ამას მეტს აღარ გავიმეორებ, რადგან ქაღალდზე იმის გადატანა, რასაც მე ვგრძნობ შეუძლებელია.

ავიღე წიგნი. დავუძახე ნუცას და დავიწყეთ მეცადინეობა. 6 საათზე ნუცამ წაიღო ჩემი წერილი და გაგზავნა, ჩამოსვლით კი არავინ ჩამოსულა.

საღამოს ეზოდან რაღაც ხმაური შემოგვესმა, აივანზე გამოვედი და ვუსმენდი. ერთი მასწავლებელი გიტარაზე უკრავდა, თან სასიამოვნოდ მღეროდა:

„ბიჭო, უბირო, ამრევო გზა და კვალისა“...

აივანზე ბნელოდა და სიმღერის ხმაც სიბნელიდან მოდიოდა. მინდოდა, რომ შენც აქ ყოფილიყავი, ჩემს გვერდით, მაგრამ ეს შეუძლებელია. ეს ჩემი ძლიერი ნატვრა იყო, რასაც მწარე სინამდვილე ახშობდა და გასაქანს არ აძლევდა. ტირილი დავიწყე. ცრემლებს ჩუმად ვიწმენდდი, რომ ნუცას არ შეემჩნია, საშინლად არ მიყვარს, როცა ვინმე ამჩნევს ჩემს ცრემლებს, თან მცხვენია და თან სიამაყე რაღაცნაირი...

მერე ეზოში გამოვედით, იქ ახალგაზრდა ქალები ერიამულობდნენ. უკანვე შევბრუნდით. მოვრჩები წერას და დავიწყებ წიგნის კითხვას. გათენებამდე უნდა გავიყვანო როგორმე დრო, რადგან უძილობა მაქვს.

სადა ხართ, ჩემო ძვირფასო ადამიანებო, ნუთუ ვერ უნდა განახოთ?

როდის გათენდება, ველი გათენებას. შუადღის 12 საათამდე არ მტოვებს იმედი, — რომ ის ჩამოვა. დილაც ბრწყინვალე და დიდებულია, იგი კვლავ იმედით მავსებს.

გაუმარჯოს ნათელ, იმედიან დილას!
მშვიდობით უიმედო ღამევ!

23 ივლისი, სამშაბათი, საღამო

ნუცამ ფოსტ-დან დედის წერილი მომიტანა... სადილის შემდეგ ორი ჩემი ნამოწოფარი მესტუმრა, — დიდხანს ვისაუბრეთ... იმათი წასვლის შემდეგ მე და ნუცა სასეირნოდ წავედით, რადგან სუსტი გული მაქვს, სიარული გამიძნელდა და ბალახებში დავწექი, თავქვეშ ჩემი ჟაკეტი დავიდე. შევყურებდი ცას და ოი, საოცრებავ... ცის მტრედისფერ ფონზე მზის ელვარე სხივებს შესანიშნავი სახეები გამოჰყავდათ. თეთრი ღრუბლების ნახატებს შორის ჩანდა ცისფერი ფონი და იქმნებოდა სხვადასხვანაირი ძაფებისგან ნაქსოვი სახეები. იქ ყოფნა მომინდა, მშვენიერი გრძნობები აღმეძრა, მთელი კაცობრიობის მიმართ გული უსაზღვრო სიყვარულით ამევსო. ფიქრებით ღრუბლების მიღმა წავედი და ამქვეყნიური ყველაფერი დამავიწყდა. მომინდა ცხოვრება ამაღლებულ, ძლიერ და ნაზ ციურ არსებათა შორის. ო, როგორ მომინდა ავსულიყავი იმ მარად მოძრავ ღრუბლებში, შევრწყმოდი მათ და სამუდამოდ, სამუდამოდ დავრჩენილიყავი იმ უსაზღვრო სივრცეში, ო, მიწიერო არარაობავ! გკოცნი, შენ, მშვენიერო ზეცავ! ჩემი საუცხოო მოხატულობა დაფარა რუხმა და შემდეგ კი შავმა ღრუბლებმა... ყველაფერი დაიფარა, ტირილი მომინდა.

მზერა დაბლა გადმოვიტანე და ახლა ჩემს წინ აღიმართა ხასხასა ბალახით აბიბინებული მთის წვერი და ნაძვებით დაფარული ფერდობები. აქაც იყო თავისებური სიმშვენიერე, მაგრამ შავმა ღრუბლებმა ისიც რამდენიმე წუთში მომტაცა. ღრუბლებმა ჯერ მთის წვერები დაფარა, შემდეგ კი ფერდობები. ოო, როგორ მი-

ფრინავდნენ ისინი, როგორც რაღაც ძლიერი და მშიერი ურჩხული, რომელიც მზად იყო გარშემო ყველაფერი გაენადგურებინა ყვირილით:

გაუმარჯოს ძალას!

ახლა მზერა ქვემოთ ჩამოვაყოლე და დავინახე ოდნავ შეყვითლებული ბალახი, რომელსაც უდიდესი სივრცე ეჭირა და ქარის ყოველ შემობერვაზე ერთ მხარეს წვებოდა ნაზი, დამამშვიდებელი შრიალით...

უფრო ქვემოთ კი საცოდავი ადამიანები, როგორი არარაობანი არიან ისინი, როგორ მებრალებიან! აი, ვის გვერდით უნდა ვიცხოვრო... როგორ ვცხოვრობდი ოცნებების საუფლოში რამდენიმე წუთის განმავლობაში და აი, სად უნდა ვიცხოვრო... საიდან სად ჩამოვფრინდი!

ო, ნეტავ შეიძლებოდეს ოცნების ქვეყნის სინამდვილეში განხორციელება და იქ მუდმივად ცხოვრება. გეხვევი, გკოცნი, ოცნების ქვეყანავ და წყევლას გითვლი, სინამდვილევ!

ამ ფიქრებში გართულს ნუცამ მითხრა, — ავმდგარიყავი, რათა არ გავციებულიყავი. წამოვჯექი, ცუდ გუნებაზე დავდექი, გული და გონება დამიმძიმდა... ავედით ზემოთ ტყეში, დავკრიფეთ მინდვრის ყვავილები და თაიგულები შევკარით. როცა დაბნელდა, მაშინღა მოვედით სახლში. ბევრი ვიხუმრეთ, ვიმღერეთ და ბოლოს წყნარი საუბარი გავაბით, — სხვათა შორის სიყვარულზეც.

ო, როგორ მწყუროდა მაშინ შენი ხილვა. მინდოდა გამექარწყლებინა შენი დარდები, გამეფანტა ეჭვები და ა. შ. შენ იქნებ ფიქრობ, რომ არ მიყვარხარ? მაგრამ მაინც მეტს აღარაფერს გეტყვი. დიპეშის გამოგზავნა მინდოდა, რომ ჩამოსულიყავი, მაგრამ...

26 ივლისი

დღეს უკეთესი განწყობა მაქვს, მე და ნუცა რაღაცას ველით. იქნებ ჩვენები უნდა ჩამოვიდნენ?

დღეს ხუთს აკლდა ხუთი წუთი, როცა ავდექი. წავედი წყაროზე და შემდეგ კი ხეივანში. იქ დიდხანს მარტო ვიხეტიალე... ვიგონებდი ყველაფერს. მინდოდა „კოხტა“ გორაზე ასვლა, მაგრამ ძეგლი დავინახე და საფლაოსკენ წავედი. დავათვალიერე საფლავები, გული დამიმძიმდა და ტირილი დავიწყე, არ შემეძლო უცბათ წარმომედგინა, რომ აქ ადამიანები იწვნენ, მივიწყებულ საფლავებს შორის დავდიოდი და ვფიქრობდი, რა საშინელებაა, რომ შენც ოდესმე აქ მოხვდები...

მოვბრუნდი სახლში. ადრე იყო. ჯერ კიდევ ყველას ეძინა... ცოტა ხნის შემდეგ ნუცასთან ერთად საღგურზე წავედი, მეგონა გალი ჩამოვიდოდა, მაგრამ არავინ ჩანს. სახლში რომ მოვედი, დაბეჭდილი წერილი დამხვდა, რომელმაც საშინლად ამაღელვა და დამარწმუნა იმაში, რომ უნდა განვშორდე ხალხს, მათ არ უნდა ვენდო, რადგან მათ ჩემი არაფერი ესმით. მე მეგობრები არ მყავს. ვინც ახლა გარს მახვევია, ისინი ჩემი მეგობრები არ არიან... გარეშენი არიან, ისინი არც არასოდეს არ იქნებიან ჩემი მეგობრები. შორს ჩემგან, თქვენ არასდროს არ განიცდით საერთო სატკივარს, თქვენთვის მღერით მხოლოდ. შორს, შორს ჩემგან!

მე მყავს მეგობრები, — თავისუფლებისათვის მებრძოლები!

[აგვისტო]

დღეს უკვე ბათუმში ვარ. ზღვის ჰავა ცოტათი მაინც გამოაჯანმრთელებს ჩემს სნეულ ფილტვებს. დილამდე I კლასის ბუფეტში ვიჯექი. დილას კი მუშა დავიქირავე, რომელსაც ჩემი არ ესმოდა, მე კი მისი. გავუდექით გზას, მან არ იცოდა, სად იყო ის ქუჩა, არც მე ვიცოდი. ჯანდაბას, ვფიქრობ, დე, ეძებოს. მეც მინდოდა უკაცრიელ ქუჩებში ხეტიალი, ძალიან ადრე იყო, ქუჩაში მეეტლეების გარდა არავინ ჩანდა, თან მეც მეუხერხუ-

ლებოდა დილაადრიანად ნათესავების შეწუხება. მე და მუშა ყოველ ნაბიჯზე ვეკითხებოდით მეეტლებს, ისინიც გვიხსნიდნენ. შესცქეროდნენ მუშას და ამბობდნენ: თვითონ არაფერი იცის, როგორ მიგიყვანთო! მათ სურდათ, მუშა გამეშვა და ეტლი დამექირავებინა. გულში ვიცინოდი, მაგრამ ვცდილობდი სახეზე ღიმილის მეტი არაფერი შემტყობოდა. როგორც იქნა, მივაღწიე ბინამდე... ყველას გაეხარდა...

ნასადილევს ზღვისკენ გავისეირნე, მაგრამ ისე ძლიერ ვიყავი დაღლილი, ფიქრის თავიც კი არ მქონდა, ყველაფერს გულგრილად შევყურებდი. არც სიხარულის თავი მქონდა და არც მწუხარების, მაგრამ ზღვის ხილვამ, როგორც მაცოცხლებელმა ნაპერწკალმა, ელექსირივით დაირბინა მთელ სხეულში და სიხარულით გავიქეცი მისკენ.

სამი საათი იყო, პაპანაქება იდგა. შორიდან მზით განათებული ზღვის ზედაპირი ცისფრად ლივლივებდა, ცაც ლურჯი იყო. გახარებულმა მივირბინე ზღვასთან, წყნარი ზღვის მხიარული ტალღა ნაპირთან შემეგება, თითქოს ეთეროვანმა არსებამ სალამი მომცაო. მე კი მხიარული კისკისით უკან გამოვიქეცი. დამსვენებლებს გაეცინათ, ერთმანეთს გადაულაპარაკეს: „ეტყობა, აქაური არ უნდა იყოს“.

ახლოდან ზღვა ცისფერი კი არა, ლურჯი იყო, ძალიან თუ დაუკვირდებოდი, ღია მწვანე ფერი დაჰკრავდა. ზღვა იყო წყნარი. იგი ოდნავ ირხეოდა, შორს კი, მზის სხივებით გაბრწყინებული წყალი ბრილიანტის თვლებივით ციმციმებდა და თავის ელვარებით თვალს სჭრიდა ცნობისმოყვარულთ, რომელთაც თითქოს ღირსადაც არ თვლიდა დამტკბარიყვნენ მისი სილამაზით. შორს, ძალიან შორს კი ზღვის დასალიერი მტრედისფერ ცის სივრცეს ერწყმოდა. ცას უხაროდა, ზღვის ჯადოსნურ სარკეში რომ იხედებოდა, რომელიც მას მეტ სილამაზეს ჰმატებდა. ზღვაც გახარებული იყო, რადგან მისი ტალღების აღგზნებული კვნესა ყველას ატყვევებდა, მისი თვალწარმტაცი სილამაზე ბედნიერებს ბედ-

ნიერებას უორკეცებდა, ხოლო უბედურებს აიძულებდა ოცნებას მისცემოდნენ, დამტკბარიყვნენ სილამაზით და დროებით მაინც დაევიწყებინათ თავიანთი სატკივარი. ამასთანავე ზღვა ცის თვალებით იხედებოდა, ე. ი. ირეკლავდა მოცინარ ცას, რომელიც ზღვას საკვირველ სილამაზეს ანიჭებდა.

ოლია ტკბებოდა ამ სილამაზით. იცინოდა ცა, იცინოდა ზღვა, იცინოდნენ ოლიას სიხარულით გაბრწყინებული თვალებიც. ერთი სიტყვით, ირგვლივ ყველაფერი იცინოდა — იცინოდნენ მხიარული, ბედნიერი და მადლიერების სიცილით. ის კი გაქვავებული იდგა და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, არავინ და არაფერი ახსოვდა და არც არაფერზე ფიქრობდა, თითქოს მოჯადოებულიაო.

ტალღები ასკდებოდნენ ნაპირს და უკუქცევის დროს თან იტაცებდნენ კენჭებს, რომლებიც ერთმანეთს ეხლებოდნენ და გამოსცემდნენ რაღაცნაირ ჩხრიალს. ოლია გონს მოეგო, თითქოს ძილისაგან გამოფხიზლდაო. მიმოიხედა გარშემო და ხალხი შენიშნა. გაუკვირდა, რომ მარტო არ იყო. შეეცადა გაეხსენებინა, რაზე ფიქრობდა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა. ის შთანთქმული იყო ბუნების საკვირველებით გამოწვეულ ექსტაზში, როცა ადამიანი მთელი არსებით ჰვრეტს ბუნების მშვენიერებას. ამ შთაბეჭდილებით დაჯდა იგი ზღვის ნაპირას, გადაშალა წიგნი, ამოიღო ქაღალდი, კონვერტი, ფანქარი და თავის საუკეთესო მეგობარს მისწერა წერილი. თუმცა ბევრი მეგობარი მას არ ჰყავდა, მაგრამ ვინც ჰყავდა, მისი ძლიერი გატაცება იყო. წერილში მან აღწერა ზღვის სიმშვენიერე შუადღისას, მზიან ამინდში და აგრეთვე ის შთაბეჭდილებაც, რომელიც ზღვამ მასზე მოახდინა. დაწერა აღფრთოვანებული წერილი და კონვერტში ჩადო. შემდეგ კვლავ გაშალა წიგნი და კითხვას შეუდგა, მაგრამ გულს ვერ უდებდა, რადგან თვალი ისევ და ისევ ზღვისაკენ გაურბოდა. ისე გაიტაცა ზღვის ცქერამ, რომ მუხლებზე დადებული წერილიც კი დაავიწყდა. წიგნს ხელი წაავლო და წამოდგა, რათა დაენახა გემი, რომ-

ლის ანძა შორიდანაც კარგად მოჩანდა. წერილი კი ზღვაში ჩაუვარდა, იგი ტალღებმა გაიტაცა შორს, შორს, ზღვის თვალუწვდენელ სივრცეში. ოლიას ძალიან დაეწანა წერილი. მაგრამ მალე კვლავ ამოიღო წიგნიდან ქაღალდი და დაწერა შემდეგი შინაარსის წერილი:

„საყვარელო მეგობარო ნუცა! დღეს ვიხილე ზღვის მშვენიერება და ახლაც მისი შთაბეჭდილების ტყვეობაში ვარ. აღვწერე ეს სილამაზე შეძლებისდაგვარად და მინდოდა შენთვის გამომეგზავნა, მაგრამ წერილი ზღვაში ჩამივარდა. ამ დროს მოვარდა აქაფებული ტალღა, დააღო უზარმაზარი ხახა და ხარხარით მითხრა: „ნუთუ გგონია, რომ ჩემი სილამაზის აღწერას შესძლებ? ჩემს სილამაზეს ზერელე სიტყვებითა და საღებავებით სრულყოფილად ვერვინ დახატავს. დადგებით ხოლმე ნაპირთან და გინდათ აღწეროთ ეს სილამაზე. ვერა და ვერა! გადაეცი თქვენს პოეტებს და მხატვრებს, ტყუილად ნუ ხარჯავენ საღებავებს. შენმა წერილმა გაგვაჯავრა და ამიტომაც გამოგტაცეთ. დიდხანს, დიდხანს მელაპარაკა ტალღა და შემდეგ უკუიქცა.

ძვირფასო ნუცა, ვეთანხმები ტალღას. მართლაცდა, რა განსაკუთრებულად ფაქიზი ალღო და ნაზი პოეტური სული უნდა გქონდეს, რომ ტილოსა და ქაღალდზე გადმოიტანო დასახატი საგნის ბუნებაში მომხდარი უმცირესი ცვლილებებით გამოწვეული ზუსტი შთაბეჭდილება. უნდა გქონდეს ნაზი, მეტისმეტად სათუთი სული, რომელმაც არ იცის რაა სიმშვიდე, მხოლოდ ასეთ სულს შეუძლია სხვაზე უკეთ შეიგრძნოს სამყაროს ყოველი მოძრაობა. პოეტური სული არა მარტო მოძრაობისაგან, არამედ ნაირნაირი ფერის გავლენითაც უნდა მოვიდეს შესაბამის რხევაში, ე. ი. უნდა გამოსახოს, როგორც სიხარული, ასევე სევდა, წყენა და ა. შ.

აბა, ახლა გადაავლე თვალი თანამედროვე პოეტებს, რომლებსაც "ბუნების სიმშვენიერე აქვთ აღწერილი... ეს საშინელებაა! მათ რაც უცებ ეცემათ თვალში, მაშინვე იმას თხზავენ, სულში ჩაწვდომის უნარი კი არ გააჩნიათ, ანალიზს ვერ უკეთებენ, გამჭრიახობა აკლიათ. ტლანქია

მათი გრძნობები! ამასთანავე პოეტმა უნდა უმღეროს ცხოვრებას, მისი საუკეთესო მომავლის იდეალებს, აქეთკენ უნდა მოუწოდოს კაცობრიობას. ჩვენ კი რას ვხედავთ მათ ლექსებში? რა შინაარსი აქვთ ამ ლექსებს? არავითარი! კითხულობ რა მათ, გონებაში გრჩება მხოლოდ არაფრისმთქმელი სიტყვები და არა რაიმე აზრი, იდეა. რა უნდა ვთქვათ იმ ხელოვნებაზე, რომელიც გადაგვარების გზაზეა... ისღა დაგვრჩენია, ვიცადოთ მანამ, სანამ არ გამოჩნდება გენიოსი, რომელიც მოწოდებულია ხელოვნების აღსადგენად.

ასე რომ, ნამდვილად უსუსური იყო ჩემი წერილი და ძალიანაც კარგი, რომ ვერ მოაღწია შენამდე.

ნუცა! რომ იცოდე, ყოველ საღამოს ზღვის ნაპირას, ხეივანში, სულმოუთქმელად ვკითხულობ ჩერნიშევსკის წიგნს: „რა ვაკეთოთ“.

ჩერნიშევსკი მოუწოდებდა ინტელიგენციას გასულიყო ხალხში და ემუშავა მათთან. წიგნი ძალიან მომწონს, თუმც ბევრ რამეში არ ვეთანხმები ავტორს. წიგნის კითხვას ხშირად ვანებებ თავს, რადგან ზღვის მშვენიერება მიტაცებს. მომწერე, რა დღეში არიან ჩვენი პროვინციელები. მომიკითხე მათ შორის ღირსეულნი, მოიწერე შენი ამბები.

ჯერჯერობით. ველოდები წერილს. აქ სრულიად მარტო ვარ, არცერთი ნაცნობი, მხოლოდ და მხოლოდ ნათესავები. მოწყენილი ვარ“.

შენი ო...

4 ნოემბერი

ძვირფასო გალონ, ვწვალობ, ვიტანჯები. მინდა, რომ ერთად ვიყოთ, მინდა ჩამოხვიდე ჩემთან, მინდა მოგიალერსო. მეტი აღარ შემიძლია, მოდი. გელოდები!

როგორ ველოდი მატარებლის მოსვლას. მეგონა აი ახლა, აი ახლა დააკაკუნებ კარებზე, შემოხვალ და მომეხვევი... მაგრამ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა, გალონი არ ჩამოვიდა, გალონი არ ჩანს... გუშინ კი მე მას

წერილი მივწერე, რომ ჩვენ აღარასოდეს შევხვდებით... მაგრამ... გალონ, მოდი... მოთმინება დავკარგე... რატომ არ ჩამოდიხარ! რატომ ხმას არ იღებ? რა გინდა ამით თქვა?...

5 ნოემბერი

...სიცოცხლე ხომ არარაობაა! სიკვდილი უცბად მოგადგება და ვერც ვერაფერის გაკეთებას მოასწრებ, რა საჭიროა ამდენი განცდები? ვისთვის და რისთვისაა საჭირო ამდენი ტანჯვა? უმჯობესია მალე წავიდე ამ ქვეყნიდან, რომელმაც წამების მეტი არაფერი მომიტანა, დე, ყველამ იცხოვროს ბედნიერად, არავისათვის არ მინდა ცუდი.

მაპატიე, გალონ, მე უცბად გავბრაზდი, იცოცხლე, იბედნიერე! მონახე კარგი ადამიანი და გიყვარდეს ის. მე კი ამ ცხოვრებას ვერ ვეგუები. უნდა მოვკვდე. ეს უკეთესია ჩემთვის. რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები ამაში. მე ისედაც განწირული ვარ. — ის საუკეთესო ექიმია. მან სიმართლე, სიმართლე მითხრა, ეგონა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ რაიმე ზომებს მივიღებდი. მე კი მინდოდა მხოლოდ დავრწმუნებულიყავი და მეტი არაფერი. სიცოცხლე არ მინდა, რაში მჭირდება მისი წამლები! მაგრამ მაინც, ნუთუ ასე ადრე უნდა მოვკვდე? არა, სიცოცხლე მაინც მინდა!

7 ნოემბერი

საყვარელო მიშა!

შენ მაინც იყო ახლა აქ. იმდენი კითხვა გამიჩნდა, მინდა ვინმეს ვეკამათო მის გარშემო, მაგრამ ასეთი არავინ არის აქ. ეს კითხვები ძალიან მაწუხებს, განსაკუთრებით ფრაქციული და ნაციონალური.

შენგან ველი პასუხს ჩემს კითხვებზე. რა აზრის ხარ მათზე? როგორ მინდა მალე მივიღო პასუხი.

9 ნოემბერი, შაბათი, საღამო

... ძვირფასო ზაფხულო, როგორ უშინაარსოდ და უაზროდ გავატარე შენი დღეები. შენ თავისუფლება მომანიჭე და ხედავ, როგორ ვისარგებლე? ხომ ხედავ, არ ვარ თავისუფლების ღირსი? ჩემს მეგობრებში უაზრო ხუმრობაში გავატარე დრო, ამას ვფიქრობდი მე? ეს შეიძლება ხანდახან, მაგრამ 1913 წლის ზაფხულის ყოველი საღამო? რამდენი რამის წაკითხვა შემეძლო. უძილო ღამეებს სიცარიელით სავსე უძილო ღამეები მოსდევდა. რაღას ვდარდობ იმაზე, რაც მოხდა? მაგრამ ის, ის წუთიერი მხიარულება მანიჭებდა გაურკვეველ ბედნიერებას...

მაგრამ როგორ მექცეოდა ის? ნუთუ ეს ნამდვილი სიყვარულია?

... მე მსურდა მისი სიახლოვე. მესაუბრა მასთან ან უბრალოდ ვყოფილიყავი მის გვერდით მდუმარედ...

24 ნოემბერი

როცა შენს ნაამბობს ვისმენდი, გალ, საკუთარი ცხოვრების შესახებ, მეც მინდოდა კიდევ მეტი მომეთხრო, ყველაფერი მეამბნა, მაგრამ მეუხერხულებოდა შენთვის ამის თქმა. გისმენდი და სულ უფრო და უფრო მეტად შემოგტრფოდი შენ. ძალიან ხშირად მებადებოდა სურვილი, მომეხვია შენთვის ხელი, როგორც მეგობრისა და ახლობლისათვის. მე ვთვლიდი, რომ შენ ბევრი ტანჯვა გადაიტანე, ამიტომ შეგიყვარე და სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ეს ჩემი გრძნობა. მთელი ქვეყანა მიმაჩნდა მაშინ მშვენივრად და საუკეთესოდ. ჩემი გზა კი წითელი ვარდებით მოფენილი მეგონა, მეჩვენებოდა, რომ ყოველი მხრიდან უეკლო ვარდებს მიწვდიდნენ, რათა დამეკოცნა, თან წამეღო და სამუდამოდ შემენახა ისინი...

დღეს საღამოს კონცერტია აქ. ოხ, როგორ მინდა მუსიკის მოსმენა, — ისინი ქუთაისიდან არიან, ალბათ

შეასრულებენ რაღაცას ისეთს, რისი მოსმენაც ჩემთვის მძიმე, მაგრამ ამავე დროს სასიამოვნო იქნება... ამ ხმებში მოვიგონებ წარსულს და მივეცემი თავდავიწყებას... ნეტავ კი შესაძლებელი იყოს ერთი დღით მაინც წარსულში დაბრუნება, წარსულით ცხოვრება! სამწუხაროა! კიდევ მგონია, რომ ჩამოხვალ...

. . . . . .

Мои мученья все во мне,
Ты не увидишь их уж боле,
Отступление я свершила
И веку дань тем отдала.
Любовь я в красках рисовала,
В тех красках сотканных прекрасно,
Любовь ты обратил в дорожный пыль.

მე ისევ მარტო ვარ ჩემს საყვარელ ოთახში. კვლავ ვფურცლავ ალბომს და შენს წერილს ვპოულობ. თითქოს პირველად ვკითხულობ მას. ვიხსენებ ზაფხულს, როცა ბათუმიდან ქუთაისში ჩამოვედი — მხიარული, სიყვარულისაგან ბედნიერი, როცა ყველაფერი მშვენიერი მეჩვენებოდა, მეგონა შეგხვდები და არასოდეს დავშორდებოდით, როცა მჯეროდა შენი...

1 დეკემბერი

ო, ნუთუ ზაფხულის დღეებმა ასე ბოროტად დამცინეს. ნუთუ მისი მოცინარი და მზიანი დღეები დაღუპვას მიქადდა? ზაფხულო, ზაფხულო, რად ჩამინერგე სულში სიგიჟე, რწმენა და სიყვარული?

ჯადოსნურო მთვარიანო ღამეებო, თქვენ მაინც რაღას მერჩოდით? მიმიზიდეთ, მიმიტყუეთ თქვენს ჯადოსნურ წრეში, წამიერი ბედნიერება, სიყვარული და ძალა მომანიჭეთ.

ო, ნუთუ თქვენ, სიყვარულისა და ჭეშმარიტების შვილებო, საკვირველებო და მშვენიერებო, შეგეძლოთ შეგექმნათ ჩემისთანა ბოროტმოქმედი?

ეშმაკო და გრძნეულო მთვარევ! ამჟამად ჩემთან არა ხარ, მაგრამ არა, არა, არა, აქა ხარ, ჩემთან იმისთვის,

რათა ყოველ ღამე გამახსენო წარსული და ამით გააღრ-
მავო ჭრილობა...

კიდევ ხუთი-ექვსი თვე უნდა დავყო აქ, შემდეგ
კი დაგიმტკიცებ ჩემს ძლიერებას. მტანჯავ, მაგრამ მაინც
მსურხარ, დარჩი, დარჩი ჩემთან და მომექეცი, როგორც
გენებოს, მე ხომ შენი მონა-მორჩილი ვარ, რადგან ძლიე-
რი ხარ, ძლიერი და მაიძულებ ქედი მოგიხარო. მაგრამ
ძალა ჩემი სიყვარულისა გეძახის შენ, შენ, ჩემო მშვე-
ნიერო მწამებელო!

რამდენი უძილო ღამე, რამდენი წამება, რამდენი
შიში და ფარული სევდა განმიცდია და რისთვის, მიპა-
სუხე! დავიმსახურე?! დავეცი ფიზიკურად, დავეცი სუ-
ლიერად, რამდენი ხანია, თითქმის 4 დღეა არაფერი
წამიკითხავს. მერე ვის გამო?...

მაგრამ მაინც რომ მიყვარხარ ასე ძლიერ?! მოდი,
მაწამე, ოღონდ ნუ წახვალ. მიყვარხარ, მიყვარხარ! შენ-
საკენ ვიწვდი ხელებს, მოგეხვევი და ჩემი გაციებული
ბაგეები კოცნას დაეშურება და შენს ალერსში ამომხდე-
ბა სული. მაგრამ სიამაყე გზას მიხშობს. ო, რა ძლიერია
სულისა და გრძნობის ჭიდილი, ნეტავ საბოლოოდ რო-
მელი გაიმარჯვებს ჩემში?

გალონ, შენთან, შენთან, შენთან მინდა. დავუძლურ-
დი, ქრება სიცოცხლის სხივი... მინდა გავიქცე, შორს გა-
დავიკარგო და ყოველივე დავიწყებას მივცე, გალონ,
თურმე სიყვარულს ვერსად გაექცევი, დავიღალე, ძალა
გამომელია, მინდა მოვშორდე ყველაფერს. რისთვის
უნდა იცოცხლოს ადამიანმა?

2 დეკემბერი

ო, მივიღე თუ არა შენი პესიმისტური წერილი, ოპ-
ტიმისტად ვიქეცი. წერილმა გამამხნევა — პირიქით იმო-
ქმედა. თუმცა შენი წერილის მიღებამდე თვითმკვლე-
ლობაზე ვფიქრობდი. ყველა იმედი გადაწურული მქონ-
და, რწმენა დაკარგული, მაგრამ ახლა სხვანაირად ვფი-
ქრობ, რომ იცოდე, ტანჯვა-წამებაში გამოვიბრძმედე,

და ამიტომაც გეტყვი: გწამდეს, რომ სიცოცხლე მშვენიერია!

გამოტყდი, რომ ზოგჯერ შენს ცხოვრებაშიც ბრწყინავს ერთი ნაპერწკალი მაინც, ეს კი იმის ნიშანია, რომ იმედი მთლად არ დაგკარგვია და, რაკი არის იმედი, ე. ი. არის სიცოცხლის სიყვარულიც. თვითმკვლელობაზე ფიქრიც კი წუთიერი სიგიჟეა, ჩვენი წუთიერი სისუსტეა. უნდა იცხოვრო და ყველაფერი გამოსცადო! მე ეს ახლა შევიგნე, როცა ცხოვრების ფერხულში ჩავები. თუმცა ეს ადრეც უნდა მცოდნოდა, მაგრამ იცი რა კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწეოდი? გაუმარჯოს სიცოცხლეს, გაუმარჯოს თვითმკვლელობის უარმყოფელ აზრს. ჩვენში არ არის მებრძოლი სული, ამიტომაც ასე ადვილად ვლაპარაკობთ თვითმკვლელობაზე.

თუმცა დიადი საუკუნის ადამიანები ვართ, აბობოქრებული ტალღების შვილები!

4 დეკემბერი, ღამე

საყვარელო გალონ! დღეს საღამოს რადიუმში წავედი და გოგონას დავუბარე, თუ ვინმემ მომაკითხოს, რადიუმში მოვიდეს-მეთქი. შენ მყავდი მხედველობაში, ვიფიქრე — იქნებ მოვიდეს. რადიუმიდან რომ ვბრუნდებოდი, სახლის მახლობლად ნაკვალევს ვაკვირდებოდი; ვფიქრობდი, იქნებ ამ ორი საათის წინ აქ გალონმა გაიარა. გული სიხარულით ამევსო, შევალ სახლში და მეტყვიან — შენთან ვიღაცა ჩამოვიდა ქუთაისიდან. ვიყავი მოლოდინში, რომ შენ რამდენიმე წუთის შემდეგ შემოხვალ ჩემს ოთახში. მაგრამ — არა, არა და არა...

გალონ, ნუთუ სიყვარული არ გამოგიცდია? რა თქმა უნდა, შენ ყველაფერი გესმის, ოღონდ ჩემი წამება განგიზრახავს. მაწამებ, მაგრამ რატომ? იმიტომ რომ მიყვარხარ? ჩემი სიყვარული ხომ შენ შემოგწირე. შენც ხომ გიყვარდი? მაგრამ იქნებ... ნუთუ? რატომ მიწამლავ სიყვარულს? ჩემს ისედაც მიუსაფარ ცხოვრებას რატომ ართულებ? რატომ? ოხ, ნეტავ ვიცოდე, ვი-

ცოდე და სხვა არაფერი მინდა... იმის იმედიღა დამრჩენია, რომ შორიდან მაინც დაგინახო, შორიდან. გალონ, მიყვარხარ, მაგრამ რაც მეტად მიყვარხარ, მით უფრო მძულხარ. სიყვარული და სიძულვილი ერთად ბობოქრობს ჩემში. გალონ, მითხარი, მითხარი სიმართლე. გალონ, განუწყვეტლივ მინდა გელაპარაკო, მაგრამ ვმუნჯდები. გალონ, მხოლოდ ამის თქმა შემიძლია...

ო, ხვალინდელო დღევ! ხვალ წერილს ველოდები, ნეტავი სიმართლე გავიგო. ნუთუ არ მივიღებ წერილს? გავგიჟდები. დაე, დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია! ვნახო, ვნახო ერთი, რა მომივა. შენ ერთადერთო, ნურასოდეს მიმატოვებ და გეფიცები, მეც მარად შენთან ვიქნები განუყრელად. და ვიცოცხლებ მხოლოდ შენთვის, მხოლოდ შენთვის, გალონ, და შენც ჩემს ხსოვნაში მარად ის გალონი იქნები, რომელიც მე ასე ძლიერ მიყვარს. ერთი სული მაქვს გნახო, ჩემო საყვარელო. ნეტავ ერთხელ კიდევ გნახო, ერთხელ კიდევ მოგეხვიო, ვიგრძნო შენი ალერსი. მოდი, სული ჩამბერე, ნუ მტანჯავ, აღმადგინე მკვდრეთით!

ნ დ ე კ ე მ ბ ე რ ი, ღამე

რა მემართება? ასე მგონია მთელი კვირა კოშმარში ვცხოვრობ. სადა ვარ?! მინდა ვიტირო ან ვიხარხარო, ან თავი მივცე აბობოქრებულ ზღვის ტალღებს.

ჩემო საყვარელო ნუცა, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ.

გალონ, ხვალაც არ ჩამოხვალ? მაშინ წადი, მომშორდი. დე, დავიტანჯო, მაგრამ... გალონ, ვიცი, შენ ახლა ტკბილად გძინავს, ჩემს ტანჯვას არაფრად აგდებ.

დამეძინებოდეს მაინც! ვიძინებდი, ვიძინებდი, სანამ შენს წერილს არ მივიღებდი. ო, რომ ახდეს ის, რაც მითხრეს: არა, ეს არ მოხდება. ამისთანა ჭეშმარიტების ცოდნა არ მსურს, თუმცა არა, ჯობს ვიცოდე. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ვინმე ან რამე ირ-

წმუნო. ეს იქნება საშინელი სიზმარი, რომელიც სიკვდილამდე თან გამყვება.

ჩემო საბრალო, გაწამებულო ალბომო, მუდამ თვალცრემლიანი მოგმართავ. შენს ფურცლებს ვერ გავახალისებ ბედნიერი განცდებით, მაგრამ ნუ დამადანაშაულებ, ჩემი ცხოვრება უსიხარულოდ გადის და რატომ უნდა ვიცრუო? შეეგუე ჩემს სევდას, სევდას, რომელიც ჩემი თანამგზავრია.

იმედი გამიცრუვდა, ხედავ, როგორ მიჭირს ხელში ფანქრის აღება? ხედავ ჩემს ცრემლებს, ხედავ ჩემს წამებას? ხედავ, ჩემს გარშემო როგორი მხიარულებაა, ჩემთვის კი ეს ყველაფერი უცხოა. ყოველივეს შორიდან უნდა ვუსმინო და ვუცქირო, მე კი ამ მხიარულების მონაწილე ვერასოდეს გავხდები.

ავად ვარ, დაუძლურებული, ცხოვრებისაგან დაღლილი, ეს მაშინ, როცა ცხოვრება ჯერ კიდევ წინაა, როცა ცხოვრებას ახლა ვიწყებ.

ჩემო საყვარელო ალბომო, შენ, შენ მაინც გამეცი პასუხი, შენ მაინც, ჩემო ძვირფასო, კარგო და წრფელო. ოხ, რომ შეიძლებოდეს, მოგეხვეოდი, თუმცა მე ყოველთვის, ყოველთვის გეხვევი შენ ჩემს ფიქრებში. შენ ჩემი ისეთი მეგობარი ხარ, რომელსაც შემიძლია გავანდო ჩემი ფიქრები, ვისაც შემიძლია შევჩივლო, რადგანაც ვიცი. რომ არ დამცინებ, არ მიღალატებ და არ დამწყევლი, ჩემო ერთადერთო! შენ ხედავ, და მეც ვიცი, რა ძლიერია ჩემი სიყვარული და გამოძახილს კი ვერ პოულობს. ჩემში კი ეს გრძნობა ძლიერდება და ძლიერდება.

რა მემართება, რატომ? ნუთუ ასე სუსტი ვარ, რომ გრძნობებს ვემონები. მაგრამ გრძნობა იმისთვის ხომ არ გვაქვს, რომ დავთრგუნოთ. მე ის მიყვარს, დე, ნუ ერქმევა ამას გრძნობა, უბრალოდ მიყვარს და მეტი არაფერი. და მასთან, მასთან, მასთან მინდა!

ძვირფასო ალბომო, მრცხვენია შენი. მხოლოდ შენი, ჩემო ერთადერთო მეგობარო. მაგრამ გამიგე, მე ის მიყვარს... რას აკეთებს? რატომ სდუმს? რატომ მტანჯავს? დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია, ავად

ვარ. ცრემლები ასველებს ჩემს ოთახს. ავად ვარ და მას მოუთმენლად ველი. ვიღაც აკაკუნებს, ნუთუ ისაა? რატომ არ გამცა პასუხი? ახლა უკვე გვიანაა. რა უცნაური ვითარება შემექმნა. ჩემს ცხოვრებას ბოლო ეღება — დასასრული დასაწყისის გარეშე?! საკვირველია XX საუკუნე და მისი ნაშიერიც!!!

1914 წელი

8 მარტი

ბავშვობიდანვე ჩემი მეგობრები სიჩუმე და მარტოობა იყო, მრავალთა შორის მე მუდამ კენტად ვიყავი, ყველგან ობლობას ვგრძნობდი. ვიცოდი, რომ ადამიანებთან ურთიერთობა გამიჭირდებოდა, მაგრამ მუდამ მჯეროდა, რომ სადღაც არის ხალხი, რომლებსაც მე ოდესმე უნდა შევხვდე და რომლებიც მე გამიგებენ...

თუმცა გავურბოდი ხალხს, მაგრამ მუდამ მის მხარეს ვიყავი — მათი თუნდაც უმნიშვნელო ცუდი საქციელი დიდ ტკივილებს მაყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი დამეფარა ჩემი გრძნობები, სახის გამომეტყველება ყოველთვის მღალატობდა, როცა არ უნდა ჩამეხედა სარკეში, ჩემს სახეზე მუდამ წყნარი სევდა იყო აღბეჭდილი. ვინც არ უნდა დამლაპარაკებოდა, ჩემი ამ სულიერი მწუხარების დროს, მე ყველას ვუღიმოდი, თუმცა არ მეცინებოდა, როგორც მთელი ამ ზაფხულის განმავლობაში...

ადამიანებს შორის ვიმყოფებოდი, მაგრამ მუდამ მხოლოდ ჩემი შინაგანი სამყაროთი ვცხოვრობდი, რომელშიაც ხორცშესხმულია მთელი სამყარო, ასე მგონია, რომ მე მსოფლიოს ვესაუბრები, როცა მარტო ვარ, ხოლო ადამიანებთან ყოფნის დროს სამყაროსაგან გათიშული, განშორებული ვარ.

გალაკტიონ, მეტს აღარ მოგწერ წერილს. ამას იქნეთ ჩემი გული ყველასათვის დახურული იქნება. დაე, ეს

იყოს ჩემი უკანასკნელი სიყვარული, სიყვარული, რომელიც ადამიანებმა ჩაკლეს. მომავალში ჩემი გული არავისთვის არ აძგერდება, დაე, იგი გაცივდეს ამ სიყვარულში. დაე, ეს სიყვარული დარჩეს ჩემს გულში მწარე მოგონებად. ადამიანი ვარ და ვიცი, რომ მარტოობა ტანჯვის გარეშე არ არსებობს. მაგრამ დაე, ჩემი სიცოცხლის დასასრულამდე ჩემთან დარჩეს მხოლოდ ეს სიყვარული, დაე მასთან ერთად დავიმარხო მე. გისურვებ, რომ შენს ლირას არასოდეს გამოეცეს ჩემი სულის მსგავსი სევდიანი აკორდები.

9 მარტი

გალაკტიონ, მე მუდამ მჯეროდა შენი სიყვარულისა ჩემდამი, მაგრამ ნუ იფიქრებ, ნუ ილაპარაკებ ჩემზე უხეშად, მიჩვეული არა ვარ ასეთ მოპყრობას. შენი ამგვარი საქციელი კი მე ბოლოს მომიღებს. გალაკტიონ, შენ თუ ცუდს ფიქრობ ჩემზე, წადი... მაგრამ როგორ ხშირად, ძალიან ხშირად მოგიხმობ შენ, მე შენ ძებნას დავიწყებ, მოგძებნი, ვიტირებ შენს გამო. შენ კი ვერ გაიგებ ამას. და მე მოვკვდები სულის ასეთ ყივილში! არავის კი არაფერი არ ეცოდინება ამის შესახებ.

გალაკტიონ, შენ ხალხში ტრიალებ. მაგრამ აბა წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა, რა ცხოვრებაა ეს — მთელი დღე ვზივარ ოთხ კედელშუა, არავის არ ველაპარაკები. და ასე ყოველ დღე, გრძელდება ეს უსასრულოდ. მაგრამ ერთს გეტყვი: პირველყოვლისა მე ადამიანი უნდა ვიყო, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

რაღაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს.

ნუთუ ჩემს მისწრაფებებს ეწერათ, რომ ჩემთან ერთად დაღუპულიყვნენ ჭიათურაში? ამ საპყრობილეში?

დაე, ბედნიერებმა ილაპარაკონ სულის თავისუფლებაზე, მე კი არ შემიძლია ეს, რადგან მახრჩობს, მახრჩობს არსებული პირობები.

გამუდმებით ვებრძვი საკუთარ თავს, რომ სულით არ დავეცე. და რისთვის ყოველივე ეს? რისთვის ვცოცხლობ? არ ჯობია ბოლოს და ბოლოს მოვიკლა თავი და გავთავისუფლდე?

ღმერთო, ერთი, ერთი ადამიანი მაინც მყავდეს აქ.

არსებული პირობები უნდა მოისპოს და მაშინ პიროვნება იქნება თავისუფალი, მხოლოდ პირობების შეცვლით განთავისუფლდება პიროვნება თავისუფალი მოღვაწეობისათვის, უმაღლესი საწყისის სამსახურისათვის. კი, ერთ დროს მეც მჯეროდა ადამიანის ნების ძალა, მაგრამ ახლა არა და არა, რადგან დავრწმუნდი, რომ იგი უძლურია, სუსტია და მარცხდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ეჯახება რა ბოროტ, ძლიერ დაბრკოლებას — არსებულ პირობებს.

გალ, არა გრცხვენია, რატომ მეკითხები: როგორი მეგობრები მყავს აქ და როგორ ვატარებ დროს და ა. შ. განა შეიძლება მე აქ მეგობრები მყავდეს? მე ხომ თავიდანვე აქ მარტო ვცხოვრობ, ყველასაგან განმარტოებული. მე მათთან არაფერი საერთო არა მაქვს. ისინი კმაყოფილები და ბედნიერები არიან იმით, ცოტას რომ წაიჭორავებენ, ან იქეიფებენ ხან ერთ, ხან მეორე ადგილზე, მე ხომ არასოდეს არ ვღებულობ დაპატიჟებას, თუმცა ვიცი, რომ ამით მათ უკმაყოფილებას ვიწვევ. მაგრამ რა უნდა გავაკეთო, — მათთან მე მხოლოდ მარტოობას და უხერხულობას ვგრძნობ. იქ უნდა ვიცინო, მაშინ, როცა ამის განწყობა სრულიად არა მაქვს...

გალ, როგორ მინდა ხშირად, ხშირად მოგწერო წერილები, მაგრამ როგორ, როცა შენ ჩემი გულწრფელი სიტყვები ასე გესმის. მინდა ძლიერ ჩამიკრა გულში, რათა ყველაფერი დავივიწყო, ასე მგონია, ვგიჟდები, ხშირად სიკვდილიც კი მინდა ამ ცხოვრებისა და შენს ჯიბრზე, რათა საბოლოოდ გავთავისუფლდე. ნეტავ კი გავძლო როგორმე ეს სამი თვე კიდევ.

გალ, მინდა შენი ნახვა, შენთან საუბარი, მინდა მოგეხვიო და შენი სიახლოვე ვიგრძნო. გეხვევი და გკოცნი.

დღეს ნატაშა იყო ჩემთან, ბევრი ვილაპარაკეთ. გუნება-განწყობილება სულ გამომეცვალა. ვიღაცის მიმართ პატიებისა და შერიგების გრძნობა გამიჩნდა, ამიტომ მომინდა შენთვის გულთბილი წერილი მომეწერა. თუ ასეთ გუნებაზე ვიქნები, მაშინ შევძლებ წერილის მოწერას. მაგრამ ვგრძნობ ჩემი ამაყი სული კვლავ მეუფლება, ყოველგვარ ნაზ გრძნობასა და მიტევების უნარს მიხშობს, მითრგუნავს. ო, გამეცალე, მინდა ჩემს კეთილ „მე"-სთან დავრჩე, მაგრამ ეს მეორე „მე"? იგი წინააღმდეგია, იგი მაიძულებს გავჩუმდე, მიბრძანებს, ხმა არ ამოვიღო...

ვემორჩილები მეორე ცბიერ სულს, რომელიც სპობს სუსტ საწყისებს.

მე მე არა ვარ და სად არის მეორე „მე"?

როგორი თავაწყვეტილი მხიარული მუსიკის ხმები ისმის, მაგრამ არა, ეს მხიარულება არ არის, ეს არის განაწამები ადამიანის გოდება, რომელიც ამ ველურ ხმებში ეძებს დავიწყებას. ადამიანი ცეკვავს, ადამიანი იცინის, უსტვენს — ველური ორგია. ადამიანი კვლავ ბზრიალებს, მხიარულად მღერის, მაგრამ ვაი, რომ სიცილის ნაცვლად მისი მკერდიდან ველურ ღმუილთან ერთად იფრქვევა სისხლი. იგი გაჯავრებული და ამავე დროს კეთილი, განაწამები, მაგრამ ამაყი, გამომწვევი გამომეტყველებით კვდება. ამ დროს საიდანღაც გაისმის ველური ხარხარი, მას ყოველი მხრიდან ბანს აძლევს ეხო. შემდეგ კი გულამოსკვნილი ტირილი ისმის, რომელსაც კვლავ იმეორებს ეხო, ეს ორივე კი ერთიმეორეს ერწყმის და გამოსცემს ველურ ხმაურს — აი, ეს არის ცხოვრება.

1915 წელი

28 იანვარი

„სხვიტორი“ — გაისმა მატარებლის გამცილებლის ხმა. სადგურიდან, თუ მეტი არა, სამი ვერსია პოეტის სახლამდე[1], ჩვენ ფეხით გავუყევით გზას. პოეტის სახლის ახლოს დავინახე შეწუხებული სახით მიმავალი თავადები — ბატონები და ქალბატონები. მაფ სახეზე ეწერა: „ის ჩვენია“. მართალი გითხრათ, მე შემძაგდა ისინი. ღმერთო შეგცოდე და ასე მგონია, ეს ხალხი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება გაატარა თვითკმაყოფილებაში, ჭამა-სმასა და მხიარულებაში, რომლებიც მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობდნენ, რომელთაც არ გააჩნიათ ამაღლებული სული, ახლა თავს გვაჩვენებენ ისე, თითქოს დარდისაგან განადგურებულნი არიან და, საერთოდ, თავს პოეტის პატრონებად თვლიან. ოი, რა საშინელებაა, როდესაც შავი ყორნები ბატონობენ, როცა ისინი თავს ეხვევიან სინათლეს. ნუთუ პოეტი ეგუებოდა ამ მუქთახორებს? არა და არა! მე ეს მჯერა! სურვილი მებადება, რომ არ მივუშვა ისინი პოეტის ცხედართან.

აი, მობრძანდება ერთი ქალბატონი. მას სახეზე აწერია დიდი სიამაყე, თითქოს ამბობს: — მე დედოფალი ვარ, აქ ყველაფერი მე უნდა მემორჩილებოდეს.

ეზოში ბევრი პატარ-პატარა შენობაა. ერთიდან გამოაქვთ ღვინო, კარებთან წინსაფრიანი მზარეული დგას, იქვე ახლოს გლეხები კუნძებს აპობენ, მათ სახეზე აწერიათ: ფაქტიურად ჩვენ ისევ ყმები ვართ.

ყველაფერი ეს მომაგონებს ოდესღაც შორეულ წარსულში აქ მცხოვრებ ხარბ ფეოდალს, რომელმაც ყველაფერი მეტისმეტად მყარად ააგო, რათა ისინი სამუდამოდ დარჩენილიყო, თვითონ კი დამტკბარიყო ცხოვრებით, ეყვლიფა და ტყავი გაეძრო გლეხებისათვის. მან დიდხანს იცოცხლა ფუფუნებასა და განცხრომაში. ბოლოს გარდაიცვალა. შემდეგ კი დაიწყო მღელვარება და-

ჩაგრულთა შორის, რამაც აიძულა ფეოდალის მემკვიდრეები შედარებით რბილად მოქცეოდნენ გლეხებს და თვითონაც გარდაქმნილიყვნენ. ახლა აქ პოეტი ცხოვრობდა, რომელმაც კეთილი თესლი დათესა ამ ცოდვილ მიწაზე.

ტახტზე პოეტის ბალზამირებული ცხედარი დევს. ჩვენ მივიტანეთ ყვავილები. ნუთუ არ გრძნობს პოეტი და არ უხარია მას, გაზაფხულის დარად ამდენი თაიგული რომ მივუტანეთ? ის ხომ გაზაფხულის მომღერალი იყო. მაგრამ არა, ის დუმს. დუმს ტალანტი, რომელიც ამდენი წელი მღეროდა, დაიღალა და სამუდამოდ დაიძინა.

ყველა ეამბორა ჯვარს, რომელიც პოეტის გულზე ესვენა. მე არ მიკოცნია. არ მსურს. იქნებ ეს ჯვარი ეკუთვნოდა რომელიმე გახრწნილ მღვდელს, რომელიც მალავდა თავის ზრახვებს და ყვლეფდა და ატყუებდა ხალხს. არა, არ ვაკოცებ ჯვარს. მე მინდა ვაკოცო ამ ნათელ შუბლს, მაგრამ უხერხულია. ჩემს წარმოსახვაში ვკოცნი მას.

მიცვალებულის ირგვლივ ეს ქალბატონები და ბატონები ირევიან, მეორე მხარეს კი სამღვდელოების ფლიდი წარმომადგენლები, რომელთაც ეჩქარებათ პანაშვიდის დამთავრება, ცდილობენ შეამოკლონ სახარება, მაგრამ ვერ ბედავენ ამას ბატონებისა და ქალბატონების შიშით. ერთ-ერთი სოფლის მღვდელი, რომელსაც არასოდეს არ უნახავს პოეტის ოთახი, მღვდელმსახურების დროს დამფრთხალი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, რომ ყველაფერი კარგად დაეზვერა... აი, ამ დიაკონს კი, ღმერთო ჩემო, როგორი თვითკმაყოფილი სახე აქვს, როცა ჩქარ-ჩქარა ბურტყუნით წარმოთქვამს სიტყვებს, იქნებ ფიქრობს კიდეც: მადლობა ღმერთს, კარგად გამომივიდაო, მაგრამ კვლავ და კვლავ იგივე მეორდება, როცა მისი ჯერი დგება.

აივანზე გამოვრბივარ და ვათვალიერებ იმ ადგილებს, რომლის სიმშვენიერემაც შექმნა ტალანტი. და, მართლაც, შესანიშნავი, თოვლით დაფარული მთებია,

ასეთი, როგორც ვერცხლი, თავზე თითქოს შაქრის ნატეხი ადევსო. ქვევით კი გადაშლილია ბრწყინვალე ველები, რომლის აღწერასაც აღარ მოვყვები.

ვინ იცის, რამდენჯერ შეჰყურებდა პოეტი ამ სანახაობას, ტკბებოდა და უმღერდა მათ... დიდხანს ვათვალიერებდი ამ მიდამოებს აივნიდან.

შემდეგ მეორე ოთახში შევიხედე. იქ საწოლზე იჯდა ღრმად მოხუცი ქალი — ასე 95 წლისა. ეს პოეტის დაიყო. ერთ-ერთმა ქალბატონმა მას ჩვენი თავი წარუდგინა, როგორც მასწავლებლები. მოხუცმა თავი დაგვიკრა, მაგრამ, ღმერთო, როგორ შემრცხვა, როცა არცერთმა ჩვენგანმა მას ხელი არ გაუწოდა. მის საწოლთან პოეტის სურათი ეკიდა. ჩვენ შეგვრცხვა და იქაურობას სწრაფად გავეცალეთ.

ძალიან მინდოდა მენახა პოეტის ვაჟი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვნახე.

[1916 წელი]*

დღეს მომცეს პიეტრას როლი „ექიმ შტოკმანში". გამეხარდა. დიდი ხანია სპექტაკლში არ მითამაშია. ახლა ისევ სევდამ შემიპყრო, შარშან კი როგორ მიხაროდა, როცა ვთამაშობდი...

რას ფიქრობს კულტურული საზოგადოება და დაწესებულება, რომელიც სამშვენისებზე და ყბედებზე ხარჯავს უზარმაზარ თანხას და ამავე დროს ვერ ამჩნევს დაფარულ დიდ ტალანტებს, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან უდიდესი ზოგადსაკაცობრიო ქმნილებები, თუ მათ ექნებათ მატერიალური ხელშეწყობა. მაშინ მათი დაფარული ტალანტი გაშლის ძლიერ ფრთებს, ფრთებს თვალუწვდენელს, ფრთებს სუფთას, თავისუფალს, ფრთებს, რომლებსაც თავისი რხევით შეუძლია შექმნას

* 1916 წლის ყველა ჩანაწერი ავტოგრაფში უთარიღოა. იგი თარიღდება იმ რვეულის შესწავლის საფუძველზე, რომელშიაც ეს ტექსტებია მოთავსებული.

დიდებული ქმნილებები, ეს კი მშვენიერ ლექსებში გამოიხატება.

წარმოიდგინეთ ახალგაზრდა პოეტი, მეტ-სმეტად სუფთა, როგორც ბროლი, რომელიც მთელ თავის დარდს გულში ატარებს და არავის უმჟღავნებს მას.

პოეტი მთელი კვირის განმავლობაში დადის მშიერი და ეს წლობით გრძელდება. მან უკვე მოამზადა მეორე წიგნი[3], მაგრამ როგორ და რით გამოსცეს?! დაიწყო ახალ ნაწარმოებზე მუშაობა, როგორ დაამთავროს, როცა მუდამ მშიერია! შიმშილი რომ დაიკიწყოს, ყოველდღე ქალაქგარეთ უხდება სირბილი. ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს ჯერ არ დაუწყია ცხოვრება და უკვე გამოფიტულია შიმშილისაგან. როგორ იმუშაოს ასეთ პირობებში?

მისმა მეგობარმა პოეტის მძიმე ცხოვრება ისე ამიწერა, რომ თმები ყალყზე დამიდგა და მომინდა დავუყვირო ადაიანებს და ქვეყანას: იღუპება გამოჩენილი პიროვნება, გაუწოდეთ ხელი, ნუ დაღუპავთ!.. მაგრამ პასუხის ნაცვლად ისმის ბოროტი, ცივი, დამცინავი, არაადამიანური ხარხარი და ასე იღუპება ის კულტურული სამყაროსათვის.

ისევ ის, მისივე მეგობარი, მიყვებოდა, რომ პოეტს 3—4 წლით სურს კერძო კურსებზე სწავლა, რათა მიიღოს განათლება და თავისი ცოდნა მოიყვანოს სისტემაში, რათა შემდგომ იმუშაოს, როგორც ხარმა.

მაგრამ ვინ დაეხმარება მას? მე მხოლოდ ერთი კულტურული დაწესებულება მყავს მხედველობაში, რომელიც იცავს ტალანტებს დაღუპვისაგან. ეს არის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

თხოვნით მივმართავ ზემოხსენებულ დაწესებულებას, მიაქციოს ამ კაცს ყურადღება. მისცეს საკვები, რათა მოუტანოს კაცობრიობას ის სარგებლობა, რასაც შეძლებს ახლო მომავალში.

თქვენ შეგიძლიათ მას დაუნიშნოთ სტიპენდია 3—4 წლით და ამით საზოგადოებას ახალ მნათობს შესძენთ.

თქვენ შეგიძლიათ სთქვათ: ვინ არის ეს თავხედი თავისი ანონიმური წერილით? მაგრამ მე მჯერა, რომ თქვენ ამას არ იტყვით.

გთხოვთ, წაიკითხოთ ეს წერილი საზოგადოების სხდომაზე 5 აპრილს. უმორჩილესად ვთხოვ საზოგადოებას, სხდომის შემდეგ აუცილებლად მიპასუხოს წერილზე.

პასუხი 15 აპრილამდე გამომიგზავნეთ ამ მისამართით: ჭიათურა მოკითხვამდე „პერო“.

ხოლო 15-ის შემდეგ: ქუთაისი — მოთხოვნამდე „პერო“.

1917 წელი

6 თებერვალი

რა საშინელებაა! ნისლი! მოწყენილი დღე! ხედავ შორეულ უდაბნოს? ხედავ, როგორი სევდიანი ფერებით არის იგი მოფენილი? გალ, გესმის, როგორ მგლეჯს ბედი გაალმასებული ბრჭყალებით? გალ, ცისფერი შორეთი, ცისფერი შორეთი სად არის? ჩემს წინ მტანჯველი შორეთია მხოლოდ, ტანჯვის, უიმედობისა და ხიფათის თაიგულად შეკრული. მეშინია! მეშინია! არაფერს ველი! წინ ბურუსია...

მე ვიტანჯები, კაცობრიობა გმინავს, პიროვნება მარტოა, ბედი ხარხარებს, ცხოვრებასთან ბრძოლაში რომ დავმარცხდი, იგი დამცინის, როგორც ბავშვს, ცხოვრებაც გულცივად მცემს თავში მძიმე ურუოს, თითქოს და მარადიული განადგურების დაღს მასვამს.

ცხოვრებავ, შენ ბოროტი ირონია ხარ, მაგრამ გარდაგქმნი ზღაპრად!

7. თებერვალი

ვკითხულობ: „Посвящаю Лии“ და შენც გალ, შენს რვეულებში ლექსებს მიწერდი. ახლა, ახლა?...

იყო უმანკო, ამაყი, შემოინახო შენი სიწმინდე, მთელი შენი გრძნობები, მათი სიტკბოება და სიწარე, და მერე ვისთვის? მისთვის, ვინც სამუდამო წამებისათვის ჯვარს აცვამს ჩემს ყმაწვილქალობას, ღირსია იგი ჩემი სიყვარულისა? . . . . ო, არა, ჩემი სული ამაყია და სუფთა, დაეძებს სიწმინდეს, ეძებს ღირსეულს, თუკი მე ჩემი სულისა და გულის ყვავილებს ვინახავდი მხოლოდ ერთისთვის, მისგანაც ამას მოვითხოვ...

არა, შენ კარგი ადამიანი ხარ, მაგრამ უხეში. ჩემი სული კი მეტისმეტად ფაქიზია, იგი დაიმსხვრა. დამეხსენი და მე წავალ და წავიღებ ჩემს სიყვარულსა და დარდს. ეს ორი ყვავილი მე მიმაქვს შორს, შორს. და არ ვიცი, ვის გადავცემ მას. შენ კი, სახელოვანო კაცო, წადი და წაიღე ის, რაც გაგაჩნია.

კარგად იყავი, დამეხსენი, თავი დამანებე, მე მსურს წმინდა სიყვარულზე ვილოცო.

8 თებერვალი

შემოვდივარ ოთახში, ბნელა. არ ვიცი, რა ვქნა, უაზროდ ვიხდი პალტოს და ვაგდებ საწოლზე, მას ქუდიც მივაყოლე. ვდგავარ და ვდუმვარ, სუნთქვაშეკრული.

ჩემი ძლიერი და ხანგრძლივი ხველა გაისმა სიწყნარეში. ეგების მე ჭლექიანი ვარ?

რატომ ვარ ასე მოწყენილი? რატომ მაწევს სულზე ამქვეყნიური სევდის სიმძიმე?

ქუჩაში საოცარი სიცარიელე იყო, თითქოს ყველაფერი ჩამკვდარაო, თუმცა ხალხი დადის, იცინის, ხვდება ერთმანეთს, მე კი არაფერი არ მინდა. იქნებ სადმე წასვლა ან ვინმესთან ყოფნა მინდა? არა, არავისთან, მხოლოდ სიკვდილია ყველგან! იმედებო, სად გამიფრინდით? დავიჭირო იქნებ ერთი მაინც, მაგრამ რად მინდა, რისთვის? ოცნებაც არა, სადა ხარ, ჩემო ცხოვრებავ, ვინ გამქურდა, ვინ? ნუთუ პესიმიზმის ქსელში ვარ და საშველი არ არის? გაზაფხული? გაზაფხულო, მინდა მოგეხვიო, გადაგკოცნო და ვიტირო. გაზაფხულო, შემა-

ძლებინე კვლავაც შევიგრძნო შენი მშვენიერება, დავითრო შენი ყვავილების სურნელებით! მინდა ჩემი დაქანცული თავი და გული დავასვენო შენს მწვანე ხავერდოვან ხალიჩაზე, რომელიც ღელავს, როგორც ზღვა ზეფირის შემობერვაზე. შემაძლებინე, რომ გამოვცოცხლდე ამ მწვანე, ხასხასა და ველური სურნელებით, შემაძლებინე შენი ლურჯი ცის ჭვრეტა, სადაც მე მოვახერხებ კვლავ და კვლავ ვიოცნებო... მომეცი ძალა, გავიგონო წყნარი აბრეშუმისებური ჩურჩული შენი მშვენიერი შეყვარებული მწვანე ფოთლების. მინდა მოვისმინო შენი ჭროლის ნაკადულების ზურმუხტოვანი ზღაპრები და დავინახო მეოცნებე მთვარიანი ღამის მომაჯადოვებელი, თავბრუდამხვევი ნათება, მინდა ასეთი ღამის თეთრი, თეთრი დედოფალი ვიყო, რომ ყველაფერი მოვაჯადოვო და გადავაქციო თეთრ ქანდაკებად, რომელიც მარად იხეტიალებს მთებსა, ტყეებსა და მინდვრებში... ბუნების წიაღში ეძიებს, ეძიებს, ვიდრე არ გაიგონებს მის სადიდებელ ჰიმნს. პოეტი კი დაელოდება მას ჰანგებით და ხელგაშლილი ჩაეკონება. ქანდაკება ხორცს შეისხამს, გადაიქცევა ოლიად, ხოლო ის პოეტი იქნება გალი... რამ გააცოცხლა ქანდაკება? ნუთუ ჩემი გულიც აღდგება როდისმე? ის ხომ მოკლა მოლოდინმა?

თვალები გავახილე. ყველაფერი სიზმარი იყო. რა საშინელებაა! ავანთე ლამპა. ლამპის შუქზე თვალი მოვავლე ოთახს. საწოლი არეულია, მასზე ყრია წიგნები, რვეულები და ფანქრები, ლამპა მტვრიანია და ძლივს ანათებს; „ეტაჟერკიდან“ — სურათები, თითქოს წარსული ცხოვრებიდან, უღიმღამოდ იცქირებიან, ახლაც ყველა ისინი უღონოდ შემომყურებენ, თითქოს ამბობენ: აგვალაგეთ აქედან, ჩვენ აქ არაფერი გვესაქმება. სურათებს შორის კი სუმბულია, შენ რომ გინახავდი. მან უკვე დახარა თავი და ჭკნება, ფოთლები გაუყვითლდა... ტირილი მინდა, მოწყენილი ვარ, ნუთუ, ნუთუ... დასაწყისში დასასრული? და რისთვის? რისთვის?

10 თებერვალი

...ვიღას ველი? არავის! მე სულ მარტო ვარ, მაგრამ მე ვპოვებ დავიწყებას ხელოვნებაში და თუ არა...

საშინელ მარტოობას განვიცდი, დამიჩლუნგდა ყოველი გრძნობა. მსურს თავდავიწყება მხოლოდ მასთან. სხვასთან? — არა, ვფიქრობ, რომ დანაშაულია ჩემი სხვასთან სიახლოვე, მე ხომ მას ვერასოდეს ისე ვერ შევიყვარებ. ჩემს გულს ერთი ფლობს, როგორც ურჩი პრომეთე და სამუდამოდ ის იქნება მისი მფლობელი.

სხვის ალერსში დიდი გულისტკივილით მე ვიფიქრებ მასზე, ვგრძნობ გაზაფხულისა და ყვავილების სურნელებას, მინდა შევისუნთქო სიყვარული და ალერსი, მაგრამ შენ დამივიწყე მე.

17 თებერვალი

რა კარგია, რომ მარტო ვარ, მე მარტო ვარ, როცა ვფიქრობ, ვიცინი, ვდარდობ თუ ვნაღვლობ! როგორ მიყვარს მარტოობა, როგორ გაცხოველებით მუშაობს ჩემი გონება, როგორი ძალით მიცემს გული, რა კარგად ვგრძნობ თავს, შემიძლია დარდიანმა მარტოობაში ბევრი რამ შევქმნა...

დავიღალე სიყვარულზე დარდით! მწყურია ნაზი ალერსი, ისეთი, როგორც ზეფირი, მინდა რომ ხელს მისვამდე თავზე, ხელებზე, ლოყებზე, ხოლო შენი ბაგეები გამოსცემდნენ ნაზ ჩურჩულს და მიამბობდნენ ზღაპრებს, ჯადოქრულსა და უსასრულოს...

გალ, შენ ხომ ჩემი სიყვარული ხარ? მე კი შენი სიყვარული, არა?

გალ, საშინელ ზღაპრებს მიამბობს ტყე, თითქოს შენ იქეცი ტყის ბობოქარ გენიად და გააფთრებული ყვირილით ახშობ გაზაფხულის ფოთლების ნაზ ჩურჩულს.

ძვირფასო გალ, წუხელის შეკრიბე მთვარის უთეთრესი სხივები, დაგწანი მათგან ჰამაკი, გავაბი იგი თვალუწვდენელ ვერცხლისფერ სივრცეში, ავავსე უამრავი

ათასფერი ყვავილებით და შენთან ერთად ჩავჯექი შიგ. ზეციდან კი თავს გვეყრებოდა სურნელოვანი იასამნები, იები, მაისის ვარდები, ცისანები... ჩვენ ჩავეხვიეთ ერთმანეთს... საიდანღაც კი ისმოდა სიყვარულის მომაჯადოებელი ჰიმნი და ზეფირი გვეალერსებოდა, ზეფირი ყვავილოვანი, მონანავე...

20 თებერვალი

გალ, ნუთუ პოეტი არა ხარ? მე ცხოვრებაში ზღაპარი მინდოდა, შენ კი ვინა ხარ?

ო, არა, რა ვუყო ჩემს აღშფოთებას?... მოახერხებ დააფასო, გაიგო უნაზესი სულის სურნელება?

მაპატიე, ჩემო სიყვარულო, ეგების ვცოდავ. გალ, მაპატიე, მჯერა, რომ მაპატიებ; გალ, მე დამნაშავე ვარ იმაში, რომ ბუნებამ შემქმნა არა სიმკაცრისათვის, არამედ ალერსის, სიყვარულისა და სინაზისათვის.

28 თებერვალი

მოწყენილი ვარ, დილის 12 საათია. მივდივარ კბილის ექიმთან ვერის ქუჩაზე ტრიუმფალური თაღის გავლით. დღეს 28 თებერვალია. ნუთუ არაფერი მოხდება? ზღვა ხალხი მოჩანს ტვერის ქუჩაზე, ისინი ქვევით მიდიან მოედნისაკენ. ვუყურებ და ვუსმენ. ბრბო ღელავს, დედაკაცები, რომლებიც გუშინ პურის რიგში ყაყანებდნენ და ჩხუბობდნენ, დღეს უკვე შეგნებულად გამოთქვამენ უკმაყოფილებას ძველი მთავრობის მიმართ... ვფიქრობ, ნუთუ ამ ხალხში, რომლებსაც მეგონა, რომ არაფერი გაეგებოდა, აინთო თავისუფლების წყურვილი? არ მჯერა!

ნაცნობ სტუდენტს შევეჩეხე და ვკითხე — სად მიდიან-მეთქი, რა ხდება? იგი მპასუხობს — დაიწყო... ვეკითხები სხვებს — რა ხდება? მპასუხობენ მკაცრად, გულში დაგუბებული მღელვარებით: — ხალხი მიდის,

კვლავ ვეკითხები და კვლავ იგივე პასუხი: — ხალხი მიდის. ღმერთო, ხალხი მიდის — რამდენი საიდუმლო, ნაღველი, რომელიც მზად არის ამოიფრქვეს, ისმის ამ ხმაში — ხალხი მიდის!

ხალხი მიდის. და, მართლაც, ხალხი მიდიოდა— ჩუმი და მკაცრი.

მე შევყურებ მათ და ფიზიკური ტკივილი მავიწყდება. ჩუმად ვიმეორებ ჩემთვის: ხალხი მიდის, ხალხი მიდის... ბავშვები, მოხუცები, ახალგაზრდობა, ქალი და კაცი, ყველა მიდის, მთელი მოსკოვი მიდის, შემზარავი დუმილით.

ნუთუ ესოდენ ნანატრი დღე დადგა? ეს დღე არის დღეს? და მეც აქა ვარ — მოსკოვში უდიდესი სიხარულის იდუმალმა ცახცახმა ამიტანა. მეც ხალხს მივყვები, ბრბომ მშთანთქა, „სტრასტნოიზე“ არ შეჩერებულან, გზა განაგრძეს, მეც მივდევ.

ხალხი შეჩერდა. მე თავი ავწიე და დავინახე, რომ ქალაქის სათათბიროსთან ვდგავართ. ერთბაშად გულიდან სიხარულის შეძახილი აღმომხდა. აქ, ამ ქვეყანაში, სადაც ჟანდარმები ბატონობდნენ, უამრავ წითელ დროშებს ვხედავ. სიხარულისაგან მთლად მოვდუნდი. სათათბიროს შესასვლელი წითელი დროშებით დაიფარა. ქუჩებში და მოედნები ხალხით არის გაჭედილი. ერთბაშად პროკლამაციები აფრიალდნენ. მათ ხმამაღლა კითხულობენ და ყველანი განსაკუთრებული ყურადღებით უსმენენ, ცდილობენ არ გამორჩეთ არც ერთი სიტყვა. ერთი ფურცელი მეც მომხვდა ხელში, ხალხი გარს შემომეხვია და მთხოვა ხმამაღლა წამეკითხა. მეც ვკითხულობ — „ვაშა“ და ტაში.

ყველგან მიტინგები გაიმართა.

უეცრად, სად იყო და სად არა, გამოჩნდა პოლკი. ხალხი შეძახილით შეხვდა ჯარს: „ვაშა, ამხანაგო ჯარისკაცებო, შემოგვიერთდით ჩვენ, თქვენს ძმებს!“. ჯარმა მდუმარედ ჩაიარა ჩვენს გვერდით და თვალს მიეფარა. მათ თან ახლდათ სხვადასხვა ჩინის ოფიცრები. უეცრად ერთი ოფიცერი ავიდა ტრიბუნაზე და დაუწყო

ხალხს აგიტაცია. თვალებს არ ვუჯერებდი, — სამხედრო ოფიცერი სახალხო ტრიბუნაზე? გარდა ამ ოფიცრისა, სიტყვით გამოვიდნენ სტუდენტები, მოწინავე მუშები და სხვ. გული სიხარულით ამევსო, არ მჯეროდა, რომ ეს სინამდვილე იყო.

ხალხმა სთხოვა სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლებს, სტუდენტებსა და მუშებს, რომ შესულიყვნენ სათათბიროში. გზა დაუთმეს და ისინი სათათბიროს შენობაში შევიდნენ... მათ თავზე კი წითელი დროშები ააფრიალეს. ამ წარმომადგენლებს იქ მოქმედების გეგმა უნდა შეედგინათ და ხალხისათვის ეცნობებინათ, თუ როგორ უნდა ემოქმედათ შემდეგ.

ბოლოს სათათბიროდან ერთი ამხანაგი გამოვიდა და ხალხს გამოუცხადა: დროს ნუ კარგავთ, წადით ყაზარმებში, იქ ჯარისკაცები გელიან... ხალხის ნაწილი იქვე დარჩა სათათბიროსთან, ნაწილი კი წითელი დროშებითა და მარსელიოზის სიმღერით ყაზარმებისაკენ გაემართა. ჩვენ მივედით იქ. ყაზარმებთან ხალხი იდგა და სამხედროებს მოუწოდებდა. ყაზარმის ღობეზე და სახურავზე 9—10 წლის ბიჭები იდგნენ და ჯარისკაცებს ეძახდნენ. იცით, რა სასიხარულოა რევოლუციის ამ პატარა გმირების ცქერა?

ჩვენ ქუჩიდან ცხვირსახოცებს, ქუდებსა და სხვა რაღაცეებს ვიქნევდით. და ასე მოვუხმობდით ჯარისკაცებს, მაგრამ ისინი არ გამოდიოდნენ, თუმცა მათი გამოხედვა ამბობდა: ჩვენ თქვენთან ვართ, მაგრამ გამბედაობა არ გვყოფნის. ისინი ჩვენ გვიღიმოდნენ და თავს გვიქნევდნენ. ბოლოს ერთი წარმომადგენელი გამოგვიგზავნეს და გვთხოვეს, რომ ხალხი ყაზარმაში შესულიყო და ისინიც ჩვენთან ერთად გამოვიდოდნენ. ჯერჯერობით ხალხი არ შედიოდა, ეშინოდათ. ღამის 10 საათი გახდა და ისინი მაინც ვერ გამოვიყვანეთ. შევედით ეზოში, ვიფიქრეთ, რაც იქნება იქნება, ან დავიხოცებით, ან გავიმარჯვებთ. ეზო სავსე იყო ჯარისკაცებით, ჩვენ მივუახლოვდით მათ და დავუწყეთ ახსნა-განმარტება, გადავეცით პროკლამაციები და ა. შ.

ო, საოცრებავ. დამონებულო ქვეყანავ, შენმა შვილმა წითელი დროშა აღმართა ყაზარმაში და ვერავინ ბედავს წინააღმდეგობა გაუწიოს მას. ერთბაშად გაისმა შეძახილი: ვაშა! ეს ჯარისკაცები გამოდიან ყაზარმებიდან და ხალხი მათ ოვაციებს უმართავს. ჩვენ აღფრთოვანებით ვეტანებოდით ჯარისკაცებს ხან იარაღზე, ხან ხელებზე, ხან ვუტყაპუნებდით ხელებს ბეჭებზე და სიხარულით ვყვიროდით: ვაშა, ამხანაგო ჯარისკაცებო!

უეცრად გამოჩნდა ერთიმეორის მოყოლებით გაბედულად მომავალი ოფიცრები, ხალხმა ვეღარ მოითმინა, ისინი მოცულნი იყვნენ გაუგონარი სიხარულით, მათ „ვაშას“ ძახილით ხელში აიყვანეს ოფიცრები. ო, ასე ბეგონა, გული სიხარულით გამისკდებოდა. რამდენ ოფიცერს და სალდათს დავუყვირე ქართულად: ო! შენ გენაცვალე! — ამ სიტყვას მე თავდავიწყების დროს ვეუბნები მხოლოდ ჩემს სატრფოს, ჩემს გალს. და მეორედ ახლა ვამბობ, როდესაც თავისუფლების მზეს ბნელი ძალები შორდება.

იმ დროს მე ძლიერ, ძლიერ მიყვარდა ყველა ის ჯარისკაცი, ოფიცერი, მათი იარაღი და ეს ხალხი, მინდოდა ყველა მათგანს ერთბაშად მოვხვეოდი. მე ისინი ყოველთვის მეყვარება.

2—3 დღის განმავლობაში მთელი ჯარი ჩვენთან იყო თავისი ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით. არტილერისტებს წითელი ბაფთები ეკეთათ და წითელი დროშები მოჰქონდათ. ორი დღის წინ თავისუფლება შეზღუდული იყო, დღეს კი ყველაფერი ჩვენია, ხალხისაა.

ვაშა! გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ შვილებს!

ხალხი ქუდს იხდის და მიმავალ ჯარისკაცებს უქნევს „ვაშას“ ძახილით.

არჩეულ იქნა დროებითი რევოლუციური მთავრობა.

მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა.

დროებით მთავრობას ჯარები იცავს; ქუჩებში წესრიგის დასამყარებლად მილიციელები და სტუდენტები

დადიან. უეცრად ხალხში გაისმა: „მოჰყავთ, მოჰყავთ ეს ღორები“. ეს იყო დაპატიმრებული პოლიციელები, ჟანდარმები, ჯაშუშები და ძველი წყობილების მთელი ჭუჭყი.

მაგრამ ხალხი მაინც სულგრძელობას იჩენდა და არ შეურაცხყოფდა მათ. ისინი მაშინ შესაბრალისი, დაღუპული ადამიანები იყვნენ და თავიანთ თავთან შედარებით სხვებს, ალბათ, ბედნიერებად თვლიდნენ.

დიახ, მე ისინი შემებრალა (თუმცა, რა თქმა უნდა, არ მოვისურვებდი მათ გათავისუფლებას), ისინი ხომ ადამიანები იყვნენ და როგორ დაიმახინჯეს მათ სული. თითოეულ მათგანს ადამიანი ერქვა და მაინც ადამიანები თავის დამცირებად მიიჩნევდნენ, რომ შეხებოდნენ მათ, არამც თუ ადამიანი ეწოდებინათ მათთვის.

დიახ, საცოდავები, საბრალონი, რომელთაც ადამიანის სახე დაჰკარგეს! მაგრამ სიბრალულის გამო მათ თავი არ უნდა დავანებოთ, რათა სატირლად არ გაგვიხდეს საქმე.

ერთი სიტყვით, ძველი მონური წყობილების მოთავენი დაპატიმრებულნი არიან, სახელმწიფოს სათავეში ხალხის მმართველობაა. ვხედავ თავისუფალ ქვეყანას, გაუმარჯოს მის თავისუფალ შვილებს!

ყველგან ქუჩებში, სადაც ორთავიანი არწივები იყო გვირგვინით, როგორც ტირანიის სიმბოლო, ხალხმა გაანადგურა ყვირილით: ძირს ყველაფერი, რაც მეფეს ეკუთვნის!...

ხალხი ზეიმობდა, ქუჩები წითელი დროშებით იყო მორთული, ავტომობილები დაჰქროდნენ, მათზე წითელი დროშები ფრიალებდა, რომლებზედაც ამოქარგული იყო სიტყვები: „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს!“ ამასვე გაიძახოდა ხალხი და ავტომობილებზე მსხდარი შეიარაღებული სტუდენტები, ოფიცრები, მუშები და ჯარისკაცები, რომელთაც ზეაღმართულ ხელებში იარაღი და წითელი დროშები ეჭირათ. მათ ბანს აძლევდა ხალხი.

თავისუფლება! თავისუფლება! რა დიდებული სიტ-
ყვაა! ხალხი თავისუფლებით არის გაბრწყინებული.
ყველა ერთმანეთს ამხანაგს უწოდებს.

1918 წელი

25 აგვისტო

ძვირფასო გალაკტიონ!

დღეს კარგ გუნებაზე ვარ.

ერთი კვირაა, რაც უკეთესი განწყობილება მაქვს.

როგორც ჩანს, ჩვენი მტრები მარცხდებიან. უკანას-
კნელ კვირას ჩვენი რევოლუციური ჯარები გამარჯვებებს
აღწევენ ურალთან, დვინაზე და ა. შ.

...სასწავლო დაწესებულებების კარები უკვე ყვე-
ლასათვის გაიღო.

შორს კაპიტალის ბატონობა!

წინ ტალანტებო, გენიოსების ნიჭიერებავ!

რამდენი სიმშვენიერეა ირგვლივ! რამდენი მხიარუ-
ლება, ღიმილი!

ჩვენ? ხანდისხან მგონია, რომ სულიერად საბო-
ლოოდ დავეცემი, მაგრამ შენი სახე მიდგება თვალწინ
და კვლავ ვმაგრდები.

მთელი დღე საქმეებზე დავრბოდი. დავიღალე. ვინ-
მე მაინც მომეხმარებოდეს. ღონე აღარა მაქვს.

ხვალ გამოცდა მაქვს სახელმწიფო თეატრში. მე კი
არ მოვმზადებულვარ. თავი მტკივა, ბედს მივენდე. ფიქ-
რიც კი არ მსურს იმაზე, თუ რა უნდა წავიკითხო. ცოტა
მაინც მოვემზადო! მაგრამ როგორ? არც ღონე მაქვს,
არც სურვილი. ნუთუ ჩავიჭრები?

მაგრამ მაინც ძალას ვგრძნობ ჩემში, მწამს, რომ
მაქვს მოწოდება. სულ ვფიქრობ, — რომ ჩემთვის ძი-
რითადი არის სცენა.

რომ არ მიმიღონ? ნეტავ ჩამრიცხონ და მერე მე
ვიცი, ძალა არ მიმტყუნებს.

...წინ ნათელი გზაა! მაშინ მე ვიქნები შენი ღირსი, მაშინ მე თამამად და ამაყად, როგორ ტოლი ტოლს, მოგეხვევი შენ და ყველას თქვენ, ჩემო ძვირფასო ახლობლებო! მაშინ მე მუდამ თქვენთან ვიქნები, მეყვარებით და გაგაღმერთებთ თქვენ ყველას!

ხელოვნების ღმერთო, თუ სადმე ხარ, მიშველე ხვალ, მომეცი ძალა, დამაყენე ჩემს გზაზე და მხოლოდ შენთვის ვიცოცხლებ.

ღმერთო, ნეტავ რა მომელის ხვალ? რა მოხდება? გამახარებ თუ არა? სინათლეს, თუ მუდმივ წყვდიადს მიმზადებს ხვალინდელი დღე? ნეტავ ჩქარა გათენდეს, მალე ახდეს ოცნება.

20 ა გ ვ ი ს ტ ო, დილა

მთელი ღამე არ მძინებია, მაგრამ თავს ყოჩაღად ვგრძნობ. კაბა დავიუთოვე, ჩავიცვი. კარგი იყო რამე მეჭამა, მაგრამ არ მინდა! დამლოცე გალ, რა მოხდება ნეტავ?

ძალიან დავიღალე. დილიდან ველოდი ჩემს რიგს. მშიოდა და რამდენჯერაც კარები გაიღებოდა, რათა გამოცდაზე შემდეგი გამოეძახებინათ, მე ნერვიული კანკალი მიტანდა. კი არ მეშინოდა, მაგრამ არ ვიცი, რატომ მემართებოდა ეს.

დამთავრდა! ამ დღემ გადაწყვიტა ჩემი ბედი!

გამომიძახეს. ნერვიული ნაბიჯით ავედი სცენაზე — ფეხსაცმელების ქუსლების კაკუნით შუაგულ სცენისაკენ გავემართე. სცენა მშვენიერი დეკორაციით იყო მორთული: ხეები, ყვავილები · და მდინარე, ყველაფერი მშვენიერი იყო, მაგრამ...

მე დეკლამირება დავიწყე, მაგრამ ნერვებიც თან ამყვა, ვერაფრით ვერ დავწყნარდი. ჩემი კბილების ხმაურიც კი მესმოდა, მესმოდა, როგორ გამალებული მიცემდა გული. მშვენიერი ღიღილოების ფოთლები ხელიდან მივარდებოდა.

განერვიულებულმა გადავხედე გამომცდელებს, იმ წამში ვიცანი პეფსინი, ცოვსკი და შემდეგ ყველაფერი საშინლად აირია.

მე სცენაზე გამოვედი ყვავილების თაიგულით მკერდზე და უეცრად შევამჩნიე, რომ ხელში მხოლოდ ცერცველებიღა მეჭირა, მაგრამ არ დამემდურებიან ღიღილოები, რადგან მით მე ხელოვნების ტაძარი მოვრთე.

საღამოს 7 საათი იყო, როცა გამოცდიდან გამოვიდა ერთი მსახიობი და ყველას გასაგონად მითხრა, თქვენ რისა გეშინიათ, თქვენ ხომ მშვენივრად პასუხობდით? გახარებული წამოვედი შინ. სასადილოები ყველგან დაკეტილი იყო. მოვედი სახლში და დავწექი — ცოტა რომ დავმშვიდებულიყავი და შიმშილიც დამვიწყებოდა.

სადა ხართ თქვენ ყველანი, ჩემო საყვარელო ადამიანებო?!

31 აგვისტო — 4 სექტემბერი

დიახ დღეს 31 აგვისტოა, არ მინდა დავიჯერო, ნუთუ კონტრრევოლუციამ მოსკოვამდე მოაღწია? ნუთუ ის ისე ძლიერია, რომ ასე აშკარად და თავხედურად გამოდის? ნუთუ ლენინი, ლენინი — პროლეტარიატის ბელადი, მძიმედ არის დაჭრილი? ნუთუ ეს არაადამიანური ძალის მქონე ადამიანი, ღარიბების ქომაგი, რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელი — ლენინი დაჭრილია თეთრების მიერ? ნუთუ პროლეტარიატის მტრებს დღესასწაული დაუდგათ? ნუთუ მტრის მიერ გასროლილი ორი ტყვია ჯერ კიდევ მის სხეულშია? ის ტყვია, რომლებსაც თეთრების ხელი შეეხო. ნუთუ ყველაფერი დამთავრდა? ნუთუ იღუპება რევოლუციის მონაპოვარი?! დაიწყეს პროლეტარიატის ხელმძღვანელების ხოცვა? დღეს პეტროგრადში ჩვენები არიან. ურიცკი მოკლა ინგლისაფრანგეთის მთავრობის მიერ მოსყიდულმა სტუდენტმა.

დღეს მოსკოვში კაპლანის ქალმა ესროლა ლენინს იმ დროს, როცა იგი თავის მოწაფეებთან — მუშებთან

ერთად ბრუნდებოდა. ერთი ტყვია მას მხარში მოხვდა და ფილტვში დარჩა, ხოლო მეორემ მხრის ძვალი ჩაუმტვრია და ყელის მარცხენა მხარეს შეჩერდა. ლენინს პლეკრაში სისხლის დენა დაეწყო. ნუთუ იგი დაიღუპება? არა, არის სადღაც რევოლუციის უდიდესი ძალა, რომელიც იხსნის თავის ბელადს!

კაპლანმა განაცხადა, რომ ის მემარჯვენე ესერია. ინგლის-საფრანგეთის ღია კონტრრევოლუციური ბუდე, როგორც ჩანს, 15 სექტემბერს ამზადებს გამოსვლას, ძალაუფლების ხელში აღებას და აპირებს დააპატიმროს და სიკვდილით დასაჯოს ლენინი და სხვები. თავდაპირველად აპირებდნენ მათ გადასახლებას ციმბირში, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, შეიცვალეს აზრი, რადგან შეეშინდათ, რომ ლენინი შეძლებდა მცველების გადაბირებას. მათ უნდოდათ აგრეთვე სატელეფონო ქსელის, ბანკებისა და სხვ. ხელში ჩაგდება. მოკლედ, სურდათ მოეხდინათ გადატრიალება, მაგრამ თვითონვე აღმოჩნდნენ თავიანთსავე მახეში. დიახ, მსხვერპლი დიდია: ურიცკის სიკვდილი და ლენინის დაჭრა. მათ თავიანთი თავგანწირვით ამხილეს კონტრრევოლუციის ბუდე, რომელსაც შეეძლო დაეღუპა რევოლუცია.

ლენინი ცოცხალია, დიდება მას!

სირცხვილი და ლაფი თქვენ, საცოდავო მემარჯვენე ესერებო! კაპლანი დახვრიტეს.

ლენინი ფიზიკურად ცუდად არის, მაგრამ სულით ჯანმრთელია. სურს იკითხოს გაზეთები, ყველას ეკითხება საქმის ვითარებას და ამშვიდებს მათ. ტემპერატურა მაღლა იწევს, უფრო სწორად, მერყეობს. რა იქნება?

ნ სექტემბერი

დღეს ვკითხულობდი „ბებიას“. შეცდომით მიიჩნევენ მას ჩეხოსლოვაკიის რევოლუციის ბებიად. ვწუხვარ, როცა ძველ ნაროდნიკებს ვიხსენებ — ალბათ, ამ წმინდა მებრძოლებისა და წამებულების აჩრდილები ვერ ისვენებენ, როცა ხედავენ თავიანთ მოღალატე შვილიშვი-

ლებს. სამწუხაროა! დამშვიდდით, წმინდა აჩრდილებო!

ჩემო ძვირფასო ვალოდია და მიშა, ნუთუ თქვენ იბრძოდით იმისთვის, რომ კონტრრევოლუციას კვლავ ეზეიმა?! და შენ, ჩემო ძვირფასო დედა, რამდენი ზამთრის ღამეები გაგიტარებია სადარბაზოს კარებთან, როცა დარაჯობდი საკუთარ, თუ უცხო მებრძოლ რევოლუციონერებს?

იცოცხლეთ, რევოლუცია იცოცხლებს!

8 სექტემბერი, კვირა

გკოცნი და გეხვევი ძლიერ. საყვარელო გალ, რატომღაც დილიდან მეგონა, რომ დღევანდელი დღე ჩემთვის როგორღაც წმინდა დღე უნდა ყოფილიყო და მას ჩემს ოთახშიც უნდა შემოეევლო, როგორც წმინდა საიდუმლო დღესასწაულს. ხოლო ამის შესახებ არავის არ უნდა სცოდნოდა. უფრო სწორად ეს დღე შენ მოგიძღვენი. შენა ხარ ამ ზეიმის მიზეზი. დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემს ოთახში მხოლოდ შენთვის გავმართო ზეიმი — საიუბილეო ტრიუმფი, რომელიც ამავე დროს უნდა იყოს მისტიურიც, რადგან ამას მოითხოვს ჩემი გუნება-განწყობა, გრძნობა და საერთოდ მთელი ჩემი არსება.

ამ რწმენით ავედი ვორობიოვის მთაზე. კინაღამ გავგიჟდი — რა სიმწვანეა! ყველაფერი მოვირბინე, დავკრიფე ღიღილოები და ბალახები, ნაზად ვკოცნიდი მათ, ასევე ვკოცნიდი ტოტებს, ფოთლებს, ხეებს. ეს ჩვენს შორის საიდუმლოდ დარჩება. გალ, ამის შესახებ ნურავის ეტყვი, გალ ვფიქრობ — შარშან ხომ ის აქ იყო, რატომ არა ვართ ახლაც ერთად?

მომაგონდა შენთან ერთად ვორობიოვის მთაზე ასვლა. მე ოლ-ოლის როლში შევედი, წარმოვიდგინე, რომ მე ოლ-ოლი ვარ. შენ კი არ ჩანდი. მე მარტო ვიყავი სულიერად, ფიქრებით კი — მთლიანად შენთან. მწარედ ავტირდი. ამოვიღე შენი ფოტოსურათი და წავიკითხე შენი ლექსი. ბუნებამაც კი ჯვარი დაგვწერა. ბედნიერი

ვარ. ჩვენ ბუნებამ ჯვარი დაგვწერა, ხეებმა, ბუჩქებმა, ხავერდოვანმა მთებმა, მობიბინე ბალახით დაფარულმა მინდვრებმა.

მესმოდა ბულბულის სტვენა, ბედნიერი ვიდექი ყვავილებსა და სიმწვანეში და ამ მშვენიერების წინაშე ვლოცულობდი...

მერე სასწრაფოდ მოვწესრიგდი — ტანისამოსი გავისწორე და სირბილით მივიჭერი ვერასთან, რომელიც მე მელოდებოდა. დავბრუნდით ჩვენ-ჩვენ სახლებში. ჩემი ოთახი მწვანე ტოტებით მოვრთე, ბალახებითა და მინდვრის ყვავილებით. მათ შორის კი მაღლა დავდგი ყვავილებით მორთული შენი სურათი. პაპიროსი მოვწიე, კარები მაგრად ჩავკეტე, არავინ არ შემოვუშვი, — რადგან შენს დღეს ვზეიმობდი. ეს დღე წმინდა დღე იყო ჩვენთვის. დიდხანს შენზე ვლოცულობდი, დიდხანს ვემუდარებოდი ღმერთს, რომ მუდამ თან მდევდე, რომ ჩვენ მუდამ ერთად ვიყოთ და გვიყვარდეს ხელოვნება, გვიყვარდეს ერთმანეთი. დღეს დიდი ზეიმი მაქვს, მაგრამ ვზეიმობ საიდუმლოდ...

ჩემს ოთახში მთებისა და ტყის სურნელებაა... ბედნიერი ვარ, მიყვარხარ!

დღეს ცისფერებში ვარ გამოწყობილი, თმებზედაც ცისფერი ბაფთა მიკეთია, ცისფერ ბაფთებიანი თეთრი ფეხსაცმელები მაცვია, დღეს ჩვენ — შენ და მე — ჯვარი დავიწერეთ.

11 სექტემბერი

მაქსიმ გორკის ლუნარჩარსკის დახმარებით სურს რუსულად გამოსცეს XIX და XX საუკუნეების სხვადასხვა ხალხების ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები: ეს შესანიშნავი აზრია. შესაძლებლობა გვექნება გავიცნოთ ინდური, ჩინური, ირანული, იაპონური და სხვ. ნაწარმოებები, რა ბედნიერებაა!!!

შვეიცარული ცნობილი ჟურნალი „ფორელი“ წერს, რომ გორკი გულისფანცქალით თვალყურს ადევნებს

ბოლშევიკების მუშაობას, რომელთა შორის მუშაობს მისი მეგობარი ლუნაჩარსკი, აქსელროდმა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა ლენინს.

იაპონიაში ძლიერი მოძრაობა დაიწყო. ასეთივე მდგომარეობაა თითქმის ყველა ქვეყანაში: ჩინეთში, ინდოეთში. ხალხმა ყველგან ხმა აღიმაღლა და საკმაოდ ძლიერ. რუსეთის გარშემო ყველა ქვეყანა იბრძვის, რაღაც მოხდება და სწორედ ეს იქნება მსოფლიო რევოლუცია. იმპერიალიზმის თავხედობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და ჭეშმარიტების კანონების თანახმად ის უნდა დაეცეს.

დიდი ბრძოლების შემდეგ ჩვენებმა ხელთ იგდეს ყაზანი. დღეს ბრწყინვალე დღეა. ყველა პატიოსანი ადამიანის თვალები გაბრწყინებულია, ყველა აღფრთოვანებულია, ყველას სჯერა რუსეთის რევოლუციის გამარჯვება. ყველა ფრონტზე ჩვენები უტევენ. ბოროტება ბოლოს და ბოლოს უნდა მოისპოს. დღეს გავამაყდი, ვგრძნობ ძალას.

ლენინი დღეს თავს კარგად გრძნობს. უფრო სწორად, მას ექიმებმა დაჯდომის უფლება მისცეს, გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

გაუმარჯოს ლენინს! გკოცნით თქვენ, ჩვენო ძვირფასო მებრძოლებო!

1927 წელი

13 თებერვალი, ღამე

ჩემო ძვირფასო, ჩემო სახელოვანო, ჩემო კარგო გალ! ცხოვრებისაგან გატანჯულო, გაცისკროვნებული პოეზიით ფრთაშესხმულო გალ!

ჩემი სალამი, ჩემი მხურვალე, მწველი კოცნა შენ!

ვინც არ უნდა მეალერსებოდეს, ვისაც არ უნდა ვუყვარდე, ჩემი სული შეიგრძნობს მხოლოდ შავი, ყინულოვანი ვარდის სუნს, — მხოლოდ შენს სიყვარულ-

ში, შენს თაყვანისცემაში შევიცნობ გაზაფხულის უნაზეს მშვენიერებას და ვეკერეტ მარადისობას, მთლიანად ყვავილების სურნელში ვარ ჩაფლული, ვითრობი შენი მშვენიერების ნექტრით.

შენი თვალებით მოწყენილი და ნაზი იები მიმზერენ. გკოცნი, ვითრობი და კვლავ თავდავიწყებით გკოცნი.

გალ, სული მეწიწკნება, ცრემლები მახრჩობს და ტირილის საშუალებაც კი არა მაქვს. ირგვლივ სიწყნარეა, ისმის მხოლოდ დაქანცული ხვრინვა. მოდი, შენთან მარტო ყოფნა მინდა, მინდა გესაუბრო და გისმინო, ნუთუ შენთან უთქმელი უნდა დამრჩეს ჩემი სულის საიდუმლო? როგორ მწყურია შენთან განმარტოვება, ნუთუ ცხოვრება ასე მიმუხთლებს?

აივანზე რაღაც ჭრაჭუნობს, შიშმა შემიპყრო, კარებზე სკამი მივადგი.

არ შემიძლია, მეტი აღარ შემიძლია! თუ მე შენი თანაგრძნობა არ მიწერია, შემეძლოს მაინც დარდისაგან ისე გოდება, ისე ტირილი, რომ გადავლეკო მთელი ქვეყანა. მაგრამ ესეც რომ არ ძალმიძს? ჩვენ ხომ არასოდეს გვისაუბრია?

მაგიდის ყუთებში მოვჩხრიკე ფოტოსურათები. საყვარელი ადამიანის სურათს ვეძებდი, არ აღმოჩნდა იგი, მოწაფეობისდროინდელი ორი სურათი ვიპოვე შენი. გმადლობ, თან რომ არ წაგიღია! აღმოვაჩინე აგრეთვე ჩემი უსაყვარლესი სურათი, რომელზედაც მე და შენ ვართ გადაღებული[4], ეს ერთადერთი ფოტოა ჩვენი. მაგრამ, რამდენადაც გავიხარე ამ სურათის ნახვით, იმაზე ათასჯერ უფრო მეტი იყო მწუხარება. ჩემი ის პორტრეტიც ვიპოვე, რომელიც მე შენ გაჩუქე. ცუდად გავხდი, რადგან ვიფიქრე, რომ შენ იგი აღარ გჭირდება.

მე კი არასოდეს, არასოდეს არ მივემგზავრებოდი არსად ისე, თუ თან არ მქონდა გულზე შენი სურათი.

საათმა უმწეოდ ჩამოჰკრა 11-ჯერ. ნახევარი საათის შემდეგ შენ გაემგზავრები. ო, გალ, რა დარდიანი ვარ, როგორ მინდა შენთან ყოფნა, მხოლოდ შენთან. შენ

მარტო ხარ სიცივეში სადგურზე, შენ გცივა, გალ! მეტი აღარ შემიძლია ამაზე ფიქრი, აღარ შემიძლია! სიკვდილი მინდა, ძალა არ შემწევს გავუძლო ამას... მე დავუცდი მატარებლის გასვლას. იგი გაგაქროლებს შენ ლაჟვარდოვანი ზღვის ამწვანებული ნაპირისაკენ. წყნარ ზღვას გისურვებ ბათუმში და ბედნიერ მგზავრობას გემით სოხუმამდე, დაე, გულში ჩაგიკრას სოხუმმა და დაგიბრუნოს ჯანმრთელობა, დაე, მოგცეს ძალა გენიალური შემოქმედებისათვის.

გალ, ძვირფასო, საყვარელო გალკ! ო, როგორ ამაყობს საქართველო შენი გენიით. იამაყე, იამაყე, საქართველოვ, გალა პოეტით...

გალ, გალ, მინდოდა შენთვის ჩემი ძველი ეაკეტი ჩამეცმია, მაგრამ შენ არ მოისურვე, რატომ? მე ამით დამშვიდებული ვიქნებოდი, დამშვიდებული, გალ! ჩაიცმევდი შიგნიდან, არც გამოჩნდებოდა, რომ ქალისა იყო როგორი ყინვებია, შენ კი საზაფხულოდ ხარ გამოწყობილი... გალ, მე აღარ შემიძლია გავუძლო ამ წამებას... ცრემლები მახრჩობს, შენ კი ისეთი ცუდი ხარ, რომ არასოდეს არ ფიქრობ საკუთარ თავზე. ახლა მაინც მოიქეცი ჭკვიანად, გალ, შეასრულე ეს ჩემი დარიგება: წვიმაში არ იარო, ყოველდღე ჭამე კვერცხი და კარაქი, დალიე რძე, ყველაფერი ეს სადილის გარდა. მოელაპარაკე მანდ და სახლში მოგიტანენ ადუღებულ რძეს. იქნებ შეუთანხმდე და დასასვენებელი სახლიდან მოგცენ სადილები; ეს იაფიც დაგიჯდება და საჭმელიც ახალი იქნება. იცოდე, სადაც მოგიწევს, იქ არ ჭამო საჭმელი, თორემ ძველ საჭმელებსაც ჰყიდიან ხოლმე და ეს ძალიან საშიშია. გვიანობამდე არ იარო ქუჩებში, ხომ იცი, მანდ ღამღამობით არავინ დადის.

ძვირფასო გალ, გამოიჩინე სულის სიმტკიცე, მუშაობა რომ შეძლო, ჯანმრთელი უნდა იყო. ამისათვის კი აუცილებელია კარგად იკვებო, თბილად ჩაიცვა და თავი დაანებო პაპიროსსა და ღვინოს, ისინი გღუპავენ შენ, გალ, გემუდარები, გაფიცებ შენს საყვარელ ადამიანებს, გაფიცებ ჩემს თავს, შენს პოეზიას, შეასრულე ეს ჩემი

თხოვნა. მინდა გნახო ჯანმრთელი, მხნე, ძლიერი და არა როგორც ჩვარი. რა გჭირდება მომწერე და ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს, მხოლოდ მომწერე, სად წავიდე, ვისთან მივიდე და რა ვქნა. პასუხს მალე შეგატყობინებ. ნუ, გალ, მტრის ჯინაზე, სიხარულისა და ბედნიერებისათვის, სიყვარულისათვის, კაცობრიობისათვის, შეასრულე ეს ჩემი თხოვნა. უთხარი საკუთარ თავს: „მე ძლიერი ვარ და არა შესაბრალისი, მე ეს უნდა გავაკეთო და გავაკეთებ კიდეც". და, რა თქმა უნდა, შენ გააკეთებ ამას.

რა კარგი იქნება, როგორი კარგი, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო გალ! გეხვევი და გკოცნი — ძლიერ, ძლიერ, თავდავიწყებით.

გალ, უკვე ღამის 12-ის ნახევარია, შენ ვაგონში ხარ, შენ ბათუმისაკენ მიჰქრი, დაგილოცავ გზას, დაბრუნდი ჯანმრთელი, მხნე და დანარჩენი ყველაფერი იქნება, გალ, იქნება ბედნიერება, შენ უნდა იყო ბედნიერი, შენი ეკლიანი გზა უკან დარჩება, შენ უნდა იცოცხლო, იცოცხლო დიდხანს, დიდხანს და ბედნიერად და ეს ასეც იქნება, ეს უკვე დაიწყო, ოღონდ ნებისყოფა იქონიე.

ბედნიერ შეხვედრამდე, მაგრად, მაგრად გეხვევი, გკოცნი და ვდუმვარ. მარად შენი ოლია.

14 თებერვალი

დილის 7 საათზე ავდექი. მთელ სახლში სიჩუმეა. ისეთი სიჩუმე, ქარიშხლის შემდეგ რომ იცის, დამსხვრეულის სულის ნამტვრევებიდან მომდინარე სიჩუმე...

არ მინდა ვილაპარაკო ჩემს გრძნობებზე შენდამი, დაე, დარჩნენ ისინი ჩემთან, როგორიც არ უნდა იყვნენ. ახლა ჩემი ამაზე საუბარი იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი შეურაცხყოფა მივიღო და შენს ტუჩებზე ირონიული ღიმილი ვიხილო. ჩემს გრძნობებზე მხოლოდ საკუთარ თავთან ვისაუბრებ.

მინდა გითხრა მხოლოდ, როგორც უნიჭიერეს პოეტს, რომ დროა, იფიქრო საკუთარ ჯანმრთელობაზე და გაუფრთხილდე მას, რამდენადაც შესძლებ. შენ გაქვს ამჯერად ამის საშუალება. პირველ ყოვლისა უნდა მოიშორო ორი საშინელი მანკი — ღვინო და პაპიროსი, გველიკით რომ ბგესლავენ. იკვებო კარგად, ჩაიცვა ადამიანურად, რომ გამუდმებით არ კანკალებდე სუსხისაგან.

წლები გავლენ, მაგრამ საუკუნეთა ნალექებში არასოდეს არ შთაინთქმება პოეზიის მონარნარე ხმა. უცხო ადამიანები გრძელ ღამეებში მოისმენენ მას და სულით ამაღლდებიან.

ათასწლეულების შემდეგ იმღერებენ შენს ლექსებს და სრულიად უცხო ადამიანები, სრულიად უცხო და უკეთეს პირობებში მოგიალერსებენ შენ.

რა თქმა უნდა, ჩვენ დავიხოცებით, ვერ გავუძლებთ საუკუნეებს, ჩვენ სამარადისოდ დავიძინებთ, დროისა და სივრცისაგან მივიწყებულები, მაგრამ ჩვენი სულის ნაწილი, ბუნების დიდებული კანონის შესაბამისად, დაისადგურებს ვიღაცაში სიკვდილის შემდეგ.

მთელი ღამე კატო მიქელაძის წყნარ საუბარს ვუსმენდი და არ მახსოვს, როგორ ჩამეძინა, დაღლილსა და დაქანცულს, ვფიქრობ ვისთან და სად წავიდე დღეს, რომ გუშინდელი ჩვენი უსიამოვნება დავივიწყო. არა არაფერი მინდა დავიწყების მეტი.

როგორც გაზეთებში იუწყებიან, სოხუმში შენი გამგზავრების დღეს ქარიშხალი არ ყოფილა ზღვაზე, მაგრამ ციოდა. ალბათ, როგორ კანკალებდი. სული მეყინება, როცა ამაზე ვფიქრობ.

15 თებერვალი

დღეს მოწყენილობისაგან კინოში წავედი, „ბელა“ გადიოდა. ძალიან დამწყდა გული, რომ ლერმონტოვი ცოცხალი არ არის. რატომ არ იდგმებოდა მისი ნაწარმოებები მის სიცოცხლეში, ნახავდა იგი თავის გმირებს. თუმცა ისინი დამახინჯებულნი არიან მხატვრების მიერ,

მაგრამ მაინც დაჰკრავთ ლერმონტოვის გმირების ელ-ფერი, როგორიცაა — მაქსიმ მაქსიმიჩი, კაზბიჩი, აზა-მატი, პეჩორინი და სხვა.

16 თებერვალი

საოცარი სიზმარია! წუხელის მესიზმრა: აფრიკიდან ტკბილეული ჩამომიტანეს, აგრეთვე — ვიღაცამ მომა-წოდა მწვანე რტო და მითხრა: „ეს თქვენ, ტროპიკული მხრიდან“. ახლაც ისევე ვხედავ უხილავი ხელით ჩემს ახლოს ჰაერში მოფარფატე ამ მწვანე რტოს. გადმომცეს აგრეთვე უამრავი წერილი და, როდესაც გავხსენი კონ-ვერტები, ვნახე, რომ ისინი უცხო ენაზე იყო დაწერი-ლი, საუკეთესო ქაღალდზე, ხოლო ოთახში კი უამრავი საწოლი იდგა, უამრავი შინელი ეწყო.

რას ნიშნავს ეს?

დიახ, ეს სიზმარი იყო.

მე მითხრეს, რომ გაზაფხულზე მოვკვდები.

17 თებერვალი

როგორ მეწყინა, — დღეს გაზეთში წერია, რომ გარდაიცვალა გიორგი ბრანდესი, ბრწყინვალე კრიტიკო-სი. რამდენჯერ, რამდენჯერ წამიკითხავს მისი კრიტიკუ-ლი წერილები, როგორც საუკეთესო მხატვრული თხზუ-ლება.

22 თებერვალი

ცა მუქი ნაცრისფერი ღრუბლებით დაიფარა. ხარ-ხარებს, გმინავს და მძვინვარებს აღვირახსნილი ქარი. ცახცახებენ და უიმედოდ კვნესიან გამოზამთრებული შემოდგომის ფოთლები. სული დამძიმებული მაქვს, აუხსნელი მწუხარება წარსულის ულამაზეს კუბოსთან და აგრეთვე აწმყოსა და მომავლის გაურკვევლობის გამო.

იდუმალი სევდა დამეუფლა. არსაიდან გრიგალი. ნუთუ საბოლოოდ დაიმსხვრა გრძნობებისა და გონების ფრთები? სამწუხაროა და უჩვეულო. მგონია, თითქოს, ქარიშხლის მოლოდინში მიწყნარდა და გაირინდა ყოველივე.

ვიგონებ ქუთაისს, შენთან შეხვედრის პირველ წუთებს, ჭიათურას, იაიებს, ენძელებსა და იასამნებს...

24 თებერვალი

ვიგონებ შენს სევდიან მზერას, გამვლელებსა და ბულვარზე მოყაყანე ხალხს რომ მიაპყრობდი. შენ იდექი ხის ქვეშ. ეს იყო ბუნების აყვავების ჟამს. შეჰყურებდი ხალხს, მაგრამ იგრძნობოდა, რომ მათ ვერ ამჩნევდი. შენი სევდიანი გამოხედვა მხოლოდ საკუთარ ფიქრებსა და ტვინში მოფუთფუთე აზრებს უჭვრეტდა. და ამ გამოხედვამ, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, უმალ გამაქანა შორს, შენთან ერთად. ხოლო შემდეგ მე ვერიდებოდი ამ თვალებს, არ მსურდა მათთან ახლოს შეხვედრა, მე მეშინოდა მათი, როგორ არ ვერიდებოდი მათ, მაგრამ მაინც, ჩემდა უნებურად, მოხდა ისე, რომ ჩავხედეთ ერთმანეთს თვალებში.

და, რაც უფრო მეტად მიზიდავდა ეს თვალები, მით უფრო მიპყრობდა შიში და ვცდილობდი, არასოდეს არ შევხვედროდი მათ, მინდოდა მხოლოდ შორიდან, შენდა შეუმჩნეველად, მეცქირა მათთვის...

26 თებერვალი

წყნარი და თბილი გაზაფხულის დღე ხავერდივით ელამუნებოდა ჩემს სხეულს. აი მივაბიჯებ კამოს ქუჩაზე, აქ ხომ ყოველდღე დადიოდა იგი — გენიალური პოეტი, იების სევდიანი მზერით. დადიოდა და სიცივისაგან ცახცახებდა საზაფხულოდ გამოწყობილი ზამთრის სუსხიან დღეებში. მაგრამ იგი მაინც მიდიოდა სტამბისაკენ, სადაც იბეჭდებოდა მისი სული[5], მისი მსო-

ფლიო მნიშვნელობის მარადიული ქმნილებები. როგორ დაჰკანკალებდა იგი ყოველ ნაბეჭდ სიტყვას. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმ გასაჭირს, რომლის გადატანაც თითქმის ყოველთვის უხდებოდა. ეს ხომ უდიდეს შემოქმედთა ხვედრია! იმედების გაცრუების მძაფრ ქარიშხალში მიჰქონდა მას შემოქმედების მარად უჭკნობი თაიგული, მიჰქონდა და უკან ქარიშხალი მისდევდა, რათა ხელიდან გამოეგლიჯა ეს თაიგული, დაემსხვრია და მოესპო მისთვის უკვდავება. ის კი მიდიოდა ამ ბრძოლაში სულ წინ და წინ და თან მიჰყვებოდა შემოქმედების უჭკნობი თაიგული.

ო, წყვდიადის დარო დღეებო, თქვენ ვერ შესძელით მოგესპოთ მსოფლიოსათვის მისი მარადისი სამკაული...

მიდიოდა იგი მარადისობისაკენ და თან მიჰქონდა უჭკნობი სურნელოვანი თაიგული...

4 მარტი

დიდი მოკრძალებით ჩავიელი „კომუნისტის" სტამბის წინ. იქ მისი ნაწერები იბეჭდება, ასოთამწყობის მარჯვე ხელი სიყვარულით აწყობს მის სიტყვებს[6]. ცუდათა ვარ სიხარულისაგან, შიში მიპყრობს, ვაი, თუ ყველაფერი ისე არ არის, როგორც საჭიროა, საშინელებაა! რა იციან მათ, რომ ბეჭდავენ ყველაზე უდიდეს, ყველაზე ძვირფას სულის გენიას. ნუთუ გაიგებენ, ჩასწვდებიან მას მკითხველები...

5 მარტი

გამჭვირვალე ჰაერი ზღვისფერია.

გელოდები. არემარე იებრს სურნელითაა გაჟღენთილი. მტრედისფერია ცა. სული სასიამოვნო ჟრჟოლამ მოიცვა.

ბოლოს და ბოლოს გამოფენაზე ვხედავ შენს ქმნილებას. რა სასიამოვნოა, რა კარგია, თითქოს ახლა გა-

გიცანი. სული აღფრთოვანებულია, შენ აქ არა ხარ, მაგრამ ვხედავ შენს შედეგრებს შროშანისფერ ყდაში.

ვგრძნობ იასამნის სურნელებას. მინდა გავფრინდე შორს, იქ სადაც მწვანე მდელოა და დილის ნამით დაცვარული ყვავილები, მხოლოდ იქ, შენს ლექსებთან ერთად, შევიგრძნობ მათ სურნელს.

მიიღე ჩემი განცდები. მოგიკითხავ. ბევრი, ბევრი ასეთი ქმნილებები შეგექმნას.

აუ, მარადისობავ! მიიღე კიდევ ერთი ცოცხალი ლამპარი და სათუთად გაუფრთხილდი მას!

მოვიარე წიგნების ყველა გამოფენა, მაგრამ ვერავინ ხვდება, რას ვეძებ, ამიერკავკასიის წიგნის მაღაზიაში, რატომ არა ჩანს შენი წიგნი?

ო, რა არასასიამოვნოა, როცა ერთ-ერთი მაღაზიაში ვიტრინის ჭუჭყიანი მინის მიღმა ვხედავ შენს წიგნს. წყეულებმა არ იციან წიგნების ლამაზად დაწყობა. მსურს ვუყვირო მათ.

8 მარტი

დღეს ასაფლავებენ არტურ ლაისტს. კუბოში მოჩანდა მოხუცის გაფითრებული, გაწამებული სახე. რამდენი ცოცხალი ყვავილებია, რამდენი ხალხი.

გარდაიცვალა პროფესორი მელიქიშვილი. მისი დანახვა ყოველთვის სიამოვნებას მგვრიდა. პროფესორს მშვიდი, გატანჯული გამომეტყველება ჰქონდა. როცა მას ქუჩაში მომავალს შევყურებდი, ასე მეგონა, მისი სახით თვით მეცნიერება დააბიჯებდა — დინჯი, ფრთხილი და ჩაფიქრებული.

როგორ დამამშვიდებლად მოქმედებდა ჩემზე ეს უცნობი მოხუცი, ეს შეხვედრებიც მომესპო.

შანხაი დაეცა. რა სასიამოვნოდ იმოქმედა ამ ფაქტმა. შანხაი დაეცა[7]. იმეორებს მსოფლიო. ეს სიმბოლოა მსოფლიოს ერთ ნაწილში ტირანიის დაცემისა. ეს რევოლუციაა! თვალწინ მიდგას ჩინელების დაღლილი სახე, გაცისკროვნებული ბედნიერებით. ისინი გაბედუ-

ლად მოაბიჯებენ მაისის წითელი დროშებით, მხიარული მარშით. ამ ხმების გამგონე მსოფლიოს ერთი ნაწილი ცოფებს ყრის, მეორე კი ზეიმობს.

მსურს შეუერთდე ამ საერთო სიხარულს და მათთან ერთად გამარჯვების ჰიმნი ვიმღერო.

21 მარტი

მეცნიერება წინ მიიწევს. სპერენსკი თავისი აღმოჩენებით გვპირდება სრულ გადატრიალებას დიაგნოსტიკის ისტორიაში, მთლიან რევოლუციას. ყველა დაავადების საფუძველს იგი ცენტრალური ნერვიული სისტემის მოშლილობაში ხედავს. მაშასადამე, ყველა მკურნალობა უნდა შეიცვალოს. ვაშა! წინ ნაკლები განცდები!.

23 მარტი

რა სასიამოვნოა ბეთჰოვენის საღამოები. ეს ხელს შეუწყობს ბეთჰოვენის გენიალური მარშების პოპულარიზაციას ხალხში. მაგრამ ბილეთები ძვირია. ყოველივე ეს ხალხისათვის მისაწვდომი უნდა გახდეს, რათა ხალხმა შეიგრძნოს თუ როგორ იპყრობს მისი ძლიერი ქმნილებები გრძნობასა და ფიქრებს.

ბლოკმა აღნიშნა: რევოლუცია თავის ფესვებში მუსიკალურია, მისი გამომხატველი კი ბეთჰოვენიაო. იგი საუკუნეებს გაუძლებს.

24 მარტი

ბრაზი მიპყრობს. სად არის წიგნები, როგორ იყიდება, როგორ ვრცელდება ხალხში. ისევ გადატვირთულია ვიტრინები.

დავურეკე სახელმწიფო გამომცემლობის ვაჭრობის განყოფილების გამგეს.

— ვინ არის ტელეფონთან?..

— ლორთქიფანიძე, — მიპასუხა ჩახლეჩილმა ხმამ.

— გამოვიდა გალაქტიონ ტაბიძის წიგნი?

— დიახ, გამოვიდა.

— გაზეთებიდან და ვიტრინებიდან არ ჩანს. მხოლოდ ერთი მაღაზიის ვიტრინაში, დამტვერილი მინის იქეთ შევნიშნე ამ წიგნის ყდის ნაწილი, ვიცანი, რადგან სხვების ხელში დავინახე იგი...

ამიერკავკასიისა და რაიონების მაღაზიებში გაგზავნილია?

— დიახ, ყველგან, ყველაფერი მოგვარებულია.

— არა, თბილისში ერთ ადგილს ვნახე, ისიც საცოდავ მაღაზიაში;

— რომელ მაღაზიაში?

— მე გითხარით თქვენ.

— გმადლობთ, რომ გამაფრთხილეთ. მე ახლავე, გავარკვევ...

მეორე დღეს ვხედავ ვიტრინებში გაკრიალებული მინის მიღმა თვალსაჩინო ადგილას განლაგებულია მისი წიგნები

საძაგელი, იცის, რომ მე თვალყურს ვადევნებ.

30 მარტი

გრიშა ჩამოსულა ბათუმიდან.

დაღლილი დავბრუნდი. ვგრძნობ, რომ ჩემს სახეზე გამოხატულია ქათქათა თეთრი შროშანის ფერი სევდა.

ზანტად გავაღე კარები. ოთახში არავინაა, სიწყნარეა. მხოლოდ ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები ანცად თვალს მიკრავენ — გამომშვიდობებისას.

ლარნაკში ღაჟღაჟა წითელი კამელიების თაიგულია, რომელთა ფოთლები სანახევროდ დახვეულია. აი, თეთრი კამელიებიც, ისინი მწვანე ფოთლებიდან ჩემსკენ იწევენ. მთელ ოთახში იფრქვევა მკრთალი, მოყვითალო, ნარცისების სურნელი.

გაზაფხულო, გაზაფხულო, როგორ მინდა მოგეხვიო! ჩემო საყვარელო ყვავილებო, მსურს თავდავიწყებით ჩაგიკრათ გულში და თქვენს სურნელებაში დავლიო სული, მაგრამ ეს შეუძლებელია, თქვენ ხომ უსიცოცხლონი ხართ. ხა, ხა, ხა, ხა იცინეთ, იცინეთ ჩემზე, გარდაცვლილებო!

2 აპრილი

წყნარი გაზაფხულის დილაა, რბილმა, რბილმა მოალერსე ჰაერმა მოიცვა ქვეყანა. ეს გენიალური დილაა. ეს ის დროა, როცა ბუნება ქმნის შედევრებს კაცობრიობისათვის. დიახ, დიახ, სწორედ ამ წუთში, ტოტების სიღრმეში იწყებს გამოსვლას მწვანე კვირტები და აღიმართება გამარჯვებული გაზაფხულის დროშა — განთავისუფლებული პრომეთე, რომლის ცეცხლსაც გულისფანცქალით ელის მსოფლიო.

მე ვზეიმობ ზამთრის ტირანიისაგან გაზაფხულის განთავისუფლებას, სიხარულის განთავისუფლებას ბორკილებისაგან, ღვთიური ღიმილის განთავისუფლებას, რომელიც მსოფლიოს გენიალურმა წამებულებმა დაჰკარგეს. ეს ღიმილი ჩვენია — ჩვენი! ეს ჩვენი დღესასწაულია! მომავალი მაისი.

4 აპრილი

რაღაცნაირი სევდიანი ჟრუანტელი მივლის მთელ სხეულში. სასიამოვნოც კია გაზაფხულის სევდა. რა საოცარი ჰაერია. როგორ მინდა წუთით მაინც გავითქვიფო მონათესავე სულში. ის მოდის, მოწყენილია, მოწყენილია და არა განადგურებული, და არა მკვდარი, ის მარტოდ მარტო დახეტიალობს. რაღაცით ვგავდი მას, როცა ძლიერ მიყვარდი... მივიდე მასთან?...

დიახ, ვგრძნობ, ვგრძნობ, რომ ჩემი სიყვარული არანორმალურია. ბედნიერებისაგან, იმის შეგრძნებისა-

გან, რომ მე მიყვარს, მზად ვარ მოვკვდე, მოვკვდე, იმიტომ რომ ამაზე ძლიერი სიყვარული არ შემიძლია. სევდა სიყვარულისა ყოველთვის მექნება და ამიტომაც სიხარულით მოკვდები.

5 აპრილი

საშინლად მოწყენილი ვარ. ახლა რომ შემხვდებოდე, ბედნიერი გაგიღიმებდი.

კარგი, დღეს მოვალ. მაგრამ მიფრთხილდი, შეიძლება შენდამი რწმენა დავკარგო, მაშინ, ვაი, ჩვენ, მიფრთხილდი!

ის მეორე სეანსზე იქნება „არფასტოში", რა თქმა უნდა, წავალ... ყველაფერი დროზე უნდა გაირკვეს...

6 აპრილი

„ვწერ პასუხის პასუხს". რას ნიშნავს ეს ორი სიტყვა? რას მწერ? რა გინდა ამით მითხრა? რა მოსდევს ამას, რა იმალება ამ სიტყვებში? ვინ გამოიცნობს, ვინ მიპასუხებს, ახლავე, ამწუთში. ვინ გამიქარვებს ამ ეჭვებს. როგორ ცეცხლად იქცევა ეს დაფერფლილი დამთრგუნველი ფიქრები. როგორი იქნება პასუხი საბედისწერო თუ საბედნიერო? მეყოფა კი მოთმინება პასუხამდე? რას წავიკითხავ იქ? ყოფნას თუ არ ყოფნას? ქარიშხალი მძვინვარებს ფიქრების ზღვაზე, როგორი იქნება მათი ნაპირი?

ძვირფასო დღიურო, მაპატიე, მაპატიე, შენთანაც კი არ შემიძლია გულწრფელი ლაპარაკი, შენიც კი მეშინია. მეშინია მისი სახელის ხსენება. მაპატიე! ჩემი ცხოვრება განსაცდელშია, ქარიშხალი ახლოვდება, წუთიც და ტალღა ქვეშ დაიტანს და გააქანებს ზღვის ფსკერისაკენ. ვის გავენდო? ვერავის! ვერავის! ხალხი უხეშია, უხეში სულით.

ნუცა, სადა ხარ! შენ, მხოლოდ შენ ერთს ნაზი, მშვენიერი სულის პატრონს, შეგეძლო გაგეგო ჩემთვის და შენ კი ჩემგან შორსა ხარ. ჩემს დამშვიდებას ვერავინ შესძლებს, მარტო შენთან შემეძლო თავისუფლად მეტირა, მხოლოდ ერთადერთ მეგობარ ნუცასთან! ო, როგორ მინდა შენთან ყოფნა. ნუცა, — მარტოობა, მარტოობა მიმიყვანს თვითმკვლელობამდე. ნუცა, უკვე ვგრძნობ, რომ მალე ვეღარ შევძლებ ბრძოლას. ვხედავ გალიმებულ ხალხს, მესმის სიცილი, მე კი სადღაც, ხალხისაგან მოშორებით, ჩუმად ვტირი, ვტირი თავდავიწყებით. ხალხს კი ვუღიმი, რომლის მიღმა იმალება ცრემლების ზღვა. დიახაც, ყოველთვის მაქვს შემონახული კეთილი ღიმილი კარგი ადამიანებისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი თავდავიწყების ჟამს, როცა ვუარყოფ შავ ფიქრებს.

ნუცა, მიშველე, მაგრამ ეს შეუძლებელია! შენ არ შეგიძლია და არც შეგწევს ძალა. შენ მე კარგად მიცნობ და არ მიიღებ ამას შეურაცხყოფად. ჩემო ნუციკო, შენ არც კი იცი, როგორ მიყვარხარ. ჩემი ბუნებისათვის არ არის დამახასიათებელი საუკეთესო გრძნობების გამომჟღავნება, ამიტომაც ვფარავ მას ადამიანებისაგან. რაზე ვლაპარაკობ, რა საჭიროა? ასე რატომ შემაძრწუნა ამ ორი სიტყვისაგან შემდგარმა ბარათმა? მინდა ჩემი ტირილი და ყვირილი მთელ ქვეყანას გავაგონო, მე კი ნაჭუჭში ვარ მოქცეული. რა იქნება ხვალ?

9 აპრილი

როგორი ნათელი, მომხიბვლელი, მოალერსე, იმედების მომცემი დილაა! როგორ ველოდი მას... რას ვიზამ? სხვაზე არაფერზე ვფიქრობ!... რა უნდა ვქნა? მარტო ამაზე ვფიქრობ!... თუმცა სულ ერთია, პატიჟაც იყო გამართლებაც, საკუთარ თავს ვიტყუებდი მხოლოდ.. როგორ ველოდი!!... მას არაფერი არ გაამართლებს.

რა საძაგელია ცხოვრება!

დღიურშიაც კი ვერ ხარ გულწრფელი. სიჩუმე, მხოლოდ სიჩუმე. მე კი მსურს ვიკივლო! ნუცა, სადა ხარ?!

საღამო

წყნარი ზღვა დიდებულად ირხევა. მთვარე საზეიმო იერით მიცურავს გამჭვირვალე სივრცეში. ვერცხლისფერით დაიფარა თვალუწვდენელი ზღვის სივრცე. თითოეული ტალღა და მისი მირიადები ნაზად იტაცებდნენ მთვარის სხივებს, სიცილით იკრავდნენ მათ გულში, შემდეგ სწრაფად ვნებით ჩახვეულს მიაქანებდნენ თავიანთ ბნელ ხახაში და სამუდამოდ მარხავდნენ იქ. და ასე თითოეული მირიადი წყნარად ეთამაშებოდა სხივებს და სწრაფად შთანთქავდა მათ. ეს მზეთუნახავები მთელი ღამის განმავლობაში ასეთ დანაშაულს ჩადიოდნენ.

შესანიშნავია ზღვა ამ დროს. ბევრს დავდიოდით მხიარულები ზღვის სანაპიროზე. ვდგებოდით ნაპირიდან მოშორებით. შორიდან მოისმოდა მარადისობის ხმა, ვიგრძენი სიბრალული სხვებისა და ჩემი თავის მიმართ. რა საცოდავები ვართ მარადისობასთან შედარებით.

შესაძლებელია ერთი წუთის შემდეგ მრავალი ჩვენთაგანი აღარ იყოს ცოცხალი. უკვდავება კი მარადჟამს ზეიმით დააბიჯებს.

აუ, ადამიანი ისევ აღდგება, ისევ აღდგება, ისევ აღდგება... აღდგება და შეერწყმება მარადისობას.

ხვალ ოპერაციას მიკეთებენ. ძვირფასო მანია, თუ მე დავიღუპე, იცოდე, დედას შენ მიხედე.

გალაქტიონი ძალიან მიყვარს, მასაც ძალიან ვუყვარვარ, ცოცხალი რომ ვყოფილიყავი, იგი არასოდეს შემიძულებდა. მოექეცით მასა ისე, როგორც ახლობელს. გკოცნით ყველას გკოცნით ძლიერ ყველას მათ ვინც რეაქციის მძიმე დღეებში ერთად ვიყოფდით ჭირსა და ლხინს. დაუახლოვდით მხოლოდ ღარიბებს, გამძღარ ნაკაცარებთან, რომლებიც მიეკედლნენ მებრძოლებს პარტიაში თუ პარტიის გარეთ, ნუ იმეგობრებთ. ისინი მდგომარეობის მიხედვით იცვლიან კანს,

მიხაი, ვალოდია, კუკუშა, მანია, ალიოშა, მაკრინე, მაქსიმე, კოტიკო, გკოცნით. ვწუხვარ, რომ ყველანი ვერ, გნახეთ...

გალაკტიონ, იცოდე, რომ შენ თავდავიწყებით მიყვარხარ, მაგრამ არ მოხერხდა ცხოვრებაში ერთხელ მაინც განგვეცადა ერთმანეთის სიყვარულითა და სიახლოვით გამოწვეული ბედნიერება. ერთხელ მაინც გაგვენდო ჩვენი ფიქრები ერთმანეთისათვის, მაგრამ კმარა, ის, რაც არ თქმულა, სამუდამოდ უთქმელი დარჩება, მადლობას გიხდით ყველას! გაუფრთხილდით დედას, გკოცნით! დედა, იყავ მხნედ! ვერ მოვახერხე მამის საფლავის ნახვა, ჩემს მაგივრად ყვავილები მიიტანეთ.

20 აპრილი

უსიამოვნებას უსიამოვნება მოსდევს. რა ძნელია, რა საშინელებაა, სულის სიღრმემდე მძიმეა უბედურებასთან პირდაპირ დგომა, როცა ისედაც ბედისაგან დაჩაგრული ხარ, როცა საავადმყოფოს საწოლზე ხარ მიჯაჭვული, როდესაც შენი გრძნობა და გონება ასე ბობოქრობს... როცა მენატრება საყვარელი ადამიანის ალერსი და სიახლოვე. ნეტავი როგორ უნდა გადავიტანო ყოველივე ეს?

30 აპრილი

ორ დღეში დავტოვებ ამ კუბოს — საავადმყოფოს.

26 ივნისი

ჩემო დღიურო, რამდენი ხანია არ გამიზიარებია შენთვის ჩემი ფიქრები. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ძალიან, ძალიან ცუდად ვიყავი, მძიმე დღეები გადავიტანე. ახლაც ლაპარაკის თავი არა მაქვს. ყველგან იმედების გაცრუება, შველას მხოლოდ სიკვდილში ვხედავ. მჯეროდა სიცოცხლის მშვენიერების, მაგრამ იგი არ მოვი-

და ჩემთან. პირიქით, შავი ფიქრები მახვევია გარს. თვალებს ვხუჭავ, რომ მოვიშორო ისინი, მაგრამ ამაოდ...

27 ივნისი

გვიანია. რა მოწყენილობაა.

საზეიმო ბრწყინვალე მეჯლისი დამთავრდა. მიწყნარდა ნაირფერი აბრეშუმის შლეიფების შარიშური, რომლებიც მარგალიტებითა და ბრილიანტებით ბრჭყვინავდნენ. ისინი ირეკლავენ მზის სხივებს, რომლებიც ოდესღაც თვითონ მართავდნენ ფერთა ზეიმს...

ცა ნაცრისფერია. პარკს ქარვისფერი დაჰკრავს. რამდენიმე კაცი მუქ პლაშჩებში გამოწყობილნი, სიცივისაგან აბუზულები, ხელში ჭიქებით სამკურნალო წყლისაკენ მიდიან.

ვიღაც თავსაფრიანი ქალი ხარხარებს.

მოსკოველი მხატვარი გაშეშებული დგას შეყვითლებული ვარდის წინ. პარკში მუსიკოსები ისევ ისხდნენ და ცდილობდნენ აეღოთ მხიარული მოტივები, ეს კი უფრო მოსაწყენი იყო.

ნახვამდის, ბორჯომო... ჩემოდნები... მუშა... ტვირთი... რკინიგზის ბილეთები.

გაზაფხულამდე მშვიდობით, ბორჯომო!

1931 წელი

[თებერვალი]

გალ, როგორ გამოგვრჩა მე და შენ 1931 წლის 30 იანვრის „პრავდა“[8]. ძალიან საინტერესო ნომერია. მთელი ხმით მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირის ორი გოლიათი — სსრკ-სა და ევროპის ლიტერატურის კორიფეები. გასაოცარი მშვენიერებაა, რომ ამ ორი სხვადასხვა სამყაროს წარმომადგენელთა აზრები ერთმანეთს ერწყმის, როგორც ქიმიური შენაერთი. ეს მაშინ, როცა მთელი

დედამიწა ერთი და იმავე დროს მიემართება სატანური ენერგიის მქონე ორი სხვადასხვა ცეცხლოვანი გზით.

კლასობრივი ბრძოლის ორი დროშა გახელებული მოაბიჯებს მსოფლიოში, ერთს მშვიდობა და შრომის თავისუფლება მოაქვს, მეორეს კი ომი და მონობა. მათი მოქმედება ყოველ წამში გაშმაგებით წყვეტს ორი ქვეყნის ბედს — ვინ ვის?

1934 წელი

1 იანვარი

პირველი იანვარი, მე, გალი და ვასია ოკუჯავა ერთად შევხვდით ახალ წელს ჩვენთან — ჩვენს ოთახში. თითქმის უფულოდ ვიყავით, მაგრამ მაინც გვქონდა ორი ბოთლი ღვინო, პური, ყველი და ხილი — ეს იყო და ეს. სუფრას გალა თამადობდა და ვსვამდით იმათ სადღეგრძელოს, ვისიც გვსურდა.

ბევრი ვისაუბრეთ ლიტერატურაზე, საერთაშორისო და საბჭოთა ქვეყნის მდგომარეობაზე და სხვა.

ხშირად შევყურებდით საათს, წუთების ისარი ნელა მოძრაობდა, თითქოს ეძნელებოდა განშორება 1933 წელთან, რომელმაც თავისი გზა საბჭოეთისათვის სიკეთით განვლო — მისცა ქვეყანას დიდძალი პური, განამტკიცა კოლმეურნეობები, ელექტრონის შუქით გაანათა ყველაზე მიყრუებული და მივიწყებული კუთხეები, აღმართა ელსადგურები, ააშენა ფაბრიკები და ქარხნები, დამკვრელურად დაამზადა მანქანები, ტრაქტორები, კომბაინები, ავტომობილები და ბევრი რამ სხვა...

1933 წელს უმძიმდა თავისი აღსასრულის მოახლოება. საათის ისრები თითქმის არ იძვროდნენ. „პირადად ჩემთვის ეს წელი კარგი წელი იყო", — ამბობს გალი.

12 საათია, დასრულდა 1933 წელი და ჩვენც სასმისები ავწიეთ. სალამი! დღეს 1934 წელია!

7 იანვარი

გალი საღამოს უპალტოოდ დაბრუნდა. იგი გაძარცვეს. წაიღეს: პალტო, ფული, წიგნები და ხელნაწერები, რომლებიც პალტოს ჯიბეში ჰქონდა. მას უცნაური ჩვევა აქვს, მუდამ გატენილი დააქვს ჯიბეები წიგნებით, გაზეთებით, ბლოკნოტებით, ხელნაწერებითა და ფანქრებით იმდენად, რომ სიმძიმის გამო უჭირს პალტოს ტარება. გალი უპალტოოდ დარჩა. ძნელი ამბავია. ფულიც არა გვაქვს, რომ ვიყიდოთ. რამე უნდა ვიღონოთ. გალი არაფერს ამბობს, თუმცა ძალიან განიცდის ამას.

8 იანვარი

ვიყიდეთ გაზეთი „ნა რუბეჟე ვოსტოკა". გაზეთში დაბეჭდილია პოეტ პასტერნაკთან საუბარი, რომელშიაც მან განაცხადა, რომ უნდა თარგმნოს გალაკტიონის ლექსები რუსულად. კეთილი, ოღონდ კი კარგად თარგმნოს. გალი კმაყოფილია, მაგრამ შიშობს, ეჭვი ეპარება, ვაი თუ კარგად ვერ თარგმნოს პასტერნაკმა მისი ლექსები. მაგრამ მაინც უნდა დათანხმდეს. მომავალში უკეთესი მთარგმნელები გამოჩნდებიან?

9 იანვარი

გალი კვლავ უპალტოოდაა. მეორე დღეა, იძულებულია სახლში იჯდეს. ზის და კითხულობს გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს. უგაზეთოდ მას სიცოცხლე არ შეუძლია.

სახლში რომ დაბრუნდი, გალი მარტო იჯდა შეწუხებული, წინ გადაშლილი წიგნები ეწყო. ოთახში ციოდა, ნავთქურა არ ენთო. მან ისე გაიხარა ჩემი დანახვით, როგორც პატიმარმა, რომელსაც დიდი ხანია არ უნახავს არც დღის სინათლე, არც ნაცნობები და ეს ეს არის მიიღო უახლოესი ადამიანის ნახვის უფლება და შეხვდა მას.

ავანთე ნავთქურა, დავდგი სადილი გასაცხელებლად და დავიწყეთ საუბარი. შემოვიდა აბესალომიც, მან მოიტანა „ლიტერატურული გაზეთი“, რომელშიაც დაბეჭდილი იყო მწერლების პორტრეტები. უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი არასოდეს არ იბეჭდებოდა პრესაში.

გალის პორტრეტი არ იყო მათ შორის. ამან მე დიდად გამახარა, კმაყოფილი იყო გალიც. ბევრი ვიცინეთ.

საღამოს, როცა აბესალომმა დაიძინა, — იგი ადრე დაწვა, რადგან დაღლილი იყო, — გალამ მითხრა, რომ მას უნდა დაახარისხოს და მოაწესრიგოს საიუბილეო მასალები: გაზეთები, წიგნები, მისალმებები. ჩვენ ავიღეთ მთელი ეს მასალა, დავალაგეთ თვეების მიხედვით და გადავიკითხეთ. მე ვკარნახობდი, გალი კი ადგენდა სიას. გალის მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ მასალებში[9] აღმოჩნდა სხვადასხვა სახის სტატიები და ლექსები. მათი ავტორები, თუმცა საუკეთესონი არიან საქართველოში, მაგრამ მაინც ვერ შესძლეს გაეშუქებინათ გალის შემოქმედება, შემოქმედება მძლავრი და თვალუწვდენელი, რომელიც სუნთქავს ეპოქით და გამოხატავს ყოველივე ამას მდიდარ, მაღალმხატვრულ ფორმებში. მაგრამ ყველა ავტორი წერს გულწრფელად, და განა შესძლებს თვით უბოროტესი ადამიანიც კი, რომ არ წეროს გულწრფელად გალის შესახებ, მაშინ როცა თვით გალის მთელი პოეზია დაწერილია გულწრფელად, დიდი გრძნობითა და შემოქმედებითი წვით, მთელი სულითა და შთაგონებით.

არაფერია! გამოჩნდებიან, დაიბადებიან და დაიზრდებიან კრიტიკოსები, რომლებიც შესძლებენ მთლიანად შეიცნონ ჯერეთ შეუცნობელი შემოქმედება გალისა.

მუშაობას ღამის პირველ საათზე მოვრჩით. გალი დაიღალა, მაგრამ ყველაფერი გაკეთდა. მას შეუძლია საქმის დაწყებაც და დამთავრებაც.

11 იანვარი

კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა, ეს პეტრენკო იყო, მე და გალი ვსაუბრობდით, პეტრენკო კი კარებში იდგა.

ვიდრე ჩვენ ვლაპარაკობდით და ცოტა კიდეც წავკინკლავდით, პეტრენკო წავიდა. ამ ამბავმა გალის გული ატკინა. ჩვენ ორივენი შევწუხდით. ძალიან სამწუხაროა მისი განაწყენება, გალსაც არ უნდოდა ეს.

მოვიდა აბესალომი, იგი წასასვლელად მოემზადა, ჩვენ აბესალომი ტრამვაიმდე მივაცილეთ. პეტრენკოსთან მომხდარი უსიამოვნება გალიმ დიდად განიცადა, გადახედა გაზეთებსა და წიგნებს და ადრე დაწვა დასაძინებლად.

12 ი ა ნ ვ ა რ ი

დღეს ბობოქარი დღე გვაქვს. გალი უპალტოოდაა. გარეთ კი ყინვა ქვას ხეთქავს. რადაც უნდა დაგვიჯდეს, დღესვე უნდა ვიყიდოთ პალტო. ამისათვის კი საჭიროა გადამწყვეტი იერიშის მიტანა დახურული მაღაზიის გამგეზე — რათა მოგვყიდოს პალტო, თუმც არავიზე არ ჰყიდიან. გალიკი ძალიან უხერხულად გრძნობს თავს. თავის ძმის ძველი პალტოთი სიარულს ამჯობინებდა, მაგრამ არა, უნდა ვიმოქმედოთ! რადაც უნდა დაგვიჯდეს, დღესვე, — ამბობს გალი და მისი მოღრუბლული სახე წამსვე შეცვალა საბრძოლო განწყობილებამ. ჩვენ, ბრძოლის ყინით ანთებულნი, გავემართეთ ზამთრის პალტოსათვის საომრად, შეტევა გადამწყვეტი გამოდგა. თუმცა ბევრი არ გვილაპარაკია, შედეგს მივაღწიეთ. ვიყიდეთ პალტო, ბეწვისსაყელოიანი, 167 მანეთად. გალს იგი ეძვირა, მე კი ეს არ მადარდებს. მან პალტო წაიღო, მე კი საყიდლებზე წავედი.

სალამოს გალკი დაბრუნდა კინოდან: თეთრი საყელო შავი ჰალსტუხით, ფეტრის შლაპა და ეს პალტო — აი გალკის პორტრეტი. იგი ძალიან მომხიბვლელია! ისეთი შთაგონებული სახე აქვს, დიადი ეპოქის უდიდეს მოღვაწეს ჰგავს.

ვაშა! ვიყიდეთ ერთი ბოთლი ღვინო და საუზმე. ვკითხულობთ პროფ. ერნსტ მეიმანის „ესთეტიკას“ და ვარჩევთ მას.

გალკმა წაიკითხა ბუნინის ლექსი „სალამი“ და იმ წამსვე წარმოთქვა ზეპირად.

18 იანვარი

დღეს მე და გალი დილის 9 საათზე დავშორდით ერთმანეთს. მე ერთ მხარეს წავედი სამსახურში, ის — მეორეს. ახალი გაზეთები მოვიტანე, გალს ხომ უგაზეთოდ არ შეუძლია. ის ჯერ არა ჩანს. ნეტა რა ახალ ამბებს მოიტანს?

23 იანვარი

რა კარგი იყო ეს დღეები... რამდენი იმედი — გალიმ შეიგნო, რომ ღვინო დაღუპავს მას და გადაწყვიტა სახლში სვას ცოტ-ცოტა.

ერთად ვმუშაობდით, ვალაგებდით გაზეთებს, ჟურნალებს, ხელნაწერებს და საერთოდ ყველაფერს, სამუშაოს ნაწილი შევასრულეთ, — დიდი სამუშაოს ერთი ნაწილი. ღამის სამ საათამდე ვისხედით, შემდეგაც კარგახანს ვსაუბრობდით და მსურდა საათის ისრების გაჩერება, დროის შეჩერება, რათა ეს სასიამოვნო საათები არ გასულიყო.

გუშინ გალკი ცირკში იყო, იქიდან მხიარულ გუნებაზე დაბრუნდა, დაწვრილებით ჰყვებოდა იქ ნანახს, ბევრს იცინოდა. განსაკუთრებით მოსწონებია ფაფრებითა და კუდებით დამშვენებული პატარა ცხენები. მაიმუნიც ცეკვავდა თურმე და, რაც მთავარია, ღორები ვალსს უვლიდნენ... მხიარულება იყო. ღამის ორის ნახევარზე დავწექით და გალი დიდხანს, დიდხანს ჰყვებოდა ერთ თავის თანასოფლელ გლეხზე... ასე დავიძინეთ.

გალ, როგორ უგონოდ მიყვარხარ! სადა ხარ დღეს? უკვე ღამის 4 საათია და შენ კი არ ჩანხარ. რა ვქნა? სად გეძებო?!

24 იანვარი

წუხელ მთელი ღამე ველოდი გალკს. უზომო სევდა მიპყრობს. რა ვქნა? ის არ ჩანს. ვზივარ და ვაკეთებ მისი ლექსების რუსულ ბწკარედებს. ჩემი განწყობილების შესაბამისად ვარჩევ ლექსებს, საშინლად ვღელავ, ის მაინც არ ჩანს. დავეხეტები ქუჩებში, ვეძებ, შემოვდივარ სახლში იმ იმედით, რომ აქ დამხვდება...

ძვირფასო გალკ! ეგებ შენ დაჭრილი ხარ, ან იქნებ ბოროტმოქმედებმა გაგიტყუეს გაძარცვის მიზნით და გაწამებენ. გალ, გალ, ვიცოდე მაინც და, როგორც გრიგალი, ისე დავესხმოდი მათ თავს დაგიხსნიდი შენ. გალკ! იქნებ მანქანის ქვეშ ჩავარდი? გალკ, გალკ ვუვირი, გეძახი ჩემთვის და პასუხი კი არ ისმის.

თარგმანი ისეთი კარგი გამომდის, როგორც არასდროს. სამუშაო სწრაფად მიდის წინ. არნახული თავდავიწყებით, გაცხარებული ვმუშაობ, და ეს იმიტომ, რომ ასე უზომოდ ვიტანჯები ახლა შენს გამო.

გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ, არ ვიცი, რა დამემართა, ვთარგმნი შენს ლექსებს და ასე მგონია, გესაუბრები, ამიტომ ასე სწრაფად ვმუშაობ ამ შლეგ ღამეს, როცა მთლად დარდად ვიქეცი. ირიერაჟა, მე ისევ ვზივარ!

24 თებერვალი, პარასკევი

წუხელის გალი და ტოსია მთელი ღამე საუბრობდნენ ლიტერატურაზე ჩვენს ოთახში. საუბარი გულითადი და მეტისმეტად გულახდილი იყო. გალკი კარგ გუნებაზე ადგა, ნათელი დილა იყო, ჩვენ მხნედ მივაბიჯებდით.

25 თებერვალი

დღეს დღის პირველ საათზე გალკი ერევანში გაემგზავრა ლიტერატურული საქმეების მოსაგვარებლად.

ჩვენ ერთად წავედით სადგურზე.

გალკი მე ძალიან, ძალიან მეცოდებოდა იმის გამო, რომ მარტო მიემგზავრებოდა.

გული მწყდება. გული მწყდება, ჩემო ძვირფასო გალკ!

შევეცდები შენს დაბრუნებამდე დავამთავრო პწკარედები.

გალკ, როგორ მტკიოდა დღეს გული შენს გამო, როგორ უმწეო ბავშვივით გამოიყურებოდი, ისე ძალიან მინდოდა შენს გვერდით ყოფნა, მსურდა ყველაფრისათვის მიმენებებინა თავი და წამოვსულიყავი შენთან ერთად ერევანში, რათა მარტო არ გემგზავრა და საქმეებიც ერთად მოგვეგვარებინა.

26 თებერვალი, კვირა

დღეს გავიგე, რომ რკინიგზაზე — ერევან-თბილისის ხაზზე — მოხდა ავარია. და ეს იყო გუშინ, როდესაც გალი გაემგზავრა. შემზარავ ფერებში წარმოვიდგინე გალი.

ვაითუ, ვაითუ მოხდა უბედურება...

არ შემიძლია გადმოვცე ის, რასაც ვფიქრობ...

სასწრაფოდ სადგურისაკენ!!!

დაადგინეს: ავარია მოსვლია საბარგო მატარებელს, რომელიც სახალხოზე ადრე გასულა სადგურიდან.

გალკი გადარჩა! გადარჩა ბევრი ადამიანის სიცოცხლე!..

28 თებერვალი

დღეს გალკი ხელახლა გაემზადა სამოგზაუროდ — სამტრედია, ბათუმი, სოხუმი.

მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში დავდიოდით. მიყიდა ჟოლოსფერი ბერეტი და ზამშეს ქამარი, აგრეთვე აბრეშუმის ჯემპრი — მე მთლად ჟოლოსფერი ვარ.

გალკისათვის ჩემოდანი ვიყიდეთ და სტალინის სახელობის კლუბის სასაუზმეში შევედით.

8 მარტი

გალკი დაბრუნდა! მე კი ამ დროს ავადმყოფი ვიწექი დედასთან, იქ მოვიდა შურა და მითხრა, რომ შეხვდა გალკი — ჩემოდნით ხელში, რომელიც ის-ის იყო ჩამოსულიყო. უყიდნია კარაქი და შურასათვის გადაუცია, რომ ჩემთვის მოეტანა. რა გულისხმიერებაა!!!

10 მარტი

ძვირფასო გალ! დღეს თუმცა ჩვენ უგროშოდა ვართ, მაგრამ ეს სულაც არ მაწუხებს. დავფრინავ კრიალა ცაში და მაღლა, მაღლა მივიწევ — ლაჟვარდოვანი ჰაერის ფენების მიღმა. ვეხვევი ჩემ მიერ დაპყრობილ თვალუწვდენელ სივრცეს. შორეთი მეალერსება ისე ნაზად, ისე ნაზად, რომ ამ ალერსში ვგრძნობ გაზაფხულის სიახლოვეს — კაცობრიობის ახალი გაზაფხულის მოახლოვებას.

ჩანს, ადამის ტომი გაბედულად იტყვის სულ მალე: მე დავმკვიდრდი დედამიწაზე, როგორც ადამიანი!!!

აუხდენელი ოცნებები ხორციელდება, ჩვენ მის ნაპირთან ვდგავართ. ვზივარ ლაჟვარდებს ზემოთ და თავში ასეთი ფიქრები მომდის: პატარა ბავშვი ქოხის წინ ზის და ძაღლს ეძიძგილავება ობმოკიდებული ლუკმა პურისათვის, რომელიც მაზუთსა და მტვერში გდია. ძაღლი ძლიერი აღმოჩნდა და წასტაცა ბავშვს პური. რამდენი იტირა პატარამ, მოიწმინდა ცრემლები ჭუჭყიანი ხელებით და მისი მოწყენილი სახე სასაცილო გახდა — მთლიანად მოითხუპნა. მერე ჩვრებიდან ამოიღო ქაღალდის ჭუჭყიანი ნაგლეჯი და ფანქარი, დაწვა მიწაზე და ოთხ სტრიქონში გადმოსცა თავისი დარდი. ჩანს, მომავალი პოეტია, ტალანტია... მაგრამ მშიერი, შეცივებული, მიუსაფარი, უალერსო და უსიყვარულო.

ექსპრესი კი მიჰქრის და მიაქანებს მაძღრებს აგარაკებზე... მაგრამ იგი მისრიალებს ცრემლებით მორწყულ ლიანდაგებზე... რკინიგზაზე კი რჩება ძონძებით დაფარული გასრესილი მშიერი ძვლები, ბავშვის ძვლები და ჭუჭყიანი ქაღალდის ნაგლეჯი — პატარის სევდითა და ოცნებით სავსე.

ასე დაიღუპა მომავალი გენიალური პოეტი.

ასე იღუპებიან მილიონები!

ექსპრესი კი მიჰქრის, ხარხარებენ, ღრეობენ და იფრქვევა შამპანური განიერ კუპეში. გრძელდება ორგიები კაფე-შანტანებში, მაგრამ ვგრძნობ, რომ დაიგლიჯება ღრეობისა და მონობის ყველა აფრები და ყალყზე შემდგარი მსოფლიო ალმართავს ბარიკადებს!

აი კიდევ ახალგაზრდა მუსიკოსი ქოხიდან. მას ხან ნაზი ხმები მოესმის, ხან ქარიშხლის ძლიერი გრუხუნი, რომელიც ნამცეცებად ამსხვრევს მონობის ბორკილებს, მძლავრი დარტყმით რომ ეშვებიან უფსკრულებში; მისი ნამსხვრევების ხმა კი ხანძრის გუგუნად ჩაესმის, რომელიც გაშმაგებით ისვრის ცეცხლის ენებს, რათა ნაცარტუტად აქციოს ეს ნამსხვრევები, ზოგჯერ კი, ქარიშხლის ძლიერ ხმაურად და ხედავს იგი გაფანტულ ფეხქვეშ გათელილ ფერფლს.

ეს ცეცხლოვანი ხმები იბრძვიან, ეძიებენ...

და ესმის მუსიკოსს განთავისუფლებული შრომის ჯადოსნური ჰიმნი და გრძნობს, რომ ეს ხმა ვერ თავსდება მასში და ეჩვენება, რომ ყურები ეზრდება და ეზრდება... მას შია შიმშილისაგან გული მისდის... ხმები შეწყდა, ჩაქრა...

ასე ქრებოდა ტალანტები ღარიბთა ქოხებში, ქალაქის გარეუბნებში, კოლონიებში და აგრეთვე ბრწყინვალე სადარბაზოებთან და გაკრიალებულ ეტლებთანაც — ყალბი, მოღალატე მუსიკის ზღურბლებთან. ქრებოდა იგი და ქრება დღესაც შიმშილისა და მონობის წყალობით.

და თქვენ კაპიტალისაგან დაწყევლილო გენიოსებო და ტალანტებო ქოხმახებიდან, ქუჩებიდან, ყველაფერი

არ ჩაქრება და აღფრთოვანდება მსოფლიო ახალი სიმღერებით! კიდევ დასაპყრობია მსოფლიოს ხუთი მეექვსედი!

ძვირფასო გალ! ხედავ ახალი სამყაროს ნაპირებს? შეხედე, იგი დასახლებულია გენიოსებით და ტალანტებით, ისინი ცხოვრობენ ყვავილებსა და სიმწვანეში და სრულიად, სრულიად სხვაგვარნი არიან. მათ აზრიან სახეებს სიხარულის ბეჭედი აზის.

ვწევ სასმისს და ვსვამ მომავალი მსოფლიო ოქტომბრისა და ზღაპრულად მშვენიერი მერმისის სადღეგრძელოს! ალავერდი შენთანა ვარ, გალ!

20 მარტი

დღეს „მშობლიური ქარისა“ და „ატმის ყვავილების“ დღეა, ძვირფასო გალ!

ადრიანი დილაა, მზის სხივები გულუხვად იფრქვევა, ჰაერი ხავერდოვანია. ლურჯი შორეთი. ჰაერი ატმის ყვავილების სურნელით არის გაჟღენთილი.

თვალსაწიერი მოვარდისფრო ბლონდებშია გახვეული, არე-მარე სითბოსა და ალერსის ვარდისფერი ნაკადით ინამება.

ძვირფასო გალ, მინდა დიდხანს დავყო შენი „ატმის ყვავილების“ ფურცლების მომაჯადოვებელ ტალღებში.

აი, შენმა „მშობლიურმა ქარმაც“ დაბერა, იგი წყნარ, თბილ ტალღებად მოედინება და სულს ელამუნება. მშობლიური ქარი ჩემი ფანჯრის წინ კიპარისის რტოს შეეხო, ისინი ხავერდოვნად შეიშმუშნენ და რხევა დაიწყეს — ნაზი მიმოზების მსგავსად.

მშობლიურმა ქარმა ნაზად დაკოცნა მარტის ვარდების დაშიშვლებული ტოტები — რტოებმა ზურმუხტის კოკრები მოისხეს.

მშობლიურმა ქარმა ატმის ყვავილებს რაღაც წასჩურჩულა, ყვავილებმა ვარდისფრად გაუღიმეს და დღის სინათლეში მათი ღიმილი გაბრწყინდა, დღემ ჯერაც შეუცნობელი სიხარული შეიგრძნო. ამ სიხარულის ნაკადი

ბრილიანტებად მოედინება ჩვენს სამშობლოში — სსრკ-ში.

მშობლიური ქარი ჰყვებოდა არნახულ მხარეზე, რომელიც ახლოვდება ახალი მშენებლობების გრუხუნსა და გუგუნში, გვესალმებოდა და გვიამბობდა მომავალ ნათელ დღეებზე. ატმის ყვავილები, როგორც მოჯადოებულები, ისე უსმენდნენ, მღელვარებისაგან მათ თრთოლვა დაიწყეს და ვარდისფერი ფურცლები მოჰფინეს ტყეს, მთებსა და ველებს. ვარდისფერი ფურცლები იყო აგრეთვე ალუბლებზე და ალუბლებ ქვეშ, ისინი მეყრებოდა მეც და ასევე ვარდისფერი ნაკადები მოედინებოდა დაბლა და ეფინებოდა ვარდისფერ ხალიჩად შენს გზაზე, გალ!

მშობლიური ქარი, ქარი რბილი და თბილი, ზღაპრული ატმის ყვავილებით კვლავ ჩურჩულებს ქვეყნად. ქანაობენ ატმის ტოტები და ცვივა ვარდისფერი ფურცლები... შენ, როგორც ჯადოქარი, როგორც გრძნეული ყვავილებით მოფენილი, უსმენ ბუნების ზღაპარს და თხზავ „მშობლიური ქარისა“ და „ატმის ყვავილების“ ახალ ჰანგებს ახალი პრელუდიისათვის.

19 აპრილი

დღეს მე და გალმა დავჭერით, ცალკე ლექსებად დავყავით და ფურცლებზე დავაწებეთ „პაციფიზმი“ — ვამზადებთ მასალებს ახალი აკადემიური გამოცემისათვის[10] (საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა), ღამის სამ საათამდე ვიმუშავეთ.

20 აპრილი

დღეს იმავე წესით დავამზადეთ მასალები „ეპოქიდან“ — აკადემიური გამოცემისათვის[11].

გალკი სხდომაზე წავიდა კულტურის სასახლეში.

ღამის 12 საათია, ის კი მაინც არ ჩანს!

23 აპრილი

გალკმა ბოლოს და ბოლოს გამოიტანა თავისი ახალი კოსტიუმი, ძალიან უხდება, გალი გახარებულია.

ნეტავ რა გაიგო „ოქტომბრის სიმფონიის“ თაობაზე? დაბეჭდავენ თუ არა“[12], როცა გაიღვიძებს, ვკითხავ.

30 აპრილი

ჩემი გალკი ლენინგრადში გაემგზავრა — ლიტერატურული საქმეების გამო — მისი ლექსების რუსული თარგმანის თაობაზე, რომლის გამოცემაც ლენინგრადის სახელმწიფო გამომცემლობამ შესთავაზა. ეს გამგზავრება მოულოდნელი, მოუმზადებელი და უეცარი იყო.

14 ივლისი

გალაკტიონი ლენინგრადიდან დაბრუნდა შავი, შავი, როგორც ზანგი. ხუთი წლის ნამგზავრ ტურისტს ჰგავდა. ვნახოთ, რა ჩამოიტანა თავით თუ ქაღალდზე დაწერილი, ორივე საინტერესოა!

მასალები მისი ლექსების თარგმანისათვის თითქმის მთლიანად სახელმწიფო გამომცემლობას მოუმზადებია. გალკმა თარგმანების ნაწილი აქ ჩამოიტანა ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობისათვის. ეს არის პოეტ ტიხონოვის თარგმანები. წიგნის ნაწილი გალკს სადღაც გაჰბნევია.

ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიას გალაკტიონისათვის გაუმართავს საღამო ბანკეტით. ამ საღამოზე მისთვის გადაუციათ სიგელი, უჩუქებიათ პუშკინის „ევგენი ონეგინის“ აკადემიური გამოცემა და ტყავის საქაღალდე. ყოველ მათგანზე წარწერაა, რომელიც მოკლედ ახასიათებს გალკის შემოქმედებას.

21 აგვისტო

გაზ. „ტიფლისკი რაბოჩი“-ში დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ 1937 წელს აღინიშნება უდიდესი ქართველი პოეტის, მხატვრული სიტყვის გენიალური ოსტატის შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი. საიუბილეო ზეიმის მაღალ დონეზე ჩასატარებლად საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო შეექმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შეყვანილია გალაკტიონიც.

ო, შორეულ საუკუნეებში გადაიხდიან გალკის საიუბილეო ზეიმსაც, მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით ამ ქვეყნად და შიში მიპყრობს, — რომ ჟამთა ვითარებამ არ წარყვნას იმდროისათვის გამოუქვეყნებელი გალკის ხელნაწერები და არ დაამახინჯოს ისინი.

22 აგვისტო

გაზეთ „ნა რუბეჟე ვოსტოკაში“ ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე გამოვა გალკის ლექსების კრებული რუსულ ენაზე. ეს საძაგლობაა! — წიგნი მწერალთა ყრილობისათვის უნდა გამოსულიყო[13].

23 აგვისტო

რა საშინელებაა, გალკს მოპარეს პორტსიგარი, რომელიც მას იუბილეზე აჩუქეს. ძალიან კარგი პორტსიგარი იყო. ვერცხლის ფონზე ვერცხლისავე ჩუქურთმებში ჩასმული წარწერით. ეს იყო ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის საჩუქარი, 1933 წლის 5 ივლისის საიუბილეო სახსოვარი.

არაფერს დავზოგავდი, რომ მეპოვნა ეს პორტსიგარი, მაგრამ მე ახლა ავადა ვარ, ვწევარ, ხოლო, როგორც

კი ავდგები... რაც მთავარია, იგი მოიპარეს ადამიანებმა, რომლებიც თავიანთ თავს ინტელიგენტებს უწოდებენ.

არარაობა უნდა იყო, რომ გალკს რამე მოჰპარო.

ითვალთმაქცეს და მიიპყრეს მისი ყურადღება იმით, რომ ხმამაღლა წაუკითხეს გაზეთში დაბეჭდილი ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იმის თაობაზე, რომ 1937 წელს უნდა აღინიშნოს შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავი, რომლის მომწყობ კომისიაში არჩეულია გალკი. იგი ნასვამი იყო და, ვიდრე გაზეთს უკითხავდნენ, ვილაცეებმა პორტსიგარი მოპარეს.

29 აგვისტო

დღეს გალკი შეხვდა ფილიპე მახარაძეს, დიდხანს ისაუბრეს ლიტერატურაზე. იგი ძალიან კარგად მიიღო ფილიპე მახარაძემ, — ისე, როგორც ყოველთვის.

გალკი ფრიად კმაყოფილი დაბრუნდა.

29 სექტემბერი

ტელეფონით დაგვირეკეს ხელოვნების სასახლიდან და შეგვატყობინეს, რომ გალაკტიონის სახელზე მიღებულია წერილი მაქსიმ გორკისაგან. მე ძალიან გამეხარდა. გალკის ცხოვრების (აგრეთვე ჩემი ცხოვრებისაც) ბურუსში ეს ცნობა იმ ნათელი სხივივით იყო, რომელიც გაბედულად შეიჭრა წყვდიადში.

პატიოსანი ლიტერატურის, პოეზიის ღრმად მცოდნე და დამფასებელი ადამიანის სიტყვა, ადამიანისა, რომელიც ფაქიზად კრეფს მარგალიტებს და უფრთხილდება მათ, აი ასეთი იყო მაქსიმ გორკის სიტყვა. ეს სიტყვა დღეს მით უფრო ძვირფასია, რომ გარშემორტყმულნი ვართ პატარა, ფლიდი უნიჭო ლიტერატორებით, რომლებიც ანაგვიანებენ პოეზიას, ვაჭრობენ და ფულს იხვეჭენ, რისთვისაც თვალთმაქცობით მიძვრებიან პოეტთა რიგებში მაშინ, როცა ნიჭის ნატამალი არ გააჩნიათ.

გორკიმ გალაკტიონს შეატყობინა, რომ იგი (გალი) არჩეულია პუშკინის საიუბილეო კომიტეტში. პუშკინისა, რომელიც მას ძალიან უყვარს და აფასებს.

გალკ, მე დიდად მოხარული ვარ, რომ მესმის მაქსიმ გორკის ხმა იმ დროს, როცა ზოგიერთეˆს სურთ შენი დახვრა თავიანთი უკბილო ყბებით. ხა, ხა, ხა, ვის შეუძლია დაამციროს გალკის ბრწყინვალე პოეზია!..

1 ოქტომბერი

დღეს გალკიმ სახელმწიფო გამომცემლობას ჩააბარა თავისი ლექსებისა და პოემების კრებული[14]. ვნახოთ, რა იქნება!

ჩვენ ქარიშხალი ვერ შეგვაშინებს! გაიგონ ეს ვაჭრუკანა კრიტიკოსებმა!

დღეს „ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაიბეჭდა ნაწილი „პაციფიზმიდან“ — ნიკოლოზ ტიხონოვის თარგმანი. ჩემი აზრით, ეს თარგმანი დამაკმაყოფილებელია, დედანში თუმცა ათასჯერ უკეთესია, მაგრამ რას იზამ, ისიც ბედნიერებაა, რომ არსებობს პოეტი და მთარგმნელი ნიკოლოზ ტიხონოვი, რომელიც ოდნავ მაინც ჩასწვდა გალკის ლექსების სულს.

თაყვანს გცემთ თქვენ, ტიხონოვ, ამ თარგმანებისა და თქვენი ბალადებისათვის — „ბალადა ლურსმნებზე“ და „ბალადა ცისფერ კონვერტზე“. რამდენჯერ გადავიკითხე ისინი და მუდამ მომაგონებდნენ გალკის ოქროს შემოდგომას... ამიტომ ასე ნაზად ვეტრფი მათ.

მინდა შთავინთქა გალკის ლექსების ოქროსფერ შემოდგომაში და მესმოდეს მისი ჩანგის ნაზი ჩურჩული.

8 ოქტომბერი

საღამოს გალკმა მაისურაძის ლექსების კრებული მოიტანა. წიგნში მოთავსებულია გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი[15].

გალკი კმაყოფილი იყო იმით, რომ ეს ლექსი დაწერილია მუშა-პოეტის (სტამბის მუშის) მიერ.

წიგნი თვითონ ავტორმა აჩუქა წარწერით.

1935 წელი

4 ივნისი

გალკი პარიზს გაემგზავრა. საქართველოდან მხოლოდ ის იქნა წარგზავნილი მწერალთა კონგრესზე, რომელიც მსოფლიო კულტურის დაცვას ეძღვნება.

გზა მშვიდობისა, ძვირფასო გალკ! ეს გალკის პირველი მოგზაურობაა საზღვარგარეთ.

ამჟამად, როცა ფაშიზმმა გაიმარჯვა მთელ რიგ ქვეყნებში და თანდათან ავრცელებს თავისი გავლენის არეს (მაგ. საფრანგეთში), იგი ამზადებს შემაზრზენ ომს, რომელიც დაღუპვით ემუქრება მსოფლიო კულტურის მონაპოვარს.

საბჭოთა კავშირს სურს მშვიდობა და თავგამოდებით იცავს მას. მთელი მსოფლიოს კეთილშობილი ადამიანები ომის წინააღმდეგნი არიან. რევოლუციური მოძრაობა იზრდება ევროპაში. მთელი მსოფლიო საშიშროებამ მოიცვა.

გალკი მიდის, რათა ხმამაღლა, ყველას გასაგონად ომისა და დაღუპვისაგან დაიცვას კაცობრიობის კულტურული მონაპოვარი!

25 ივლისი

ყველა გაზეთი წერს, რომ გალკი 23 ივნისს მოხსენებით გამოვიდა პარიზში მსოფლიოს მწერალთა კონგრესზე[16].

როგორ მწყინს, რომ მანდ არა ვარ, გალკ! რამდენ მღელვარებას იტან უჩემოდ. მე კი მოგეხმარებოდი, ჩავიწერდი დღიურებში ყველაფერს — ევროპაში და კონ-

გრესზე ნანახსა და გაგონილს, შევკრებდი მასალებს და შეგიმსუბუქებდი ტვირთს. ეგების შენ არა გაქვს დრო, შენიშვნები რომ ჩაიწეროს?!

4 აგვისტო

დღეს გალკი პარიზიდან დაბრუნდა. მე იგი ჯერ არ მინახავს, ეს-ეს არის დამირეკა ტელეფონით. მივირბინე მასთან. იგი სუფთა, ქათქათა და მოხდენილი, ხსნის ჩემოდნებს...

მის ჩამოტანილ წიგნებს შორის არის ილ. ერენბურგისა და მარლოს მიერ ნაჩუქარი წიგნები — წარწერით. მე კი ჩამომიტანა ციცქნა მაჯის საათი და, რაც მთავარია, ჩვენი დიდი ხნის ოცნება — პატარა, კოპწია საბეჭდი მანქანა. დიდებული მანქანაა!

ყველაზე საყურადღებო კი, რაც მან ჩამოიტანა, არის ის ცინცხალი მასალა, რასაც იგი ზეპირად ჰყვება, რასაც უნდა უსმინო, უსმინო და რაც არასოდეს არ მოგწყინდება.

10 სექტემბერი

დღეს საღამოს გალკმა მწერალთა სასახლეში მოხსენება გააკეთა კულტურის დაცვის მსოფლიო კონგრესის მუშაობის შესახებ, ორივენი ძალიან ვღელავდით.

რას არ ფიქრობდა გალკი მოხსენების პროცესში, იქნებ სიტყვის შემოკლების სურვილი გამიჩნდეს, ანდა თავიანთი უაზრო რეპლიკებით ხელი შემიშალონო ვიგინდარებმა. მე კი ყველაზე მეტად მაინტერესებდა და მაღელვებდა თვით გალკის მდგომარეობა, რადგან ვიცოდი, რომ იგი მეტისმეტად მგრძნობიარე და შთაბეჭდილებიანია და მჯეროდა, რომ ამ მოხსენების გამო მას დიდი მღელვარების გადატანა მოუწევდა.

მაგრამ გალკის გამოსვლა ბრწყინვალე იყო — ღრმაშინაარსიანი და ხალისიანი, მხატვრულად გაფორმებუ-

ლი, როგორც ეს საერთოდ სჩვევია მას. ყოველივე ამან კარგად განაწყო მსმენელები მის მიმართ. სიამოვნებით უსმენდნენ, სიყვარულითა და აღტაცებით შეჰყურებდნენ. ეს გალკის ტრიუმფი იყო მან მთელი საათი, და უფრო მეტიც, ილაპარაკა.

30 ოქტომბერი

დღეს საკდესის კორესპონდენტს ინტერვიუ ჰქონდა გალკთან[17]. მან შეკითხვები მისცა გალკს ქართული პოეზიის ირგვლივ, კერძოდ კი მისი მოღვაწეობის წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ. აღნიშნულ შეკითხვებს გალკმა იმავე დღეს გასცა პასუხი წერილობით.

საღამოს ქუჩაში შეხვდა შამშე ლეჟავა. მან ძალიან სთხოვა გალკს მიეღო მონაწილეობა რაჭის გზის საზეიმო გახსნაში და მანქანის გამოგზავნას დაჰირდა.

დღესვე გალკმა მიიღო მოწვევა 21 ნოემბრისათვის ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც მის პატივსაცემად ეწყობა. გავგზავნეთ დეპეშა. თუმცა ფული არ გვქონდა და მარისაგან ვისესხეთ. ბილეთ კი გვქონდა 7 მანეთი და 80 კაპიკი, მაგრამ, ჩვენდა ბედად, მოვიდნენ მეეზოვისა და წყლის ფულისათვის — 7 მან და 60 კაპ. ჩვენ ცხვირები ჩამოვუშვით, ჯანდაბას იმათი თავი, პურის ფულიც კი აღარ დაგვრჩა.

1936 წელი

1 იანვარი

გალკი საავადმყოფოში წევს გამოვიდა მისი დიდი წიგნი — II ტომი.

23 იანვარი

სახელმწიფო გამომცემლობიდან გამოვიტანე გალკის წიგნის — II ტომის — 15 საავტორო ცალი. წიგნი კარგად არის გაფორმებული. გალკი საავადმყოფოშია.

22 ივნისი

საღამოს 7 საათზე, როცა მე და გალკი შინ დავბრუნდით, დაგვხვდა რადიოგრამა მოსკოვიდან — ამიერკავკასიის წარმომადგენლობიდან, ოლინის ხელმოწერით. იგი სთხოვს გალკს 27 ივნისს იყოს მოსკოვში. დეპეშა მიღებულია მწერალთა კავშირში, საიდანაც დაგვიანებით გადმოგვცეს.

როგორ ვღელავ, მატარებლით ვერ მოესწრება მოსკოვში ჩასვლა, გადავწყვიტეთ თვითმფრინავით გადაფრინდეს. მაგრამ ძალიან ვშიშობ, გალკს ხომ სუსტი გული აქვს?

23 ივნისი

გალკი მთელი დღე დარბოდა, საღამოს გაოფლიანებული და დაღლილი დაბრუნდა სახლში. აუღია თვითმფრინავის ბილეთი და ჰონორარი — ლიტფონდიდან. საშინლად შეშფოთებული ვარ. აიტანს თუ არა თვითმფრინავით მგზავრობას? უამრავი მძიმე ფიქრი მაწუხებს, მაგრამ უკეთესსაც მოველი.

24 ივნისი

დილის 4 საათზე მოვიდა აეროპორტის მანქანა. გალკი სხვა მგზავრებთან ერთად აეროდრომზე წავიდა, იქედან კი მოსკოვში გაფრინდება. სიწყნარე ჩამოვარდა. მანქანა დაიძრა, გალკი მიღიმის და ხელს მიქნევს... მოვიწყინე... შიში მიპყრობს... კვლავ იმის გამო, რომ შესაძლოა მის სიცოცხლეს საფრთხე ელის.

ძვირფასო გალკ, გალკ, შენ მიფრინავ და თან მოგდევს ჩემი სიყვარული, ჩემი დარდი, შიში და ლოცვა — რათა უფალმა დაგიფაროს შენ! შენ უნდა იცოცხლო, დაე ბედნიერი იყოს ეს გადაფრენა...

26 ივნისი

არავითარი ცნობა არ მიმიღია მოსკოვიდან გალკის შესახებ, გული ლამის გამისკდეს. გალკ, სად და როგორა ხარ შენ? მიპასუხე...

27 ივლისი

ისევ დუმილი, რომელიც მთელს ჩემს არსებას ღრღნის.

28 ივლისი

„პრავდასა“ და „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა ცნობა გალკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. ვაშა, გალკ! მოღრუბლულმა გულმა გამოიდარა და მას ჩემი გაზაფხულის ცვარის დარი კრემლი ამშვენებს. გალკ, გკოცნი უსასრულოდ ბევრს, მძლავრად გეხვევი და ვდუმვარ.

15 სექტემბერი

მე და გალკი ქობულეთში გავემგზავრეთ დასასვენებლად, გავემგზავრეთ, მაგრამ არ ვიცით, ბინა სად ვიშოვოთ. გალკს ნერვები აფორიაქებული აქვს, ცუდ გუნებაზეა და დაბნეული. მას არასოდეს დაუსვენია, ცხოვრება კი მძიმე ჰქონდა... ეკლიანი გზა... ბრძოლა... ოხ, ეს ზოგიერთი ნაკაცარი — როგორი ბოროტები არიან...

გალკი ამ მტაცებლებითა და ინტრიგანებით გარშემორტყმული....

16 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე ქობულეთში ვიყავით. ქობულეთი მოღუშული შეგვხვდა... მძვინვარე ტალღები ეხეთქებოდნენ ზღვის ნაპირს. ქარები, წვიმები, გრიგალი და აღელვებული ზღვის გრუხუნი მთელი ღამის განმავლობაში შიშის ზარს გვცემდა ყველას.

6 დღის შემდეგ კი ალერსიანი ლაჟვარდოვანი ზღვა მშვიდად და ნაზად ეჩურჩულებოდა ნაპირს. ქათქათა ზღვის ქაფის ლეჩაქით დამშვენებული ბრჭყვიალა ნაირფერი კენჭები კი ძილისპირულს უგალობდნენ გალკს.

წყნარად, წყნარად იყავი, ზღვავ და ნაზი ალერსით დაამშვიდე ჩემი გალკი!

8 ოქტომბერი

ისევ ძლიერი ქარიშხალი გლეჯს და სპობს ყველაფერს, თან თავსხმა წვიმა მოდის. მე და გალკი საპარიკმახეროში წავედით, გალკი წვერს იპარსავდა, ქარიშხალი კი გაცოფებული აქანავებდა საპარიკმახეროს ჯიხურს.

ოლია ოკუჯავას წერილები
გალაკტიონისადმი

1

ძვირფასო მეგობარო*

ვიტანჯებოდი, ვეცემოდი და კვლავ ფეხზე ვდგებოდი. ვიტანჯები, ვეცემი და თანდათან სიღრმეში ვეშვები. გაიგე ჩემი განცდები და შენც განიცადე, რადგან სიტყვები უძლურია აღწეროს ისინი. მოვისმინე რა გუშინ შენი ლექსი, მე გაგიგე შენ. შენმა იდუმალმა სევდამ, რომელიც ძლიერ განვიცადე გუშინ, მე საშუალება მომცა შენში ადამიანი აღმომეჩინა. მაგრამ მხრავს უძილო ღამეები. გუშინდელი დღიდან უფრო მეტ სიახლოვეს ვგრძნობ შენთან. რაც უფრო გშორდები, მით უფრო ძლიერ ვგრძნობ, რომ შენს სიახლოვეს მე შემეძლო მეტი გამეკეთებინა.

დღევანდელი დღე ჩემთვის კოშმარში ყოფნას უდრის. ეს თუ ასე გაგრძელდება მე ვერაფრის გაკეთებას ვერ შევძლებ. თუ ყველაფერი ასევე დარჩება, იცოდე, მე ვმარცხდები, ცხოვრება იმარჯვებს ჩემზე, დამარცხებულს კი მე სიცოცხლე არ მსურს.

გუშინ შემომთავაზე შენი ლექსის დატოვება და, რა კარგს იზამდი, რომ დაგეტოვებინა იგი.

დღეს მთელი დღე წიგნებში ვეძებდი ქაღალდის ნაგლეჯს, რომელიც შენი ხელით იქნებოდა დაწერილი,

---

* სავარაუდოა, რომ ეს წერილი დაწერილია 1916 წლამდე, რადგან იგი გაგზავნილია ჰიათურიდან, სადაც ოლია პედაგოგად მუშაობდა 1916 წლამდე.

მაგრამ შენ თავი არ შეგიწუხებია — არაფერი დაგიტოვებია ჩემთვის. მადლობელი კი ვიქნები, თუ ხშირად გამიზიარებ შენს აზრებს, რამდენი, რამდენი ხანი ვერ უნდა გნახო!

ბევრი მინდა გელაპარაკო, მაგრამ რაღაც მბორკავს და ამის გამო კიდევ უფრო მიჭირს გაჩუმება.

გაზეთში წავიკითხე, რომ ქუთაისში შესანიშნავი დარებია.

როდის იქნება ადამიანი თავისუფალი, რატომ ვარ აქ, როცა აქ ყოფნა არ მინდა! მაგრამ რამდენია ასეთი.

გაიგე, სად და როგორ დააკავეს შენი „შუანეთა" და მომწერე ყველაფერი, არ მინდა, რომ შენ ის დაკარგო, გალიკ!

ო ლ ი ა
[1916 წლამდე]

2

გაზაფხულის იების შემობრძანებას გილოცავ ძ ვ ი რ ფ ა ს ო გ ა ლ!

შენთან მოვედი, რათა მეხარებინა, რომ გაზაფხული ახლოსაა, რომ ლენინიზმის გამარჯვების დღე მოახლოვდა. მოვედი შენთან იმ რწმენით, რომ დღეს შენ იქნებოდი ისეთი, როგორიც უნდა იყო. გნახე კონცდრებედენებს შორის. გავიხარე, როგორც გაზაფხულის მოსვლით. და გელოდი ამ ორომტრიალში. შენზე ფიქრი ერთი წუთითაც კი არ მტოვებდა ამ თავბრუდამხვევ მუშაობაში. ჩემთვის ძალიან ახლობელი გახდა შენი ოთახი. მე მას შევეთვისე იმ ორ კვირაში. როდესაც აქ შემოვედი, შევიგრძენი საკუთარი თავი, შეგიგრძენი შენ და ისე კარგია ეს ყველაფერი, მისასალმებელი და სასიხარულო.

მოვედი შენთან, სახლში არა ხარ! ვდარდობ შენზე, ვიგრძენი, რომ მარტო ვარ, კინაღამ ავტ-რდი, დავდარდიანდი.

მივდივარ ბრძოლაში.

გკოცნი

შენი ო ლ ^ ა

როდის გნახავ? აღარაფერი არ ვიცი. ამ საღამოს ან ხვალ მოდი ჩვენთან. გელი.

არ დაგავიწყდეს, რომ პოეტი ხარ, გახსოვდეს პოეტის დანიშნულება ასეთ ვითარებაშიც.

ნახვამდის! გახსოვდეს! და გამიხსენე!

დაბნელდა კიდეც, წავედი.

ნეტავ რად გავტეხე საკუთარი თავისადმი დღეს მიცემული სიტყვა? ნახვამდის!

ცხოვრება ცეცხლმა მოიცვა, მნიშვნელოვანია ყოველი წამი. სამყაროები ტორტმანობენ, ეძიებენ, ხელებს იკაპიწებენ — ერთი, ორი, სამი ხანგრძლივი მოძრაობა და მეოთხე ზუსტი დარტყმა.

იცი, გალ, არ გამიჯავრდე, მაგრამ აღარ მინდა შენთან მოსვლა. ყველა იქეთ მიდის, საითაც მას გონება და გრძნობა ეწევა, შენც ასევე იქცევი. ახლა მომეცი უფლება, მომავალში მეც ეგეთი გავხდე.

სადღაც აკორდი შეწყდა...

ახლა ათასობით გვერდს დავწერდი სულზე, რომელსაც სოციალიზმისათვის ბრძოლა სწყურია, აგრეთვე ცეცხლოვან სიყვარულსა და მშვენიერებაზე და ბრჭყალებზე, რომელიც გულცივად აღრჩობს მათ.

მე მიყვარს აკორდი, გრიგალი და არა ნახანძრალი, ნამსხვრევები. ფერფლი ყველაფერს ედება, თავს ყველგან კარგად გრძნობს, ამას კი მე ბავშვობიდანვე გამოვუცხადე შეურიგებელი ბრძოლა, ომი.

[1917 წ. გაზაფხული]

3

გალა-კტი-ონ, გალაკტიონ, გალ!

გალ, გალ, გესმის მარადისობის ძახილი? ისე გარკვევით, ისე გარკვევით გუგუნებს მარადისობა: გალ, გალ, გალ!

გალ, წუხელის ნახე შენ „მე და ღამე"?

—ო, მე კი ვნახე, ვხედავ, ვგრძნობ, განვიცდი მოცული ვარ მისი წკრიალა აკორდებით. ვხედავთ თვალუწვდენელ მწვანე თეატრს — სახურავისა და კედლების გარეშე. მაყურებელი კი იქ მე ვარ მხოლოდ და არც არავინ არ მინდა სხვა, — თორემ მოვიხმარ შხამიან ხანჯალს...

დიახ, ისმის „მსოფლიო ორკესტრი", მსოფლიო გუგუნი, რათა ეს სიხარული, ეს მშვენიერება ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს, მაღლა ავწიოთ შხამიანი ისრები, რათა მოისპოს კაპიტალიზმის ბრჭყალები, რაც აწამებს ყველაფერს დიადს. არაფრის მაქნისი შხამიანი ობობა კოტი კარნახობს საფრანგეთის კაპიტალისტებს ძირფესვიანად მოსპონ კომუნისტური პარტია და ისინიც კაპიტალის მახვილ ბრჭყალებს ურჭობენ დიადი ცხოვრების დამცველებს. და თუ ისინი იღუპებიან, მათ სანაცვლოდ იზრდებიან უფრო მედგარი მებრძოლები, რომლებიც სისხლში ჩაახრჩობენ ყველა სახის ფოლადის, ნახშირისა და სხვათა მეფეებს.

მიმართე შენი პოლიტიკური შხამი იმათ მხარეს, თუ გსურს იხილო გენიათა შეჯიბრი, თუ არ გინდა, რომ გენიოსები უჩინარად არ დაიხოცონ ამ მეფეთა უღელქვეშ. გესმის „ნანკინელი" გენერლების მუქარა?[18] მათ ზურგს უკან კი...

დაე, ამაღლდეს ხელოვნება! გამოუცხადე ბრძოლა კაპიტალიზმს!

დიდხანს შევყურებდი შორიდან ნაძვებს. ველარ მოვითმინე და ჩავეხვიე სურნელოვან ნაძვებს. ახლახან დავბრუნდი. კოცონი გავაჩაღეთ, ცოტა დავლიეთ, ბევრი ვისაუბრეთ...

გუ'მინ 'შემთხვევით გავიცანი ერთი პოეტი. 'შორიდან ასე მეგონა, რომ იგი გაშეშებული იყო, — ისე დადიოდა. მდინარის ნაპირას კი ის სულ სხვანაირი ჩანდა თავისი დელიკატურობით.

დადის აქ კიდევ 'ერთი პოეტი — თეთრსაყელოიანი ხავერდის ხალათით, სველი თმები მას ისე ყალყზე უდგას, როგორც მამლაყინწას, მაგრამ მალე ჩამოეშვება ხოლმე, როგორც მწევარ ძაღლს ყურები.

აქ არიან ლისაშვილი და კოწია გამსახურდია — ნაცრისფერ ჩოხაში გამოწყობილი. ის მარჯვნივ და მარცხნივ ესალმება ნაცნობებს და ისეთნაირად იხრება წელში, რომ მე იგი წარმომიდგება ხოლმე ფრაკში გამოწყობილი.

ხალხი აქ ძალიან ბევრია, ღიპიანებიც და გაკნაჭულებიც. მუსიკაც უკრავს. ამინდები დიდებულია.

გალ, ამ წუთს ველაპარაკებოდი ერთს წიგნებზე და გამახსენდა, რომ 20 ივლისს კარადის ფული უნდა გადაგვეხადა — 9 მანეთი და 50 კაპიკი, ჩვენ კი არ გადაგვიხდია. საშინელებაა, წარმოგიდგენია? სასამართლოში გადამცემენ, სასწრაფოდ უნდა გამოვისყიდოთ თამასუქი, თუ გვიან არ არის, აცნობე იმათ, რომ მე სიკვდილის პირას ვიყავი და ამიტომ დამავიწყდა გადახდა. არ აჩვენო ბარგი, უთხარი ჩაკეტილია-თქო სოფელში მისი ავადმყოფობის შემდეგ. გთხოვ, ყველაფერი დაწვრილებით მაცნობო, საოცრად უსიამოვნო ისტორიაა.

იყიდე შენთვის შავი ძაფით მოქარგული საზაფხულო ხალათი და შავი შნური ან ქამარი, ჩალის ქუდი შავი ბაბთით (ღირს 5—6 მანეთი). დაისვენე, მზეზე არ იარო და არ დალიო, თუ არ გინდა, რომ შეგიჯავრო. შემისრულეს ეს, თუ გიყვარვართ მე და შენი შემოქმედება. რომელ სტადიაშია შენი წიგნის ბეჭდვა[19] და როგორ მიდის საქმე, გიწევს თუ არა ნერვიულობა? კარგად გამოსცეს? კმაყოფილი ხარ? როგორ ატარებ დროს? მოაგვარე ყველაფერი — 2—3 აგვისტომდე და ჩამოდი აუცილებლად, თუნდაც ორი კვირით, უნდა დაისვენო. აქ —

პანსიონატში — ძალიან კარგია, 20 მანეთი ღირს ოთახი დალაგებით, განათებით, წყლით, წამოიღე ლოგინი.

[1927 წ. ივლისი]

4

გალ, ძალიან ვჩქარობ ამ წერილის გადაცემას, არ მიკითხავს, მაგრამ მგონი შეიძლება, უფრო სწორად, ნამდვილად შეიძლება, 2—3 დღე რომ გაათიო აქ.

მხოლოდ საბანი უნდა წამოიღო.

პეტრე ურუშაძე ცხოვრობს და მუშაობს ბორჯომში. მოხუცი აკოპიანი ქალიშვილით აქ არის.

რატომ არ გაივლი საექიმო კომისიას?

მალე, 5—6 დღეში თბილისიდან ჩამოვა სანიტარული მატარებელი, იქ მოწყობა ადვილია.

გალ, შეიარე ჩვენებთან, გაიგე როგორ არის დედა.

მე იგი ხომ ავადმყოფი დავტოვე. გთხოვ მაცნობო, ჩამოდი, გთხოვ.

მისამართი:

ბორჯომი ყოფილი მიხაილოვის სასახლის, სანატორიუმი

ავადმყოფი ო. ს. ოკუჯავა.

[1927 წ. ივლისი]

5

ძვირფასო გალ!

გიგზავნი ამბორს, დაკოცნილს ჩემსა და ბორჯომის ნათელი დილით. ახლა პარკში ვარ მარტო, ვზივარ სკამზე, ირგვლივ კი მთელი ჰაერი გაჟღენთილია სიმწვანის სურნელებით. ჩანჩქერი, როგორც გაცოფებული პრინცესა საქორწილო ლეჩაქში, ხმაურით ეშვება თვალუწვდენელ სილრმეში. და სულელი, როგორც შენ, ბორჯომულა ცხოვრების საშინელ ზღაპრებს მიამბობს.

გავცქერი თეთრ ხიდს ბორჯომულაზე და ვფიქრობ: რა კარგი იქნებოდა, უეცრად შენ რომ გამოჩნდე იქ. ხალხი ერთიმეორის მიყოლებით გადი-გამოდის ხიდზე, ზოგს მხიარული სახე აქვს, ზოგს სევდიანი, მაგრამ არ ჩანს მათ შორის შეუპოვარი და მოწყენილი თვალები.

გალ, წუხელ საშინელი ქარიშხალი იყო: ჯერ მთები შავი ღრუბლებით დაიფარა, რომელმაც თანდათან დაბლა დაიწია და ერთ მთლიან წყვდიადად გადაიქცა, ამოვარდა ქარი. იგი, როგორც გააფთრებული ლომი, კლდეებს შორის ეხეთქებოდა და ყველაფერს გლეჯდა, აივანზე ელექტრონათურა ქანაობდა და ჩემს ბნელ ოთახში სინათლემ ავის მომასწავებლად დაიწყო ფარფატი, შემდეგ წამოვიდა კოკისპირული წვიმა და ერთმანეთში არეული ყველა ეს აკორდი ქმნიდა შურისძიების საშინელ ღამეს. თავზარდამცემი სანახაობა იყო, გეგონებოდა — ეს-ეს არის სანატორიუმს თან ჩაიტანსო.

დილას ძალიან ადრე ავდექი. დილა იყო კრიალა, წყნარი, როგორც მძიმე ტკივილების შემდეგ იცის ხოლმე გამაოგნებელი ჩაწყნარება.

განწყობილება, მართალი გითხრა, საძაგელი მაქვს... მოწყენილი ვარ... მომწერე სასწრაფოდ შენს შესახებ, ჩვენებზე, ყველაფერზე დაწვრილებით, გესმის, გალ! გაიგე, რომ მე აქ მარტო ვარ.

როცა ჩამოსვლას დააპირებ, წინა დღით შემატყობინე, გზაში შავი ხალათი ჩაიცვი, თეთრი კი თან წამოიღე, ამასთან ერთად თან იქონიე პიჯაკი ან საზაფხულო პალტო — შალიკო მოგცემს.

შვებულება როდისა გაქვს? მომწერე ყველაფერი, ყველაფერი, გკოცნი.

ო ლ ი ა.

[1927 წ. ივლისი]

6

ძვირფასო მეგობარო!

ცისფერ სალამს გიძღვნი ამ ნათელ, მშვენიერ დილას!

ახლა, როცა შენთან ყოფნა მინდა, ვზივარ, „განმარტოების კუთხეში“ და ვდარდობ. გახსოვს სკამი, მესამე წყაროსთან ფრთაგაშლილ და ნაღვლიან ნაძვის ხის ქვეშ, რომელსაც „ბაირონს“ ვეძახდით? ყველა მთვარიანი ღამე მე შენზე ოცნებას შევალიე, არავის არ ველი ამ წმინდა იდუმალებით მოცულ ღამეებში. სიყვარულის ღამეებში!!! მე ვიჩოქებდი სურნელოვან ბალახებში და შენზე ვლოცულობდი, ჩემო მშვენიერო, ჩემო იშვიათო, ჩემო ქარიშხლისებური სიყვარულის ღმერთო!

მე ისევ ვლოცულობ!

გახსოვს, როგორი სიხარულით მოგვხვია სიყვარულის მშვენიერმა ქალღმერთმა ხელი, ნაზად გაგვახვია შროშანებით მოფენილ დოლბანდში და გვიჩურჩულა: „გაჩუმდით“, ჩვენ ორივენი დავმუნჯდით, გვეშინოდა ჩვენი გრძნობების სიმების შეხებისა.

1927 წ. სექტემბერი

7

ჩემი მხურვალე სალამი შენ!

ვზივარ ქვაზე ნაძვის ქვეშ და მინდა წერილი მოგწერო, მაგრამ მხიარული მზის სხივი სიცილით მიჭყიტინებს თვალებში და წერას მიშლის. მომაშორე იგი, თორემ წერას თავს ვანებებ.

ოი, ოი, ვერაფერს ვხედავ...

სანატორიუმში სიწყნარეა, არ ისმის მხიარული საუბრები. მხოლოდ შუაღამისას, როცა კატა შემობრძანდება პალატაში და ამაყად მიირთმევს პურსა და კარაქს, მაშინ წამოიშლებიან თეთრი, მიბნედილი ლანდე-

ბი საწოლებიდან, როგორც გაავებული მიცვალებულები და ვალსს უვლიან კატასთან ერთად.

საცოდავი სანია, სულ მთლად გაქრა ჩვენი ჰორიზონტიდან. ოღონდ კი მალე, მალე გავეცალო აქაურობას, მოწყენილი ვარ.

სასადილოში, სადაც ჩვენ ასე მხიარულად ვსხდებოდით ხოლმე მრგვალ მაგიდასთან, ახლა სიცარიელეა, ზოგჯერ იქ საუზმობს მარტო ვერა, მეც იშვიათად შევიხედავ ხოლმე და ვცდილობ სასწრაფოდ გავეცალო იქაურობას, როგორც ჭირს.

წერილი მივიღე. ეხ, თუმცა მზის სხივები გავდევნე, მაგრამ მდინარე ბუტბუტებს ისე სევდიანად, რომ წერა აღარ შემიძლია.

მოგონებების ზღვაში ვიძირები.

რა გრანდიოზული, უფორმო ღია მწვანე სურათია ცისფერ ჩარჩოში, ზემოდან იგი გარშემორტყმულია მწვანე მაქმანით: შეხედეთ, შეხედეთ, როგორ გაბედულად ჭრის მას მუქი — ზურმუხტისფერი ფოჩი, რომელიც ქარგავს მომხიბვლელ საიდუმლო სახეებს. ქათქათა მანტიები ერთიმეორის თანმიმდევრობით ნარნარი მოძრაობით ქმნიან ნატიფ ჩუქურთმებს.

აუ! თეთრი მანტიები, თეთრი მანტიები მოდიან, მოდიან ურთიერთ გადახლართული, არამიწიერი ჩასაცმელით შემოსილია ზურმუხტისფერი სივრცე. იზეიმეთ, იმხიარულეთ, ადამიანებო, და შეიცანით სილამაზისა და მშვენიერების მიუწვდომელი სიმაღლეები. ვარდისფერი ძაფით მოიქარგა თეთრი მანტიები. ისინი შეკრთნენ, შეირხნენ, გაჯავრდნენ დაირცხვინეს და ჩურჩულითა და ღიმილით გაცურდნენ უხილავ სივრცეში და მხიარულმა ლიანებმა, რომლებიც საბნის ქვემოდან იყურებოდნენ, ფერებისა და ხაზების სიდიადის წინაშე ლოცვა დაიწყეს.

[1927 წ. სექტემბერი]

8

ჩემო გალ!

მე, მტრედისფერი ცა, მოცისფრო-მომწვანო ჰაერი და მჩქეფარე ბორჯომის ჩანჩქერი, რომელიც თეთრ ლეჩაქად იფრქვევა, გითვლით შენ სალამს, ალერსსა და უსასრულო კოცნას, მწველ და უძირო სიყვარულს!

იცოცხლე, იცოცხლე და იცოცხლე!

სიცოცხლე წყაროსავით მოჩქეფს, ცხოვრება ბობოქრობს თავისი შემოქმედებითი მრავალფეროვნებით. ასობით სისხლისმსმელი იმპერიალისტი ვამპირი ფეხქვეშ თელავს მილიარდობით სიცოცხლეს, ისინი თავს ესხმიან მშვენიერებას — სიცოცხლეს! ეს ბრბო ჭედს და ჭედს უამრავ მჭრელ შხამიან დანას, რათა ჩანასახშივე მოსპოს თავისუფლება, სიყვარული და შემოქმედებისადმი მისწრაფება. მაგრამ ფეხზე დგება მილიარდობით და ტრილიარდობით ჯანმაგარი მშრომელი, ახალი ცხოვრების შემოქმედი.

შენ პოეტი ხარ, დიადი, ლამაზი, მონობისაგან თავისუფალი ცხოვრებისათვის მებრძოლთა რიგებიდან. შენ მათი მეგობარი ხარ, შეუთხზე მათ საბრძოლო ლექსები! მოუხმე ხელოვნებას ნათელი ცხოვრებისაკენ, მოუხმე, მოუხმე!

აუ, გესმის შენ ჩემი ძახილი? ეს ახალი ცხოვრების შემქმნელთა ხმაა.

აუ, გაგვეპასუხე! მსოფლიო რევოლუციის ჰიმნი შეჰქმენი!

ცაზე გაიხსნა გიგანტური თეთრი ფარდა და გამოჩნდა ყვავილები, ხედავ, როგორ გვერტყმიან ისინი გარს? გალ, ჩააქსოვე შენს ლექსებში ჩემი სიყვარულის ცეცხლი და ისინი მთელ მსოფლიოს დაიპყრობენ. უნდა იწვოდე ყოველ წუთს, რომ შეინარჩუნო არა წუთიერი, არამედ მარადიული ნათება. დაიწვი, გაათბე და მოუწოდე ადამიანებს!

გალ, სატანურ ძალას ვფლობ და ძალიან მინდა მოგეხვიო, მაგრამ მეშინია, რომ ვერ გაუძლებ შენ. მიყვარ-

ხარ ცეცხლოვანი სიყვარულით, გაუფრთხილდი, არ ჩააქრო ეს ცეცხლი. ჩემი ცეცხლი ახალ სამყაროებს პირდება შენს გენიას.

მოწყენილი ვარ უშენოდ? არა, სიგიჟემდე დარდიანი! თაიგული მომართვეს ნომერში. ყვითელი ფერის ყვავილები გავანადგურე, — როგორც განშორების სიმბოლო, ხოლო ათფურცლიანი თეთრი ყვავილი — ღამის ოცნება მიიღე ჩემგან და ერთი ბოლოდან შენ მოქსოვე, მეორედან მე ვქსოვ ოცნებებს.

გული არ გაიტეხო, მე ცოცხალი ვარ!

ლენინის მავზოლეუმი ინახულე, იქ წევს ადამიანი— გენია, მებრძოლი, რომელმაც შეძრა მსოფლიო, უჩურჩულე მას, რომ დაჩაგრულთა ყველა ბორკილი დაიმსხვრა. მოინახულე მუზეუმები, თეატრი, სკვერი, ბაღი, ის ადგილები, სადაც ჩვენ ერთად ვყოფილვართ, უთხარი მათ, რომ კვლავ ვინახულებ, ნახე ის ადგილი, სადაც ოქტომბერი ქუხდა.

როგორ არის მანია, ყველგან ერთად იარეთ და უამბე მას, სად, რა და როგორ იყო ჩვენს დროს, ინახულე სახლი, სადაც უშენოდ ვცხოვრობდი.

აკოცე მანიას ჩემს მაგივრად და უთხარი, — გამხნევდეს, რამე ჩამომიტანე მოსკოვიდან — პატარა, მაგრამ მოსკოვური, შენ ხომ გახსოვს, ჩვენ გვიყვარდა დათვალიერება, სუვენირების შერჩევა — გვსიამოვნებდა ეს.

რა ძალიან მინდა თქვენთან ყოფნა...

მიყვარხარ, გალ, მიყვარს მოსკოვი, გეხვევი მაგრად, მაგრად

შ ე ნ ი ო ლ ი ა

დეპეშა მივიღე, აქ ჯიხურში შენი სურათები იყიდება. გალ, გკოცნი უსასრულოდ.

ო ლ ი ა, ბორჯომი, შრომის ქ. № 4.

შენთან ყოფნა მინდა...

[1928 წ. ივლისი]

9

ძვირფასო გალ!

გეხვევი და გკოცნი ძლიერ. სალამი, შენ, შიშველი, მზისაგან გადაბუგული კრასნოვოდსკიდან. ღმერთო, სად ჩამოვედით! ვიმგზავრეთ კასპიის ზღვით, ვზივარ ახლა მძიმე ავადმყოფი, გემზე კინაღამ მოვკვდი. კოშმარული ტანჯვა გადავიტანე, საქმე ქაფურამდე მივიდა. ძლივსა ვწერ. გალ, ბევრი რამის თქმა მინდა, მაგრამ... დღეს განვაგრძობთ გზას, მაგრამ არ ვიცი, მეყოფა ძალა თუ არა მგზავრობისათვის. დედას არ უთხრა.

ერთი ციცქნა გემით ვიმგზავრეთ, რომლითაც 26 კომისარი წაიყვანეს დასახვრეტად.

იყავი ყოჩაღად და მხნედ. მე სულის სიმტკიცე არ მაკლია, შენ იცი, ძალზე ბევრიც კი მაქვს.

გკოცნი, შენი ოლია.

[1929 წ. 27 დეკემბერი]

10

ძვირფასო გალ!*

როგორ გაგიჟებით მიყვარდა ზღვა, დღეს კი ისე ჩამოვედი გემიდან, ზღვისკენ არ მიმიხედია, ამ კოშმარის შემდეგ. ეს ყველაფერი მათი გაუსწორებელი შეცდომაა. ზღვაში გემს ყინულის გაჭრა და ისე სვლა უწევდა.

გალ, გავიგებ თუ არა, რომელ ქალაქში ვიქნები, იმ წამშივე მისამართს შეგატყობინებ. ახლა სამარყანდში მივყავართ, იქ კი, დარწმუნებულები ვართ, სხვადასხვა ქალაქებში გაგვანაწილებენ.

* 9—14 წერილები გამოგზავნილია შუა აზიიდან.

გესმის, გალ, ყველაფერს გადავიტანთ, ცოცხლები ჩამოვალთ!

გკოცნი, გკოცნი შენი ოლია.

1929 წ.

28 დეკემბერი

11

ძვირფასო გალ! ჩემი მზიური სალამი, შენ!

გუშინ ღამით გავიარეთ მკვდარი უდაბნო, სადაც ალმართულია მემორიალური დაფა წარწერით. წარწერა იუწყება 26 კომისრის დახვრეტის უდიდეს ტრაგედიას. შემზარა, ამეშალა სევდიანი ფიქრები. მესმოდა დასჯილთა ყვირილი, ჯალათებისადმი მიმართული წყევლა-კრულვა.

მატარებელი ნელა მიდიოდა. დილა იყო ბრწყინვალე. ირგვლივ კი მზის უხვ სხივებში ჩაფლული ტრამალები, ტრამალები. აქა-იქ თეთრად მიფრქვეული თოვლი მოჩანდა, მათ უკან კი — ლურჯი, ლურჯი შორეთი. ბეშმეთები, ყვრიმალებიანი უფერული სახეებითა და ვეებერთელა ცხვრის ტყავის ქუდებით, პატარა თეთრი და რუხი ქოხები — სწორსახურავიანი ყუთები...

ვუახლოვდებით აშხაბადს... ჩვენი ამხანაგები ცხოვრობენ აქ, მაგრამ მისამართები...

შეხედე, შეხედე, გალ, რამდენი აქლემია, როგორ გულგრილად, ნელა მიაბიჯებენ.

სევდა, სევდა...

არსად კულტურა, არსად ტექნიკა. ო, კიდევ რამდენი გარჯაა საჭირო, თითქოს ამ მხარეში საბჭოთა ხელისუფლებას არც კი შემოუხედავს. ხვალ საღამოს სამარყანდში ვიქნებით, შემდეგ კი — ვინ იცის!

ძვირფასო გალ, გკოცნი, გკოცნი, გკოცნი! გამოვიდა შენი წიგნი? თავს როგორ გრძნობ? როგორ ხასიათზე ხარ? გალ, მეშინია! ვაი თუ სვამ! გალ, ნუ იზამ მაგას, ამჯერად მაინც. გალ, გემუდარები! ხომ არ შიმში-

ლობ? თუ რამეს მიიღებ, ისე გაანაწილე, ცოტა ხანს მაინც ირჩინო თავი. ცოტა ფული რომ გქონოდა, ჩემთან ჩამოხვიდოდი.

მივემგზავრები, მივემგზავრები სულ შორს და შორს შენგან...

გკოცნი, შ ე ნ ი ო ლ ი ა.

[1929 წ.] 29 დეკემბერი

12

ე ი, გ ა ლ, გ ა ლ!

მივდივარ, მივემგზავრები სულ შორს და შორს შენგან. ვწერ და იმეორებს ჩემს სიტყვებს მატარებელი.

სალამი უდაბნოდან! გკოცნი ძლიერ.

გალ, ვუახლოვდები ქალაქ ჩარჯოუს. გალ, გალ! როგორ ძალიან მინდა, რომ ახლა აქ იყო, ირგვლივ ქვიშაა, ქვიშა და ქვიშა, მაგრამ რა ლამაზია, გალ! გოფრირებული ქვიშა, გესმის? თითქოს ვიღაცას დაულაგებია ნაზად, ტალღისებურად. ზემოდან მსუბუქად დაუკრავს განთიადის ყინვას და გოფრეზე ბრილიანტები ბრწყინავენ.

ოი, რა ლამაზია! გკოცნი.

აი ჩარჯოუც. ჭრელ-ჭრული ბეშმეთები. ვაგონში შემოიტანეს გაყინული წითელი ვაშლები და ადუღებული წყალი.

4° ყინვაა. აი მდინარე ამუდარიაც, — ვეებერთელაა, ამაყად გადაწოლილა სავარძელში, იგი მთლიანად ყინვითაა დაფარული. დალახვროს ღმერთმა, ვიფიქრებდი კი — ამუდარიას რომ ვნახავდი? ახლა გადავდივართ ვეებერთელა, შესანიშნავ ხიდზე, რომელიც ამუ-დარიაზეა გადებული. იგი 1 და 3/4 ვერსი სიგრძისაა, გესმის, თითქმის 2 ვერსი.

გალ, გალ! გალ, თვალუწვდენელი ველებია, აქა-იქ ერთი ციცქნა ყვითელი ბუჩქები მოჩანს, საერთოდ ყველაფერს ყვითელი ფერი დაჰკრავს.

უსაყვარლესო, ყვითელო, ვარსკვლავებიანო აზია! დასცხე დაფდაფს და იმღერე!

გალ, შეხედე, როგორი სახლებია: თიხისაგან შელესილი, შეთეთრებული ოთხკუთხა პატარა ყუთები, ნუთუ იქ შეიძლება მოთავსდეს თუნდაც ერთი კაცი?

როგორ მინდა შევიხედო შიგ. მოდი, დავთვალიეროთ. ხა, ხა, ვაი, რომ ვერ დამეწევი შენ.

ცოტა მოვიწყინე, ცრემლი მახრჩობს, ერთი წუთით გავალ ტუალეტში, ტირილი მინდა და იქ ვიტირებ. აჰა, გალ, ცოტა მომეშვა გულზე. ძვირფასო გალ, წაიყვანე ხოლმე ხანდისხან მაშა და ვასია კინოში, როგორ მებრალება ჩემი საცოდავი დედა და შეწუხებული ძვირფასი პატარა ვასია. ცრემლები მახრჩობს, გალ, კიდევ უნდა გავიქცე და ცოტა მაინც ვიტირო.

კვირაში ორჯერ წერილი უნდა მომწერო, თორემ მე სულ არ მოგწერ. ხომ უამრავ წერილებს გწერ გზიდან!

თუ ფული გექნება, ხომ ჩამოხვალ ჩემთან, გალ? იქნებ სახალხო განათლების კომისარიატმა ლიტერი მოგცეს, ბოლოს და ბოლოს რა გიუკეთებიათ შენთვის, როგორც პოეტისათვის?

რატომ იკავებ თავს, გალ, ვის ერიდები?

მალე ახალ ბუხარაში ვიქნებით, და დამთავრდება თურქმენეთი, დაიწყება უზბეკეთი.

გკოცნი ძლიერ, ძლიერ შ ე ნ ი ო ლ ი ა.

1929 წ. 30 დეკემბერი

13

ძ ვ ი რ ფ ა ს ო გ ა ლ!

სალამი შენ ლაჟვარდოვანი ცის ქვეყნიდან!

ჯერჯერობით მომწერე წერილები ასეთი მისამართით: სამარყანდი, ლენინის № 58 — მე.

გზიდან ბევრი წერილი გამოგიგზავნე. მიიღე თუ არა? მე იქ აღვწერე გზა, რომლითაც ვიმგზავრეთ.

შენგან ყოველ კვირას მივიღებ წერილს, ხომ? იყავი მუდამ ყოჩაღად და მხნედ.

გკოცნი, შენი ოლია.

მაცნობე დეპეშით შენი ჯანმრთელობის ამბავი.

1930 წ. 7 იანვარი

14

ძვირფასო გალ, მხურვალე სალამი უზბეკეთიდან!

ბაქოდან მოყოლებული უამრავი წერილი გამოგიგზავნეთ ყველას. ნეტავ თუ მიიღეთ? საქმე ისაა, რომ პასუხი არავისაგან არ მიმიღია. ორჯერ მივიღე ფული დედისგან, დეპეშები კი — შენგან, დედისაგან და მაშასაგან.

გეხვეწებით: მომწერეთ, მომწერეთ, მომწერეთ!

არაფერი არ ვიცი თქვენს შესახებ და ძალიან ვღელავ. ამ წერილს ვწერ ნაჩქარევად, ფოსტიდან. თუ კიდევ ვერ მივიღებ პასუხს, აღარ მოგწერთ, სამუდამოდ დავდუმდები, ან...

ყინვები უკვე გატყდა, შუა თებერვლიდან გაზაფხული დაიწყება. ამბობენ, აქ გაზაფხულობით უამრავი მშვენიერი ყვავილი იცისო.

უზბეკების უმრავლესობა ცხენის ბეწვისაგან მოქსოვილ შავ ჩადრს ატარებს, რომელიც მათ საზარლად დასთრევთ, როგორც ოთხკუთხა შავი ფარები. ყველანი ჭრელ ჩალმებსა და გრძელ ჭრელა-ჭრელა ხალათებში გამოწყობილნი სეირნობენ, დადიან, დარბიან.

აქ უამრავი აქლემია. გუშინ შევნიშნე ერთი აქლემი, რომელიც საოცრად გგავდა შენ, მე მას „გალა-პოეტი“ შევარქვი.

ძველი ქალაქი საინტერესოა თავისი ჭრელი მოხატულობა-მოზაიკით და ასე შემდეგ. ბევრი რამ არის აქ

საინტერესო. ჩამოდი, აუცილებლად! თუნდაც მცირე ხნით, თუ გინდა შექმნა ძველ და ახალ მოზაიკასავით ფერადსახოვანი პოეზია. მიატოვე ყველაფერი და ჩამოდი მრავალფეროვნებით განიახლე თავი შენი. გინდა? მაშ, — აიღე ქაღალდები, ხელნაწერები, ლოგინი, ჩემოდანში ჩაალაგე თეთრეული და გამოფრინდი.

აბესალომსა და დედაშენს დეპეშა და წერილი გავუგზავნე. მალე ცალკე ოთახი მექნება (ორკაციანი). რაც შეეხება ჩვენს ოთახს, სახლმმართველს უთხარი, რომ დროებით მიდიხარ ავადმყოფ ცოლთან, რომელიც რამდენიმე დღით გაემგზავრა და მძიმე ავად გახდა. ეს იმიტომ, რომ ოთახი არავინ მიითვისოს. ხომ იცი, ადამიანები ზოგჯერ როგორები არიან. ჩაკეტე ყველა ხელნაწერი კარადაში და ოთახისა და კარადის გასაღებები დედას ჩააბარე. ორმოცდაათ მანეთს საიდანაც ღებულობდი, თუ კიდევ გაძლევენ, დაუტოვე განცხადება დაწესებულებას და აქ გადმოგიგზავნიან.

აუცილებლად წამოიღე შენი ძველი და ახალი ნაწერები, დედის ფოტოსურათები, შენიც, თავად უკეთ იცი! თუ ფული სადმე გერგება, წამოიღე. კოლიას ჩამოუტანე ცოლის წერილი — ოჯახური ხასიათისა, აგრეთვე დანარჩენებსაც, ვინც აქ არიან, და, რა თქმა უნდა, მეც.

ლიტერს მოგცემს სახელგამი, როგორც პოეტს, და ვალდებულები არიან მოგცენ ფულიც, რათა საშუალება გქონდეს ასე თუ ისე გაეცნო შუა აზიის ცხოვრებას. ეს მათი მოვალეობაა, მარტო ქება-დიდება და ლამაზი სიტყვები არ კმარა.

წერილის მიღებისთანავე შეუდექი თადარიგს, იცოდე, უნდა წამოხვიდე და სწრაფად იმოქმედე. მე კი ვერავითარი ქარიშხალი ვერ გამტეხს, სალ კლდეზე მაგარი ვარ. ეს იცოდე, გალ! ჩემი უზომო წყურვილია, ჩამოხვიდე! შენი? მაშ მოემზადე! არ დააყოვნო, იყავ ფხიზელი და მტკიცე! იყავ კეთილსინდისიერი! — საუკუნენი ღაღადებენ და გავალდებულებენ ამას.

ასე მგონია, სადაც არის, გაიღება კარი და შენ შემოხვალ. გეხვევი და ძლიერ გკოცნი, გკოცნი უსასრულოდ ბევრს.

რამდენი მშფოთვარე ფიქრები მიტრიალებს თავში.

პასუხი სასწრაფოდ მომწერე, მაშინვე გიპასუხებ, თუ საჭირო იქნება, დეპეშასაც გამოვგზავნი.

მომწერე დაწვრილებით ყველას შესახებ, როგორ ცხოვრობენ? ძალიან ვწუხვარ დედაზე. მიხედეთ, რამდენს ეწამა და ახლაც როგორ იტანჯება.

გკოცნით ძლიერ, ძლიერ, ყველას

შენი ოლია

1930 წ.
2 თებერვალი

ახლა დედას ორი წერილი გავუგზავნე.

15

ძვირფასო გალ!*

მაშ ასე, შენ იცი, რომ 23 მარტს მე ჩამოვედი ყარასუბაზარში. ყარასუბაზარი რაიონული ცენტრია. აქვს ერთადერთი მთავარი ქუჩა, რომელიც მთელ სიგრძეზე გასდევს მას. ამ ქუჩაზეა განლაგებული ყველა ორგანიზაცია — დაწესებულება. მთავარი ქუჩის ირგვლივ ვიწრო, მოკლე შესახვევებში მიმოფანტულია პატარა, პატარა ქვის სახლები, ქვისავე ღობეებით (თათრული სტილი), ყველა სახლი და ღობე ღია ფერადაა შეღებილი, სჭარბობს თეთრი ფერი, არის ცისფერებიც. ამ ღობეების მიღმა, სახლებში — ცხოვრებაა, მაგრამ როგორი! ჯერ მოითმინე, ნუ ჩქარობ, მე ჯერ კიდევ ვერ მოვასწარი შემეხედა ყველგან. ამ იდეალური სახლების ირგვლივ გადაჭიმულია მწვანე მინდვრები, მათ უკან კი მეურნეობის დიდი ხილის ბაღები, იმათ მიღმა ცისფერი მთებია. გამოხვალ მდელოზე და გეჩვენება, რომ ზღვის ნაპირას დგახარ, ჰაერი ისეთი გამჭვირვალეა და ლაჟვარ-

* წერილი გამოგზავნილია სიმფეროპოლიდან, სადაც ოლია ავადმყოფობის გამო დასასვენებლად იყო წასული.

დოვანი, როგორც მხოლოდ ზღვაზე იცის მოწმენდილ ამინდში, მაგრამ, როცა ღრუბლიანი დღეა, მაშინ ყველაფერს ფარავს ნისლი, გვშორდებიან მინდვრები და მთები.

აქ ძალიან ბევრი სინათლეა: ზემოდან მტრედის ფერი ცა, დაბლა თეთრი მიწა და ღიაფერის სახლები, ყველაფერი ეს ერთმანეთს ერწყმის და გამოასხივებს ძალიან ძლიერ შუქს.

აქ რამდენიმე კოოპერატივია, არის სასადილო.

სადილი პურითა და ორი თავი საშმელით ღირს 60 კაპიკი — ეს ხორციანი, უხორცო — 50 კაპიკი. მე ნახევარი სადილი მყოფნის, ხომ იცი, როგორ ვჭამ, მით უმეტეს ახლა სულ არა მაქვს მადა. არის საკონდიტროც — ჭიქა ჩაი 6 კაპ. ღირს და კიდევ რაც გსურს მიირთვი, რა თქმა უნდა, საფასურით, პურის მსგავსი ფუნთუშა, ფრანგული ფუნთუშისოდენა — 10 კაპიკი. ჩვეულებრივი ფუნთუშა — 12 კაპიკი... კვერცხი ათი ცალი 80 კაპიკი, კარაქი 2 მან. და 30 კაპიკი, ან 2 მანეთია. კარაქი და კვერცხი, რა თქმა უნდა, არა კოპერატივში, არამედ კერძო ბაზარზე. კვირაში სამჯერ ბაზრობაა, ჩემგან ახლოსაა ბაზარი. იქ იყიდება ყველაფერი. ისე დიდი კრიზისია. ხორცი ძალიან იშვიათად არის, წიგნაკებით იძლევიან დღეში 3/4 გირვანქა პურს, 1 გირვანქა შაქარს (თვეში), მეოთხედი გირვანქა ხორცი სულზე, როცა არის — მაგრამ ამბობენ წარმოუდგენლად დიდი რიგებიაო, ნავთი იშოვება, მანუფაქტურა სრულებით არ ჩანს. ერთ და ორ სულს კიდევ არა უშავს, მაგრამ, ვისაც დიდი ოჯახი აქვს, უჭირთ.

ეს მეხილეობის რაიონია, მაგრამ ახლა ხილი სრულებით არ არის. ზაფხულობით ხალხი მთლიანად გასულია მინდვრებში და ხილის ბაღებში.

ამბობენ ის მშვენიერი ადგილიაო. ეს ჩემგან სულ ახლოს არის, მაგრამ მარტო ხომ არ წავალ? აი შენ თუ ჩამოხვალ, ძალიან კარგი იქნება. წავიღებთ თან საუზმეს, წიგნებს, ქაღალდებსა და ფანქარს და გავალთ ბუნების წიაღში, მალე დაიწყება ნათელი მთვარიანი ღამეები, თუ

ჩამოხვალ, კარგია, საშუალება მექნება, მუდამ სუფთა ჰაერზე ვიყო, ისე კი სულ ოთახში ყოფნა მიწევს. აქ არავინ ამხანაგი არა მყავს.

კინოსათვის აქ კარგი შენობაა გამოყოფილი და ფილმებსაც უჩვენებენ, ეს მე აფიშებიდან ვიცი, მე თვითონ ჯერ არცერთი სურათი არ მინახავს.

აქ ყოველ წუთს დაშლიგინობენ ავტობუსები სიმფეროპოლიდან და ყირიმის სხვა ადგილებიდან. უამრავი ხალხი ჩამოდის და მიემგზავრება. ასე რომ, აქედან შენ შეგიძლია დაათვალიერო მთელი ყირიმი.

მალე აყვავდება ხეები. ჩემი ფანჯარა ყვავილებითა და ხეებით დამშვენებულ ბაღჩას გადაჰყურებს. იქვე ძაღლი აბია, რომელიც პირველი ორი დღის განმავლობაში საშინლად მიყეფდა, იწევდა ჩემზე. მე მას პურს ვაჭმევდი და უკვე მომეჩვია (სამი დღეა, რაც აქ ვცხოვრობ). აქამდე ნომერში ვცხოვრობდი. ნომერი „გლეხის სახლში", რომელშიაც მე ვცხოვრობდი, ღირდა მანეთი და 25 კაპიკი. ამჟამად კერძო ბინაზე ვარ, ერთი ოთახი მიჭირავს, იატაკი შეღებილია, კედლები სუფთა, თეთრი, დგას კარადა — გარდერობი, სკამები, სუფრაგადაფარებული მაგიდა, დიდი დივანი, რომელზედაც ერთი ადამიანი თავისუფლად დაიძინებს, საწოლნახევრიანი საწოლი, სუფთა ლეიბით, ბაღლინჯოები სრულებით არ არის. ამ სახლში ვცხოვრობთ მე და სახლის პატრონი ცოლით, ისინი 70 წელს არიან მიღწეულები. მათ ორი ოთახი უკავიათ, მე მესამე. სახლი, რა თქმა უნდა, ერთსართულიანია, როგორც ყველა სახლი აქ. სახლის პატრონებს ორი მეწველი ძროხა ჰყავთ. დილით და საღამოთი მაძლევენ ადუღებულ ცხელ წყალს. ყოველივე ამაში ვიხდი 8 მანეთს. თავის დაბანა და სადილის მოხარშვაც შეიძლება, ძალიან კარგი მოხუცები არიან. აქვე ჩვენგან ახლოს აბანოც არის, ნომერი ღირს 1 მანეთი., საერთოში კი — 35 კაპ. 3 საათისათვის ხალხი სულ არ არის და მისვლისთანავე შეიძლება ბანაობა. მე ყოველკვირა დავდივარ საერთოში, თვეში აბანო (4 ჯერ) მიჯდება 1 მანეთი და 40 კაპიკი. აბანო ხომ აუცილებელია.

ასე რომ, რაც გერგება თანხა, დაუტოვე მისამართი და აქ გადმოგიგზავნონ, უთხარი — მეუღლე ავად არის და მივდივარ-თქო რამდენიმე თვით, იმათი მისამართიც წამოიღე, ყოველი შემთხვევისათვის.

ლეიბი არ გინდა, წამოიღე ბალიში, ზეწარი — ლოგინის გადასაფარებელი და ბამბის საბანი. ეს ყველაფერი ზეწარში შეახვიე, იყიდე ტყავის თასმა (ღირს 2—3 მანეთი) და იმით შეკარი. ტყავის ჩემოდანში ჩააწყვე მთლიანად შენი თეთრეული — სუფთაც და გასარეცხიც, აგრეთვე ტანისამოსი, წამოიღე კალოშები, ქუდი, პალტო, თუ ზაფხულისა არ გიყიდია, მაშინ ზამთრის, თუ იყიდე, მაშინ საზაფხულო პალტო წამოიღე, ზამთრის პალტო დედასთან დატოვე, ის ნაფტალინში ჩადებს. იყიდე შენთვის ჩალის ქუდი შავი ლენტით (ღირს 4 მანეთი და 50 კაპიკი, თუ 5 მანეთი) და ჩემოდნით წამოიღე, გზაში კი კეპკიანი ქუდი დაიხურე.

აქ არავითარი ფოტოსურათები არა მაქვს, წამოიღე შენი სურათი, ჩემს საწოლთან რომ ეკიდა, ფრთხილად შეახვიე თეთრეულში, რომ არ დატყდეს და ჩადე ჩემოდანში, წამოიღე აგრეთვე დედას, მიშას, ვასიას და ყველას სურათები, ვისიც კი არის მანდ.

წამოიღე შენი წიგნი „ეპოქა“ და სხვები, იცი, აქ არცერთი არა მაქვს. გარდა ამისა, დედა მოგცემს ჩემს ტილოს ჟაკეტს და ცისფერ კუბოკრულ კაბას. უთხარი სახლმმართველს, რომ მეუღლე ავად არის და იმასთან მიდიხარ, რომ ოთახს ხელი არავინ ახლოს, გადაიხადე გადასახადები, თუ გაქვს გადასახდელი. უთხარი 2—3 თვით მივდივარ-თქო, მერე ვნახოთ.

დედას უთხარი, მოძებნოს ის ქალი, ერთხელ ჩვენი ოთახი რომ დავალაგებინე, და ის დაალაგებს, ყველაფერი ასე სუფთად დატოვე. ოთახის გასაღები დედას მიეცი და იქნებ ზოგჯერ შეიარონ — გრიშამ, კოტიკომ, რომ არავინ შევიდეს ბინაში. გასაღები მხოლოდ დედას მიეცი, მეზობლებს კი უთხარი, რომ რამდენიმე ხნით მიდიხარ.

ხელნაწერები, რომლებიც დასაბეჭდად უნდა გამზადდეს, აქ ჩამოიტანე, ჩემოდანში ჩააწყვე. ყველა დანარჩენი ხელნაწერი კარადაში ჩაკეტე, იმის გასაღებიც დედას მიეცი. დახურე დარაბები, ტანისამოსის ჯაგრისი წამოიღე, მაკრატელი მაქვს აქ. იყიდე შავი ძაფით მოქარგული ტილოს ხალათი — 6 მანეთი ღირს მაღაზიაში, 2 ცალი იყიდე თუ ფული გექნება, ორი ხელი თეთრეულიც იყიდე, თუ ძველებიდან რომელიმე დახეულია. ჭუჭყიანი თეთრეული მთლიანად წამოიღე, აქ გავრეცხავ.

ჟურნალების რედაქციებს მოელაპარაკე, რომ აქედან გაუგზავნი მასალებს, ჰონორარიც აქ გადმოგიგზავნონ. თუ ჯანმრთელობა საშუალებას მომცემს, მეც დავწერ (ფსევდონიმით).

კიდევ: ნარკომპროსი ვალდებულია მოგცეს ასპროცენტიანი ლიტერი, იყიდე პლაცკარტი, ეცადე ჩქარი მატარებლის ბილეთი აიღო. ბილეთი უნდა იყოს — თბილისი-მოსკოვი-სიმფეროპოლი. მოსკოვამდე პირდაპირი მატარებლით ჩახვალ. მოსკოვში გაიგე, რამდენ ხანს გაჩერდება მატარებელი, იქნებ მოასწრო მანიას და სხვების ნახვა, მოსკოვიდან სიმფეროპოლამდე ორი დღის სავალია, სიმფეროპოლში არის ლენინგრადისა და მოსკოვის ნომრები (მე ლენინგრადისაში ვიყავი № 13-ში, აიღეს 4 მანეთი დღე-ღამეში), იქ დაისვენებ მეორე დილამდე, დაიჭერ (ღია) ეტლს სასტუმრომდე (ღირს 50—60 კაპიკი), მეორე დღეს ჩაჯდები ავტობუსში და ერთ საათში აქ იქნები. მაცნობე დეპეშით მოსკოვიდან და სიმფეროპოლიდან გამოსვლის დღე, ავტობუსი „გლეხის სახლთან“ ჩერდება და მეც იქ დაგხვდები, ჩემი ბინის მისამართი ასეთია: ყირიმი, ყარასუბაზარი, წითელარმიელის II შესახვევი, სახლი № 18 ნაკრაშევიჩი პ. ი. — მე.

გამოიწერე „კომუნისტი“. გადაიხადე მანეთი და აქ გადმოგიგზავნიან. ჟურნალები „მნათობი“ და სხვა უფასოდ გეკუთვნის, დაუტოვე იმათაც მისამართი.

ყველა წიგნი და ხელნაწერი კი დათიკო კ-ის კარადაში ჩაკეტე. თუ გკითხონ მიზეზი, პირდაპირ უთხარი, რომ მე ავადა ვარ და აქ მარტო ვარ. ნუთუ არ მოგცემენ ფულს, როგორც ექსკურსანტს, დამსახურებულ პოეტს, შენ პირდაპირ დაუყენე საკითხი.

მოკლედ ასე, გალკ! მე მგონია შენ უკვე გზაში ხარ და უახლოვდები სიმფეროპოლს, აქედან ავტობუსით შენ შეგიძლია დაათვალიერო მთელი ყირიმი. როცა ჩამოხვალ, ყველაფერს გიამბობ. გკოცნი, მაგრად. მაგრად

ოლია.

როგორ არიან ჩვენები, მაცნობე წერილის მიღებისანავე.

ნახვამდის.

ოლია

გკოცნი კვლავ.

1931 წ., მარტი

16

სალამი გალ!*

მაპატიე, გუშინ ვერ მოვედი, ტრამვაის ბრალია, ორ საათს ველოდე, ღონე გამომელია.

დღეს აქა ვარ. გელოდები, შენ არ ჩანხარ. ხვალ ვერ მოვალ, რადგან დილით მანია მიემგზავრება, ზუსტად ჯერ არ ვიცით, რომელ საათზე, რადგან დღეს უნდა გასულიყო მატარებელი, მაგრამ ხვალამდე აგვიანებს, ვფიქრობ, ხვალ დილის 10 ან 11 საათისათვის გავა და მერე მოვალ შენთან. 14-ში კი ქალს მოვიყვან და ჩვენს ბინას საფუძვლიანად დავალაგებთ. მოდი პასკევიჩზე,

* იმის გამო, რომ ოლია მშობლიურ მზრუნველობას უწევდა თავის უმცროს ძმას — ვასიას და ზრუნავდა ავადმყოფ დედაზე, მას ხშირად უხდებოდა ღამის გათევა დედასთან. ამ ფაქტს ასახავს მე-16, 28-ე წერილები.

ფარდები დასარეცხად წავიღე, 14-ში ყველაფერი დალაგებული იქნება.

რაღაც ვერა ვარ კარგად.

5 საათი და 20 წუთი

1932 წ.
12 ოქტომბერი

17

ჩემო ძვირფასო გალ!

მოთმინება გამომელია. სადა ხარ? ძალიან ძნელია უშენობა, გალ! ტკივილებამდე ძნელია! ცრემლებს ძლივს ვიკავებ. თურმე, როგორ უგონოდ მყვარებიხარ, ჩემო გალ! გკოცნი, უსასრულოდ... მე შენი მკერდი ცრემლით დავნამე, გალ, მინდა, ძლიერ, ძლიერ მინდა ჩაგეკონო, ისე ძლიერ, რომ...

მივდივარ დედასთან ღამის გასათევად. საშინლად მიმძიმს, გული მტკივა, გალ!

დღეს მთელი დღე სახლში ვიყავი, მოვაწესრიგე ერთი შეკვრა ხელნაწერები და რა ქაოსი სუფევდა იქ, რომ იცოდე, გალ. ვთარგმნიდი ლექსებს. თუ, შემთხვევით, ჩამოხვალ ამ საღამოს, დედასთან წამოდი, მერე ერთად დავბრუნდებით შინ.

გალ, მოლოდინად ვიქეცი. ერთი ადგილზე ვეღარ ვისვენებ. გკოცნი თავდავიწყებით, გალ!

ჩანს, ბევრი ახალი ამბავია მანდეთ და, თუ არ არის ახალი ამბები, არა უშავს, ჩამოიტანე მხოლოდ შენი ხალისიანი სული, რომელმაც იხილა შავიზღვისპირეთი, მშობლიური სოფელი და ტროპიკული მცენარეები.

წავედი. საღამოს 8 საათია.

1934 წ., 6 მარტი

ახლა აქ მე და შენ ვართ.

ნახვამდის!

ძვირფასო გალ, შენ კვლავ არ ჩანხარ, რა მოხდა? არ ვიცი, რა ვიფიქრო? —

7 მარტი

18

გალ!

წავედი თელასში მრიცხველის თაობაზე და ნათურების საყიდლად, მალე მოვალ.

დაიწყე მუშაობა მოხსენებაზე, არ შეიძლება ამ საქმის გადადება, გთხოვ.

შენი ოლია

1935 წ.

15 აგვისტო

19*

ძვირფასო გალ!

სალამი შენ! დღეს დიდებული მზე იყო. გაზაფხულის ნიშანია, იგრძნობა მისი სუნთქვა. გილოცავ... მოვედი შენთან, სამწუხაროა, რომ შინ არ დამხვდი.

ცხოვრების აუცილებელი პროზა: მოვიყვანე შენავთე და 20 გირვანქა ვიყიდე, რათა შენ გქონდეს სანათლე და სითბო. აივანზე ყველა ბოთლი დავავსე. ლამფა და ნავთის ქურა გავწმინდე. ტრამვაის ფულიდა მაქვს. დაგიტოვებდი, რომ მქონოდა, პურსა და რაიმეს იყიდდი.

სხდომაზე მეჩქარება. თუ მოვასწრებ, კიდევ მოვალ, თუ არა და ხვალ დილითვე დაგირეკავ, პირველი ზარი 9 საათზე იქნება. 4 საათისათვის მოდი ჩემთან. სამსახურში, თუ იქნები იმ რაიონში, თუ სახლში იქნები, მე მოვალ. ერთად ვისადილოთ და კინოში წავიდეთ.

გკოცნი უსასრულოდ ბევრს
თბილა, თბილა ჩვენს აივანზე.

შენი ოლია

15 თებერვალი

---

* 19—28 წერილებს წლები არა აქვს მითითებული, როგორც შინაარსიდან ჩანს, ისინი 1937 წლამდეა დაწერილი, ამიტომ მათ 1937 წლით დათარიღებული წერილების წინ ვათავსებთ.

20

გალ, სალამი!

სად წახვედი ასე ადრიანად? ალბათ, საათმა მოგატყუა — წინ იყო. შემოიარე ჩემთან სამსახურში, გელი. გაზაფხულმა დაჰქროლა.

შენი ოლია.

26 იანვარი

21

ძვირფასო გალ!

შენ არ მოხვედი ჩემთან, ვიფიქრე, პროფკავშირებთან შემხვდებოდი, არც იქ მოხვედი, მრვედი სახლში, ვერც აქ გნახე. ალბათ ფული მიიღე და გაინავარდე. კანფეტი მოვიტანე ჩაისთვის და პაპიროსი. გავრეცხე და მივალაგე ზოგ რამ, თუ ადრე მოხვალ, დამირეკე და მოვალ. მეც დავრეკავ, ხვალ დასვენების დღე მაქვს, წავიდეთ იქ, ხვალ დამირეკავ, თუ დღეს ადრე არ მოხვედი.

გკოცნი ძლიერ. შენი ოლია.

22

გალ!

პირველი საათისთვის გზად შემოვიარე, სალამოს მოვალ.

სურათები მოგეწონა?

13 იანვარი

23

ძვირფასო გალ!

მე ლექციის შემდეგ მოვალ. 10 საათზე ვამთავრებთ, შემოიარე მეორე სართულზე სასამართლოს შენობაში, № 5 ოთახში, სასამართლოს ქუჩაზე.

ყოველი 40 წუთის შემდეგ ჩვენ შესვენება გვაქვს. მე ისე ვდარდობდი შენზე, ავად ხომ არა ხარ?

გკოცნი ძლიერ. ოლია.

23 აპრილი

24

გალ!

გამოცდაზე მივდივარ. ვაბარებ პოლიტიკასა და საბჭოთა ვაჭრობას. გამოცდა 5 საათზე დაიწყება. ვფიქრობ, 8 საათისათვის სახლში ვიქნები, შენც გათავისუფლდები თუ არა, მოდი სახლში და კინოში წავიდეთ.

გალ, რა ეშმაკი ხარ, პაპიროსის ფული რომ არ დამიტოვე, იცი — ვინერვიულებდი და პაპიროსი მომინდებოდა, მაგრამ არაუშავს, ვინმეს გამოვართმევ.

25

ყოჩაღად იყავი!

ძვირფასო გალ, მაწონი ჭამე და დაიძინე, მე შვიდ საათზე, თუ უფრო ადრე არა, შენთან ვიქნები.

ნახვამდის, გკოცნი, ოლია.

როგორ მოვიწყინე, სადა ხარ, გელი, გალ!

ორღანი „სტენკა რაზინს“ უკრავს და ვიღაც მღერის დაქანცული ხმით, ირგვლივ სიწყნარეა, სიწყნარე, არავინ არის. ტირილი მინდა. გავდივარ ქუჩაში.

26

შუადღე მშვიდობისა, ძვირფასო გალ!

მგონი, მანია ჩამოვიდა, მე მასთან მივდივარ, შენც იქ მოდი და საღამოს ერთად დავბრუნდებით. მით უმეტეს, რომ სადარბაზოს გასაღები არა მაქვს, დღესაც ძლივს შემოვედი ოთახში. აქ კარგი ღვინო ვერ ვიშოვე, იქიდან წამოვიღოთ.

გელოდები!

წავედი საღამოს 7 საათზე.

23 იანვარი

27

დავბრუნდი დილის 11 საათზე. შენ კვლავ არ დამხვდი, შუაღამე გადავიდა, შენ ისევ არ ჩანხარ. გატაცებით ვაკეთებ შენი ლექსების პწკარედს და მესმის საკუთარი გულის ცემა. ღამის სამი საათია, 4 საათია, შენ კი ისევ არ ჩანხარ. შუშაბანდში შუქი ავანთე. ჩემი განწყობილების შესაბამისად ვარჩევ და ვაკეთებ შენი ლექსების ბწკარედებს. — სატანისებური ძალა მაქვს, დაუფერფლავი!

ვწერ. არ მეძინება. მძიმე ფიქრთა მირიადები. უსასრულო ტანჯვა შენს გამო. ვწერ. მაგიდასთან დამათენდა, შენ კი არ ჩანხარ. სად გეძებო? ვწერ. დილის 4 საათზე მივდივარ სახეტიალოდ, უჩუმრად, შენს საძებნელად...

24 იანვარი

28

ძვირფასო გალ!

გკოცნი, ძლიერ, ძლიერ.

ჩვენ, როგორც ვატყობ, ვერასოდეს მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას ისე, რომ თავი განმარტოვებით ვიგრ-

ძნოთ. ეს მუდმივი შიში იმის გამო, რომ ვილაცა გვითვალთვალებს, ყოველთვის იგრძნობა... ხედავ წერილის წერაც კი არ შეიძლება მოწმის გარეშე... გალ, ხვალ აუცილებლად დამირეკე.

ძალიან მინდა, დიდი სურვილი მაქვს — ახლა შენთან ვიყო.

გკოცნი, ძლიერ, ძლიერ.

მ ე.

29

ძვირფას გალაკტიონს ჩემი სალამი!

კონსტიტუციის დღეს გილოცავ! გალ, ჩემი პირველი წერილი, შესაძლოა ახლახან მიიღე. ველი პასუხს— მოუთმენლად. გიმეორებ, რომ ყოველთვიურად შემიძლია გამოგიგზავნო ორი წერილი და შენგანაც ამდენნივე მივიღო.

ძვირფასო გალკ! როგორ ცხოვრობ, ხომ ჯანმრთელად ხარ? შემატყობინე ყველაფერი დაწვრილებით, რა მტკივნეულია, როგორ უპატრონოდ დაგტოვე; რამდენი საქმე გაქვს, გარდა ამისა, ავადმყოფობ და მე კი არაფერით არ შემიძლია დაგეხმარო, გეხვევი და გკოცნი შენ, ჩემო ძვირფასო, როგორც ბავშვს, როგორც ჩემს საყვარელ ვასიუკს, როგორ არის იგი? წამოსვლის წინ გავიგე, რომ ის ავად ყოფილა, საავადმყოფოში წოლილა. გემუდარები შემატყობინე დაწვრილებით მისი ამბავი. ჩემო კარგებო, ჩემო ძვირფასებო, როგორ, როგორ უპატრონოდ დაგყარეთ. გთხოვთ, გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, როგორმე მოახერხეთ, რომ თავის დროზე ჭამოთ საჭმელი.

გალ, შენ ხომ თვალები გტკივა, მიდი თვალის ექიმთან (სამედიცინო ბარათით) კარგი ექიმია გორბოვსკი (ლეჩკომისიაში), ის რუსთაველის პროსპექტზე ცხოვ-

რობს, მკურნალობასთან ერთად, სათვალეც გამოაწერინე, ეს, როგორც ამბობენ, ყველაზე კარგი წამალია.

რქის სათვალე იყიდე, ლამაზი და არა უხეში.

შენი წიგნი გამოვიდა თუ არა?[20] როგორია ტირაჟი?

რამდენი გვერდია? ყდა როგორი აქვს?

აღწერე დაწვრილებით, ვისი წინასიტყვაობა ერთვის? და საერთოდ აქვს თუ არა წინასიტყვაობა, რომელი სურათია დაბეჭდილი?

როგორ მინდა მქონდეს ეგ წიგნი, გალკ, როგორაა ჩვენი ბინა, რა დღეშია? ნეტავ ერთი საათით შემომახედა მანდ. გალკ, ხელნაწერებს ხელი რომ არავინ ახლოს, კაბინეტში ნურავის შეიყვან, გთხოვ.

როგორი ამინდია თბილისში? გალ, ყოველდღე ფუმფულა თოვლი მოდის, თან ყინავს. სეირნობის დროს ისე მიმზიდველად ჭრაჭუნებს თოვლი ფეხებქვეშ. ფანჯრის მინები ლამაზად არის მოხატული ყინვისაგან.

ძალიან მინდა მაგრად, მაგრად ჩავეხვიო რუსულ ულამაზეს ზამთარს და დავკოცნო.

მანდარინები თუ გამოჩნდა?

ველი წერილს, მიპასუხე ყველა ჩემს შეკითხვაზე, გთხოვ.

ფული ყოველთვიურად 50 მანეთი გამოგზავნე... ნოემბრის თვის იქნებ გამოგზავნე? ახლა დეკემბრის გამომიგზავნე. კაპიკი არა მაქვს, ჩემი მისამართია: ქ. იაროსლავლი, მთავარი ფოსტა, საფოსტო ყუთი № 34, მე.

ბიბლიოთეკიდან ვიღებ წიგნებს. მერე მოგწერ, რასაც წავიკითხავ. შენ რას კითხულობ?

გკოცნი ძლიერ. შ ე ნ ი ო ლ ი ა

1937 წ. 5 დეკემბერი

30

ძ ვ ი რ ფ ა ს ო გ ა ლ, მიიღე ჩემგან სალამი და კოცნა!

გწერ მესამე წერილს, გწერ და თანაც ვწუხვარ, გული მწყდება; ჩემი პირველი და მეორე წერილის პა-

სუხი ჯერ არ მიმიღია. ეგების, ვერ მოაღწიეს წერილებმა შენამდე, რადგან ფული არა მაქვს და უმარკოდ გიგზავნი — ფასდადებით. დარწმუნებული ვარ, პასუხმა დაიგვიანა.

ძვირფასო გალ, აქ ზამთარი თანდათან ძალაში შედის. თითქმის ყოველდღე თოვს. გუშინწინ საღამოს სეირნობის დროს წერილად თოვდა, ელექტრონის შუქზე ფიფქები ყვავილის თეთრი ფურცლებივით ცვივოდა, ტყემლის ყვავილის თეთრი ფურცლებივით. გახსოვს, გალ, როგორ ცვივოდა ხოლმე ყვავილი გაზაფხულზე, ნიავის ნაზ წამოქროლვაზე? ჰოდა, ეს თოვლის ფანტელები იმ თეთრი ფურცლებივით რიალებს, თითქოს იღიმებიან, უდარდელად ცეკვავენ, დაქრიან მარჯვნივ და მარცხნივ — ტრიალებენ, ტრიალებენ. ასევე ჩემი ფიქრებიც შენ დაგტრიალებენ... ვიგონებ შენს ლექსებს „თოვლი", „ატმის ყვავილები"... გეხვევით და გკოცნით შენ და შენს ლექსებს, როგორ თავდავიწყებით მყვარებიხართ თქვენ!

როდის ვიქნები კვლავ თქვენთან? როგორ მიჭირს უთქვენობა!

ძვირფასო გალ, გემუდარები, როგორც კი მიიღებ ამ ბარათს, მაშინვე მომწერე ყველაფერი დაწვრილებით, დაწვრილებით.

როგორ არის ჩემი ძვირფასი ბიჭუნა, ჩემი ვასკა? ჩემო საყვარელო გალ, შენ ხომ იცი, მე ვერ მოვისვენებ, ვიდრე არ გავიგებ თქვენს ამბავს. ყოველდღე დილიდან საღამომდე ველი შენს წერილს... თვეში ოთხგვერდიანი ორი დახურული წერილი შეგიძლია გამომიგზავნო, მეც ასე გამოგიგზავნი. ყოველთვიურად გამოგზავნე 50 მანეთი. პირველი 50 მანეთი უნდა მიმეღო ნოემბერში, ჯერ არაფერი მოსულა. თავდაპირველად ფული ტელეგრაფით გამოგზავნე.

აპენდიციტი და ფილტვები ოდნავ მაწუხებს, მაგრამ არა უშავს, ნუ იდარდებ. თუ ფულს თავის დროზე მივიღებ, კარგი იქნება, კარაქს ვიყიდი.

ძვირფასო გალკ, გთხოვ ყურადღება მიაქციო შენს ჯანმრთელობას, წინა წერილში როგორც გწერდი, ისე მოიქეცი, ხოლო შედეგი აუცილებლად შემატყობინე.

გაგიკეთებით მინდა სახლში ყოფნა!

მაცნობე ყველაფერი შენი წიგნის შესახებ — დაიბეჭდა თუ არა? როდის? როგორი გამოცემაა და რა ღირს? როგორაა ჩვენი ბინა, ხომ არ შეიძინე პალმა?

ახლა ჩემს ფანჯარასთან ბელურა მოფრინდა, ჩამოჯდა და ყღურტულებს საყვარლად, მე ოთახიდან შევეხმაურე და ვთხოვე, გამოფრინდეს შენთან და გადმოგცეს ჩემი სალამი.

გალ, გთხოვ, აუცილებლად შეიძინე პოეტ მეის თხზულებანი და მაცნობე, ჩვენ ხომ არ გვაქვს მისი ნაწარმოებები.

გეხვევი და გკოცნი ძლიერ. შ ე ნ ი ო ლ ი ა.

1937 წ. 21 დეკემბერი

გილოცავ ახალ — 1938 წელს!

ველოდები წერილებს, ველოდები ფულს.

31

ძ ვ ი რ ფ ა ს ო გ ა ლ!

გწერ მერვე წერილს, სახლიდან წერილების პასუხი არ მიმიღია. ვღელავ. ვმკითხაობ. ნუთუ უარმყო ძვირფასმა გალმა და დავრჩი მარტოდმარტო. ვფიქრობდი, შენ მაინც გამიგებდი, მეგონა გჯეროდა, რომ არა ვარ ხელისუფლების მტერი. გავგზავნე განცხადება ცენტრში. ძალიან მინდა, ვიცოდე რაიმე შენი ჯანმრთელობის შესახებ. გუშინ ბნახე სიზმარში, ტირილით გამომეღვიძა. ვიგონებ ბუნინის ლექსის ნაწყვეტს:

«И только ночью, когда бушует
Осенний ветер, все вспоминаю снова...

И одинокое сердце тоскует!
О, если бы близость сердца родного!»

საბჭოთა კავშირში ცხოვრება გამარჯვებული ნაბიჯებით მიიწევს წინ. იქმნება ნათელი და ბედნიერი ცხოვრება, შრომა ბედნიერებად იქცა და მეც მწყურია მუშაობა, შრომა! ძალიან მინდა ვიცხოვრო პატიოსანი, საქმიანი ცხოვრებით. ვწერ ამ წერილს, შესაძლებელია უკანასკნელს.

დღეს ნათელი მზიანი დღეა. მზე თითქოს მესალმუნება და მიღიმის ბედნიერად. მხიარულად, მხიარულად ჭყივიან ბეღურები ჩემს სარკმელთან. გაზაფხული მოდის! უკვე მარტი დადგა. გემუდარები, რამდენიმე სიტყვით მომწერე შენი ჯანმრთელობის ამბავი. მეტი აღარ შემიძლია წერა. ჩემი მისამართია: ქ. იაროსლავლი, საფოსტო ყუთი 34, ჩემთვის.

გეხვევი და გკოცნი ძლიერ

ო ლ ი ა

1938 წელი, 5 მარტი

32

ძ ვ ი რ ფ ა ს ო გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ მზიური სალამი, შენ!

მხოლოდ შენზე ფიქრით ვხვდები განთიადს და ვაცილებ დაისს. ქაჯების ტყვეობაშია ჩემი გული, დაკოდილია შხამიანი ისრით და მას არ ძალუძს სიცილი. მხოლოდ საყვარელი ადამიანის სიახლოვე მიანიჭებს მას ბედნიერებას.

ყოველ დილას, ჩემს სარკმელთან ჟღურტულებს პატარა ჩიტი — ბეღურა, მისი მეშვეობით გითვლი მილიარდობით ბედნიერ მოკითხვას, არ ვიცი, აღწევს თუ არა იგი შენამდე. ვიცი, რომ აღწევს, ვიცი, რომ მათ ელი, სხვანაირად შეუძლებელია! იცოცხლე, იცოცხლე. გალკ, იცოცხლე! სასიხარულო ბევრია, ძალიან ბევრი ამ

ცხოვრებაში! ჩემზე ნუ იდარდებ, ოლია სიცოცხლის-უნარიანია, დაბადებულა ბედნიერებისათვის. ასე რომ, ის მალე ჩამოვა შენთან, ბედნიერებით გაბრწყინებული, ან არა და შენ ჩამოხვალ მის წასაყვანად.

ძვირფასო გალკ, როგორ ცხოვრობდი გასული ერთი წელი და ცხრა თვე უჩემოდ? საოცარია, რატომ არ მპასუხობ წერილებზე! ან იქნებ არც არის გასაკვირი. იქნება ჩემი წერილები შენამდე არ აღწევს. გალკ, გული მეფლითება, მინდა ვიცოდე, როგორა ხარ, აუცილებლად შემატყობინე. ეს შენი მხრივ საშინელი უყურადღებობა იქნება ამ უდიდესი ჰუმანიზმის ეპოქაში. გალკ, გესმის, მიმძიმს შენთან დაკავშირებული ამდენი გაუგებრობის ატანა.

გთხოვ მომწერო; მეტს ვეღარ ვუძლებ, ყოველივე ეს ჩემს ადამიანურ ძალას აღემატება. მით უმეტეს, ჩემი ჯანმრთელობის პატრონი ამ მდგომარეობას ერთ წელიწადსაც ვეღარ გაუძლებს. გწერ, მაგრამ ვერ ვაზროვნებ, რასა გწერ, თვითონ არ ვიცი. წერილის მიღებისთანავე დეპეშით გამომიგზავნე ფული. პასუხს ორი კვირა დაველოდები.

1938 წ.,
20 ივლისი

33

ჩემო ძვირფასო გალაკტიონ!

ყოველ ცისმარე დღე მზის ექსპრესი მელის კარებთან. დღეს იგი დიდხანს არ ჩანდა. და, აი, ახლახანს მომიტანა მან ცნობა — რომ შენ ცოცხალი ხარ.

როგორ ვიტანჯებოდი, რომ არ ვიცოდი არაფერი შენს შესახებ. ყოველდღიურად, როგორც კინოფირზე, ერთმანეთს ცვლიდნენ ფიქრები შენზე, ფიქრები შავი ღრუბლებით გარემოცული. ოცნებაში ვიღებ კახური

ღვინით სავსე ჭიქას და ვსვამ შენს სადღეგრძელოს: იცოცხლე!

ეს-ეს არის მივიღე 50 მანეთი, სხვათა შორის ტელეგრაფით.

ძალიან მინდა ვიცოდე, როგორა ხართ შენ და ვასკა?

ძვირფასო გალონ! ცოტა ხნის წინ აქ წავიკითხე გოგოლის „მკვდარი სულების“ 1937 წლის ილუსტრირებული აკადემიური გამოცემა. ძალიან კარგი გამოცემაა. მე მზად ვარ ისევ და ისევ ვიკითხო (და, საერთოდ, ხშირად ვიკითხო) ეს გენიალური ქმნილება, განსაკუთრებით ლირიკული წიაღსვლები.

ძვირფასო გალ, გემუდარები, როგორმე შეიძინე ეს წიგნი. იყიდე აგრეთვე ვერესაევის „როგორ მუშაობდა გოგოლი“.

ძვირფასო გალ, მე გთხოვდი — წასულიყავი ექიმებთან, როგორც შინაგანთან, ისე თვალის ექიმთან. იმდენი გიავადმყოფია, როგორც ჩანს — და როგორც შევიტყვე, ეს შენთვის აუცილებელია. მე მინდა ვიცოდე შედეგი. გევედრები, თუ კი შესაძლებელია, მაცნობე რამე შენს შესახებ. ნუ დამტოვებ უფულოდ.

გეხვეწები, ძვირფასო გალ, გაუფრთხილდი ჯანმრთელობას. ჩემი სალამი და ამბორი ტკბილსურნელოვან შენს ხელნაწერებს! მე მათ ვხედავ, ვხედავ, ახლა ისინი შემომცქერიან, მაგრამ როგორ? ხომ არ მწყევლიან?

მე თქვენ უზომოდ მიყვარხართ, თუნდაც ნაწყენი იყოთ ჩემზე!

დეპეშით მაინც შემატყობინე შენი და ვასკას ჯანმრთელობის ამბავი. შლეგივით მინდა, მოგეხვიოთ თქვენ! იცოცხლეთ!

როგორ არის ჩემი საბრალო დედა, თუ იცი?
გკოცნით უსასრულოდ ბევრს

ო ლ ი ა

1938 წ. ოქტომბერი

34

გამარჯობა, ძვირფასო გალაკტიონ!

გთხოვთ მიიღოთ ჩემგან მოკითხვისა და ამბორის უძირო ზღვა. და თუ არ მიიღებ, მე მაინც ავწევ ქარვისფერი ღვინით სავსე თასს და ვიტყვი: დიდხანს, დიდხანს იცოცხლე და ბევრი რამ შეჰქმენი, გალაკტიონ! ჯერ კიდევ ბევრი შედევრია შენზე! დაე, არასდროს არ გაგწიროს პოეზიის გულუხვმა მუზამ!

ვიგონებ სიტყვებს მაიკოვის ლექსიდან:

Полонский! Суждено опять судьбою
Нам розно дни влачить:
Меж тем моя душа сроднилась уж с тобою —
Ей нужно так любить!

ო, როგორ მინდა, ძვირფასო გალ, განვეკვრიტო მომავალი და გავარკვიო, მიწერია თუ არა კვლავ შენთან შეხვედრა?

არაფერი არ ვიცი შენს შესახებ, როგორა ხარ? როგორ მიდის შენი შემოქმედებითი მუშაობა? როგორი გამოვიდა შენი წიგნი? არ მეწერა მე მისი ნახვა! და როგორ მწყდება გული, როგორ!

როგორაა ჩვენი ბინა? შეშა გაქვს? გალიკ, ოთახი არ გააცივო, შენთვის ძალიან ძნელი იქნება სიცივეში მუშაობა! გემუდარები, უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელობას გაუფრთხილდი — ამას გთხოვს (თუმც ვეღარასოდეს) — მაგრამ მაინც შენი ოლია.

კარგად დაიხსომე, — ოლია შენი სიყვარულით არასოდეს არ დაიღლება!

როგორაა ჩვენი ეზო? ჩემ დროს დაიწყეს ყვავილებისა და ხეების დარგვა, გაიხარეს? ჩვენი ქუჩის მხარის აივნის შეკეთება დაამთავრეს?

გალ, არ დაკარგო ჩემი ლალისთვლიანი ბეჭედი, შენ რომ მიყიდე.

გალ, რამდენჯერ მოგწერე და მაინც ვერ გავიგე, როგორ არის ვასკა, ჩემი ძვირფასი ბიჭუნა? როგორ

მტკივა გული თქვენს გამო, როგორი უმწეოები ხართ უჩემოდ.

დადგება ნეტავ ჩემთვის სანუკვარი ის დღე, როდესაც თქვენი ხელით ნაწერს, თუნდაც ორ სტრიქონს, ვიხილავ? ძვირფასი ავგაროზივით შევინახავ, მოვეხვევი და დავკოცნი.

მართალია შენ არ მპასუხობ არც ერთ წერილზე, მაგრამ მე არ შემიძლია, არ მოგწერო, იმედს მაინც არ ვკარგავ. ყოველდღე ველი შენს პასუხს და კვლავაც დაველოდები!

გალ, აქ იმდენი ჩიტებია!!!

გუშინ სეირნობის დროს ერთი ყვავი ჩამოჯდა საკვამურზე, წაიგრძელა კისერი, პირდაპირ შემომხედა და გრძლად წაიმღერა. ისე დაჟინებით მიყურებდა პირდაპირ თვალებში, რომ გამეცინა და გუნებაში მოძახილი ვუთხარი. მან გამიგო და გადაიხარხარა, მაგრამ არა ბოროტად, არამედ გულკეთილად, რამაც კიდევ უფრო გამახალისა.

თუ შეძლებ და გამომიგზავნი ფულს, კარგია. გამოგზავნე, რამდენიც შეგიძლია, თუ გინდა, ასი მანეთი, რამდენიც გინდა და რამდენსაც შეძლებ.

აქ ჯერ კიდევ არ დაწყებულა დიდი სიცივეები. ოდნავ ყინავს მხოლოდ.

რა მოგწერო, როცა არ მპასუხობ?

აბა მშვიდობით, იცოცხლეთ, იმხიარულეთ, იყავით მხნედ, ცხოვრებაში ხომ ცუდიც არის და კარგიც!

გკოცნი ძლიერ, ო ლ ი ა.

1938 წ., 20 ნოემბერი

35

იცოცხლე ძ ვ ი რ ფ ა ს ო გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ!

ვკოცნი ძვირფას ელვარე და დაუდგრომელ მეგობრებს — შენს ლექსებს და მათ შემოქმედს.

როგორც ხედავ, ვცოცხლობ და არ ვაპირებ სიკვდილს. ეს, როგორ მინდა, ერთი წუთით მაინც გადავიქცე ჩიტად, რომ ფრთების ძლიერი მოქნევით უეცრად აღმოვჩნდე სახლში, თუგინდ მხოლოდ ფარდის იქედან შემოგხედოთ. ვიმედოვნებ, რომ ჩემს საქმეს განიხილავენ და ისევ სახლში ვიქნები.

რა თქმა უნდა, შენგან პასუხი არ მომდის, მაგრამ არ გსაყვედურობ. მე თვითონ მსურს გწერო, გწერ და მოგწერ კიდეც ყოველთვის.

წუხელ სიზმარში გნახე: თითქოს პატარა კი არა, მოზრდილი ვარ და მაინც აკვანში ვწევარ. მთელი აკვანი ოქროს ძაფისაგან იყო მოქსოვილი და თითოეული ძაფი სხვადასხვა ფერად ბრწყინავდა. შენ აკვანთან იჯექი ღრმა სავარძელში. ხელში დიდი ფურცლები გეჭირა. მიკითხავდი ხმამაღლა და პათოსით. ერთი ფურცელი გადმომეცი და მითხარი: „აი, სანატრელო, განიჭებ თავისუფლებას და შემდეგში ჭკვიანად იყავი“.

შორიდან მესმოდა ქართული იავნანას ჰანგის წყნარი ღიღინი. ატირებულმა გამოვიღვიძე.

ჩემი ფანჯრის მინა ყინვას დაეფარა სადაფისფერი მაქმანით. მაქმანში ჩახატული იყო ყინულოვანი ტყე: ხეები — დაფარული თოვლით, იქ იყო დათვები და მგლები და უამრავი სხვა მხეცი და ჩიტები. ხოლო ყინულოვანი სადაფი ლამაზად გადადიოდა სხვადასხვა ფერში.

ეს-ეს არის გათენდა სუსხიანი დილა. გამახსენდა როგორ ვგუნდაობდით მე და შენ ახალ წელს... მალე მოგვიკაკუნებს 1939 წ. ნეტავ ვიცოდე, მომცემს თუ არა თავისუფლებას ეს ახალი წელი?

იყავი კარგად. იცოცხლე მარად. მაგრა გართმევ ხელს, გკოცნი. სადა ხარ და როგორ ხარ, ჩემო საყვარელო ვასილიოკ? გეხვევით და გკოცნით ძლიერ, ძლიერ ყველას.

ოლია

1938 წ. 20 დეკემბერი

მაპატიე ჩემი უაზრო წერილების გამო.

36

ჩემო ძვირფასო გალიკ!

ფიქრები, როგორც ღრუბლები, მეხვევიან გარს, ჩამოსხდნენ, თავი დახარეს და წავიდნენ თავისთვის.

ო, სულელო გოლიათებო, გამოფხიზლდით, გამოფხიზლდით და შეეხმიანეთ ძვირფას ჩვენს გალიკს, მე მინდა მას ალერსიანი მოკითხვა შევუთვალო. მინდა, რომ თქვენ გარს შემოეხვიოთ, მიუალერსოთ, მიართვათ თაიგულები... ოი, როგორ უგონოდ მიყვარს მე იგი.

ჩემო კარგო, მაპატიე, ვერაფერს ვუხერხებ საკუთარ თავს. მინდა ვიოცნებო. წერა არ შემიძლია. მაპატიე, მაპატიე.

ფული — სამასი მანეთი მივიღე 14 იანვარს. ჩემო კარგო, არ მინდა რომ მე გამომიგზავნო და შენ იშიმშილო. არა, არ მინდა.

მაპატიე, მაპატიე, ცრემლები მახრჩობს. მაგრამ მიჭირს საკუთარი თავის დამორჩილება.

მაპატიე, გეხვევი და უსასრულოდ ბევრს გკოცნი.

ის, ვისაც ასე გაგიჟებით უნდა სახლში ყოფნა —

შენი ოლია.

1939 წ. იანვარი

37

ჩემი სალამი, ძვირფასო გალაკტიონ!

ოჰ, დღეს დილაადრიან გამოვედი სასეირნოდ. უკიდეგანო ლურჯი ცის თაღი მოფენილი იყო ღრუბლების უნაზესი თეთრი ვარდებით, ხოლო ვარდისფერი აღმოსავლეთი ნაზი ფერებით ღებავდა ვარდების ფურცლების ზედაპირს. ისინი ვარდისფერები, ვარდისფერები იყვნენ. ცა სადღესასწაულოდ მორთულიყო. ო, ამ ვარდისფერმა დილამ მომაგონა შენი „ატმის ყვავილები" და დიდხანს, დიდხანს ჩემი ფიქრები დანავარდობდნენ

ყვავილებში. ისინი მეფერებოდნენ, მეფერებოდნენ ამ ვარდისფერ დილით...

მიპასუხე, ჯანმრთელად ხარ თუ არა? უპირველეს ყოვლისა ეს მაინტერესებს. გთხოვ, გაუფრთხილდე ჯანმრთელობას. მე გთხოვე ჩვენებოდი ექიმებს — შინაგანსა და ქირურგს.

ჩემო ძვირფასო, გალიკ, გთხოვ, მოუფრთხილდ; ჯანმრთელობას.

უკანასკნელ ხანებში ჩემ დროსაც გაწუხებდა თვალები. მე გთხოვ, მისულიყავი თვალის ექიმ გორბოვსკისთან — რუსთაველის პროსპექტზე ცხოვრობს, „ლეჩკომისიაში" მუშაობს. სად და როგორ არის ჩემი საყვარელი ვასკა? როდის დადგება ის ბედნიერი დღე, როცა მოისურვებთ და ორიოდე სიტყვას მომწერთ, რათა ნაწერს მაინც დავხედო.

აქ, ეს ერთი კვირაა — კარგი დარებია.

მე მდიდარი ვარ ამჟამად, ჩემს სალაროში უეცრად ტყაპანი მოადინა ორასმა მანეთმა. ოი, როგორ ხარხარებ, შენი სიცილის ექო ჩემამდის აღწევს!

ალბათ, თბილისში ახლა ბევრია მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, საახალწლო ტკბილეულის სურნელებამ ჩემამდისაც მოაღწია და ჩემი ფიქრები გამოფრინდნენ შორს, შორს — თქვენთან!

სახლში, სახლში, მინდა! სახლში მინდა, გესმის, ძვირფასო გალ?

მეტის წერა აღარ ძალმიძს.

გკოცნი ძლიერ,
ო ლ ი ა.

1939 წ. 20 იანვარი

ძვირფასო გალ, შენი მოწაფეობისდროინდელ ფოტოსურათებს გაუფრთხილდი, გაუფრთხილდი სხვებსაც ისე, როგორც მე ვუფრთხილდებოდი. მჯერა, გულს არ მატკენ.

გეხვევი, გკოცნი ძლიერ.

38

გალაკტიონ, ძვირფასო გალაკტიონ!

დღეს ვარდისფერი დილა გათენდა, გაყინული თოვლი ჩემი ფეხის ნაბიჯების რიტმზე ხრაშუნობდა, ჰაერის სუფთა ნაკადი სისხლსავსე ცხოვრებისაკენ, შრომისაკენ მომიწოდებდა. ასე მეგონა, შემეძლო: თვალუწვდენელი ველების გადახვნა, ოქროსფერი თავთავების ჩაკოცნა, უსაზღვრო რაოდენობით ლამაზი ქსოვილების დაქსოვა და მიწის წიალიდან ჯერაც მიუკვლეველი მადნების ამოღება.

შევძრავდი და დავამხობდი მთელ კაპიტალისტურ სამყაროს!

ძვირფასო გალიკ, ჯანმრთელობა ცოტა მღალატობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ უნდა ვიდარდოთ.

ძვირფასო გალიკ! თოვს, ცვივა თეთრი ყვავილის ფურცლებივით წვრილი ფიფქები. ქარი მათ ატრიალებს, ჩემს გამოფხიზლებულ გონებაში შენი და ვასიკოს სახე იელვებს.

სახლში მინდა, მინდა!

გკოცნი ძლიერ, ძლიერ
ოლია

ახლახანს დავამთავრე კარავაევას — „ხე-ტყის ქარხნის“ კითხვა, მე მომწონს მასში შედარებები, ეპითეტები და მეტაფორები, მაგრამ მთავარი მაინც შედარებებია.

ამაზე ადრე ნოვიკოვ-პრიბოის „ცუსიმა“ წავიკითხე მეორედ. ცუსიმა — ეს დამპალი ხელისუფლების განსახიერებაა, თავისი საშინელებებით და ადამიანის განცვეთებით, მონად ქცევით. და ეს მონები ომობენ, იხოცებიან, შიმშილობენ, მათ ცემენ, ისინი იღუპებიან და ყველაფერი ეს იმავე დამყაყებელი ხელისუფლების შესანარჩუნებლად. რა საწყენია და რა მძიმეა ყოველივე ეს.

ხოლო, „ხე-ტყის ქარხანა“ ხალხის მიერ იქმნება მათივე სიკეთისათვის, აქაც მთელი რიგი ბრძოლებია, მაგ-

რამ ბრძოლა ახალი ადამიანის შექმნისათვის — ახალი სიამაყის, ხე-ტყის ქარხნის, შესაქმნელად.

სიამოვნებით წავიკითხავდი ორივე წიგნს ხელახლა.

დღეს დავიწყე გორკის წიგნის — „მწერლების შესახებ“ კითხვა.

აბა, ნახვამდის, ძვირფასო გალიკ!

ო ლ ი ა

1939 წ. 5 თებერვალი

39

ჩემი მხურვალე სალამი შენ, საყვარელო მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე ლ ი რ ი კ ო ს ო!

დრო და დრო ჩემი ფიქრები თავისუფლდებიან და ილტვიან შენსკენ. მაგრამ მალე ჩემი უბედობა გზას უღობავს მათ და საშუალებას არ აძლევს გადააბიჯონ ძვირფას და შორეულ ზღრუბლს მიღმა. და ვფიქრობ, ისე როგორც ამაყი მაკიაველი: დე, გამთელოს ბედმა — მე კი დაველოდები, ნუთუ არ შერცხვება მას ამის!

ალბათ თბილისი მწვანეში და ყვავილებშია ჩაფლული... ჩვენი ბინა, სადაც ოდესღაც მეც ვცხოვრობდი, მზითაა სავსე, მზის ოქროსფერი სხივები გაბმულა მის კედლებზე, რომელიც ქარგავს სხვადასხვა სახის ქსოვილებს.

დე, ბედნიერების მომტანი იყოს შენთვის მზე! მეც მინდა ვიყო სახლში, თქვენთან. მინდა ვიცოდე, როგორ ცხოვრობ, როგორ არის შენი ჯანმრთელობის საქმე, საერთოდ ყველაფერი მაინტერესებს. ვიქნები კი სახლში? როდის? თუ ეს ოცნებაა? მე ხომ სერიოზულადა ვარ ავად, ჩემო გალიკ, ხოლო ბედნიერება ჩემგან ძალიან შორს არის. როგორ მოვიქცე?

როგორაა ძვირფასი ვასილიოკი, როგორაა საცოდავი დედაჩემი?

რა მოგწეროთ, ყველაფრის ხალისი დამეკარგა. დიახ, გალ, ძალიან ავადა ვარ. რა მოგწერო, რისთვის, ალბათ, ჩემი წერილებითაც გაწუხებთ.

ოლია
1939 წ. 3 მაისი

40

გალაკტიონ, გალაკტიონ!

გესმის, ძვირფასო, ჩემი ძახილი?

გამწარებული გემუდარები — ერთი სიტყვა მაინც მომწერე.

ხან უფსკრულებში ეშვებიან ჩემი ფიქრები, გაეკვრიან ფსკერს და შიშით ირინდებიან, ხან უმაღლეს მწვერვალებზე აიტყორცნებიან, კოცნიან მზეს, ძლიერი ფრთებით დაფრენენ და ცხოვრებისა და შრომისაკენ მომიწოდებენ...

ნახვამდის, ცოტა შეუძლოდა ვარ, შემდეგში დიდ წერილს მოგწერ.

გეხვევი და გკოცნი ძლიერ

ოლია

მიიღე ჩემგან ხავერდოვანი ვარდების თაიგული.

შემდეგში მოგწერ რომელ წიგნებს ვკითხულობ. ახლა პოეტ მეის წიგნს ვკითხულობთ. იგი ლიცეუმში სწავლობდა.

„ბალში, სადაც ოდესღაც იფურჩქნებოდა პუშკინის გენია, გაისმა მეის პირველი ლექსების ხმა“. მე მინდა გალაკტიონის სიმღერის ხმის ვაგონება.

1939 წ. 20 მაისი

41

ჩემო ძვირფასო გალაკტიონ!

გეხვევი და გკოცნი ძლიერ ათასწლეულების მიღმიდან, გადავაბიჯე რა ჩემი ცხოვრების ქარიშხლებს, გეძახი შენ. ჩემო საყვარელო მეგობარო. სადა ხარ? როგორ ხარ? სად არის ჩემი საყვარელი ბიჭი ვასილიოკი? რამდენი ხანია არაფერი ვიცი თქვენს შესახებ. დარდი მტანჯავს. ჩემი წერილები 20 მაისისა და 14 ივნისის ალბათ, მიიღე. უკანასკნელში ჩემი ავადმყოფობის შესახებ გწერდი.

მე მოსკოვის ახლოს ქალაქ ვლადიმირში ვარ.

ო, გახელებით მწყურია შინ ყოფნა.

გეხვევი, გკოცნი ძლიერ.

ოლი

1939 წელი
23 ივლისი

42

ძვირფასო გალაკტიონ!

რით დავიწყო და როგორ დავიწყო წერილის წერა, არ ვიცი. გული შიშით მაქვს სავსე.

ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გწერდი იაროსლავლიდან 14 ივნისს და შენ იცი, რითიც ვარ ავად.

აქედან 23 ივლისს გამოგიგზავნე წერილი, ვფიქრობ, მიიღებდი. მეტი წერა არ შემიძლია, ცრემლები მახრჩობს.

გკოცნი ოლია

მისამართი: ქ. ვლადიმირი. ივანოვოს ოლქი, საფოსტო ყუთი 21, მე.

ამჟამად ვკითხულობ ვ. ვერესაევის წიგნს „პუშკინი ცხოვრებაში“. მე ამ წიგნის ტყვეობაში ვარ და ვერ ვშორდები მას. შთაბეჭდილებებს მერე მოგწერ.

გეხვეწები, იყიდე ეს წიგნი. აკადემიის გამოცემაა 1932 წ. მე-5 შევსებული, ილუსტრირებული გამოცემა.

როგორმე იშოვე.

წუხელ სიზმარში გნახეთ შენ და ვასია. ჩვენ სამივე თბილისში ვიყავით.

მთელი დღე ვემზადებოდი საწერად და ვეღარ ვწერ...

1939 წ.
11 აგვისტო

43

ჩემო საყვარელო გალიკ, ძვირფასო მეგობარო, მიიღე ჩემი სალამი!

ძნელ გზაზე დავდიოდი, ცხოვრების უცნობ ბილიკებზე ვსხლტებოდი, მაგრამ მუდამ ვიმეორებ ჩემი ძვირფასი მეგობრის სახელს, ეს კი ძალას მმატებს. საყვარელი სახე მუდამ თვალწინ მიდგას, მუდამ თან მდევს, ვითარცა კეთილი გენია!

ძვირფასო გალიკ, გეხვევი ძლიერ, ძლიერ და გკოცნი. ორი თვის შემდეგ სამი წელი შესრულდება, რაც არ მინახიხარ და არ ვიცი, როგორა ხარ, როგორ ცხოვრობ, ჯანმრთელობას ხომ არ უჩივი? არ ვიცი, რა ვქნა, შენ ხომ სრულებით არ შეგიძლია თავის მოვლა. ძვირფასო გალიკ, გემუდარები, მოუფრთხ-ლდი ჯანმრთელობას, ჯანმრთელობა უპირველეს ყოვლისა! ზამთრისთვის თბილი პალტო თუ იყიდე? ახალი ქუდი თუ შეიძინე, კარგი კოსტიუმი გაქვს თუ არა? ის კოსტიუმი, ალბათ, გაგიცვდა, ერთი გამოსასვლელი კოსტიუმი (სხვასთან ერთად) აუცილებლად უნდა გქონდეს განსაკუთრებული შემთხვევისათვის. კალოშები თუ დაგეხა, ახლავე იყი-

დე, ვიდრე კარგი ამინდებია, თოვლ-ჭყაპს ნუ ელოდები. არ დაგავიწყდეს ყოველ დღე ჯიბეში ახალი ცხვირსახოცის ჩადება...

როგორ არიან ჩემი ძვირფასი მანია და ვასილოკი? მათ შესახებ ხომ არაფერი არ ვიცი. გეხვევით და გკოცნით ყველას — ძლიერ, ძლიერ.

როდის დადგება ის დღე, წერილს რომ მივიღებ თქვენგან, ოი, როგორ დავკოცნიდი იმ ბარათს და დღე და ღამე იმას ვუამბობდი, თუ როგორ მოველოდი მას. როდის დადგება ეს დღე? მეც ხომ ადამიანი ვარ, მაქვს გრძნობები. მე ჩემს დარდებს არავის ვუმხელ, ეს კიდევ უფრო უარესია.

წავიკითხე ვერესაევის წიგნი „პუშკინი ცხოვრებაში". ეს წიგნი ჩემში დიდ განცდებს იწვევს. მძიმედ ვფურცლავ საყვარელი პოეტის ცხოვრების ყოველ სტრიქონს ჩემს გრძნობებში, ჩემს გონებაში.

მე ეს წიგნი რამდენჯერმე წავიკითხე და ყოველთვის დიდად განვიცადე. დიდი პოეტი უხეში, დაუნდობელი ბრბოყალების ტყვეობაში იყო. იგი ესოდენ მგრძნობიარე და ამაყი სულის პატრონი — მაღალი არისტოკრატიული საზოგადოების საძაგელ ბრბოყალებში, როგორ აწამებდნენ პოეტს... პუშკინს! შთამომავლობა წყევლას უთვლის მათ, ასეთია ყველა მწამებელის ხვედრი.

წავიკითხე აგრეთვე პუშჩინის წიგნი — „პუშკინის შესახებ", ისიც ძალიან კარგად არის დაწერილი.

აუცილებლად იყიდე ეს წიგნები გალიკ!

ამჟამად ვსწავლობ ვ. ვინოგრადოვის წიგნს „პუშკინის ენა" — პუშკინი და რუსული ლიტერატურული ენის ისტორია. მეცნიერული ხასიათის წიგნია, აკადემიის გამოცემა, 1935 წლისა.

ძვირფასო გალ, აუცილებლად იყიდე, თუ არ გიყიდია. ეგების ძნელი საშოვნელია, მაგრამ აუცილებლად საჭიროა, ხომ მართალი ვარ, გალ?

გუშინწინ ისევ დამესიზმრა პუშკინი, ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით, ბევრ რამეს ვეკითხებოდი და ისიც ხან ალტაცებით, ხან მოწყენით მპასუხობდა, ხან დაბნეუ-

ლად შემომყურებდა. მან წიგნები მაჩუქა და წერილი გადმომცა, მე დიდხანს ვტიროდი.

დილით, როცა გაეღვიძა, იმ წამს გავიფიქრე, რომ რალაც არაჩვეულებრივს შევიტყობდი, ასეც მოხდა:

ფული მივიღე.

. . . . . ო, როგორ მიყვარს შემოდგომა!

გალ, ყვავილების თაიგული იყიდე და შენ საწერ მაგიდაზე ლარნაკში ჩადე, ჩემი ხსოვნისათვის. სალამი და კოცნა შენს წიგნებს, ხელნაწერებს, — უთხარი მათ, რომ მე ისინი ძველებურად მიყვარს და თავს ვევლები, როგორც ყოველთვის.

ჯერჯერობით, ძლიერ, ძლიერ გეხვევი და გკოცნი. მარად შენი

ო ლ ი ა

1939 წ.
3 სექტემბერი

44

ძ ვ ი რ ფ ა ს ო გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ!

—აქ ნაადრევი ზამთარი დადგა. თოვლი დევს, ყინულის ლოლუები ჰკიდია, როგორც უნაზესი ბროლი. წვრილი ხმით ჭყივიან მოუსვენარი გალკები (ჩიტია ასეთი) და სადღაც ყარყარებს ყორანი... წერა შევწყვიტე.

სეირნობის შემდეგ ვუბრუნდები წერას. ახლა სასეირნოდ ვიყავ. მზით არის გაჩახჩახებული მთელი ცა და ჰიწა. თეთრი ქრიზანტემებით — ღრუბლებით — მოფენილი ულურჯესი ცა ოქრო-მკედით მოირთო.

ოხ, ამ ოქროს სხივებმა, ამ თვალუწვდენელმა მიდამომ და ლაჟვარდოვანმა სივრცემ დაკოდა ჩემი გული, ჩემი ფიქრები და გრძნობები.

რა დიდებულია, როგორ საოცრად ქსოვენ ჯადოქარი ფეიქრები ბუნებას. და ადამიანიც — ჯადოქარი — ქსოვს და მოქსოვს კიდეც ზღაპრულ ცხოვრებას. მზის

სივრცეში ნაზად მიცურავდა თვითმფრინავი, მიფრინავდა და ხმაურობდა, ხან მიწყნარდებოდა და აკეთებდა საოცარ „მკვდარ მარყუჟებს“, ხან ერთი, ხან მეორე ფრთა ბრწყინავდა მზეზე. თვითმფრინავის ამ ნაზ ფრენაში და ცეკვაში, ცეკვავდნენ და დაფრენდნენ ჩემი ფიქრები — სახლსა და შენი საწერი მაგიდის ირგვლივ და ბორგავდნენ შენზე, თქვენზე, ჩემო ძვირფასებო! დიდხანს ვიდექი წიგნების კარადასთან და დიდხანს, დიდხანს ვფურცლავდი შენს წიგნებს.

საავადმყოფოდან გამოვეწერე, უკეთ ვარ. მეგონა დამთავრდა-მეთქი ყველაფერი. მაგრამ არა, ხედავ? განმკურნეს. გუშინ პირველად გავედი სასეირნოდ. ექიმმა გამაფრთხილა ყველაფერი უნდა ჭამო, ჰაერზე იარო და არ უნდა გაცივდეო. აი სამი მცნება, რომელიც უნდა შევასრულო. რა თქმა უნდა, ცივი კლიმატი არ მარგებს.

გუშინ მესიზმრა თითქოს სახლში ვიყავი და სოხუმში უნდა წავსულიყავით.

ძვირფასო გალიკ! როგორ ხარ, ჯანმრთელად თუ ხარ? გთხოვ — ექიმთან წადი — შინაგანთან, გოლო დროს შენ გულის არეს იტკიებდი და ახველებდი. გთხოვ, ნუ მაწყენინებ, წადი ექიმთან. როდის გავიგებ შედეგს?

როგორ ძალიან მინდა შენი წიგნი მქონდეს აქ. 1936 წელს გამოცემული[21], მე ხომ ის არ მინახავს, მინდა კი რომ მქონდეს. ფულისა და ამანათის თაობაზე მე თვითონ მოგწერ, რაც შეიძლება. ჩემი დეპეშა, ალბათ, მიიღე.

გკოცნი, ნახვამდის, ო ლ ი.

1939 წ.

11 ოქტომბერი

45

სალამი შენ, სალამი

«...мысли в нем
Рассеяны, как тучи после бури».

Пушкин.

ვფიქრობ შენზე, საყვარელო მეგობარო, ვიყურები სარკმელში. ვერცხლისფერი შუქი ათამაშდა ფანჯრის მინაზე. ყინულით მოხატულ სახეებში გაიფანტა დილა.

ხედავ, დილა დაბორიალობს ჩემს ფიქრებში. მსუბუქი მონაცრისფრო ბლონდებით მოიფინა მიწა. იქიდან მოწყენილი ღიმილით გამოიყურება მდინარის ფსკერი. ყინვები, ნათლისღების ყინვები. ო, რა უცნაური სახეებითაა მოხატული მინები, რა თქმა უნდა, ყინულოვანი სახეებით. უზარმაზარი დატოტვილი ხეები თოვლით დამძიმებულან, ისე, როგორც პუშკინის რუსლანი პირველი ბრძოლის წინ. ამ ხეებზე მიდგმულია ქათქათა წვრილი ვარდების კიბეები, რომელზედაც ნარნარი რხევით მიაბიჯებენ შენი ოცნებები, შენი მხატვრული სახეები — გალაკტიონის ლექსის ფიქრები. აი, ბერძნული ლარნაკები მოხატული საფოსა და ალკეოსის პორტრეტებით — მგზნებარედ შეყვარებული პოეტების სახეებით. ლარნაკში კი თეთრი შროშანებია. აი, უცნაური ფორმის იალქნიანი გემები, გრძელი კისრებითა და აქლემის თავებით.

აი, ხის სახლი რიონის ნაპირას, რომლის გამუდმებული გუგუნი ამჟამადაც მესმის და ეს გუგუნი ეხმაურება ჩემს ფიქრებს ახლაც. ჩემო კარგებო! ამ სახლში ხომ გალაკტიონი დაიბადა! იგი უზარმაზარ ხეებს შორის დგას, რომელთა ქვეშაც ოცნებობდა გალაკტიონი, პატარა გალიკი!

აი მეორე სახლიც, აყვავებულ ალუბლებს, ბროწეულებსა და ლეღვებს შორის. ეს სახლი ხომ ქ. ქუთაისშია, ისიც საყვარელი რიონის პირას, იქ პატარა ოლია დარბოდა, არც გიცნობდა და არც ოცნებობდა შენზე.

ფიქრები, ფიქრები ირევიან. ჩემო საყვარელო მეგობრებო, შემიცოდეთ. დამტოვეთ ახლა. ისევ ყინულით მოხატული სახეები. ნახატის შუაში დიდი გული მოჩანს მსუბუქ-მონაცრისფრო ბლონდიღან. ბლონდის ქვეშ კი თითქოს კრიალა მდინარის ფსკერია. მდინარის ფსკერზე კი უამრავი სხვადასხვა ფერის კენჭებია, ფსკერი თითქოს მიღიმის. გულის შიდა ნაწილი მოქარგულია მარგალიტის უწვრილესი ძაფებით. ძაფებს შორის მოჩანს მსხვილი მარგალიტის მარცვლები. გულუხე ხელს ყველაფერზე ბრილიანტის მტვერი და ორქიდეები მოუბნევია. გულის ერთ კუთხეში კი -- უწვრილესი მარგალიტის ძაფებით გადახლართული — ბრილიანტის კამეაა. კამეაზე ამოტვიფრულია ძვირფასი გალკის ბარელიეფი. ყველაფერზე ალმასი ბრჭყვინავს. მზის სხივები მომეფინა მკერდზე. გაღიმებული სხივები იფრქვევიან ირგვლივ და ვარდისფრად ციმციმებენ. გულიც გამივარდისფერდა. ყველაფერი ბრწყინავს, კრიალებს, კიაფობს, ზეიმობს და გალაკტიონის „ატმის ყვავილების“ ღიმილით იღიმება.

ძვირფასო გალიკ, ხომ ხედავ არაფერს გეკითხები, მხოლოდ ერთს გთხოვ — გაუფრთხილდი ჯანმრთელობას.

ამას წინათ წავიკითხე ბალზაკის „შაგრენის ტყავი“. ერთ-ერთი უძლიერესი ადგილია ადრიანი დილა ბანქოს სათამაშო სახლში: „ამ დაწყევლილ საათს თქვენ შეხვდებით თვალებს, რომლის სიმშვიდე შეგაძრწუნებთ, შეხვდებით სახეს, რომელიც გატყვევებთ გამოხედვით, რომლებიც იღებენ კარტს და თვალებით ჭამენ მას“.

წავიკითხე აგრეთვე ლავრენევის „დიდი მიწა“ და „ქალბატონ ადლერის ლატარია“. მეორე მოთხრობაში ლაპარაკია პოეტ ალექსანდრე ბესტუჟევის (დეკაბრისტის) უკანასკნელ დღეებზე. როგორ დაიღუპა ის ჩერქეზებთან ბრძოლაში. მძიმე ამბავია, მაგრამ შესანიშნავადაა აღწერილი.

ახლა ჟ. სანდის „კონსუელოზე“! წიგნი დაწერილია ძალიან მიმზიდველად, იგი სავსეა სათავგადასავლო ამ-

ბებით. დაწერილია ლამაზი, მსუბუქი ენით, ღრმად მხატვრული შედარებებით. მაგ.: „ალბერტი მისთვის იყო ჩრდილოეთის გენია, ღრმა, ძლიერი, ზოგჯერ დიდებული, მაგრამ ყოველთვის სევდიანი, როგორც სუსხიანი ღამეების ქარი, როგორც ზამთრის მდინარეების დაგუდული ხმა“.

ახლა კუზმა პრუტკოვის წიგნს ვათვალიერებ, ვუყურებ მათ დიდებულ პორტრეტს...

წავიკითხე იბანიეს ბლასკოს „როზაულა“, ეს სხვებთან შედარებით ყველაზე ნაკლებ მომწონს. ისე კი იბანიესი ჩემი საყვარელი მწერალია.

ამის წინ მოგწერე წერილი — 1 თებერვალს.

რვა თებერვალს მივიღე სამასი მანეთი.

ახლა ველოდები ბიბლიოთეკიდან წიგნებს.

გეხვევი, გკოცნი დაუსრულებლად —

ნახვამდის.

ო ლ ი ა

1940 წ.

15 თებერვალი

46

დ ი ა ხ გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ!

ამბობენ წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, მაგრამ მე ხელის მოსაკიდებლად ის ხავსიც არ გამაჩნია. აქამდე თავს ვიწყნარებდი ზმანებებით, ახლა კი ვიცი, სრულიად მარტო ვარ. სიზმრებმა, როგორც გრიგალით დამსხვრეულმა ოცნებებმა, ერთხელ კიდევ დამიკრეს თავი ნაღვლიანი ღიმილით.

ვნახე სიზმარი. თვალუწვდენელ უდაბნოში ვიყავი მარტო. იქ სიცოცხლე გადაბუგული იყო მზის მცხუნვარე სხივებით, სიჩუმე იდგა, მაგრამ ეს სიჩუმე შიშის მომგვრელი იყო. მე ვიდექი მარტო მზისგან გაუფერულებულ ქვიშაზე . . . . . .

ყოველ წუთს შიშით მოველი ახლობლების და საყვარელი ადამიანის ჯანმრთელობის ამბავს. დიახ, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. მაგრამ მალე შეწყდება ის და მე ძალიან მოხარული ვიქნები.

რა უცნაურია ცხოვრება! . . . . . .

დიახ, ძვირფასო გალაკტიონ, გაზაფხულია, გაზაფხულზე წყდება ადამიანის სიცოცხლე. მე მესმის, ვგრძნობ, ვხედავ გაზაფხული იფურჩქნება საქართველოში. გხედავ შენ, გხედავ ძვირფასო!

ჩვენს კარებზე ფოსტალიონის კაკუნს, ჩემი წერილების გამო, ველარ გაიგონებ.

როგორ უცნაურად შეწყდა ჩემი ცხოვრება. როგორი თვალუწვდენელი წინააღმდეგობების ზღუდე აღიმართა ჩემსა და ცხოვრებას შორის.

მშვიდობით,

კიდევ ერთხელ გემშვიდობები, ცხოვრებავ!

ო ლ ი

1940 წ.

30 მარტი

47

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

«В час ранней, утренней прохлады,
Вперял он любопытный взор
На отдаленные громады
Седых, румяных, синих гор...»

Из «Кавк. пл.» П у ш к и н.

ნაცნობი, ძვირფასი ხელით ნაწერი წერილი ჩემს წინაა. საოცარია! ჯადოსნური სტრიქონები ერთმანეთს მოსდევს. ყოველი სტრიქონი კი პოემაა — ახალი ადამიანის დიად გულზე, ნაზ, მგრძნობიარე და ვეებერთელა გულზე. გეხვევით, ჩემო ძვირფასო სტრიქონებო!

23 მაისს ეს სტრიქონები შემოიჭრა ჩემს სამყოფელში, შემოიტანეს დიდი სითბო და მომიალერსეს. როგორ სითბოს ვგრძნობ მათ სიახლოვეს! როგორ მეალერსებიან ისინი. მე მათთან მძინავს, მათთან ერთად ვიღვიძებ, მათთან ვარ სიზმარში, ცხადში. აი ისინი, ჩემი ძვირფასი მეგობრები!

შემოვიდნენ ისინი ალერსით, თავაზიანად, ძალუმად ჩამიკრეს გულში, დამკოცნეს, ღონივრად ჩამომართვეს ხელი და მითხრეს, უნდა იცოცხლო!

ჩემო კარგო გალიკ! გეხვევი ძლიერ, ძლიერ და გკოცნი. შენ ავად იყავი, ამდენი ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ალბათ, დასუსტებული იქნები, მე კი არ შემიძლია მოგხედო შენ. როგორ მწყინს!

როგორ ცხოვრობ, როგორა ხარ? ძალიან გიჭირს ძვირფასო, გალიკ? რა რიგ ძნელია, როცა ვიცი, რომ შენ ბავშვივით მოვლას და თვალყურის დევნებას საჭიროებ. მუშაობისათვის სიმყუდროვე გჭირდება — თავის დროზე უნდა გქონდეს ყველაფერი აუცილებელი, შენს გვერდით უნდა იყოს მოსიყვარულე ადამიანი.

ძვირფასო, ლაპარაკი მიჭირს! მინდა ვიცოდე, როგორ ცხოვრობ, როგორია შენი ჯანმრთელობა? საყვარელო გალიკ, გაგიჟებით მინდა სახლში ყოფნა შენს გვერდით, რათა შეგიქმნა პირობები დაწყნარებული მუშაობისათვის, მინდა, წყნარად და ნაყოფიერად რომ იმუშაო, შენ კი ყოველივე ამას მოკლებული ხარ. ნეტავ კი მალე გაირკვეს ჩემი საქმე...

მე ფულს დეპეშით თავის დროზე ვიღებ. ეს მეორე წერილი 23 მაისს მივიღე, დეპეშები კი არც ერთი არ მიმიღია.

ძვირფასო ჩემო, გემუდარები გაუფრთხილდი ჯანმრთელობას, უნდა იმკურნალო, ახლავე მოაგვარე საგზურის საქმე. ეჩვენე ექიმებს შინაგანსაც და ნერვულ დაავადებათა სპეციალისტსაც და მათი დასკვნის საფუძველზე შეიძინე საგზური.

შენ არასოდეს არ გიმკურნალია, არასოდეს არ გქონდა დრო, მიგეხედა საკუთარი თავისათვის, ამით კი დი-

დად ვნებ შენს ჯანმრთელობას. აი ახლაც როგორ საჭიროებ მკურნალობას. რამდენი იავადმყოფე, ამბობ, დრო ხელიდან ავადმყოფობის გამო წამივიდაო.

უნდა დაისვენო, უნდა იმკურნალო, ქვის ხომ არა ხარ? ყველანი ისვენებენ, მკურნალობენ, შენ კი არ ფიქრობ შენ თავზე. ეს სიგიჟეა. გემუდარები, გალიკ, აუცილებლად წადი სანატორიუმში.

მე უნდა ვიცოდე, შენ რა ზომებს მიიღებ მკურნალობისათვის. ეხვევი ძლიერ, ძლიერ.

გკოცნი. შენი ო ლ ი ა.

1940 წ.
31 მაისი

48

ჩ ე მ ო ძ ვ ი რ ფ ა ს ო, ჩ ე მ ო ძ ვ ი რ ფ ა ს ო გ ა ლ ი კ!

ახლა მე ლაპარაკი არ მსურს, არ მინდა! მინდა მოგეხვიო და უჩუმრად დავჯდე შენს გვერდით. ჩემი ფიქრები და განცდები აბობოქრებულ ზღვასა ჰგავს, რომელიც ქუხილითა და გრგვინვით ეხეთქება ნაპირს. ასე მგონია, ჩემში ერთმანეთს შერწყმია აბორგებულ ზღვათა და ოკეანეთა მირიადები. ისინი ღმუიან, შფოთავენ, ქვითინებენ, გვიხმობენ, იბრძვიან სიცოცხლისათვის, ბედნიერებისათვის. ო, როგორ გრგვინავენ, როგორ იწვევენ საკუთარ ბედს ორთაბრძოლაში — ისე როგორც შექსპირი ამბობს მაკბეტის პირით:

„ბედო, გიწვევ შენ უკანასკნელ ორთაბრძოლაში".

ო, როგორ მინდა, ვიყო ახლა შენი ფიქრების, შენი გრძნობების წყნარ და მშვიდობიან ნავსაყუდარში. მინდა, რომ იმათ გულში ჩამიკრან, მომეფერონ და დამამშვიდონ. მესმის შენი თბილი ალერსიანი ხმა, ვგრძნობ შენს სიახლოვეს, ჩემო ძვირფასო გალ, და სათნოება, სიმშვიდე და იმედი ეუფლება ჩემს არსებას.

შენთან ყოფნა, შინ ყოფნა მინდა!

ო, როგორ დამამშვიდებდა შენი ალერსიანი ხმა. მე მეჩვენება — თითქოს მწვანე მდელოზე ვდგავარ, რომელიც მოფენილია წითელი, ვარდისფერი, იისფერი, ლურჯი, თეთრი, ყვითელი, ცისფერი და ათასფერი ჭინდვრის ყვავილებით. ისინი ნელა ირხევიან ჩემს ირგვლივ, ცელქი ნიავი ეთამაშება ბალახებსა და ყვავილებს, ისინი კი ნაზად და ნაღვლიანად ღელავენ.

და ყოველივე ეს ხომ შენა ხარ, შენ ჩემო ძვირფასო გალიკ! ახლა მე მშვიდად და ყოველთვის, ყოველთვის მშვიდად ვარ!

ჩემო კარგო, გემუდარები, მოაგვარე ისე, რომ თავის დროზე გქონდეს თუნდაც მინიმალური პირობები მუშაობისთვის. გთხოვ, მოუფრთხილდი ჯანმრთელობას, თუ გინდა, რომ ოდნავ მაინც დამამშვიდო.

მე გთხოვდი შენ, ჩვენებოდი შინაგან და ნერვულ დაავადებათა ექიმს, არა, უბრალოდ კი არ ჩვენებოდი, სერიოზულად გემკურნალა, წასულიყავი სანატორიუმში. ამის გარდა, საჭიროა კარგად გამოიკვლიო გული, თირკმელები. გააკეთებინო ანალიზები, რათა გაირკვეს თირკმელების მდგომარეობა.

რასა ჭამ? როგორ იკვებები? გაქვს კი თავის დროზე საჭმელი? სუფთა ჩასაცმელი, თეთრეული და ყველაფერი, რაც აუცილებელია?

ჩემო ძვირფასო, როგორ ვდარდობ, როგორ ვდარდობ შენზე, ისე მგონია, თავის დროზე არაფერი გაქვს— სიმშვიდე, სიმყუდროვე. მინდა, რომ არ გჭირდებოდეს არაფერზე ფიქრი და ზრუნვა. როგორ მსურს, ვიყო შენს გვერდით, რათა გქონდეს ყველაფერი აუცილებელი იმისათვის, რომ სრულყოფილად დაისვენო, იმკურნალო და შემდეგ ხელახლა შეუდგე შემოქმედებით შრომას.

ასე არ შეიძლება, ჩემო კარგო, უნდა იფიქრო ჯანმრთელობაზე და ისე მოიქცე. როგორც მე გწერ. გააკეთე ეს ჩემი ხათრით, თუ გინდა, რომ შემდეგ კარგად იმუშაო. შენ პატარა ბავშვივითა ხარ, სრულებით ვერ

ერკვევი პრაქტიკულ საკითხებში. და მე გული მტკივა, გული მტკივა, რომ არ შეგიძლია, მიხედო შენს თავს.

4 ივლისს მე ისევ მივიღე სამასი მანეთი. მერიდება, ამდენ თანხას რომ მიგზავნი, შენ კი, ალბათ, უარს ამბობ ყველაზე აუცილებელზეც კი. ეგების, ჩემი გულისთვის შიმშილობ კიდეც? მაშინ ნაკლები გამოგზავნე, გემუდარები! მეტი აღარ ეტევა ფურცელზე. .

შ ე ნ ი ო ლ ი ა.

მაპატიე, მაპატიე, რომ ასე გაურკვევლად დავჯდაბნე.

მიიღე ჩემი 15 ივნისის წერილი?

ნახვამდის, 21 ივლისი.

გკოცნი მაგრად მაგრად, შენი ო ლ ი ა.

დანარჩენებზე შემდეგ წერილში მოგწერ.

1940 წ.,
21 ივლისი

49

ჩ ე მ ო ძ ვ ი რ ფ ა ს ო გ ა ლ ი კ!

ადრიანი დილაა ახლა. მზის ვარდისფერი სხივები ნაზად აშუქებენ ოცნებათა სამყაროს თვალუწვდენელ სივრცეს და ფრთხილად ეამბორებიან მის ქათქათა და რუხ ღრუბლებს.

აი, ხმაურით შეინავარდა ჰაერში ჩემმა შევარდენმა — თვითმფრინავმა. როგორ ნარნარად და ამაყად მისრიალებს იგი სივრცეში, ხოლო მზის ვარდისფერი სხივები გარს ბულულებად ეხვევიან, ეალერსებიან ამაყ მებრძოლს.

შეხედე ამ სხივებს, ისინი ისე ღიმებიან, როგორც ძვირფასი გალიკის „ატმის ყვავილები", მაგრამ ამ ღიმილთან ერთად მე მესმის შორეული გამოძახილი, რომელიც მომავალში სიხარულს მიქადდა. იგივე სიხარუ-

ლი უნდა ეგრძნოთ ლიტერატურის ძვირფას კრიტიკოსებს: უდავოდ, რა თქმა უნდა, თავად პოეტი უნდა იყო, რომ შეიცნო პოეზიის ავი და კარგი. ანუ გესმოდეს პოეტისა, მისი პოეზიისა.

კრიტიკოსს ძალა უნდა შესწევდეს, უნიჭიერესი პოეტის ლექსებში აღმოაჩინოს ძვირფასი განძის ის შენაკადები, რომლებიც მიმალულია მის ქმნილებებში — სახელდობრ — გალიკის თხზულებებში!

23 ივნისის გაზ. „პრავდაში“ წავიკითხე სტატია, რომელიც ასე იწყება: გ. ტაბიძე... საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტია[22]. მე ძალიან მომეწონა ეს სტატია. მაგრამ, რა თქმა უნდა, საჭირო იყო უფრო ღრმად მიმოეხილათ პოეზია, მაგრამ, მოკლე მიმოხილვის პირობაზე, მაინც ძალიან კარგი სტატიაა.

გეხვევი, მაგრად, მაგრად!

ჩემო კარგო გალიკ, გთხოვ, მხოლოდ ერთს — გაუფრთხილდი ჯანმრთელობას, გაუფრთხილდი, ჩემო კარგო!

მე გწერდი, რომ დიდად მასიამოვნებ, თუ მიხვალ ექიმებთან, გამოიკვლევ შენს ჯანმრთელობას და ნაწილობრივ მაინც დაიცავ რეჟიმს.

გაქვს კი თბილი ჩასაცმელები ზამთრისათვის?

იყიდე ის წიგნები, რომლებზედაც გწერდი? მართალია, მაგ წიგნებს მანდ ვერ იშოვი, მაგრამ მოსკოვისა და ლენინგრადის გამომცემლობების საშუალებით შეიძლება მათი შეძენა.

ახლახანს მე წავიკითხე ვერესაევის წიგნი „გოგოლი ცხოვრებაში“, ისეთივე მოცულობის წიგნია, როგორიც „პუშკინი ცხოვრებაში“. ახლა ვკითხულობ წიგნს ბერლიოზზე და რ. როლანის წიგნს მუსიკოსების შესახებ.

კიდევ რა წავიკითხე? ამაზე შემდეგ.

რამდენი რამ მინდა მოგწერო და ვერ ვახერხებ.

გაგიქებით მინდა, თუნდაც ერთი საათით, შინ ყოფნა — სულელური სურვილია, ხომ?

19 სექტემბერს წერილი მოგწერე.
გეჩვევი, გკოცნი უსასრულოდ ბევრს!

შენი ოლია.

1940 წ.,
31 ოქტომბერი

იწყება ყინვები და თოვლი.
როგორ მინდა მქონდეს იმ ლექსების თარგმანები, რაც ახლა გამოიცა[23].

50

ჩემო ძვირფასო, ჩემო უგონო სიყვარულო!

აი, მიიღე ჩემგან ეს მინდვრის ყვავილები, ისინი ნორჩებია და უტყვი, მაგრამ მაინც თავდავიწყებით მოისწრაფვიან შენსკენ.

ჩემო ძვირფასო. ყოველდღიურად გადავცემ შენს მოკითხვას ჰაერის ტალღებს. ხომ გესმის?

ხო, მე არ ვიღებ შენს წერილებს. ო, მე მიყვარს დუმილი, მაგრამ რარიგ ძნელია მთელი სიცოცხლე ესაუბრო დუმილს. არ გსაყვედურობ. არ არის საჭირო! მაინც მოგწერ და მოგწერ ბარათებს, სანამ ცხოვრების ქარიშხალი სამუდამოდ არ დამიხუჭავს თვალებს.

ო, დღევანდელი დილა იყო ვარდისფერი, ვარდისფერი. მზემ სისხამზე ვარდებით მოფინა თოვლი. თოვლიც ვარდისფერი იყო. ასეთი დიდებული ვარდისფერი ჯერ არ მინახავს არც ბუნებაში, არც ხელოვნებაში.

ამ ვარდისფერ ტონებში გაბრწყინდა, აკიაფდა ვარდისფერი ფიქრები, მომაგონდა შენი „იისფერი თოვლი“.* ოი, როგორ ფეიერვერკებად ტრიალებენ, ეხვევიან ერთურთს ოცნებათა ვარდისფერი და იისფერი ტონები. და როგორ ეწვიოს მათ ადამიანის სულის სწრაფვა, ადამიანის ფიქრი, ვრძნობა იმისა— დიადი და მიუწვდო-

* სიტყვები გ. ტაბიძის ლექსიდან „თოვლი“.

ველი რომ აქციოს მისაწვდომი, ხელშესახები, რათა დამკვდირდეს მთელ ქვეყანაზე ბედნიერება — რამეოუ ადამიანი იმსახურებს ამას!

ჩემო ძვირფასო, ძვირფასო გალკ!

ირგვლივ ყინულის ლოლუები ბრჭყვიალებენ და ალმასებად იცრემლებიან. მაშ, ახლოა გაზაფხული!

გაზეთში წავიკითხე, რომ მანდ, შენთან, საქართველოში, თბილა. 20—25 გრადუსია სითბო. თესვა დაიწყო, აყვავდა ნუში და ა. შ.

დამიკოცნე მაგ გაზაფხულის ფერადოვანი შემობიჯება!

ჩემო ძვირფასო, ტიტანური ძალით მინდა, რომ მოგეხვიო. ეხ, შეგხვდები კი ოდესმე?! მაგრამ, შორს ეს ფიქრები, ეს დემონი ჩემი სულისა!

ძვირფასო ჩემო, ნაღვლობენ, დარდობენ, ხელობენ ოცნებანი შენზე.

შინ ყოფნა მინდა, მორჩა და გათავდა!!!

თითქოს დავკარგე ყველაფრის იმედი.

ძვირფასო გალიკ, გული მეწურება, გული მძვინვარებს — უნდა შეიტყოს შენი ჯანმრთელობის, შენი ცხოვრების ამბავი. გკოცნით, გკოცნით შენ და შენს ქმნილებებს!

ვიგონებ რიონს, რომლის ნაპირზეც არაერთხელ გვისაუბრია მდინარის ნაზ ჩურჩულში, რომელიც ერთვოდა მთვარის სხივების ციმციმს ტალღებზე...

ძვირფასო, უკვე მიჭირს წერილის წერა. რა ვქნა? ძალიან მიჭირს? მშვიდობით!

შ ე ნ ი ო ლ ი ა.

მას შენ გაგიქებით უყვარხარ!

1941 წ.,
14 მარტი

არც კი ვიცი, ღებულობ და პირადად კითხულობ თუ არა ჩემს წერილებს?

ჩემი თხოვნაა: თავს გაუფრთხილდი, ჩემო ძვირფასო!

მაგრად გეხვევი.

ახლა მე ვკითხულობ გორკის „ხალხში“, ცვაიგის „რომენ როლანს“ და მისსავე „მარსელინა ვალმორს“. დაწვრილებით მინდოდა მომეწერა, მაგრამ ადგილი არ არის...

51

ჩემო ძვირფასო გალიკ, ძვირფასო გალიკ!

როგორა ხარ? ო, რამდენი საუკუნეა შენი არაფერი შემიტყვია. მხოლოდ მოლოდინი და მოლოდინი, მოგონებები შენზე, თქვენზე ყველაზე, ძვირფასო. ვეუბნები მოგონებებს ნუ მაწვალებთ, ნუ მტანჯავთ, ჩამომეხსენით. ფიქრები დაქსაქსული და შეშფოთებული ნაბიჯებით მოაბიჯებენ ჩემსკენ, კმარა, აღარ მინდა ისინი! ჩემო ძვირფასო, ჩემო სიხარულო, მუჭაში ვაგროვებდი მზეს შენთვის, აჰა, მიიღე იგი ჩემგან. ო, მიიღე მილიონობით სხივი!

სიცოცხლე სიხარულისთვის გვეძლევა, კაცობრიობის სიხარულისათვის მიმდინარეობს მუშაობა საბჭოთა კავშირში.

გაუმარჯოს სიხარულს!

ძვირფასო გალიკ, არ ვიცი, როგორ შევიტყო შენი ამბავი, როგორ ხარ, იყავი თუ არა სამკურნალოდ და სად? როგორია მკურნალობის შედეგი? და საერთოდ, ყველაფერი მინდა ვიცოდე თქვენზე.

ჩემო ძვირფასო გალიკ, გემუდარები, თავს მიხედე, გაუფრთხილდი ჯანმრთელობას, ხომ იცი რაოდენი სიხარულის მოტანა შეგიძლია ჩემთვის?

ვწერ ჩქარ-ჩქარა და ვეღარ ვფიქრობ, დაბნეული ვარ, მაპატიე.

გრძნობები მახრჩობს. მიჭირს წერა.

გეხვევი ძლიერ, ძლიერ, გკოცნი

შენი ოლია

ნეტავ თუ ვიქნები მალე სახლში? გავიგონებ კი შენს საყვარელ ხმას?

სახლში ყოფნა მინდა! მაპატიე, გეხვევი, ვკოცნი შენს ხელნაწერებს და წიგნებს. გალიკ, ჩემო კარგო გალიკ! კიდევ ერთხელ გეხვევი და გკოცნი.

1941 წ.,
30 ავგისტო

გალაკტიონის წერილები ოლია ოკუჯავასადმი*

1

ძვირფასო ოლოლ!

ამეღამ 5 საათზე გავდივარ ქუთაისიდან... გავდივარ რაღაც მწარე წინათგრძნობით. მგონია, თითქოს სამუდამოდ ვემშვიდობები ქუთაისის არემარეს, გული ტანჯვით მეკუმშება, უსასოობასა და მარტოობას ვგრძნობ.

სადა ხარ ახლა, ოლოლ! რომ იცოდე, რანაირ მდგომარეობაში ვარ... ისე მინდა ახლა შენს ახლო ვიყო, შენს სუნთქვას ვგრძნობდე, მაგრამ ყველაფერი ეს ისეა შესაძლებელი, როგორც ცისა და დედამიწის შეერთება. მე მგონია, ჩემი უკანასკნელი სიყვარული გედის სიმღერა იყო იმ ბედნიერების, რომელსაც ასე განვიცდიდი მარტოობის დროს ჩემს სიყმაწვილეში. მე მგონია, არასდროს არ განმეორდება ის დაუბრუნებელი წამები მთელი თავისი სიმშვენიერითა და სილამაზით. რა საშინელი მარტოობაა! რა უსაზღვრო უთვისტომობაა! რაგვარი უფსკრული მიდგას წინ და მიპირებს შთანთქმას... მეშინია, ოლოლ, მეშინია!

ახლა განშორების წინ მთელი ჩემი წარსული, უფერული, მეგობრობასა და თანაგრძნობას მოკლებული, საოცნებო სახეს იღებს და მიმზიდველი ღიმილით მეპატიჟება... მეპატიჟება მხოლოდ და, ვინ იცის, ავისრულებ როდესმე ჩემს წადილს, ვიქნები ისევ ისეთი, რაც ვიყავი უკანასკნელ ხანებში თუ არა? — არ ვიცი!

---

* აკადემიური ტექსტისაგან განსხვავებით გალაკტიონის წერილებში შეტანილია უმნიშვნელო ცვლილებები.

გესმის, ოლოლ, ბავშვობიდანვე მწამდა ბედისწერა, მოიარა, როგორც ეძახიან, — ფატალიზმი. იგი ჩემი მუდმივი მტერი იყო... მე არ მახსოვს მისგან რაიმე კეთილი საქმე. ხვალინდელი დღე ჩემთვის არ ვიცი, როგორი იქნება... მაგრამ ჩემი მტერი, ჩემი ბედისწერა, უთუოდ აქაც თავისას დამმართებს.

ოლოლ, თუ სალდათად წამიყვანეს... შენ გეწყინება, არა? მე მგონია შენ ერთადერთი არსება ხარ მთელ ქვეყანაზე, რომელსაც ჩემი უბედურება გულს გატკენს... ახლა რომ შენთან ვიყო, დაგკოცნიდი, დაგკოცნიდი გიჟივით...

ჰო, იმას ვამბობდი... (მეც არ ვიცი, ახლა რას ვამბობ და რას არა), რომ საშინელ სულიერ ობლობას განვიცდი-მეთქი... არავინ არ მინდა ვნახო... დაველაპარაკო, მინდა მხოლოდ შენ იყო ჩემს ახლო.

ახლა რადგან გვიანაა (თერთმეტის ნახევარია), საკანდიტროში ვზივარ და ისე ვწერ ამ წერილს... არავინ არ არის მახლობლად... ერთიც ვნახოთ, შემოდის მიშა, შენი ძმა... მინდა მიშას ბევრი რამე ვესაუბრო, მაგრამ არა მცალია, ახლა ხომ ამ წერილსა ვწერ...

თუ მე ბედისწერა მწყალობს, მიშა მოიცდის ამ წერილის გათავებამდე... ის ჯერ რძეს მიირთმევს პატიოსნად... მე განვაგრძობ ისევ ამ წერილის წერას. აი ეს უკანასკნელი სიტყვა როცა დავწერე, მიშა ადგა და გავიდა. მაშასადამე, ოლოლ, მე ბედისწერა არ მწყალობს. ბედისწერა... ბედისწერა...

დღეს ჩემთან ნუცა იყო. მინდოდა იმასთანაც ბევრი მესაუბრნა, მაგრამ ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი...

კოლიაც შემხვდა — იმას მხოლოდ თავი დავუკარი და გავუღიმე — როგორც ერთმანეთს ვხვდებით ხოლმე.

სიმონიკასაც შევხედე სადღაც...

მხოლოდ ვერსად ვერ ვნახე პატარა კუზიანი, რომელიც ყველას სჯობია, ის პირადად არ შემხვედრია.

მალე დაკეტავენ საკანდიტროს და გავალ ქუჩაში... გავალ...

გკოცნი, ოლოლ... ოლოლ, მშვიდობით.

მარადის შენი გ. ტ ა ბ ი ძ ე

P.S. სურათი არაა მზად, თორემ გამოვგზავნიდი... რა ვქნა, ოლოლ, ვკვდები...

გ. ტ ა ბ ი ძ ე

გამოგიგზავნი წერილს... გახსოვდე!

რამდენი რამ მინდა მოგწერო, მაგრამ ადგილი არაა.

სურათში დიდებულადა ხარ გამოსული; ორივენი კარგადა ვართ[24]...

სურათი ისევ შენ უნდა გამოიწერო, თუ მე მომიხდა ქუთაისში ჩასვლა, წავიღებ ერთს...

1913 წ.

25 ენკენისთვე

2

ო ლ ი ას

მას შემდეგ, რაც შენ წადი, რაღაც საშინელმა სიცარიელემ მოიცვა მთელი ჩემი არსება... სიცარიელემ, რომლის განადგურებას არ ვიცი, რანაირი მდგომარეობა შეძლებს და რა არის მისი წამალი? როდესაც შენ აქ იყავი, მე შემეძლო დამენახე შენ... ჩემთვის უბრალოდ შენს ახლო ყოფნა საკმარისი იყო, რომ შენს გარდა არაფერზე არ მეფიქრა. როდესაც მწარე ფიქრები, სევდიანი და სასოწარკვეთილი სულიერი განწყობილება შემიპყრობდა, მე მოვქროდი შენსკენ, თუმცა არც შენგან მესმოდა დამამშვიდებელი საუბარი, მაგრამ უბრალო სიახლოვე საკმარისი იყო ჩემთვის, ვიმეორებ. ჩემს გულს საშინლად სწამლავდა შენიანების იქ ყოფნა. მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ უცხო, ძალიან უცხო და არასასიამოვნო პირი ვიყავი დედაშენისთვის, მე ვგრძნობდი, რომ ყველა გულში ან დამცინოდა, ანდა კვირობდა ჩემს ხშირ სტუმრობას... მე ვგრძნობდი, რომ რაღაცნაირი სი-

ცივე შემქონდა თქვენს სახლში და მინდოდა მეყვირა, რომ არავინ არ მინდა შევაწუხო, რომ მხოლოდ ოლიასთან ყოფნა მინდა-მეთქი.

მართლაც რა საკვირველი რამაა, მთელ შენ კომპანიასთან, მხიარულ კომპანიასთან, მხოლოდ მაშინ ვგრძნობ კავშირს, როდესაც შენა ხარ ქუთაისში... როდესაც შენ წახვალ, მე მათ ვავიწყდები და ისინი მე მავიწყდებიან... თითქოს არაფერიც არ მომხდარა, თითქოს არაფერი საერთო ერთმანეთთან არა გვაქვს.

აი, მაგალითად, შენი ორჯერ გამგზავრების ამბავი: ოქტომბერში მატარებელზე ყველანი შეეიკრიბენით, რადგან შენ მიდიოდი ჭიათურაში. რაღაც ნაღვლიანი გაცილება იყო. შენ სიკვდილმისჯილი დამნაშავის სახე გქონდა, ჩვენ კიდევ მოწყენილი. და აი დაიძრა მატარებელი, შენ წადი... მე ერთი გადავხედე ყველას... ყველა ჩუმად, უსიტყვოდ იდგა, უსიტყვოდ დავიძარით სადგურიდან, უსიტყვოდ დავესალმეთ ერთმანეთს და შემდეგ არსად არ შევხვედრივარ არც ერთს, შენს ხელახლა ჩამოსვლამდე.

შენ ჩამოდი და მე ისევ არ მინდოდა დავახლოებოდი ამ ჯგუფს, რადგან არავითარ სულიერ ნათესაობას არ ვგრძნობდი მათთან, მხოლოდ შენმა მათში ყოფნამ მაიძულა სახეზე ნიღაბი ამეფარებინა, თითქოს მართლაც...

უკანასკნელად, როცა შენ მიემგზავრებოდი, ეს „ჩატეხილი ხიდი" უფრო საგრძნობი და თვალსაჩინო გახდა ჩემთვის.

როგორც კი მატარებელი დაიძრა, იმ წუთშივე ვიგრძენი, რომ გადამთიელი ხალხი მერტყა ირგვლივ, მათ სახეზე შევამჩნიე ამგვარივე გამომეტყველება, რომ მეც გადამთიელი ვიყავი მათთვის.

რა არის, უკანასკნელად, ამის მიზეზი? ჩემი გულდახურულობა? იქნება ეს ასეა?

სადგურიდან წამოვედით... მთელი ეს კომპანია სადღაცა მიეშურებოდა. კუზიანმა გაკვრით თქვა, რომ ამაღამ კოლიასთან იკრიბებიან (ჯაფარიძესთან). მე ვიგრ-

ძენი, რომ ზედმეტი კაცი ვიყავი მათში და საჩქარად დავშორდი მათ; დავშორდი მათ, მე მგონია, დიდი ხნით. როდესაც შენ ჩამოხვალ, შეიძლება ისევ შევუერთდე შენს მეგობრებს... მანამდე არ ვიცი, როგორ მოხდება.

ოლია, როგორ ფიქრობ შენ ამ ამბავზე? შენ იქნება გადამეტებულად მიიჩნიო ყველაფერი ეს, იქნება უბრალო განმარტოების სიყვარულს და სხვა ასეთებს დააბრალო, მაგრამ ეს ასეა... მე ვიცი, ისინი ყოველთვის ისე მიმიღებენ, როგორც მიღებდნენ. ისიც ვიცით, რომ ისინი მე მიცოდებენ, მაგრამ რად, რისთვის?

. . . . . .

დღეს დედაჩემისაგან მივიღე წერილი. საწყალი დედა! იგი შერიგებას მთხოვს, იგი ნანობს, რომ დამღუპა და ნამდვილ გზას ამაცდინა. დედაჩემი მეევედრება, რომ ყველაფერი ვაპატიო და დავივიწყო... რამდენი ხანია, კარგ განწყობილებაში არ ვყოფილვარ დედასთან და ძმასთან..: თითქმის ოთხი წელიწადნახევარია.

ამ ხნის განმავლობაში მე არ მქონდა მყუდრო ბინა, ამ ხნის განმავლობაში საშინელი გაჭირვება გამოვიარე. ეგ კი არ იცოდა დედაჩემმა. რამდენი გაჭირვება, ღმერთო ჩემო, რამდენი გაჭირვება! თუ როდისმე ბედნიერ ცხოვრებას ვეღირსე, ჩემს მოგონებებში წითელი ასოებით დაიწერება უკანასკნელი ოთხი წელიწადი! უკანასკნელმა ოთხმა წელიწადმა დამღუპა...

რა უნდა ვქნა ახლა?

სადაა საშველი გზა?

. . . . . .

მაგრამ დღეს ყველაფერი ერთია! ოცნებებისა და სიზმრების დრო წავიდა! აღარაფერი არ გამახარებს, თვით ტკბილი სინამდვილეც კი! მშვენიერი ცხოვრება მე ოცნებებში განვიცადე... და

რაც ოცნებებში განგიცდია მთელი არსებით,

სინამდვილეში მას ექნება რაიმე ფასი?

ასეა საქმეები, ჩემო ოლია...

რყავი კარგად...
მშვიდობით, მარადის შენი გ. ტ ა ბ ი ძ ე

ქუთაისი,
6 იანვარი, 1914 წ.

3

ო ლ ო ლ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა!

შენი წერილი მივიღე და ძალიან ვხარობ. ჩემო ოლოლ, რა საჭიროა დარდი და წუხილი? რა საჭიროა, რომ ყოველ წუთში შავი ფიქრები გიტრიალებდეს თავში? უნდა ეცადო, რომ მწარე წუთები ტკბილ წუთებად წარმოიდგინო, უნდა ჩაჰკლა მწუხარება გულში. ჩვენი სიცოცხლე ისე ხანმოკლე და უდღეურია, რომ არავითარი ფასი არ ექნება მას, თუ ის ისე არ გავატარეთ, როგორც ჩვენ გვსურს. ცხოვრება უნდა მოვაწყოთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა. აი თავი და თავი მიზანი ბედნიერების.

ნუ გეწყინება, ოლია, და მე პირდაპირ გეტყვი: შენ სრულიადაც არა ხარ უბედური ადამიანი, ანდა თუ ხარ, იმდენად, რამდენადაც ყოველი ჩვენგანი. მაშ რატომ უნდა ემდუროდე შენ ბედს? შენ უყვარხარ და შენ გიყვარს!

მაშ რატომ ხარ უბედური?

ამბობ, რომ ავად ვარო. მაგრამ მცირე ექიმობა და შენც თავისუფალი იქნები. თუ იმდენად სულელია ადამიანი, რომ ექიმთან მისვლაც არ შეუძლია და ვერ მოუხერხებია, იმის ხომ არაფერი ღირს!

ოლია, ნუ სწუხხარ დაკარგულ იმედებს და აუსრულებელ მიზნებს — დაივიწყე!

არაფერი იმაზე სამწუხარო არა არის რა, როცა ადამიანი ვერ შეიგნებს თავის მდგომარეობას. ერთადერთი საუკეთესო ხანა ჩვენს ცხოვრებაში — სიყმაწვილეა, ახალგაზრდობაა. როცა ამ ხანასაც სიმწუხარეში ვკლავთ, გვინდა, რომ მწუხარებაში ვიყოთ, ამაზე უფრო

სიგიჟე ქვეყანაზე იქნება? ჩვენ ვფიქრობთ, თითქო ჩვენი მწუხარებით ვალამაზებთ ცხოვრებას, თითქოს მწუხარება თვითონ ჩვენ გვალამაზებს და რაღაც ფანტასტიურ არსებებად გვქმნის.

ნამდვილად კი იმგვარი მწუხარება და ნაღველი, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ჩვენ გვამახინჯებს... საშინლად გვამახინჯებს, სასაცილო ადამიანებად გვხდის. ყოველ წუთში ენაზე გვაკერია: „ტანჯვა", „გამოუთქმელი მწუხარება", „სულის სიცარიელე" და სხვ. და სხვ. მაშინ როდესაც ჩვენ, ახალგაზრდები უნდა გავიძახოდეთ „სიცოცხლე", „სიხალისე", „ბედნიერება"-თქო. თუ არც სიხალისეა, არც ბედნიერება, არც სხვა რამე, ჩვენ უნდა შევქმნათ, გესმის, ჩვენ უნდა შევქმნათ ბედნიერება, გახსოვდეს, რომ სიყმაწვილე ბედნიერებისთვისაა შექმნილი, თუ სიყმაწვილეშიაც უბედურად წარმოვიდგინეთ თავი, რაღა უნდა ვქნათ მაშინ, როცა სიყმაწვილეს გადავცდებით. რას ვიზამთ მაშინ, როცა ცხოვრების აღსასრული მოვა და ჩვენ სრულიად გავქრებით დედამიწის ზურგიდან?

ოლია, არ გაუშვა არც ერთი წუთი, რომელიც ბედნიერებას მოგანიჭებს! უამისოდ ფუჭია მთელი ცხოვრება Жизнь на радость нам дана!

თავს მოუფრთხილდი, ოლია! თუ ჯანმრთელობა არ იქნა, რად გინდა რამე? მთელი შენი „Настроение"-ბი და იმისთანები სულ იმისგანაა, რომ თავს არ უვლი. აი თუნდაც შენი საჭმელი. არაფერს არ სჭამ და რა გასაკვირველია, რომ ავად იყო. ოლია, თუ გინდა, რომ ორივენი როდისმე მაინც ბედნიერები ვიყვეთ, უპირველესად გახდი ჯანმრთელი, მხიარული, სიცოცხლით სავსე, სავსე იმედებით, რწმენით! ცხოვრებასთან გასამკლავებლად საჭიროა როგორც მშვენიერი და სიხალისით სავსე სული, ისე ჯანმრთელობა, ჯანმრთელობა და ჯანმრთელობა!

ოლია, საზაფხულოდ უსათუოდ ერთად ვიქნებით სადმე... აი ნახავ. თუ საზაფხულოდ არა, მოსკოვში ხომ

მაინც... თუ მოსკოვშიაც არა, როდისმე ხომ მაინც ვიქ-ნებით ერთად? ჯანი გავარდეს. მე ძალიან გული დამ-წყდება, თუ წელს ვერსად ვერ წავედი, ისე გულით მინ-და, მაგრამ რა გავახერხო? სტიპენდიაზე ფიქრი ტყუი-ლია. სხვაფრივ კი არ შეიძლება.

მალე ზაფხულიც მოვა. ჩამოვლენ სტუდენტები და კურსისტკები რუსეთიდან, საზღვარგარეთიდან. ააჭრე-ლებენ მთელ ქუთაისს და პირდაპირ შხამით აგევსება ადამიანს გული მათი ცქერით. მეტისმეტად შურიანი რომ არ ვიყო, შეიძლება მეპატიებინა ყველასთვის მათი სტუდენტობა და ჯანდაბები, მაგრამ...

ოლია, მომწერე წერილი.

მაშ...

იცოცხლე, იმხიარულე, იყავი კარგად.

შ ე ნ ი გ.
1914 წ. 18 თებერვალი,
საღამო.

4

ო ლ ი ა!

მე თანდათან ვრწმუნდები, რომ სრულიადაც არ ცდებოდენ ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსები, არც გერაკლიტე ცდებოდა, როცა ამბობდა: „ადამიანის ბედ-ნიერება თვითონ მასზეა დამოკიდებულიო“. ეს ნების თავისუფლებაზეა ნათქვამი, მართალია! ისიც მართალია, რომ ადამიანი თავისუფალია თავის სიცოცხლეში და არა-ვითარი ხელის შემშლელი პირობები არ არსებობს, თუ არსებობს შეგნება. თვითონვე შეჰქმენი პირობები, თვი-თონვე გამოსჭედე ბედი! მე ვცდილობ მოვაწყო ჩემი ცხოვრება ისე, როგორც მე მსურს და თუ ეს არ მოხერ-ხდება, დავარწმუნებ ჩემს თავს იმაში, რომ ბედნიერი ვარ, მე ვიცი, რომ არაფერი ისეთი არ გადამხდება თავს, რაც სხვას არ გადახდენია. მე ვიცი, რომ ვერ ავცილდე-ბი იმ საზღვარს, რომელშიაც კაცობრიობაა მომწყვდეუ-

ლი, მაშ რატომ უნდა შევიგნოთ მწუხარებისა და დარდის აუცილებლობა? შენ მწერ: ამ ქვეყანაში მუდამ მხიარულება მხოლოდ სულელს შეუძლიაო, რომელიც ბრმაც არის და ყრუც, შენ სწერ ამ სიტყვებს ისეთი ტონით, თითქოს დასცინი იმ ბრმა და ყრუ ადამიანს, რომელიც მუდამ მხიარულობს... მაგრამ შენ სცდები! მე უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნია მხიარული ბრმა და ყრუ.

არ არის ქვეყანაზე ადამიანი, რომელსაც თავისი მწუხარება არ ჰქონდეს, მაგრამ სწორედ სულელია ის ადამიანი, რომელიც თავის მწუხარების გარდა ვერაფერს ვერ ხედავს...

პირობები? რა არის თავისთავად პირობები? შენ ეს პირობები მიგაჩნია ცხოვრების ერთნაირ კალაპოტათ, ბედნიერებისა და უბედურების საწყაულათ. ჯერ პირობები და შემდეგ ბედნიერებაო — გაიძახი.

მაგრამ იცი რა გითხრა? ჯერ შენ შეიგნე საკუთარი ბედნიერების ძლიერება და დაინახავ, რომ პირობების საძირკველი ფუყე ყოფილა.

რაც შეეხება ჩვენს სიმახინჯეს, მე ეს შიუკაშვილისაგან არ მისესხებია. იქაურ სიმახინჯეს სულ სხვა საფუძველი აქვს — მე კი სულ სხვას გწერდი. მე არც კურსისტკები მიხსენებია წერილში — შენ კი მწერ: „Разве те курсантки или в общем девушки, которые много занимаются, они не жаждают жизни?“ ვინ მოგახსენა? ცხოვრება ყველას სწყურია და მით უმეტეს, დღევანდელ კურსისტკებს, მარა ისინი ყველა ხელიდანაა წასული, მათ პატრონებს იმათი იმედი ნულარ აქვთ... მახინჯები არიან.

მე, ოლია, მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ მეტისმეტი მწუხარება და სრულიად უსაფუძვლო, უმიზეზო მწუხარება ადამიანის დამახინჯებაა-მეთქი, მეთანხმები, არა? მწუხარება სერიოზული მიზეზებით გამოწვეული, ღრმა ადამიანებისთვის ყოველთვის დაფარული და მიუწვდომელია. გაიგე? მე ვიცი ადამიანები, რომლებიც იტანჯებიან ჩუმად, უსიტყვოდ. არავის არ ესმის

მათი მწუხარება, რადგან ისინი არავის არ უზიარებენ თავიანთ ფიქრებს... მე მიყვარს ასეთი მწუხარება. სიტყვით ნათქვამი, ყველასთვის გასაგონი მწუხარება — ყალბიცაა და დამამახინჯებელიც!

მაგრამ მეც შევტოპე ერთი სისულელეში... დავანებოთ ამაებს თავი და მომწერე, როგორ ატარებ დროს ჭიათურაში? ვინ არიან შენი მეგობრები, ან როგორი მეგობრები არიან, და სხვ.

მე მომწყინდა ყველაფერი! Хандра, მინდა გავიქცე აქედან სადმე, მაგრამ ჯერ სხვა საქმეები უნდა მოვაწყო. ზაფხულზე გადავიკარგები აქედან და გადავიკარგები ისე, რომ არასდროს ქუთაისი არ ვინახულო... აქ ისეთი ბოროტი ადამიანები არიან, ოლია! ისეთი ბოროტები!

ხელოვნება? — სისულელეა!
მშვიდობით, ოლია!

3

საშა ოკუჯავა ქუთაისში ბრძანდება. კოლია და ნინა დიდ ამბავში არიან, — აიკლეს ქუთაისის ბულვარი. კუზიანი უგზოუკვლოთ დაეხეტება. ნუცა „Ах, пожалей"-ს მღერის. ვანო ტუაფსეში გავამგზავრეთ, ერთ ღამეს იმასთან ვიყავით, სანთლები ჩავაქრეთ და ნუცამ ბულბულივით იმღერა. რა ნაზი ხმა ჰქონია, ღმერთო ჩემო!

ჩემი წიგნის საქმე დიდებულად მიდის. ივანე გომართელმა ისეთი მშვენიერი კრიტიკული წერილი დასწერა[25], რომ რა გინდა!

მარადის შენიგ.

[1914 წ..]

5

სალამი, ოლოლ!

ახლა უთუოდ ბედნიერად ცხოვრობ, არა? თუ ეს ასეა, ჩვენ მაშინ თანასწორ მდგომარეობაში ვიქნებით.

მე არასდროს, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში იმდენი ჩუმი და მყუდრო ბედნიერება არ გამომიცდია, რამდენიც ახლა, სოფელში ყოფნის დროს. წარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დრტვინვასა და მოუხეშავ ცხოვრებას დაშორებული, შორი, თვალუწვდენელი მინდვრები, იქით კიდევ მუდმივი მწვანით შემოსილი მთები. ახლა მინდვრებზე სულ სიმინდია დათესილი. ალაგ-ალაგ გაუვალი ტყეებია, მათ სიგრილეში დასვენებას და ოცნებობას არა სჯობს რა. ჩვენი სახლის მახლობლად, სულ ორმოც საჟენზე, მდინარე რიონი ჩამოდის. მე და ტიტე დღეში სამჯერ ვბანაობთ ხოლმე შიგ, დილას, შუადღისას და საღამოს, ვკითხულობთ ერთად წიგნებს, რაც კი გაგვაჩნია. შეღამებისას გავალთ რიონის გაღმა ყანებში, დავსხდებით რიონის პირზე ვერხვის ძირში, გვაქვს თან დოქით ღვინო, თან ვსვამთ, და თან ვსაუბრობთ, ვიგონებთ ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს; მაგრამ ყველაზე უფრო ვიგონებთ ჩვენს ტრფიალებს. ტიტე მიამბობს მოსკოვის ამბებს, მე ვუამბობ ქუთაისისას. ხანდახან გამოდის, რომ ქუთაისის ამბები სჯობნებია მოსკოვისას, რადგან მე უფრო მეტ ტყუილებს ვამბობ, ვინემ ტიტე. ტიტე გულზე სკდება.

მთვარე ამ დროს მაღლა სივრცეზეა ასული, ნიავი ქრის, რიონის ზვირთების ბუტბუტი არღვევს მყუდროებას.

შემდეგ მოვსეირნობთ ნავით. ვერ წარმოიდგენ, რა საუცხოვო რამაა ნავით სეირნობა მთვარიან ღამეს.

ტიტემ ანკესები იყიდა თევზების დასაჭერად, მე კიდევ ანკესები ვიშოვე. დავდივართ და ვიჭერთ თევზებს. ხანდახან, როცა ანკესებს დავაგებთ და ზედ თევზი მოეკიდება, პატარა ბავშვები მოგვპარავენ... ტიტემ არ იცის, რა ქნას ამ დროს. პირდაპირ უნდა მთელი ქვეყანა ძირფესვიანათ ამოაგდოს, მაგრამ როცა შეხედავს, რომ მე სრულიად გულდამშვიდებული ვარ, უფრო უარესად ცეცხლდება. მე ყველაფერი ეს მიხარია ძალიან...

სხვას აქ არაფერს არ ვაკეთებთ. დედაჩემის სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ სახლში დავბრუნდი. დე-

დას უნდოდა, როცა ჩავედი, მთელი სოფელი მოეწვია და ერთი უშველებელი ლხინი გადაეხადა. მე ეს არ ვქენი, რადგან სრულიად არ მინდოდა სოფლის მყუდროება დამერღვია რითიმე. ჩემი ძმა სოფელში არ დამხვდა, იგი წასულიყო მთებში ნათესავებთან. სხვა, შენ როგორ ცხოვრობ, ოლოლ? მე და ტიტე ხშირად ვსაუბრობთ შენზე. ტიტემ თქვა, რომ იგი Странная არისო. ამასთანავე მოიგონა, რომ ერთხელ შენ მას გალახვას დაპირდი. ტიტე გაკვირვებულია, თუ რატომ გინდოდა მისი გალახვა. მე ვუთხარი ტიტეს, რომ ოლიამ ერთხელ თორმეტი კაცი გალახა-მეთქი, ტიტემ პირი დააღო. მე ვიცინე და ვიცინე და ვიცინე! სულ... სულ...

მშვიდობით, ოლოლ. მოგწერდი ადრესს, მაგრამ ადრესი არა მაქვს. სანამ მე წერილს სოფელში მივიღებდე, ათას ხელში უნდა გაიაროს, ათასი ეტაპი უნდა გაიაროს.

იცოცხლე, იმხიარულე! მე კარგად ვიცი, თუ რასაც ეშმაკობ შენ ქუთაისში ეხლა, მაგრამ რა გაეწყობა.

დღეს სამტრედიაში ჩამოვედი, გეფიცები, რომ დღეს გავიგე, ომი იწყება, ქუთაისში ჩამოსვლა არ შეიძლება, მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია.

ახლავე სოფელში ვბრუნდები.

მშვიდობით, გკოცნი, გკოცნი და გკოცნი შენი მარადის და მარადის იქითაც გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი.

1914 წ.
24 ივლისი

6

ო ლ კ ი ნ!

შენ იცი, როგორ სულიერ განწყობილებაში ვიცი მე შენთვის წერილების წერა. მოიგონე ჩემი წინანდელი წერილები... ყოველთვის უსათუოდ დიდი მწუხარება მაწუხებდა, მაგრამ ყველაფერი დღეს სულ სხვანაირად მეჩვენება. მე ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები, რაც

მოხდა შენი წასვლის შემდეგ. მივედი თუ არა ბინაზე, მე დედაჩემი და ჩემი ძმა წავედით გორაზე ოთახისთვის, მაგრამ მხოლოდ ნივთების შეკვრა მოვასწარით. გადატანა არ მოხერხდა, რადგან მატარებელზე აგვიანდებოდათ. შემდეგ ისინი სადგურისკენ წავიდენ, მე კი თეატრში წავედი. სალამოზე... როგორც მაშინ გითხარი, ამ სალამოზე გამოსვლა მე არ მინდოდა, მაგრამ მიცემული მქონდა სიტყვა. გავედი თუ არა დავიწყე „მე და ღამე", მაგრამ ვერ დავათავე, რადგან დამავიწყდა. უხერხული მდგომარეობიდან გამომიყვანა ერთმა გარემოებამ: იქვე კათედრაზე ვიღაცას ლექსი დარჩენოდა, ავდექი და მეც ეს ლექსი წავიკითხე. საზოგადოებამ შეატყო, ბევრი მიძახა მეორეჯერ, მაგრამ მე არ გავედი... ყვავილები ძალიან ბევრი მომიტანეს, განსაკუთრებით, როცა თეატრიდან გამოვედი. საშინლად ცუდ გუნებაზე ვიყავი. შემდეგ ისეთი რამ მოხდა, რომელიც მთელს ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება... მე და ლადო მაჭავარიანი ერთ რესტორანში შევედით სავახშმოდ. შეექეიფიანდით, როცა რესტორნიდან გამოვედით, გავსწიეთ პირდაპირ ჩემი ბინისაკენ, მაგრამ კარები დაეკეტაო და ნახევარი საათის განმავლობაში ვიდექით, კარები არავინ არ გაგვიღო. რაღა გზა იყო, ჩვენ ისევ ქალაქში დავბრუნდით შუაღამისას, რომ ბინა გვეშოვა სადმე სასტუმროში. სასტუმროებში თავისუფალი და იაფი ოთახი ვერსად ვერ ვიშოვეთ და ვიყავით გაჩერებული ერთ ადგილას და ვფიქრობდით, თუ რა უნდა გვექნა. უცებ გამოიარა სათავადაზნაურო გიმნაზიის ხუთმა მოწაფემ, ორი ახალგაზრდა ქალით. ერთმა მათგანმა ისე მძლავრად გამკრა მხარი, რომ ხელი ახლაც მტკივა; გამკრა მხარი და მიღიოდა თავისთვის, თითქოს აქ არაფერიაო, არც ბოდიშის მოხდა, არც არაფერი. მე ეს ძალიან მეწყინა, და მივაყოლე: ცოტა ხეირიანად გაიარე-მეთქი. გიმნაზიელი მობრუნდა, გაჩერდა და ისე დამიწყო ცქერა, თითქოს დამცინოდა კიდეც. მთელი კომპანია შეჩერდა. მე მოთმინებიდან გამომიყვანა გიმნაზიელის უზრდელმა ქცევამ და ჯოხი დავარტყი... ყველას ხელის გამოღება უნდოდა, მაგრამ ჩემი ჯოხი ყველა-

სთვის მწარე გამოდგა. ამის შემდეგ ყველამ იკადრა პირის ბრუნება, მარა დაედევნა ლადო და მთელი გეგუთის ქუჩა სულ ცემა-ტყეპით გაარონია. პირდაპირ ზღაპრული სიმარჯვე გამოიჩინა, მაგრამ მე დავედევნე და შევაჩერე. შემდეგ მათი თანამგზავრი ქალებიც ჩაერიენ და მშვიდობა ჩამოაგდეს, მაგრამ ჩვენ იმ ღამეს არ გვძინებია... გავედით ქალაქგარეთ და ამასობაში კიდეც გათენდა. ლადო რედაქციისკენ წავიდა, მე ზევით, გორაზე. ოთახში მე მეძინა ორი საათის განმავლობაში და როცა გამომეღვიძა, ოჰ, შენ წარმოიდგენ ჩემს მდგომარეობას, რანაირი გაღვიძება იქნებოდა, საშინელი უმწეობა, მარტოობა, სინანული. სიჩქარით დავეშვი გორიდან ქვევით და, აი, ვწერ წერილს. ოლკინ, როგორ მოგწონს ეგ საქმე? ჯოხით, შენგან ნაჩუქარი ჯოხით, კაცს ვცემდი... რა მეშველება, ოლკინ, ნუთუ ყოველთვის ასე იქნება? ღმერთმანი, არ ვიცი, რა მემართება!

ოლკინ! ძვირფასო ოლკინ, უსათუოდ ჩამოდი მალე, თორემ თავს მოვიკლავ... ასე აღარ შემიძლია, როცა შენთან ვარ, ოლკინ, არასდროს ასეთი საქმე არ დამემართება. მაინც რა სულელურადაა მთელი ჩემი ცხოვრება მოწყობილი. არაფერს იგი არ ჰგავს. სახსნელი გზა არსადაა, პირდაპირ. ოჰ, ნეტავი ახლა შენთან ვიყო, მე ყველაფერს გეტყოდი...

ოლკინ, მითხარი, გიყვარვარ ძველებურად? მე მგონია, არა! ჩემგვარი კაცი განა შეიძლება ვისმეს უყვარდეს? დადებითად ძლიერი ჩემში არაფერი არ არის. რომ ვიყო ბაირონი, ლერმონტოვი, გიოტე... მაშინ შეიყვარებდნენ. მე კი ისე პატარა და დაწვრილმანებული კაცი ვარ... მაგრამ არაფერია, „Мы еще повоюем". შენ ის მითხარი, გიყვარვარ ძველებურად?

მე კი ისევ ძველებურად, გაგიჟებით და დიდი სიყვარულით მიყვარხარ!

მე ვერ წარმომიდგენია, რომ მე და ლოლი ერთმანეთს დავცილდებით როდისმე, რაღაც ძნელი წარმოსადგენია ეს. შენ როგორ ფიქრობ, ოლკინ. მომწერე, ოლკინ, თუ რანაირად და როგორ გიყვარვარ, რისთვის გი-

ყვარვარ... ყველაფერი, ყველაფერი მომწერე... რას იზამ, ოლკინ, მე რომ მოვკვდე? მაგალითად, მოვკვდი და აღარაა ქვეყანაზე გალონი. მოკვდა საწყალი გალონი და დაასაფლავეს. რას იზამ მაშინ? მოხდა ისე, რომ მე მოვკვდი სადღაცა შორს, ცივ ქვეყანაში, ან მოვკვდი საზიზღარი და სამარცხვინო სიკვდილით... მოკვდა გალონი ძალლივით. რას იზამ, ჩმოკლინ? იტირებ თუ არა იტირებ? ჩემო ძვირფასო, ერთადერთო მეგობარო, ერთადერთო ნუგეშო და დიდო ადამიანო, ჩემო ჩმოკლინ, ჩემო პატარა ჩმოკლინ. დეე, ნუ გეყვარები, მაგრამ ნურასდროს ცუდს ნუ გაიფიქრებ და ნუ იტყვი ჩემზე. გებრალებოდეს შენი საწყალი გალონი, შენი მუდამ მოყვარული მგოსანი გალონი. გალონმა შენ ბევრი გაწყენინა, მაგრამ გალონი ცუდი ბიჭი როდია, — გალონს შენ ძალიან, ძალიან უყვარხარ.

სხვა როგორ იმგზავრე? გზაში ეშმაკობდი, არა? ოლკინ, ჭკვიანად იყავი და უბრალოდ ნურავის დაენდობი, ხომ იცი რა საზიზღარი ქმნილებაა ადამიანი — ზოგიერთი.

ვერას გადაეცი ჩემი უგულითადესი სალამი, უთხარი, რომ მას დიდი პატივს ვსცემ... გახსოვს, ბაკურიანში რომ წერილზე ვეხუმრე, ალბად ახლა მას ჰგონია, რომ ჩემისთანა მატყუარა კაცი ქუთაისის ბულვარში არ დადის. აუხსენი, რომ მე არა ვარ მაგგვარი. მართალია, ხშირად ბევრი ცუდი საქმე მიქნია, მაგრამ ჩემი ეშმაკობა უმეტეს შემთხვევაში არავის ზიანს არ მიაყენებს... გადაეცი სალამი ვერას.

მიშა ვნახე სანამ სალიტერატურო სალამო დაიწყებოდა. მან მკითხა: ამალამ გამოდიხართო? მე ვუპასუხე, რომ გამოდის ყველა სულელი ხალხი და მეც მათ შორის-მეთქი. მიშამ ზრდილობიანად გამაწყვეტინა: — „Вас можно выделить".

სოფლიდან დღეს ჩამოვიდა მიშელი. ჩემი ამბავი გაეგო და ძლიერ მამტყუნებს, მარა ახლა მეც თვითონ მცხვენია.

გადაეცი ყველა ჭიათურელებს: გალონმა შემოგი-
თვალათ: ჩემს ოლოლს არაფერი აწყენინოთ-თქო.

შენ იცი, როგორ მოუვლი თავს... გამხდარი და ავადმყოფი არ ჩამოხვიდე ქუთაისში, თვარა ღმერთს გეფიცები, არ ვიცი, რას გიზამ... მწარედ გაგლახავ! ჭინჭრით.

გალაკტიონი

31 აგვისტო,
[1914 წ. ქუთაისი]

7

ოლოლ!

როგორი კილოთი მწერ უკანასკნელ წერილს? რამ გამოიწვია შენი აღელვება? გწამდეს მიყვარხარ შენ ერთი და მხოლოდ შენ! ჭორებს ყურს ნუ უგდებ, ვისაც რა უნდა, ისა სთქვას.. ამ წერილს საჩქაროდ ვწერ, ასე რომ, მინდა უკანასკნელ ფოსტას მოუსწროს... იყავი კარგად, მე შენს მეტი არავინ, არავინ არ მიყვარს... მაგრამ არა, რა იდეალური ამხანაგი გყოლია, ოლოლ! ეს ნატალია კაკაბაძე... მე ისიც, ისიც მიყვარს... უთხარი მას, რომ ისიც ძალიან კარგი გოგონა ყოფილა... მე, ოლოლ, მუდამ შენზე ვფიქრობ, რატომ გგონია, რომ სხვაზე? მე მგონია, არასდროს არ შემიცოდავს...

მარადის შენი გ. ტაბიძე

[5 სექტემბერი, 1914 წ.]

8

ოლოლ!

როგორაა საქმეები? შენი უკანასკნელი წერილი მივიღე. იმ წამსვე მსურდა წერილის მოწერა, მაგრამ მყუდრო, საამისოდ განწყობილი დრო და ადგილი ვერ ვი-

შოვე. მე ისევ ძველ ბინაზე ვარ. ვერასგზით ვერ მოვახერხე გადადგომა, იქ კი სულ არ მიწევს გული.

სხვა... საღამო მაქვს 20 ენკენისთვეს[26]. არ ვიცი, როგორ ჩაივლის. თუ კარგად ჩაიარა, ხომ ძაღლი არ დაჰყეფს ჩემს ბედს. კარგა ხნით უზრუნველყოფილი ვიქნები. თუ არა და, მდგომარეობა ძველებური იქნება. რაც გამეხერხება ვტრიალებ, მინდა რამე გაკეთდეს.

ვასიკო წივწივაძე ჩამოვიდა ჭიათურიდან, როგორც გეცოდინება, მისი საქმე 12 ოქტომბრისათვისაა დანიშნული სასამართლოში. დღეს მე და ვასომ ერთად ვისადილეთ, სხვათა შორის, მან თქვა, რომ მის დამცველად სასამართლოში მიშა უნდა გამოვიდეს. ეს იქნება მიშას დებიუტი, რასაც მე, შენც და ყველანი უნდა დავესწროთ. მართლა, აპირებ თუ არა ჩამოსვლას? ნუთუ ალარ მოგწყინდა ეგ ჩავარდნილი, შავი და უმზეო ჭიათურა? დრო არის, თავი დაანებო. ღმერთს გეფიცები, პირდაპირ გასაკვირალია, რომ შენ თავს სრულიად ყურადღებას არ აქცევ. უთუოდ ბევრი გაკვეთილები გაქვს, არა? მე შენს ადგილას ერთ სათსაც არ გავჩერდებოდი მანდ. საჩქაროდ მივატოვებდი ყველაფერს და ქუთაისისკენ გამოვწევდი.

ოლკინ, უსათუოდ ჩამოდი, მე ასე გირჩევ და ახლა შენ იცი.

აქ ისეთი შინაარსიანი და მშვენიერი ცხოვრება მოეწყობა მალე. შესდგება მსახიობთა ამხანაგობა შალვა დადიანის რეჟისორობით, რომელიც წარმოდგენების მართვას დაიწყებს, მალე სახ. სათათბიროს არჩევნებიც მოხდება, შეიძლება მოეწყოს სალიტერატურო წრის საქმე, ჟურნალის საქმე. ყველა ამაზე შეიძლება იმუშაოს კაცმა და სრულიადაც მოწყენა არ იგრძნოს. ოჰ, ეს მოწყენა, მოწყენა.

სხვათა შორის, აქაურმა ქალაქის სამკითხველომ ბევრი ახალი წიგნი მიიღო: მერეჟკოვსკის, ბალმონტის, ბრიუსოვის, ვიაჩესლავ ივანოვის და სხვების.

ჩამოდი, უსათუოდ ჩამოდი, ძალიან გთხოვ. შენი მატერიალური პირობები ახლა არც ისე ცუდია, რომ ჭიათურაში დარჩენა ღირდეს, ეს ჩემი ღრმა რწმენაა.

სხვა, ვერა მიდის თუ არა? ნატაშა ჩამოვიდა? რას შვება რევეკა, მიიღო რაიმე ამბავი გამსახურდიასაგან? (თითქოს ძალიან მაინტერესებდეს).

სხვა, მოკითხვა შემოგითვალა მგოსანმა სიმ. წეველმა. მან დაწვრილებით მიამბო თქვენი მგზავრობის ამბავი, რაზედაც ბევრი ვიცინე, სხვათა შორის, მან მითხრა რომ ის ქალი, ვიღაცა იყო, შენ სრულიადაც არ გიცნობდა და ყველა შენს ამბებს მე მკითხავდაო. მივდივართ ამ შუაღამისას, მეხვევა ეს ქალი, მარა როცა მე თვითონ გავწიე ხელი, ისეთი სიტყვები მითხრა, რომ შემდეგ ვერაფერი ვერ გავბედევო, ასე სთქვა, თან უკვირდა, თუ რა უნდოდა იმ შუაღამისასო...

[1914 წ.]

9

ო ლ ო ლ !

ლო იცოდე, ლა მშვენიერი დღე არის დღეს! პირდაპირ არ გინდა კაცს სახლში იჯდე, გინდა გაინავარდო სადმე, წაჰყვე ვისმეს სადმე ისეთ ადგილას, სადაც მუდმივი სიხარული და ბედნიერებაა.

დღეს ძალიან ადრე გამომეღვიძა, გავიხედე ფანჯარაში და მშვენიერი გაზაფხულის დილა მომაგონდა. ცოტა სიცივეა, მაგრამ ცა ისე იყო მოწმენდილი, რომ უნებურად რომაშოვივით ლერმონტოვის სიტყვები გავიმეორე.

საჩქაროდ ჩემი კაკაო დავლიე, მოვიხურე პალტო, ჩამოვიფხატე ქუდი და ტროსტით ხელში „ვაჟნოთ“ გავსწიე ქალაქგარედ. უნდა გითხრა, რომ ძალიან მხიარულ გუნებაზე ვიყავი, აბა, შენ წარმოიდგინე, ასეთი მშვენიერი დღეა, 8 იანვარს, შუა ზამთარში. რომ ეს

ამბავი მეთორმეტე საუკუნის ქრონიკაში წამეკითხა, არ დავიჯერებდი. მაგრამ ჩემი თვალით ვხედავდი ყველაფერს.

მივდიოდი იმ ქუჩაზე, სადაც გიჟებს ამწყვდევენ და სადაც რამდენჯერმე გულწრფელად გადავწყვიტე შენი იქ ჩამწყვდევა, ჩემო ოლოლი! იქ ერთი გიჟი გადმომდგარიყო ფანჯარაში და ჩემს შეხედვაზე გულიანად გაიცინა. მაგრამ მე ყურადღება არ მივაქციე და ამაყი ღიმილით ჩავიარე, თან ჩემს თავზე გავიფიქრე: „И он усмехнулся горьким презрительным смехом“.

გზამ სოფელ ქვიტირში მიმიყვანა. თურმე სულ ახლო ყოფილა და მე რა ვიცოდი. გზაზე ბევრ მშვენიერ ფიქრს ვფიქრობდი და ძალიანაც არ მომგონებია, თუ სად მივდიოდი. შევედი ეკლესიის ეზოში და დიდხანს ვიწექი ქვაზე, შემდეგ წარწერებს ვათვალიერებდი, გავიცანი ბევრი მკვდრები, რომლებიც სიამოვნებით მომეგებნენ და მითხრეს: მობრძანდით, მობრძანდით! მაგრერიგად ნუ გეშინია ჩვენი. ერთ დროს ახლობელი მეგობრები ვიქნებით ან ჯოჯოხეთში ან სამოთხეში, უფრო კი ჯოჯოხეთშიო. თან ისიც მიამბეს, რომ უმეტესი ნაწილი ქვიტირლებისა, და, საზოგადოდ, მთელი ქვეყნის მცხოვრებლების, ჯოჯოხეთში მიდიან, რადგან სამოთხეში ყველას არ უშვებენ ცეცხლისხმლიანი ანგელოზები. გავიგე ისიც, რომ ჯოჯოხეთში შესვლა არც ისეთი საშინელებაა, როგორც ბევრ ცოცხალსა ჰგონია. თურმე კუპრის ზღვაში და ცეცხლის მორევში ცურაობა სჯობნებია იმ ათასნაირ დამცირება-გაჭირვებებს, რომელთაც ქვეყანაზე განიცდიან ცოცხალი ადამიანები. რისი ცოცხალი! მკვდრები დაჟინებით მიმტკიცებდნენ, რომ მათში ბევრი მოიპოვება ისეთი, რომლებიც ცოცხლებს სჯობიან ყველაფერში. აი თუნდაც შენო! — მითხრა ერთმა მკვდარმა, — ნუ გეწყინება და ახლაც თუ მე შენ არ გჯობდე, დამიმტვრიე ეგ ძვლებიო. რა თქმა უნდა, მე იმ მკვდრისთვის სულ არ დამიმტვრევია ყბები, რადგან სრული სიმართლე თქვა. მეორე მკვდარმა თავისი ლექსები ამოიღო და პათოსით კითხვა დაი-

წყო... ძალიან კარგი დეკლამატორი ყოფილა. მითხრა: აბა შეადარე შენს ლექსებს, რომელი სჯობიაო? თურმე ის კაცი მკვდრების საზოგადოებაში გენიოს პოეტად ითვლება... საზოგადოდ, ჩემო ოლოლი, ცოტა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე დღეს სასაფლაომ. იმ პოეტმა ტრაბახით ამიკლო, სულ ძვლებს აჩხარუნებდა და ისე გაიძახოდა: ჩემისთანა არ იქნებაო! მეც ვეღარ მოვითმინე და თავის ქება დავიწყე, მაგრამ მკვდარმა პოეტმა დაცინვით გაიღიმა და ჯიბიდან გაზეთი „შადრევანი" ამოიღო, სადაც მიხ. წულუკიძის წერილია მოთავსებული[27]. მე სირცხვილით გავწითლდი და ხმა გავიკმიდე.

ხუმრობის გარეშე, მართლაც ბევრ სისულელეს ვფიქრობდი, როცა იმ საფლავის ქვაზე ვიყავ წამოწოლილი. მერე ჩემი ფიქრების მევე შემრცხვა, რადგან ჩემს თავზე გავიფიქრე он лежал на плите бледный, неподвижный და სხვები... უცებ წამოვხტი, ერთი გულიანად გადავიხარხარე და ისევ უკან დავბრუნდი. დამხვდა შენი წერილები.

...ოლოლი, ახლა ვწყვეტ წერილის წერას, სახლის პატრონის ბავშვი შემოვიდა და სამელნე მთხოვა... კალამიც წამართვა, ასე რომ...

შ ე ნ ი გ.

რისთვის გეგონა, რომ მე იმ დროს თეატრში ვიქნებოდი? მე ახლა არსად არ დავდივარ და, მადლობა ღმერთს, არც ჩემთან დადიან. მხოლოდ ერთხელ გავისეირნე საღამოთი. ვიყიდე ია და დაფიქრებული მოვდიოდი ჩემთვის. უცებ შემომესმა ძახილი. მოვიხედე, რას დაინახავ: მანია, დედაშენი, დეიდაშენი, შალიკო, ვასიკო და სხვები მიდიან. ჩემთვის დაძახება არ უნდოდათ, მაგრამ როცა მანიამ ია დაინახა, ვერ მოითმინა და დამიძახა. მანიას ია ვუთავაზე, ყველას ხელი ჩამოვართვი და იმწამშივე დავბრუნდი...

იმ დღეს, შენ რომ წადი (ნათლიღება არ იყო?), ბაღში გავედი გასასეირნებლად. მივდიოდით მე და ვიღაც

მღვდელი და დავინახეთ ვალია და ნინა ერთ სკამზე ისხდნენ და რაღაც სერიოზულ საუბარში იყვნენ...

ასეთი ამბებია ქუთაისში, ე. ი. ქუთაისში სხვა ამბებიც არის, მაგრამ არაფერი არ მაინტერესებს. ძმა ერთხელს მეტად არ მინახავს, მგონია წავიდა კიდეც სოფელში, მშვიდობით, იყავი კარგად, ჩემო ოლოლო!

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

1915 წ. 8 იანვარი

10

ё ლ კ ი ნ!

გმადლობ მოკითხვისათვის! ნუცამ გადმომცა წერილის შინაარსი და თან დასძინა ოლიას სახლში მიუწერია წერილი, სადაც ამბობს, რომ ბათუმზე „ცეპელინები" დაფრინავენო. ვააა! იმ „ცეპელინით" ქე არავინ გაგიტაცოს და!

სხვა ёლკინ, რა გითხრა ზღვამ? ხომ კარგი ამიდეებია? როგორი შლიაპა გაქვს, „ცეპელინი" ხომ არ გახურავს თავზე? თუ სიცხეებია, ალბათ, ფართო კიდეებიანი შლიაპა დაგჭირდება... ჩემი საქმეები ёლკინ, ამ მაისში ვერ ეწყობა (საღამო). ფული ვისესხე. ივნისამდე, როცა საღამო მექნება... პეტრე გელეიშვილმა შემომითვალა, რომ არაფერი გზით ივნისამდე საღამო არ გამართო სამტრედიაშიო, ივნისში კი მარტო ერთ საღამოზე 150 მანეთს ჩაგაბარებო. თბილისიდან არც ერთ წერილზე პასუხი არ მოსულა. პირდაპირ უსინდისო ხალხი ყოფილა, თუ როდისმე ძალა მექნა ხელში, იმათ სეირს გაყურებინებ... ახლა იმათ ხელში ვარ და არაფერი გამეწყობა...

ოლკინ! მომიკითხე ზღვა და...

გ.

მომწერე „პრიკლიუჩენიები".

1915 წ. 11 მაისი,

ქ. ქუთაისი

11

დაგვიანებული სალამი ჩემს ოლოლს!

ოლია, შენი ორი წერილი ახლახან მივიღე, რადგან ადრესი მართალი არ იყო, ამიტომ მთელი თითო კვირა ეარნა სხვადასხვა ქუჩებში ჩემს წერილებს. წერილი გამოგზავნე ამ მისამართით: Кут. III Алекс. Д. Григория Хачатурова ადრესი დაიხსომე, სხვა, მე ძლიერ მოწყენილად ვარ, მას მერე, რაც შენ წადი, ყველაფრის ხალისი დამეკარგა, ნამდვილმა „ხანდრამ“ გარემომიცვა.

შენ რაღაც საიდუმლოებაზე მესაუბრები მეორე წერილში. ეტყობა რაღაც ღრმა საიდუმლოება არის. თორემ ისე როგორ იტყოდი, რომ სიკვდილამდე მას არ გაამხელ? მე კიდევაც ვგრძნობ, თუ რა უნდა იყოს შენი საიდუმლო. (ქალის საიდუმლო ყოველთვის ძლიერ გამჭვირვალეა)... და თუ ისეა, როგორც მე ვფიქრობ...

სხვა, მე ერთი პატარა ლექსი დავწერე, რომელიც მსურს შენ მოგიძღვნა, ჯერჯერობით მშვიდობით... ლექსს მალე დავბეჭდავ, ეხლა კი იმგვარ ხასიათზე ვარ, რომ არც ერთი სტრიქონის მეტის დაწერა არ შემიძლია!

მარადის შენი გ.

ადგილის დატოვებაზე იწერები... მე მანდ არა გამეგება რა. მოკლე ხანში ვრცელ წერილს გამოგიგზავნი.

მშვიდობით ოლოლ! მშვიდობით!

[1916 წლამდე]

12

დგება გაზაფხული! რაღაც იდუმალი, გამოუთქმელი და ტკბილი სიხარული იმონებს მთელ ჩემს არსებას. მგონია, თითქოს, არასდროს ამისთანა გაზაფხული არ ყოფილა; ჩემთვის, რასაკვირველია, არც გაზაფხულია ნამდვილად ახალი და მოულოდნელი... გაზა-

ფხული ისეთივეა, როგორიც იყო შარშან და შარშანწინ... იგი არ შეცვლილა, მაგრამ შეიცვალა ჩემი ცხოვრება. რაღაც ახალი მოხდა. ან უნდა მოხდეს... ველი... ნუთუ ამ გაზაფხულთან ერთად იწყება ჩემი სიცოცხლის ვრცელი, უსაზღვრო და დაუმონებელი გაზაფხული? ნუთუ იგი ახალსა და სასიამოვნო ნუგეშს მომიტანს? მაშ რათაა, რომ ასე ხალისიანად ეგებება ჩემი გული ყველაფერს ირგვლივ? დღეს მე მთელი ქვეყანა მიყვარს... დღეს ჩემს თვალში არ არსებობს არავისი დანაშაული და უბედურება. მე დღეს ბედნიერი ვარ!

ნუთუ დღეს შენ არა ხარ ბედნიერი, ოლოლ?

მართლა, ოლოლ! რას ნიშნავს სიტყვები:

Страшно ты мой переживания затрагивал, много плохого приписал... и дальше я не могла с тобою искренне говорить — боюсь чтобы мои чувства и помыслы не были задеты. და სხვა ასეთები? რას ნიშნავს? ჰო მაპატივე, ოლია. მე ვთქვი რაღაცეები, მეც არ მახსოვს... მე მინდოდა მეთქვა, რომ... მაგრამ სრულიადაც მიზნად არ მქონია შეურაცხყოფა ან ასეთი რამე. ნუთუ შენ ასე გესმის ადამიანის გულწრფელი სიტყვები? მაგრამ არა, ჩემი სიტყვები... მე არ მჯერა, რომ ჩემი სიტყვები შენ გაწყენინებდნენ...

მე მხოლოდ მინდა, რომ ჯანმრთელად და მხიარულად იყო... მეც არ ვიცი, რათ მინდა ასე, ან რა უფლება მაქვს ჩემი სურვილები იმგვარად ვთქვა, რომ შენ დაღონდე?

...და ერთ რამეში, სასტიკ სინამდვილეში თანდათან ვრწმუნდები მე, თურმე, მთელს დედამიწის ზურგზე არ შემძლებია არავისთან გულწრფელი საუბარი და წერილის მიწერა... ეს ჩემი გულის ღრმა ტრაგედიას შეადგენს, ოლია. მინდა ვთქვა და დავწერო ის, რასაც ვფიქრობ და გამოდის სრულიად სხვა. ვამბობ და ვწერ იმას, რაც არავის არ ესიამოვნება, ეწყინება. რამდენჯერ ყოფილა ასეთი მაგალითი, რომ ჩემი ტკბილი გამარჯვება კაცს დაცინვად მიუღია, ვერ გაიგებენ...

აი, ასეთი ცუდი კაცი ვარ მე, ოლოლ!

მე კიდევ არ ვიცი, უკანასკნელ წერილებს გულწრფელად ვწერ, თუ სიყალბე შემაქვს შიგ.. .აი, თუნდაც, ეს წერილი... ვერასგზით ვერ გავიგე, რა მინდა ვთქვა და რასა ვსწერ... ღმერთმანი, ასე არის, იმნაირად ვწერ, იმნაირად გიგზავნი წერილებს, მინდა რომ შენზე ცუდი შთაბეჭდილება არ მოახდინოს და უეცრად შენ ყოველთვის პასუხად საომარ წერილებს გამოგზავნი... ბრძოლის გუნებაზე დადგები, რაღა! კარგია, შენმა მზემ...

გ. ტ ა ბ ი ძ ე

[1916 წლამდე]

13

ო ლ ი ნ კ!

რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი ვარ! როგორც კი გამოვსცდი როსტოვს, დავინახე ჩვენი ლურჯი ცა და ვიგრძენი მხურვალე მზე. აქ ეხლა გაზაფხულია, სითბოა. როგორც კი ჩამოვედი ქუთაისში, მაშინვე ღვინოს მივაშურე, ვსვამ და ვწერ ამ წერილს... რა ბედნიერი ვარ, რომ იცოდე...

მე მალე ჩამოვალ ალბათ, მაგრამ რა ეშველება სიცივეს, რომელიც მაქ არის? აქ ეხლა გაზაფხულია. ნეტავი ჩამოხვიდოდე! როგორ გამოცოცხლდებოდი, ვერ წარმოიდგენ. შენ ეხლა მანდ გძინავს, მზე გჭირია! აქ ვგრძნობ მხოლოდ, რომ ღმერთი ვარ!

ოლია, იცოცხლე ისე, როგორც შეშვენის ქალს, [. . . . . .] თქვენებთან ჯერ არ ვყოფილვარ.

შევსვამ (ჩემს გულში) შენს სადღეგრძელოს! დავლევ უკანასკნელ წვეთს, დავწერ ამ წერილის უკანასკნელ სტრიქონებს და მივქრივარ თქვენებთან ეტლით.

ოლია, იყავი როგორც პრინცესა!

მარგალიტას რამკებმა საქმე გამიჭივრა, სულ სცვინ-
დებოდა და ნერვები ამიშალა, ბოლოს გადავყარე, არ
უთხრა.

ხვალ წერილს გწერ კიდევ.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

29 ნოემბერი, დილა,
1916 წელი

14

ო ლ კ ი ნ!

შენ აღარ გიყვარვარ! არავის არ ვუყვარვარ ქვეყანაზე! უკეთესია, რომ მოვკვდებოდე! სიკვდილი კი თითქოს ამბობს: გალაკტიონ ტაბიძე, შენ ჯერ არ მოკვდები კიდევ ბევრი რამეს გააკეთებო! ვნახოთ, ვნახოთ!

მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ! ვნახოთ, რა იქნება! ვნახოთ!

ამ წერილს კაფეში ვწერ. შემოვიდა გრ. ლაღიძე და ყველას სალამი მისცა ჩემს მეტს. ვნახოთ, ვნახოთ, ვნახოთ.

მეორე დღეა ქუთაისში ვარ და არავინ არ მინახავს. ვნახოთ... ვნახოთ...

ოლკინ, ძვირფასო. ოლკინ! რატომ მაწვალებ ასე, რატომ მეჩხუბები? ხომ იცი, რომ შენს მეტი არავინ არ მყვარებია და არც მიყვარს?

მშვიდობით, ო ლ ი ა.

გ.ალ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე

30 ნოემბერი, 1916 წ.
[ქუთაისი]

15

ვიყავი თქვენსას, ვიგრძენი ნამდვილი ბედნიერება. ყველაფერს მოგიყვები, როდესაც ჩამოვალ (ჩამოვალ

კი?), ალბათ, გაუკვირდათ თქვენებს: დილას რომ დავწევი, შუაღამემდე არ გამღვიძებია. ვიგრძენი, რომ დედაშენს ძალიან ვუყვარვარ, (ასე მოსწერე წერილი). შენი „პაპა“ შემხვდა გზაში. ვიგრძენი, რომ ძალიან კარგი კაცია! სახლში დამხვდა ნინა, რომელიც მალე წავიდა. შემდეგ მოვიდა მანია. ვიგრძენი, რომ მანია შესანიშნავია, დამახვედრა კალამი. ყველა თქვენები მიყვარს. მაპატივე ეს სიტყვები. მე, „ქუჩის ბავშვი“, ღირსი არა ვარ ეს სიტყვები ვთქვა; შალიკო, ვასია, ყველა კარგებია! შენც კარგი ხარ, ჩემო ძვირფასო ლიოლი! შენისთანა არავინ არ არის!

მე ვარ მხოლოდ უბედური და დაწყევლილი, უსახლკარო, უბინაო... მე, მართლა, შენი არ იყოს, „ქუჩის ბიჭი“ ვარ!

გალაკტიონ ტაბიძე

30 ნოემბერი,

[1916 წ.]

16

ოლი!

თუ გავნთავისუფლდი, მე აქ მალე საღამოს გავმართავ! საღამოს დიდებულად მოვაწყობ. ფული შემოვა, რა ამინდებია! რა ამინდებია, რომ იცოდე! ზაფხულია პირდაპირ!

შეიძლება იების მოკრეფა. თუ მოვკრიფე, მოგიტან უსათუოდ.

ჩემს საღამოზე მომიტანებენ ყვავილებს? ვინ იცის!

გალაკტიონ ტაბიძე.

[ნოემბერი, 1916 წ.]

ნუ გამამტყუნებ, რომ ამდენი ხანი წერილი ვერ მოგწერე. არაფერი ჯერ არ გამიკეთებია და, როდესაც საქმეს მოვათავებ, შეგატყობინებ. მიდის აქ ჩემი ცხოვრება ჩვეულებრივად, ძლიერ უფერულად და უსიხარულოდ. ბინათ ვარ ჩუდეცკისთან. ერთხელ ჩუდეცკისთან მოვიდა მეორე მხატვარი, კროტკოვი, და დიდ ქაღალდზე დახატა ჩემი სურათი. ვერ წარმოიდგენ, რა შესანიშნავია. თანვე წაიღო. დახატული ვარ პროფილში. ჩუდეცკიმაც დაიწყო ჩემი სურათის ხატვა — ამ დღეებში დათავდება. 23 დეკემბერს ქალაქის თეატრში მაქვს სალიტერატურო საღამო. ძალიან მიშლიან ხელს, რომ საღამო კარგი გამოვიდეს, მაგრამ მოვაწყობ, რამეს. სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს მე, გაფრინდაშვილი და იაშვილი[28]. ძალიან დიდი ჩხუბი მოგვივიდა და ვუთხარით ერთმანეთს ისეთი სიტყვები, რომლებიც ამის შემდეგ დაახლოვების ნებას არ მოგვცემს. მე არ ვნანობ. ამ დღეებში გამოვა მეორე „ცისფერი ყანწები“. დიდი ამბებია, ერთი სიტყვით... ჩემი ჯარისკაცობის საქმე ბურუსშია. რაღაც მეშინია გამოცხადება, ამ დღეებში მაინც გამოვცხადდები. აქ ჩამოვიდა ჩემი ძმა, მისცეს ორი თვის „ოტსროჩკა“, პირდაპირ სასაცილოა ეს ამბავი! მიშელ ბოჭორიშვილი მიიღეს, მაგრამ შეიძლება მასწავლებლობამ უშველოს... ამასწინათ ფოსტაში ვიყავი და შემხვდა დათიკო... წავედით ერთად სასადილოდ. ბევრი ვისაუბრეთ. დათიკო ამბობს, რომ ნუცა გადიდკაცდაო, გულგატეხილი ამბობს, რომ საზოგადოთ იცვლება რაღაც ხალხიო. ეჰ, ეგ მართალია, მართალია! მე მთლად ნერვებად ვარ გადაქცეული. ძალიან მწარეა ჩემი ცხოვრება, ძალიან!

ტიტე თურმე აქ ჩემზე ცოტათი ირონიულ წერილებს იწერება. tinita la camedia.

ალბათ სიცივეა ახლა მოსკოვში არა? არ გაცივდე, ოლი! აქ დაიწყო წვიმები და ალარ თავდება. შემოდგო-

მის შთაბეჭდილებაა: „Настанет скоро осень—пора глухих ночей“.

ნეტავი ახლა შენთან ვიყო მანდ, მოსკოვში, ოლი, თავს მოუფრთხილდი, თავს მოუფრთხილდი! ყველაფერს მოესწრები კაცი, მაგრამ დაკარგული ჯანმრთელობის აღდგენას კი ვეღარ! ამასთანავე, ოლი, ილოცე ჩემთვის! ნეტავი გავიმარჯვებთ თუ არა ამ სალამოზე? ოლი, არავინ ყვავილებს არ მომიტანს, არავინ! მაგრამ იმ დღეს ჩემთან განუყრელად იქნება შენი ოცნება, არა? მე ეს გამამხნევებს... აქ ყველა ჩემი მტრებია!

ჩამოვალ მოსკოვში და უსათუოდ ვიცხოვროთ ერთად სადმე კარგ ოთახში, ყველასგან დაშორებით. უსათუოდ ასე სჯობია, არა?

მიშა ჩამოვიდა, ჯერ არ მინახავს.

მანია დავინახე. ეტლით მიჰქროდა სადღაცა, კარგი [. . .] რას შვებიან შენი მეგობრები?

ღმერთო! შენ იყავი ჩემი ორივესი მფარველი.

სამარის კარამდი შენი გ ა ლ.

[ქუთაისი]
1916 წ.
15 დეკემბერი

18

ო ლ ი!

გილოცავ დღესასწაულებს და გკოცნი!

გ. ტ ა ბ ი ძ ე

[28 დეკემბერი,
1916 წ.]

19

ო ლ ი ა!

ჩემი სალამო საცოდავად ჩატარდა. არავინ არ მოვიდა. მრცხვენია პირდაპირ. სალდათობის საქმე მოუ-

წყობელია, მალე ჩამოვალ, ალბათ, მოსკოვში... აქ ძლიერ ცუდად ვგრძნობ თავს.

მივიღე შენი წერილები... ვრწმუნდები, რომ ყოჩაღი ქალი ხარ! ძლიერ ყოჩაღი. მქონდა შენთან გამოსაგზავნი წერილები, მაგრამ შენი წერილების მიღების შემდეგ ყველა დავხიე.

მიიღე ჩემი წინანდელი წერილები? აქ სულ ვქეიფობ. გასაოცარი ამინდებია — კარგი! იყავი კარგად.

გ ა ლ..

[28 დეკემბერი,
1916 წ.]

20

ო ლ ი ა!

მე შენ წერილებს ყოველთვის გიგზავნიდი და გიგზავნი. ზოგიერთებზე ადრესები ფანქრით იყო დაწერილი და, ალბათ, დაიკარგა. რა ამბავია ამდენი ტელეგრამები? შენც ძალიან კარგად იცი, რომ წერილის გამოგზავნა ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს... საქმე ძალიან არეულად მაქვს... ღმერთმანი ყველაფერი მომწყინდა... ვერაფერი სალდათობას ვერ მოვუხერხე... ჯერ არც კი გამოვცხადებულვარ. გამოვცხადდები მალე და შემდეგ პირდაპირ მოსკოვში. მოვდივარ ტრიუმფით... აქ ცოტა გაჭირვებას ვიტან და ნუ გეწყინება, თუ ხშირად ვერაფერი მოგწერო. ასეა, ოლია, საქმეები. სულელო, სულელო! შენ რატომ არ უფრთხილდები შენს თავს? სულელო! უბედურო! აამოძრავე ცოტა თავში ტვინი და იცხოვრე გონიერად... ავად არ გახდე, თორემ ვერავინ გიშველის.

სწერ რამეებს? კითხულობ? სწავლობ? მე სრულიად არაფერს არ ვაკეთებ. გავიგე, რომ სამსახურში ყოფილხარ. კარგია. იყავი ყოჩაღად.

შ ე ნ ი გ ა ლ.

[29 იანვარი,
1917 წ.]

21

ო ლ ი ა!

სწერ თუ არა ჩემზე წერილს? უსათუოდ უნდა დამახვედრო, იცოდე.

როდესაც ჩამოვალ, ჩემი წიგნი უნდა გამოვცეთ რუსულად, თარგმანები. აქ იყო იგორ სევერიანინი... გავიცანი... ძალიან კარგი კაცი ყოფილა. ჰო მართლა, ამასწინათ შენი დედა შემხვდა და საყვედური მითხრა, რომ წერილებს არ გწერ... ძალიან აღელვებული იყო.

ყოჩაღად იყავი, ოლია!

როდესაც ჩამოვალ, ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ, წამოსვლას შეგატყობინებ დეპეშით, ახლა კი მშვიდობით...

შ ე ნ ი გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

[29 იანვარი,
1917 წ.]

22

ო ლ ი ა!

ხომ კარგად ხარ? მე ჯერჯერობით მოსკოვში ვერ ჩამოვდივარ, საქმეები აქ ძლიერ ცუდად მაქვს. შევხვდებით და გეტყვი ყველაფერს. ოლია! თავს უფრთხილდი, თავს უფრთხილდი, თუ ასე არ მოიქცევი შენი საქმე ცუდად იქნება. ჩემზე ძალიან ბევრს ნუ იფიქრებ... ნუ დამივიწყებ.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

შეიძლება მალე წიგნი გამოვცე აქ, მე მაშინ შემოგითვლი და ხელნაწერები გამომიგზავნე. ნუ დამემდურები, ოლია... დღეს შენი „პაპა“ ვნახე, მითხრა კეთილი სიტყვები.

ქუთაისი, 27 თებერვალი
1917 წ.

23

ო ლ ი ა!

როდესაც ჩამოვალ, უსათუოდ ერთად უნდა ვიცხოვროთ. აქედან წამოვიღებ რამე-რამეებს. ტანისამოსი გინდა შენ, დედოფალო! არ ვიცი, შეიძლება თუ არა, იანვრიდან შანიავსკის უნივერსიტეტში ჩაწერა? ეს აუცილებლად საჭიროა სტიპენდიისათვის. მე ვოცნებობ ჩვენ ერთად ყოფნაზე, პატარა ბავშვზე, განა კარგი არ არის? აჰ, ნეტავი კარგად მოვეწყობოდეთ. მე ამისი იმედი მაქვს.

Будем жить припеваючи! а? а? а? კარგია ცხოვრება! ცხოვრება! ცხოვრებას ჭკვიანად უნდა მოპყრობა, ცხოვრება მიდის!

30 ნოემბერი 1917 წ.

24

ო ლ ი ა!

ეს-ეს არი ვიყავი თქვენებთან. მიშა აქ არის. კატიას ბავშვი ეყოლა. შევედი თქვენსას და შემომხვდა მიშა. მიშა ეკითხება ოთახში: „Катя, можно к тебе"? მე შევედი. არაფერი არ ვიცოდი. მიშა მეუბნება — მოულოცეო. მეც მივულოცე, ცოტა ხანს ვიყავი, რადგან ეტლი მიცდიდა.

გადმომცეს შენი წერილი. ყველაფერს გავიგებ ბაქტეროლოგიაა, თუ რაღაცა და ხვალ მოგწერ... ტიტეს სურათი სადაა? მანია არ იყო სახლში და, ალბათ, გაებნათ.

ძალიან, ძალიან კარგი ხალხია ყველა თქვენები. Катя стала нежнее чем польская панна, а значит нежнее всего! კატია იწვა იმ დროს, როცა მე მივედი. დღეს დილით შენთან წერილები გამოვგზავნე...

ვინ იცის, ჩამოვალ თუ არა მოსკოვში? შენ ხელს ნუ დააკლებ... იცოცხლე!

მშვიდობით გ ა ლ...

29 დეკემბერი, 1918 წ.

25

ო ლ ი ა!

მე ყველაფერს გეტყოდი, რომ რამე იყვეს. რაღაც გამოურკვეველი მწუხარება გამეფდა ჩემს გულში, როცა შენი უკანასკნელი წერილი წავიკითხე. რაშია საქმე? ვინაა ის ვაუბატონი, რომელიც ასე ურცხვად ტალახში სვრის ჩემს სახელს, ჩემს სიყვარულს? ან რა საქმე აქვს მას ჩვენთან? გამაგებინე — ვინაა იგი!

მე არ გამკვირვებია ეს ჭორი. ეს ხომ პირველი არ არის... არც უკანასკნელია! მე მხოლოდ ის მაწუხებს, რომ შენამდისაც მოაღწია ამ ქუჩაში შეთითხნილმა ამბავმა. არ ვიცი, რადაა ასე. ბავშვობიდანვე ჩემს ირგვლივ ჭორები ტრიალებენ, ბავშვობიდანვე რაღაცა უჩვეულო ხმებს ავრცელებდენ ჩემზე. მე მაშინ უძლური ვიყავი, პასუხის გაცემა არ შემეძლო, მაგრამ სულ სხვაა დღეს. დღეს მე არავის ნებას არ მივცემ, რომ ცუდი რამ თქვას ჩემზე, ისეთი, რაც არ ყოფილა და მსგავსი რამეც არ მომხდარა... ან რას ჰგავს ეს უკანასკნელი ჭორი? მე მინდა უსათუოდ სიმართლე გამოირკვეს, ამისთვის შემატყობინე, ვინ ბრძანდება ის ჭორიკანა...

შემატყობინე კიდევ ერთი რამ: ღირს თუ არა ის ვაუბატონი იმათ, რომ პასუხი მოეთხოვოს ჩემგან? ღირს?

ქუთაისში სიწყნარეა... მოწყენილობაა. მომაბეზრებელი ერთფეროვანი ცხოვრება, თითქოს შემოდგომის ნისლიანი დღეების გაგრძელებაა და უკუღმა — შემოდგომის დღეები საშინლად ჰგავს ამ ერთფეროვან ცხოვრებას... ოჰ, რომ იცოდე, როგორ მწყურია სიკვდილი! ღმერთს გეფიცები, ვისმეს თავს შევაკლავ, თუ ასე გაგრძელდა... საშინლად მომწყინდა ყველაფერი...

დიდი ხნიდან დავეძებ მე ამ სიკვდილს, მაგრამ არ მოდის იგი... თავის მოკვლა არ მსურს, მაგრამ სხვა არავინა მკლავს... ბევრჯერ მივეცი სხვებს შემთხვევა, მაგრამ მათ... ხომ იცი, სიკვდილის ყველას ეშინია... რომ იცოდე, რა მოსაწყენია ყველა ეს ინტრიგები, ეს დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა, ჭორები... თავისთავად იბადება სურვილი, რომ გაშორდე ყველა ამას, რადგან ამის მეტი ცხოვრებაში არა არის რა....

26

ძვირფასო ოლიუშკა

აქ ყველა ჯანმრთელადაა, ვჭამ, ვწუწუნებ და ზოგჯერ ვილანძღები კიდეც — ბათუმში ასეა მიღებული.

ოლია, ბევრი წანწალის შემდეგ ვიშოვნე შესანიშნავი ოთახი, კმაყოფილი ვარ. გრიშა აგვისტოს შუა რიცხვებში მიემგზავრება მოსკოვში.

რატომ არაფერი ისმის ამდენხანს კოლიასაგან? რატომ გრძელდება ამდენხანს ის ისტორია? მომწერე ყველაფერი, რაც შენთვის ცნობილია ამის შესახებ.

შალიკოს გადაეცი ეს პატარა ფოტოსურათი. მე ვერ გადავაღებინე სურათი ვერც მოსკოვში და ვერც ბათუმში. იქნებ თვითონვე მოახერხოს ეს თბილისში, თუ ვერა და, შეინახოს ეს როგორც სამშობლოს ძეგლი.

კიდევ ერთი პატარა თხოვნა!

თუ ჩემს სახელზე წერილები იქნება, ნუ დაეზარება ვასიკოს, გადმომიგზავნოს:

ჩვენ ვასიას თავგზა დაებნა. დაყიალობს თამარასთან და ქვეყანაზე სხვა არაფერი არ სურს. დედა, მშობლები და ახლობლები დიდიხანია უკვე დაივიწყა. რასაც შოულობს ყველაფერს თავის თავზე ხარჯავს.

სადა ხარ? გაემგზავრე თუ არა ბორჯომში, თუ ახლა აპირებ? ოლია შენი შვებულების დროს კიდევ და კიდევ გეპატიჟებით ბათუმში.

[1923 წელი]

27

ძვირფასო ოლია!

შენი წერილი მივიღე. ძალიან კარგია, რომ ყოჩაღად ყოფილხარ. მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ ჭკვიანი ქალი ხარ. ახლა კიდევ უფრო დავრწმუნდი. შენ კარგად და ნორმალურად უნდა იცხოვრო და მალე სულ გამოკეთდება საქმე.

აქ მდგომარეობა ძველებურად შესანიშნავად მიდის. ყველანი კარგად არიან. დედაშენი თანდათან უკეთესად ხდება.

ჩემი წიგნის გადაწერა დავიწყე. წიგნი მზად მექნება ორ კვირაში. პირველი აგვისტოდან შევუდგები ბეჭდვას და დავამთავრებ 15-ში. ეხლა თავისუფალი ვარ ორი თვით, მაგრამ ფული ცოტა მოგვცეს — კრიზისიაო. იმ ფულიდან მანიას გადავეცი ზეწარის და სხვ. საყიდლად, როგორც შენ მითხარი. გარდა ამისა, კიდევ მივეცი შესანახავად 5 ჩერვ. ასე რომ ოლინკ, წიგნის დაბეჭდვამდე[29] ცოტა იოლად უნდა წავიდე. შენ, როცა ფული დაგჭირდება, პირდაპირ შემოგვითვალე.

მე მგონია, დიდებულად იქნება საქმე.

აქ ბაბუცა იყო. სთქვა, რომ ის ვიღაცა ბერძენი ქალი ერთ კვირაში უსათუოდ წავაო. თუ ეს ასე მოხდება, მე იმ ოთახს დავიჭერ მაშინ. მით უმეტეს, შესაძლებელია მიშა მალე დაბრუნდეს. დღეს კოტე ცინცაძის წერილი მოვიდა თავის დასთან. იწერება, რომ მიშა ძალიან კარგად გრძნობს თავს და, ექიმების თქმით, ერთ თვეში სრულიად ჯანმრთელად იქნება.

ძალიან მინდოდა სტუმრად ჩამოსვლა ბორჯომში, მაგრამ, მგონია, ეს ვერ მოხერხდეს. სამაგიეროდ უნდა მიყურო, როგორის ენერგიით ვმუშაობ წიგნზე.

ჩვენს რედაქციაში[30] ცოტაოდენი ცვლილებებია მოსალოდნელი ენკენისთვიდან: სარედაქციო კოლეგიაში ვალია ბახტაძემ მოიწვია რამდენიმე ფუტურისტი, თუ იმათმა არ აწეწეს საქმე.... ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არავითარი საფრთხე მოსალოდნელი არ არის.

„ჯონ-რიდი“ — ახდენს პირდაპირ სენსაციას — თუმცა ჯერ არ გამოსულა... ჟურნალი დაბეჭდილია[31]. გამოვა დღეს ან ხვალ.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

18 ივლისი

[1924 წ.]

ოლია, შენ იცი, როგორ ყოჩაღად იქნები. შენ როდესაც ჩამოხვალ, სრულიად ჯანმრთელი უნდა ჩამოხვიდე, იცოდე. გკოცნი.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

18 ივლისი

ოლია, პირველი წერილი დაწერილი მქონდა. დღეს ვუერთებ ამ წერილს.

ის-ის იყო დავწერე პირველი წერილი და უეცრად მომიხდა ტფილისის მახლობლად კოჯორში წასვლა. იქ გავიგე ბევრი რამ ახალი.

მიშა დაუნიშნავთ გენერალურ მდივნად[32]; მთელი ცვლილებებია კიდევ. მიშა, ალბად, მალე ჩამოვა. მან ძალიან გაიმარჯვა.

20 ივლისი, ღამე 1924 წ.

28

ძ ვ ი რ ფ ა ს ო ოლია

შენმა უკანასკნელმა წერილმა მეტისმეტად გამაოცა. ასე აღელვება არ ვარგა. მართალი ხარ, შენ ორი კვირის წინათ მომწერე წერილში ინსპექციაში შესვლის შესახებ და მე კი, წარმოიდგინე, ეს გადამავიწყდა... პირველად მეგონა, რომ სრულიად უბრალო რამაა, სერიოზული საქმე კი ყოფილა. იმ წამშივე მივედი ინსპექ-ქციაში და ქაღალდი გამოვართვი. ჯუმბერი არ იყო, ის

დიდი ხანია შვებულებაშია. იქ დამხვდა ბუჰღალტერი და შენი მეგობარი ქალი, საყვარელიძეა მგონია, აი იმათმა მომცეს ეს ქაღალდი, თანაც იმ ქალმა მოკითხვა შემოგითვალა და შენი ამბავი იკითხა. ერთი რამ ვერ გავიგე. შენ იწერები — საჭიროა ცნობა, თუ რამდენს ვიღებ ჯამაგირსა. ისინი სწერენ — იღებდა, როდესაც მე შევეკითხე ამის შესახებ, მათ თქვეს, რომ პირვანდელი (ჯუმბერის) ცნობაც ასეთი იყოო. მე ვიფიქრე, რომ ამ გარემოებას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს და გამოვართვი ეს ქაღალდი. დიდი ბოდიში დაგვიანებისათვის. ქსენიამ მიამბო თქვენი ამბავი. თან სიცილით მითხრა, რომ ოლია გავაბრაზე და ბევრი ტყუილები ვუთხარიო. რა სისულელეა! მუშტაიდში მე მხოლოდ თვითონ მას და ერთ მის ამხანაგს შევხვდი სულ რამდენიმე წამით, მითხრა ბორჯომში მივდივარო. მე ვუთხარი, თუ მოასწრებ, წერილს გაგატან-მეთქი. ეს იყო და ეს... მას რალაცა უხუმრია, შენ ნამდვილი გგონია? ალბათ ხუმრობით მეც მითხრა ბორჯომის შესახებ მწერალიაო და სხვ. მე, აბა, ამას დავიჯერებ? ყოველ შემთხვევაში, შენ „ჭკვიანი“ ქალი ხარ. ასეა საქმეები აქ. ამის შესახებ ახლა კმარა.

გიგზავნი აგრეთვე აბესალომის წერილს. პირები, რომლებსაც ის ასახელებს, ნარკომპროსში არიან. ჯერ შენი საქმე გააკეთე, მერე ეს. ეს წერილი მოვიდა აქ შენს სახელზე, მე გიგზავნი, თუ რამე შეგიძლია, ძალიან კარგი იქნება. თან ეს საქმე ძალიან და ძალიან სასწრაფოა. მოსწერე აქ ვისმეს წერილი. მე ვიყავი შალვა სიხარულიძესთან. მან თქვა, რომ ის შეეკითხება ქუთაისში თეიმურაზ ჭუმბურიძეს... ვინ არის, თუ იცი, თეიმურაზ ჭუმბურიძე? ისე კი თქვა, რომ საჭიროა სპეციალისტებიო და სხვ. მე მგონია, შესაძლებელია აბესალომის იქ გამგედ დატოვება. ჩემს შესახებ, რასაც ის გწერს, მასზე დაფიქრება შენთვის მომინდვია. ნება მისია...

მარადის შენი გალაკტიონ ტაბიძე

გულწრფელი სალამი ყველას.

1927 წ., აგვისტო

29

ო ლ ო ლ!

შენ გიკვირს, რომ ამდენი ხანი წერილი ვერ მოგწერე?

მაპატიე, მაგრამ ყველაფერი ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო მოხდა.

საქმე ასე იყო:

ერთხელ საავადმყოფოში წავედი ეტლით გელას სანახავად. შუაღამე იყო. თვალით ვერაფერს გაარჩევდი, ისე ბნელოდა, ვინახულე გელა და, როდესაც ვბრუნდებოდი, ერთ ხრამის პირდაპირ ფაეტონი ქვას დაეჯახა და მომენტალურად გაჩერდა. მე ამ დროს ფაეტონში კი არ ვიჯექი, ვიდექი და პალტოს ვისწორებდი. როდესაც მოულოდნელად ფაეტონი გაჩერდა, მე თავი ვერ შევიმაგრე და ეტლიდან ხრამში გადავვარდი. რა თქმა უნდა, გრძნობა დავკარგე, იქავე ჩემი ნაცნობები აღმოჩნდნენ და საექიმო დახმარება აღმომიჩინეს. სულ სისხლში ვიყავი გასვრილი. თავ-პირი დალეწილი მქონდა, ცალი ხელი ნაღრძნობი და ფეხზე ძლივს ვიდექი. როგორც იქნა, მიმიყვანეს სახლში და იქ მთელი სამი დღე ვიწექი, გუშინ, როგორც იქნა, ავდექი, მაგრამ გამოსვლა მრცხვენოდა, იმნაირად მქონდა სახე. დღით ვერ გავბედე და გამოვედი ღამით, მაგრამ ნაცნობებს სად დაემალები? შემომხვდა ნუცა, რომელიც ის ის იყო თბილისიდან დაბრუნებულიყო და საჩქაროდ მკითხა, თუ რა დამემართა სახეზე. მე ავდექი და ვუამბე რაღაცეები, არც ცის, არც ბრის.

ახლა, ჩემო ოლოლ, შენ რომ შემხედო, აღარ მოგეწონები, მე უკვე მახინჯი ვარ. მაგრამ დღეს არა, ხვალ სრულიად მოვრჩები და სუფთა სახე მექნება, თუ ნიკაპზე არ დამაჩნდა ცოტა რამ.

შენი წერილი, უკანასკნელი, მივიღე. სულით და გულით რომ მინდოდეს წამოსვლა, ახლა ეგ შეუძლებელია. ახლა კვირას მე თეატრში დიდი საღამო მაქვს და, თუმცა მე არ ვმუშაობ, მაგრამ მაინც მე ვარ ხელმძღვა-

ნელი, ჩემზეა ყველაფერი დამოკიდებული. მერე კიდევ წიგნის საქმე, მერე რედაქციაში მუშაობა, მერე სხვა საქმეები და ნუ დამემდურები, ჩემო ოლია, თუ ვერ ჩამოვალ, მომწერე რათ გჭირდება ჩემი ჩამოსვლა? იწერები: „я тебе ни написала бы о приезде в такое время, но должно быть, есть что, почему я тебе пишу так настойчиво теперь“.

კარგი, მე ჩამოვალ როდისმე, თუ მოვახერხე, მაგრამ, ოლია, თუ შენი უკანასკნელი სიტყვები ჩვეულებრივი სიცრუე გამოდგა, მშვიდობით, მე ალარაფერი მეწამება შენი!

მაგრამ ჯერ მომწერე, რაშია საქმე! შეიძლება შენი საქმე არც ისე საჩქაროა, რომ ღირდეს მალე ჩამოსვლა. მაგრამ მომწერე ყველაფერი დალაგებით და გარკვევით. თუ ეს ასე არ იქნება მეც არ შემიძლია ჩამოსვლა. თუ შენ ჩვეულებრივად მიხვევ-მოხვევა დაიწყე, ამგვარ წერილს ნუ გამომიგზავნი და არც მე გამოგიგზავნი პასუხს. გახსოვს, წინედ რომ მომატყუე ტელეგრამით? ახლა ისე არ შეიძლება. მართალია მე მაშინ ბევრი წმიდა და, გულწრფელად რომ ვთქვა, სასიამოვნო წამები გამოვცადე, მაგრამ ეს შენ სრულიადაც არ გაძლევდა უფლებას აგრე მოქცეულიყავი და მოგეტყუებინე.

გრცხვენოდეს!

ძვირფასო ოლია, ძალიან, ძალიან მინდა შენი ნახვა, მაგრამ არ შემიძლია!

ჭკვიანად მოიქეცი!!! ოლოლ, აგრე არ გამოგადგება!

როგორა ვარ ეხლა? ეხლა კარგად ვარ...

ეხლა, დღეს მე სულ ვქეიფობ და ვქეიფობ!

გუნებაში ვსვამ შენს სადღეგრძელოს და თან ასე ვამბობ:

„ღმერთო, შენ გაუმარჯვე ჩემს ძვირფას ამხანაგს ავადმყოფს, ყოველნაირად ავადმყოფ ოლოლს-მეთქი“. არ ვიცი, შემისმენს თუ არა ღმერთი, მე კი გულწრფელად მინდა, რომ შენ ავად არ იყო!

ბევრი რამ მინდოდა მომეწერა, მაგრამ ჩემგან ყველაფერი გწყენია, ისევე სიჩუმე სჯობს...

გ.

1927 წ.

30

ოლიას გამარჯვება!

შენი კარგი, ხალისიანი წერილი მივიღე. მაოცებს პოეტური ტემპერამენტი საზოგადოდ შენი წერილებისა. ოლია ნუ მოგვაკლებ ჩვენ ასეთ წერილებს. ვიქნებით მუდამ მოხარულნი და მადლობას შევწირავთ ზეცას... ტფილისში სიცხეებია და ბორჯომიდან წამოსული გრილი ჰაერი გაანელებს ამ მხურვალებას.

ვერ წარმოიდგენ, რაგვარად მიყვარს შენი წერილების კითხვა. მე რომ შენს ადგილას ვიყო დავიწყებდი კარგი, ხალისიანი სიცოცხლით, ახალგაზრდა ენერგიით, მზით და მსუბუქი მელანხოლიით სავსე ნოველების წერას. და გავიმარჯვებდი კიდეც. კარგია „ბორჯომკა“ არა? ცივია? ღმერთმა ჰქნას, რომ იგი ყოფილიყოს შენი ერთგული და უებარი მკურნალი, ოლია.

1927 წ.

31

ძვირფასო ოლია! მატარებელი № 9 საათში 80 კილომეტრით მიდიოდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში „ზაკავუს“ სტუდენტი, აზერბაიჯანელი, რომელსაც შენც გაიხსენებ, ჩემს ყურთან მღეროდა „სამგლოვიარო მარშს“, თითქოს ამბობდა: აზერბაიჯანი გადამწვარი ადგილებია, ერთი ჩრდილიანი ხეც აქ არ არის, საშინელ სიცხეს, ძუნწ ნიადაგს ებრძვის შავი, მზისგან დამწვარი ჩონჩხების მსგავსი მოსახლეობა. მაგრამ ბაქოს დანახვით

ვიგრძენი, რომ ეს ქალაქი მალე ყველაფერში გაასწრებს თბილისს. ინდუსტრიალურად ხომ უკვე გაასწრო. აზერბაიჯანელმა სტუდენტმა მიჩვენა მათი ახალი ალფაბეტით დაბეჭდილი გაზ. „კომუნისტი“. მაშასადამე, აქ იბადება ახალი კულტურაც. ამასობაში მე და ის სტუდენტი დავმეგობრდით. კოლექტიური გვქონდა ნესვის, საზამთროს, ნარზანის, შემწვარი ქათმების და სხვ. ხარჯი. არასასიამოვნო სიმღერა შესწყვიტა სწორედ დარუბანდში (დარუბანდი საქართველოს ისტორიიდან გემახსოვრება, ნიკოპსიიდან დარუბანდამდე მიდიოდა ძველი საქართველოს ვრცელი ტერიტორია). უფრო მძლავრი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჩრდილოეთ კავკასიამ, გროზნო, ბესლანი, პროხლადნაია, გეორგიევსკი, ორბელიანოვო, მინერალური წყლები. სულ ახლო ჩანდა კავკასიონის მთები და თვით იალბუზი. თერგი კი, რატომღაც, აქ არ არის ჩქარი. როსტოვში ვიყიდე და წავიკითხე მშვენიერი გაზეთი „Молот“. შემდეგ თვალუწვდენ ველებზე მოსკოვამდე გაშლილია ძნა, მუშაობს ქალი და კაცი, მინდვრებს ეფინება შრომის სიხარული. ასე ჩამოვედით მოსკოვში, სადაც რევოლუციის მუზეუმის წინ სდგას ჩვენი ძველი მეგობარი და ნაცნობი 155 მილიმეტრიანი და 6 დიუმიანი უზარმაზარი ზარბაზანი. ამ იარაღით სამხედრო რევოლუციური კომიტეტის არტილერისტები ოქტომბრის დღეებში 1917 წელს ლეფორტოვოდან ესროდენ კრემლს. საღამოს, 2 ნოემბერს, კრემლი აღებული იქნა წითელი გვარდიის მიერ. ვნახე ბევრი ძველი ადგილი, გამახსენდა ბევრი რამ, პოვარსკაიაზე ჩვენი სახლი იმნაირადვე დგას ურემონტოდ. წინაკედელს კიდევ აჩნია ტყვიების დაღი. ბრონნაიაზე იქაც, აქაც ყველგან არის რაღაცა, რომელიც აღვიძებს მოგონებებს. ვნახე მანია, ძალიან კარგად არის. მშვენიერზე, მშვენიერი ბინაა აშენებას ბინა. აქ შეიძლება ტომების დაწერა. მაგრამ ეს სხვა დროისთვის. ეხლა მხოლოდ მოსკოვის ამშენებლობა მაინტერესებს, სხვა, თქვენ რას შვებით, როგორა ხართ, როგორ მოეწყვეთ. კმაყოფილი ხარ თუ არა ზორჯომით? გადაეცი ყველას ჩემი გულწრფელი სალამი და

სურვილი სწრაფად გაჯამრთელებისა. მომწერე წერილი სასწრაფოდ, შენ რომ იცი.

მარადის და მარადის შენი გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

მოსკოვი
14 აგვისტო, 1928 წ.

32

ო ლ ი ა ძ ვ ი რ ფ ა ს ო!

მოვედი. დამხვდა შენი წერილი. შენ ყოველთვის კარგი ხარ. შენ ყოველთვის იცი, რომ ჩემი მწუხარება არაა შემთხვევითი ხასიათის. იგი ყოველთვის დაკავშირებულია [. . . . .] მაგრამ დავანებოთ თავი [. . . . .].

ოლია! შენ იცნობდი განდეგილს. პირადად შენ მას ძალიან უყვარდი. ეს იყო მოხუცებული ქალი, პოეტსა, ძალიან ნიჭიერი, მეტისმეტად ინტელიგენტი ქალი, სამაგალითო ზრდილობის, სამაგალითო თანამშრომელი რედაქციების, უდიდესი მეგობარი აკაკი წერეთლის, საუკეთესო მთარგმნელი გრიბოედოვის, საზოგადო მოღვაწე, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ზღაპრულად გულკეთილი ქალი, ჭაღარათმიანი ქალი. და იგი გარდაიცვალა დღეს გულის სიგანიერით. სრულიად მოულოდნელად. განა მე შემიძლია დღეს მშვიდობიანი ვიყავე?

უკანასკნელი მისი წერილი ჩემს შესახებ[33] ასეთი იყო:

„გალაქტიონ ტაბიძე, ეს დიდი პოეტია. უდიდესი განცდებით და უნაზესი გადმოცემებით. გალაქტიონი ეს სულ განცალკევებული მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. შეიძლება იმას ამიტომაც უწოდეს პოეტების მეფე. იგი განსაკუთრებით გრძნობს ბუნების ხვაშიადს. იგი არ არის ჩვეულებრივი პოეტი და ამიტომაც მას სათუთის გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავისი ერი“.

ეს სიტყვები ანდერძივითაა. აი როგორ მაფასებს მე იგი.

ოლია! შენ მას კარგად იცნობდი.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

ოლია, თუ მე შენ გიყვარვარ, გვირგვინი ან ყვავილები წარწერით „ოლია ოკუჯავასაგან“ უსათუოდ საჭიროა.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

1929 წ., 29 იანვარი

33

მ ხ უ რ ვ ა ლ ე ს ა ლ ა მ ი ჩ ე მ ო ო ლ ი ა!

ცნობა ამ თაგვებს*, რომლებიც ჩემს გვერდით ცხოვრობენ კრილოვის ქუჩაზე? როდესაც შენ ამბობდი ჩემი წასვლის შემდეგ თავზე დაგაჯდებიანო, მართალი იყავი, თურმე: 1. ის დამტვრეული მაგიდა ჩემს ფანჯარას მიადგეს, 2. თავიანთი დამტვრეული კრავატი ზედ ჩემს კარებს მოაყენეს, 3. მთხოვეს იატაკის გასაწმენდი ტილო და აღარ მიბრუნებენ ოთხი დღეა, 4. ჩემს კარებთან ყრია პაპიროსის ნამწვავები იმდენი, რამდენიც ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, 5. შეღამებიდან გათენებამდე სწორედ ჩემს კარებთან განუწყვეტლივ რომანიული ეღურტულია, რომელმაც ლამის თავი მომაკვლევინოს, 6. როდესაც მე მკითხეს, ოლია სადარისო მე ვუთხარი, რომ იგი ლენინგრადშია, მათ ეს ძლიერ გაუხარდათ და სწორედ ერთი საათის შემდეგ დაიწყეს „რეფორმები“, 7. გუშინ დავბრუნდი ღამით. სანავთე ბოთლები აივანზე ყველა წაქცეული იყო და ნავთის სუნის გამო ვეღარ გა-

---

* ფურცელზე, რომელზედაც დაწერილია ეს წერილი, დაბეჭდილია სამი თაგვის სურათი. თაგვები იცქირებიან გადაშლილ წიგნში. როგორც წერილის შინაარსიდან ჩანს, აქ სიტყვა „თაგვები“ ორმაგი მნიშვნელობით არის ნახმარი.

ჩერდებოდი, 8. მოიგონეს რაღაც „სუხარები“, პურს სჭრიან და ახმობენ ჩემს ფანჯარასთან, 9. როდესაც მე მძინავს, დადგებიან ჩემს პირდაპირ დიდი შიშველი ბარძაყებით, გადაჰყურებენ ქვევით და ალბათ ფიქრობენ, რომ მე ისინი მაინტერესებენ. ისინი მხოლოდ შურს ძიობენ იმის გამო, რომ მე მათ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ, როგორც ქალებს, მე ისინი მიმაჩნია მხოლოდ ბ ..... ად, ამიტომ ძალიან არიან გაბრაზებული, მე ძლიერ მიხარია, რომ ისინი გაბრაზებულნი არიან, მე არავისში არ გავცვლი ერთ ძვირფასს, ყველაზე უფრო საყვარელ ადამიანს, ოლიას

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

1929 წელი, აგვისტო

34

გავიგე, რომ ავად ყოფილხარ, ძვირფასო ოლია; ახლა გიგზავნი მინდობილობას, აიღე ჩემი პენსია და მოიხმარე. მე ჩამოვალ, როგორც კი ყრილობა გათავდება და ყველაფერს მოვაწესრიგებ, თავს მოუფრთხილდი. გკოცნი, იყავი ყოჩაღად. მომიკითხე ყველა, ვინც მიკითხოს.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

ლენინგრადი,
1934 წ. 15 ივნისი

მეც ცოტა ავად ვიყავი. ეხლა არა მიშავს რა.

35

ჩვენ პოლონეთის საზღვარზე ვართ. ბერლინზე გავლით თვრამეტში პარიზში ვიქნებით. მოკითხვა ყველას, გალაკტიონი.

ნეგორელოე 16. 06. 17 ს. 20 წ.
[1935]

36

ოლია! მივდივარ კრებაზე („წით. არმ."). დღეს ვიყავი შენთან სამსახურში. ნავთი არ იყო. ისესხე ნავთი და აიდუღე ჩაი, პური კარადაშია.

1935 წ.

37

ძვირფასო ოლია! მე შენთან დიდი ბოდიში უნდა მოვიხადო იმის გამო რომ ამდენი ხნის განმავლობაში წერილი ვერ მოგწერე. მაგრამ შენ მაპატიებ, რადგან კარგად იცი ჩემი დაუდევრობის ამბავი. აი დღეს, აი ხვალ და ასე — მირჩება. რა თქმა უნდა, არაა ეს კარგი საქმე, მე თვითონ ვიცი, მაგრამ ვფიქრობდი მალე წამოსვლას და „წერილი რაღა საჭიროა" — მეთქი — ვფიქრობდი.

ახლა გადავალ მეორე „საქმეზე". აქ მე მივიღე დაზღვეული წერილი, რემინგტონზე ნაბეჭდი, წერილი ანონიმურია და სავსეა პირადად ჩემთვის შეურაცხმყოფელი სიტყვებით: უსინდისო და სხვ. ეს ნიღაბამოფარებული ავტორი ჩანს, ძალიან დაახლოებით გიცნობს შენ, რაც სავსებით გასაგებია. ხომ არ იცი, ვინ არის ეს სუბიექტი? იგი შენ გთვლის იშვიათ ქალად, განსაკუთრებულ ქალად მე-20 საუკუნეში. მას შეცდომით წარმოუდგენია, რომ სიტყვა „ანაქრონიზმი" საქები სიტყვაა. ეს არაფერია, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ იგი საზიზღრად იგინება.

რა საჭიროა ანონიმური ავტორისთვის ყოველივე ეს? აქ მან ნიღაბი აიხადა და ჩემს თვალწინ სდგას მისი „ჯენტლემენური" ფიზიონომია. მან ალბათ არ იცის, რომ ასეთი სულ უკანასკნელი სიტყვების თაიგულით იგი დგას თავისი ნამდვილი, რეალური სახით, თავისი ინტიმური ცხოვრებით და სხვადასხვა. განა შეიძლება ასეთი ურიგო და უწესო სიტყვების თქმა? ამ დაუფიქრებლად

წამოსროლილი სიტყვებით იგი თავისდაუნებურად იძ-
ლევა ერთნაირ თვითდახასიათებას, სწორედ თავის „ფო-
ტოგრაფიულ სურათს“. ჩემს წინ დგას იგი მართლაც უზ-
რდელი თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე, ყოყ-
ლოჩინა, ძლივსძლივას რამდენიმე კულტურული სიტ-
ყვის მცოდნე, პატარა, ძლიერ განსაზღვრული ჭკუის
მქონე კაცუნა. მან სულ რამდენიმე სიტყვაში თქვა თა-
ვისი თავი. იგი ამბობდა ჩემს შესახებ და უფრო მეტად
თავის ისტორია გამო

მრთელობის და ძლიერი სულის პატრონმა ქალმა. შენ ყოველთვის შეგეძლო და ეხლაც შეგიძლია გაიმაგრო გული, გამოიჩინე ნებისყოფა! უნდა გწამდეს, რომ შენ გამოჯამრთელდები, ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას, შენ ხომ მუდამ არაჩვეულებრივად ხალისიანი იყავი, ასე არ არის? ახლა ავადა ხარ? მომწერე, ოლია, რით შეიძლია შეგიმსუბუქო მდგომარეობა. მომწერე, შეიძლება თუ არა გამოგიგზავნო ამანათი და რა ნივთები უფრო გჭირდება? მაგალითად: თბილი კაბა, ფეხსაცმელები, თეთრეული, ბამბა, ოდეკალონი? შეიძლება თუ არა რამე საჭმელი გამოგიგზავნო, მაგალითად — შაქარი, ჩაი, ყავა, კაკაო, ნამცხვარი, მურაბა, ფქვილი, ზეთი, ყველაფერი ის, რაც გზაში არ გაფუჭდება, იქნებ შენ კიდევ სხვაც რამე მოიფიქრო, რაც უფრო მეტად გჭირდება. არა ოლია?

მე ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ძლიერ სუსტად ვიყავი. თავს სრულიად უიმედოდ და გამოუვალ მდგომარეობაში ვგრძნობდი (ო, შენ გაიგებ რატომ არ გპასუხობდი შენს წერილებზე) აღარ ვიცოდი, რა უნდა მექნა. ყოველივე ამან სრულიად გამომაცალა ძალა, მაგრამ, არ შეიძლებოდა ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელებულიყო. ახლა 300 მანეთს გიგზავნი, ცოტა ხნის წინ დეპეშით 200 მანეთი გადმოგიგზავნე, ხომ მიიღე?.

აქ ყველანი, ყველანი კარგად არიან. შენ არავიზე და არაფერზე არ იდარდო. შენ ერთ პოეტზე სწერდი, რა შესანიშნავი პოეტია ის — ფეტი (ასე ხომ?) უნდა ვაღიარო არასოდეს არ დავინტერესებულვარ მისი პოეზიით. ახლა კი შევიძინე მისი თხზულებები. აუცილებლად წავიკითხავ. ხო, ოლია, სულ მთლად უღონოდ ვიყავი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, მაგრამ ყველაფერმა ამან გაიარა, განადგურებული ვიყავი დარდისაგან,

ამანაც გაიარა. დამაბეჩავებელმა უიმედობამ, გაურკვევლობამ — რას იზამ? ყველაფერმა, ყველაფერმა გაიარა.

შენს წერილებზე ყოველთვის გიპასუხებ, სათვალეები (რქის) მე უკვე შევიძინე. ოლია, უნდა იმკურნალო, ოი, როგორ მინდა შეგიმსუბუქო შენი ახლანდელი მდგომარეობა.

[1940 წ.]

РЕЗЮМЕ

В данной книге представлены дневники Ольги Окуджава и ее переписка с мужем, великим грузинским поэтом Галактионом Табидзе.

Данный материал прекрасно отображает ту безмерность чувств, которое связывала этих двух людей.

Галактион и Ольга познакомились в 1912 году и сразу подружились. Это была счастливая встреча двух родственных поэтических душ, переросшая в большую и искреннюю любовь. Обвенчались они в 1916 году, к сожалению, их дальнейшая жизнь сложилась так, что не часто представлялась возможность бывать вместе. Именно поэтому в письмах и дневниках Ольги Окуджава главное место отведено как творчеству поэта, так и житейским мелочам.

Ольга всегда жила жизнью своего знаменитого супруга. Она была первой слушательницей и ценительницей произведений Г. Табидзе, с большим рвением сама лично переводила и делала русские подстрочники стихотворений поэта.

Больная, в своих письмах она ободряла поэта, просила его следить за собственным здоровьем, беседовала с ним о литературе, искусстве, политике, делилась впечатлениями о прочитанных книгах.

Дневники и переписка Ольги Окуджава с Галактионом Табидзе кроме отображения их взаимоотношений уточняют и по-новому отражают некоторые стороны жизни и творчества поэта.

Книга снабжена указателем.

შენიშვნები

1. „სამი ვერსია პოეტის სახლამდე“ — იგულისხმება აკაკი წერეთლის სახლი სხვიტორში.

2. „პოეტის და“ — იგულისხმება აკაკი წერეთლის უფროსი და ანა როსტომის ასული წერეთელი (1830—1920).

3. „მოამზადა მეორე წიგნი“ — იგულისხმება გ. ტაბიძის წიგნი „არტისტული ყვავილები“, (იგივე II ტომი), რომელიც გამოვიდა 1919 წელს.

4. „სურათი, რომელზედაც მე და შენ ვართ გადაღებული“ — აქ იგულისხმება გალაკტიონისა და ოლიას ფოტო სურათი. რომელიც 1913 წელს არის გადაღებული, დაბეჭდილია ჩვენს გამოცემაში.

5. „სადაც იბეჭდებოდა მისი სული“ — აქ იგულისხმება გალაკტიონ ტაბიძის 1927 წლის ლექსების კრებული.

6. „ასოთამწყობის მარჯვე ხელი სიყვარულით აწყობს მის სიტყვებს“ იხ. წინა კომენტარი.

7. „შანხაი დაეცა“ — 1926—1927 წლებში შანხაის მუშებმა ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით სამჯერ მოაწყვეს აჯანყება და 1927 წლის 22 მარტს ქალაქი გაათავისუფლეს მილიტარისტებისაგან. ოლია ამ ფაქტს უნდა გულისხმობდეს აღნიშნულ ჩანაწერში.

8. „გალ, როგორ გამოგვრჩა მე და შენ 1931 წლის 30 იანვრის „პრავდა...“ — აქ ოლია გულისხმობს „პრავდის“ აღნიშნულ ნომერში დაბეჭდილ წერილებს, რომლებსაც გაზეთის მთელი მეორე გვერდი აქვს დათმობილი: „I. Ромен Роллан и Горький„ 2. Ромен Роллан разоблачает пан Европу, защищает СССР“. 3. О цинизме“ (А. М. Горький) ეს წერილები წარმოადგენს პასუხს ფრანგული ჟურნალის „ნუველ რევიუ მონდიარ“-ის № 1-ში დაბეჭდილ გიტონ რიუს სტატიაზე „მსოფლიოს შეერთებული შტატები?“.

9. „გალის მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ (იუბილეს) მასალებში...“ აქ ოლია გულისხმობს გ. ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს მასალებს. აღნიშნული იუბილე ჩა-

ტარდა 1933 წლის 5 ივლისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

10. „...ცალკე ლექსებად დაეყარეთ და ფურცლებზე დაეწერეთ „პაციფიზმი" — ვამზადებთ მასალებს ახალი აკადემიური გამოცემისათვის". აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ პოემა „პაციფიზმი" ცალკე ლექსებად დაშალა და ისე შეიტანა ავტორმა თავის თხზულებათა II ტომში 1935 წელს. თხზულებათა ამ გამოცემას ოლია აკადემიურს უწოდებს, რადგან დადგენილება ასეთი გამოცემის შესახებ მიღებული იქნა 1933 წელს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმის მიერ.

11. „...დავამზადეთ მასალები „ეპოქიდან" — აკადემიური გამოცემისათვის" — აქ იგულისხმება გ. ტაბიძის 1935 წელს გამოცემული თხზულებათა II ტომის მასალების მომზადება, რომელშიაც ავტორმა პოემა „ეპოქა" დაშალა და დამოუკიდებელი ლექსების სახით დაბეჭდა.

12. „ნეტავ რა გაიგო „ოქტომბრის სიმფონიის" თაობაზე, დაბეჭდავენ თუ არა?" გ. ტაბიძის ლექსი „ოქტომბრის სიმფონია" მართლაც არ დაბეჭდილა იმ ხანებში. იგი პირველად თხზულებათა II ტომში შეიტანა ავტორმა 1935 წელს.

13. „...ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე გამოვა გალაკის ლექსების კრებული რუსულ ენაზე... წიგნი მწერალთა ყრილობისათვის უნდა გამოსულიყო". აღნიშნული კრებული გამოვიდა 1935 წელს და არა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობისათვის 1934 წელს, — როგორც ეს ნაკარაუდევი იყო.

14. „დღეს გალაკიმ გამომცემლობას ჩააბარა თავისი ლექსების და პოემების კრებული". აქ იგულისხმება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების და პოემების კრებული რუსულ ენაზე, რომელიც 1935 წელს გამოვიდა.

15. „გალაკმა მაისურაძის ლექსების კრებული მოიტანა, წიგნში მოთავსებულია გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი". აქ ლაპარაკია გიორგი მაისურაძის ლექსების კრებულზე — „სიცოცხლე სიხარულში", რომელიც 1929 წელს გამოვიდა ავტორისავე გამოცემით. ამ წიგნის 44—46 გვერდებზე დაბეჭდილია ლექსი „გალაკტიონს". იგი ავტორს სპეციალურად დაუწერია 1927 წელს გალაკტიონის პატივსაცემად გამართული საღამოსათვის.

16. „გალაკი 23 ივნისს მოხსენებით გამოვიდა პარიზში მსოფლიოს მწერალთა კონგრესზე". აქ ლაპარაკია კულტურის დაცვის მსოფლიოს მწერალთა კონ-

გრესზე, რომელიც პარიზში ჩატარდა 1935 წლის 21—24 ივნისს.. ამ კონგრესზე გალაკტიონმა თანამოხსენება გააკეთა თემაზე — „ეროვნება და კულტურა". ძირითადი მომხსენებელი იყო ცნობილი ფრანგი კომუნისტი მწერალი ანრი ბარბიუსი (1873—1935). გალაკტიონის აღნიშნული მოხსენება დაიბეჭდა 1936 წელს კრებულში — „Конгресс в защиту культуры"

17. „...საკდესის კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ს ი ნ ტ ე რ ვ ი უ ჰ კ ო ნ დ ა გ ა ლ კ თ ა ნ"...

აღნიშნული ინტერვიუ დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში" 1935 წლის 3 ნოემბერს. რადგან ეს ინტერვიუ არ შესულა გ. ტაბიძის თხზულებათა სრულ კრებულში, იგი უცნობია ფართო მკითხველ საზოგადოებისათვის, ამიტომ ვბეჭდავთ მას მთლიანად:

„საბჭოთა საქართველოში პოეზია გახდა სასიხარულო, თავისუფალი, მშრომელთა ფართო მასების მოთხოვნილება და კუთვნილება. ჩვენი პოეტები თავიანთ მუშაობას უფარდებენ მუშათა და კოლმეურნეთა მასების უაღრესად დიდ და უფრო და უფრო მზარდ კულტურულ მოთხოვნილებას.

ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნება — ეს ლოზუნგი დიდმა ოქტომბერმა წარმოშვა.

18 წლის წინათ მე საესებით გამიტაცა ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილმა ქარტეხილმა და ახლა ოქტომბერს, ახალგაზრდა მაგრამ დავაჟკაცებულ ოქტომბერს, რომელმაც შემოქმედების თვალუწვდენელი გაქანება გადაგვიშალა, მე მივუძღვნი ჩემს 600 გვერდიან კრებულს. ეს წიგნი თითქმის 18 წლისაა. იგი დაიბადა 1917 წელს, ოქტომბრის გარიჟრაჟზე, და დავაჟკაცდა ოქტომბერთან ერთად. ეს წიგნი გამოვიდა ოქტომბრის 18 წლისთავისათვის. იგი ასახავს ჩვენი დიდი ბრძოლის სიძნელეებს, ყველა ჩვენს კოლოსალურ მიღწევებს.

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისათვის მე ვამზადებ მეორე კრებულს, ამ კრებულში შევა პოემები, რომლებიც დაწერილია 15 წლის მანძილზე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ („ზაპესი", „რიონჰესი" და სხვა).

ახლა ვმუშაობ წიგნზე პარიზის შესახებ, სადაც მე ვიყავი, როგორც წევრი საბჭოთა დელეგაციისა კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესზე.

ქართული საბჭოთა პოეზიის შემდგომი პერსპექტივები ბრწყინვალე და მრავალი იმედის აღმძერელია. პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული და მუდმივი ყურადღება მწერლებისა და ხელოვნების საჭიროებისადმი იმის გარანტიაა, რომ მუშაობა, რომელიც ხელოვნებისა და პოეზიის ფრონტზე სწარმოებს, უფრო ინტენსიურად განვითარდება და მაღალხარისხოვან პროდუქციას მოგვცემს".

18. „ნ ა ნ კ ი ნ ე ლ ი" გ ე ნ ე რ ლ ე ბ ი ს მ უ ქ ა რ ა"... 1927 წლის 24 მარტს ნანკინში მოხდა კონტრრევოლუციური გადატრია-

ლება ამერიკის, ინგლისისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების მხარდაჭერით, რის შედეგადაც ნანკინში დამკვიდრდა გომინდანური კონტრრევოლუციური მთავრობა ჩან-კაი-შის მეთაურობით. ისინი ებრძოდნენ რევოლუციურ ჩინეთს. ამ ჩანაწერში ეს ფაქტი იგულისხმება.

19. „რომელ სტადიაშია შენი წიგნის ბეჭდვა". იგულისხმება გ. ტაბიძის წიგნი „ლექსები" (1927).

20. „მაცნობე ყველაფერი შენი წიგნის შესახებ — დაიბეჭდა თუ არა?" იგულისხმება გ. ტაბიძის თხზულებათა I ტომი, რომელიც 1937 წელს გამოიცა.

21. „როგორ ძალიან მინდა შენი წიგნი მქონდეს აქ, 1936 წელს გამოცემული". 1936 წელს გალაკტიონის წიგნი არ გამოსულა, 1937 წელს გამოვიდა მისი თხზულებათა I ტომი. ამიტომ სავარაუდოა, რომ აქ ოლია გულისხმობდეს ან თხზულებათა I ტომს, ან 1937 წელს „სოვეტსკი პისატელის" მიერ გამოცემულ გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული ლექსების" რუსულ თარგმანს.

22. „23 ივლისს გაზ. „პრავდაში" წავიკითხეს ტეა, რომელიც ასე იწყება: „გ. ტაბიძე საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტია..." — იგულისხმება 1940 წელს „პრავდის" აღნიშნულ ნომერში დაბეჭდილი ზენკევიჩის წერილი, რომელიც ეხება 1940 წელს ვ. გაფრინდაშვილისა და ე. გოლცევის რედაქციით გამოცემულ გ. ტაბიძის ლექსების რუსულ კრებულს.

23. „როგორ მინდა მქონდეს იმ ლექსების თარგმანები, რაც ახლა გამოიცა" — იხ. წინა კომენტარი.

24. „სურათში დიდებულად ხარ გამოსული. ორივენი კარგად ვართ". იხ. მე-4 კომენტარი.

25. „ჩემი წიგნის საქმე დიდებულად მიდის, ივანე გომართელმა მშვენიერი კრიტიკული წერილი დაწერა..." — იგულისხმება 1914 წელს გამოცემული გ. ტაბიძის ლექსების პირველი კრებული. ამ კრებულს დართული აქვს ი. გომართელის წერილი „სევდის მგოსანი".

26. „საღამო შაქვს 20 ენკენისთვეს" — აღნიშნული საღამო, ნაცვლად 20 სექტემბრისა, გაიმართა 27 ნოემბერს. ეს იყო გ. ტაბიძის პირველი სალიტერატურო საღამო (იხ. ი. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, 1968 წ. გვ. 66).

27. „...გაზ. „შადრევანი"... სადაც მიხ. წულუკიძის წერილია მოთავსებული" — სალიტერატურო და პოლიტიკური გაზ. „შადრევანი" 1915 წ. გამოდიოდა თბილისში, სულ 5 ნომერი გამოვიდა. № 3-ში დაიბეჭდა მიხეილ წულუკიძის უარყოფითი რეცენზია გალ. ტაბიძის ლექსების I ტომზე.

28. დავშორდით ერთმანეთს მე, გოფრინდ-შეილი და იაშვილი. სიმბოლისტების ჟურნალის „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ (1916 წ. 28 თებერვალი) გ. ტაბიძე ჩამოშორდა ჟურნალს, რადგან იგი არ იზიარებდა ამ მიმდინარეობის იდეურ-მხატვრულ შეხედულებებს. (დაწვრილებით იხ. ი. ლორთქიფანიძის „გ. ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, თბ., 1968 წ., გვ. 82).

29. „წიგნის დაბეჭდვამდე“ იგულისხმება გ. ტაბიძის. პოემა „ჯონ-რიდი“, რომელიც 1924 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა.

30. „ჩვენს რედაქციაში“ — იგულისხმება „მნათობის“ რედაქცია, სადაც 1924 წელს მუშაობდა გალ. ტაბიძე.

31. „ჟურნალი დაბეჭდილია. გამოვა დღეს ან ხვალ“. აქ იგულისხმება 1924 წლის ჟურნ. „მნათობის“ № 4—5, რომელშიაც დაბეჭდილია პოემა „ჯონ-რიდი“, როგორც წინა კომენტარში მივუთითეთ, ჟურნალის გამოსვლის შემდეგ იგი ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

32. „მიშა დაუნიშნავთ გენერალურ მდივნად“ — 1924 წელს მიხეილ ოკუჯავა არჩეულ იქნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

33. „უკანასკნელი მისი წერილი ჩემს შესახებ...“ იგულისხმება განდეგილის (დომინიკა ერისთავის) წერილი გალაკტიონზე — დაიბეჭდა 1927 წ. სალიტერატურო ბიულეტენში — „გალაკტიონი“.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

ა

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — (პროკლე) გ. ტაბიძის უფროსი ძმა (1889—1943) 4, 84, 85, 119, 199.

ა ზ ა მ ა ტ ი — ლერმონტოვის რომანის „ჩვენი დროის გმირის" პერსონაჟი 70.

ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ ი 202.

ა კ ო ფ ი ა ნ ი ა კ ო ფ — სომეხი პოეტი (1866—1937) 108.

ა ლ ბ ე რ ტ ი — ჟორჟ სანდის რომანის „კონსუელო"-ს მოქმედი პირი 152

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე 15, 19

ა ლ ი ო შ ა — (ოკუჯავა საშა) 80

ა ლ კ ე ო ს ი — (VII—VI ს. ძველი წელთაღრიცხვით) ძველი ბერძენი პოეტი. 151

ა მ უ დ ა რ ი ა 116

„ა რ ფ ა ს ტ ო" კინოთეატრი თბილისში. მდებარეობდა ახლანდელ კულტურის სამინისტროს შენობაში (რუსთაველის პროსპექტზე) 77.

„ა ტ მ ი ს ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი" (გალაკტიონის) 96, 133, 141, 151, 152

ა ფ რ ი კ ა 70

ა ქ ს ე ლ რ ო დ ი პაველ ბორისის ძე (1850—1928) — მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი 65.

ა შ ხ ა ბ ა დ ი 115, 203.

ა შ ხ ე ნ ა (ოლიას მოსკოველი ნაცნობი) 203

ბ

ბ ა ბ უ ცა 197

ბ ა თ უ მ ი 30, 37, 67, 68, 75, 88, 196

ბ ა ი რ ო ნ ი ჯორჯ ნოელ გორდონი (1788—1824) 177

ბ ა კ უ რ ი ა ნ ი 178

ბ ა ქ ო 203

„ბ ა ლ ა დ ა ლ უ რ ს მ ნ ე ბ ზ ე" (ტიხონოვის) 96

„ბალადა ცისფერ კონვერტზე“ (ტიხონოვის) 96
ბალზაკი ონორე დე (1799—1851) 152
ბალმონტი კონსტანტინე დიმიტრის ძე (1867—1942) 180
ბაქო 202.
ბახტაძე ვალია (1896—1934) — ცნობილი პარტიული მუშაკი, ეურნ. „მნათობის“ პირველი რედაქტორი 197
„ბებია“ (ნეცოვა ბოჟენას) 62.
ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან (1770—1827) 74.
„ბელა“ (კინოფილმი) ლერმონტოვის რომანის „ჩვენი დროის გმირის“ მიხედვით 69.
ბერლინი 206
ბერლიოზი ჰექტორ (1808—1869) ფრანგი კომპოზიტორი და დირიჟორი 159.
ბერლინი 206
ბესტუჟევი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (1797—1837) — რუსი მწერალი, დეკაბრისტი 152
ბლასკო იბანიესი (1867—1928) — ესპანელი მწერალი 153
ბლოკი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (1880—1921) 74
ბორჯომი 81, 108, 112, 113, 196, 197, 203
ბორჯომულა 108, 109, 202, 203.
ბრანდესი გეორგ (1842—1927) — დანიელი ლიტერატურათმცოდნე 70
ბრიუსოვი ვალერი იაკობის ძე (1873—1924) — რუსი პოეტი 180
ბუნინი ივანე ალექსის ძე (1870—1953) — რუსი მწერალი 86, 134
ბრონსკაიას ქუჩა (მოსკოვში) 203
ბუხარა 117.

გ

გ. (ტაბიძე გალაკტიონი) 171, 173, 183—185, 202.
გალა (ტაბიძე გალაკტიონი) 67, 82.
გალაკტიონი (ტაბიძე) 42, 79, 83, 93—95, 106, 131, 135, 136, 138, 139, 141, 143, 145, 146, 149, 151—153, 165, 175, 179, 193, 198, 204—206, 208, 210.
გალაქტიონ ტაბიძე 204
გალი (ტაბიძე გალაკტიონი) 30, 36, 44, 50, 52—54, 57, 61, 63, 65—68, 81—89, 91—93, 95—102, 105, 106, 108, 109, 112—120, 125—128, 130—134, 138, 145, 192.
გალიკი (ტაბიძე გალაკტიონი) 21, 24, 67, 85—87, 89, 91, 94, 125, 126, 138, 141, 142, 143, 144, 147, 150, 152, 155, 157, 158, 162.

გალკი — (ტაბიძე გალაკტიონი) 21, 24, 67, 85—89, 94, 125, 126, 129, 135, 161.
გალონი (ტაბიძე გალაკტიონი). 34, 35, 39, 40, 59, 137, 178, 179, 201.
გ. ტაბიძე (ტაბიძე გალაკტიონი). 166, 169, 179, 187, 189, 191, 199.
გამსახურდია კონსტანტინე სიმონის ძე (1893—1975) 107, 181.
განდეგილი (ერისთავი დომინიკა ზურაბის-ასული) (1864—1929) — ქართველი პოეტი და პროზაიკოსი 204.
გაფრინდაშვილი გალერიან ივანეს ძე (1889—1941) — ქართველი პოეტი 190.
გეგუთის ქუჩა (ქუთაისში) 177.
გელა 200
გელეიშვილი პეტრე პავლეს ძე (1870—1937) — ქართველი პუბლიცისტი 184.
გეორგიევსკი (გიორგიევსკი) 203
გერაკლიტე (ჰერაკლიტე) 530—470 ძვ. წ. აღ. ბერძენი ფილოსოფოსი 171.
გიოტე (გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749—1832) 177.
გოგოლი ნიკოლოზ ვასილის ძე (1809—1852) 137.
„გოგოლი ცხოვრებაში" (ვერესაევის) 159.
გომართელი ივანე გედეონის ძე (1875—1938) ქართველი ექიმი, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი. საზ. და პოლიტ. მოღვაწე. 173.
გორბოვსკი (თვალის ექიმი) 131, 143.
გორკი მაქსიმ (პეშკოვი, ალექსეი მაქსიმეს ძე. 1868 1936) 64, 95, 96, 144.
გრიბოედოვი ალექსანდრე სერგის ძე (1795—1829) 204.
გრიშა 75, 123, 196.
გროზნო 203.

დ

დადიანი შალვა ნიკოლოზის ძე (1874—1959) — ქართველი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, თეატრის მოღვაწე 180.
დათიკო 14, 190.
დათიკო კ. ი. 125.
დარუბანდი 203.
დვინა 59.
„დიდი მიწა" (ლავრენიოვის) 152.

ე

„ევგენი ონეგინი“ (პუშკინის) 93.
ёლკინი (ოკუჯავა ოლია) 184
„ეპოქა“ გალაკტიონის პოემა (1928) 92, 123.
ერევანი 87, 88.
ერენბურგი ილია გრიგოლის ძე (1891—1967) 98.
„ესთეტიკა“ (მეიმანის) 85.
„ექიმი შტოკმანი“ (იგივე „ხალხის მტერი“) ჰენრიხ იბსენის პიესა 48.

ვ

ვალია 184
ვალოდია. (ოკუჯავა ვლადიმერ. 1880—1937), ოლიას ძმა 63, 80.
ვანო (გალაკტიონის და ოლიას ამხანაგი ქუთაისიდან) 173.
ვასია (ოკუჯავა ვასილ სტეფანეს ძე. 1908—1968), ოლიას ძმა 117, 123, 147, 183, 189, 196.
ვასია (გალაკტიონის ნათესავი) 196.
ვასიკო (ოლიას ამხანაგი ქუთაისიდან) 17.
ვასიკო (ოკუჯავა ვასილი) 143, 183, 196.
ვასილიოკი (ოკუჯავა ვასილი) 140, 144, 146, 148.
ვასიუკი (ოკუჯავა ვასილი) 131.
ვასკა (ოკუჯავა ვასილი) 133, 137, 142.
ვერა 64, 111, 178, 181.
ვერესაევი (სმიდოვიჩი) ბიკენტი ბიკენტის ძე. 1867—1945) რუსი მწერალი, 137, 147, 148, 159.
ვინოგრადოვი ვიქტორ ვლადიმერის ძე (1895—1969) ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე 148.
ვლადიმირი 146.
ვორობიოვის მთა — დღევანდელი ლენინის მთა მოსკოვში 63.

თ

თამარა 196.
თბილისი 4, 144, 196, 202, 203, 210.

თ ე რ გ ი 203
„თ ო ვ ლ ი“ (გალაკტიონის) 133.
თ უ რ ქ მ ე ნ ე თ ი 117.

ი

ი ა ლ ბ უ ზ ი 203.
ი ა პ ო ნ ი ა 65.
ი ა რ ო ს ლ ა ვ ლ ი 132, 135, 146.
ი ა შ ვ ი ლ ი პაოლო ჯიბრაელის ძე (1894—1937) ქართველი პოეტი 190
ი ვ ა ნ ო ვ ი ვიაჩესლავ ივანეს ძე (1866—1949) რუსი პოეტი, დრამატურგი, ფილოლოგი 180.
„ი ზ ვ ე ს ტ ი ა“ 101.
ი ნ დ ო ე თ ი 65.

კ

კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი 203
კ ა ზ ბ ი ჩ ი — ლერმონტოვის რომანის „ჩვენი დროის გმირის“ მოქმედი პირი 70.
კ ა კ ა ბ ა ძ ე ნატალია (ოლიას ამხანაგი) 179.
კ ა მ ო ს ქ უ ჩ ა (თბილისში) 71.
კ ა პ ლ ა ნ ი 61.
კ ა რ ა ვ ა ე ვ ა ანა ალექსანდრეს ასული (1893—1919) — რუსი მწერალი 143.
კ ა ს პ ი ი ს ზ ღ ვ ა 114.
კ ა ტ ი ა (ხალვაში — მიშა ოკუჯავას მეუღლე) 194.
კ ო ზ მ ა პ რ უ ტ კ ო ვ ი (ალ. ტოლსტოისა და ძმებ-ს ა. და ვ. ექმ-ჩუჟნიკოვების ლიტერატურული ფსევდონიმი) 153.
კ ო ლ ი ა (ოკუჯავა ნიკოლოზ 1890—1937, ოლიას ძმა) 119, 165.
კ ო ლ ი ა (ჯაფარიძე). 167, 173, 196.
„კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“ 72, 124.
„კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“ (აზერბაიჯანული გაზ.) 203.
„კ ო ნ ს უ ე ლ ო“ (ჟორჟ სანდის) 152.
კ ო ტ ე 123.
კ ო ტ ი რენე (დ. 1882) ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე 106.
კ ო ტ ი კ ო 80.
კ ო ჯ ო რ ი 198.
კ რ ა ს ნ ო ვ ო დ ს კ ი 114.
კ რ ი ლ ო ვ ი ს ქ უ ჩ ა (თბილისში) 205.
კ რ ო ტ კ ო ვ ი (მხატვარი) 190.

კუზიანი (ოლიას ამხანაგი ქუთაისიდან) 165, 167, 173.
კუკუშა 80.

ლ

ლადო (მაქავარიანი ლადო) 177.
ლავრენიოვი ბორის ანდრიას ძე (1891—1959) რუსი მწერალი 152.
ლაისტი არტურ (1852—1927) — გერმანელი მწერალი, მოღვაწეობდა საქართველოში 73.
ლაღიძე გრიგოლ — ცნობილი ექიმი 188.
ლენინგრადი 93, 159, 206
ლენინი 61, 62, 65, 113.
ლერმონტოვი მიხეილ იურის ძე (1814—1841) 69, 70, 177.
ლეჟავა შამშე — ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე 115.
ლეფორტოვო 203.
ლიოლი (ოკუჯავა ოლია) 189.
ლისაშვილი იაკინთე ბარნაბის ძე (ხომერიკი) 1897—1972)— ქართველი მწერალი 107.
„ლიტერატურნაია გაზეტა“ 96
„ლიტერატურული გაზეთი“ 84.
ლოლი (ოკუჯავა ოლია) 177.
ლორთქიფანიძე ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სახელმწიფო გამომცემლობის ვაჭრობის განყოფილების გამგე 75
ლუნაჩარსკი ანატოლი ვასილის ძე (1875—1933) საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ლიტერატორი, კრიტიკოსი 64

მ

მაიკოვი ანატოლი ნიკოლოზის ძე (1821—1871) რუსი პოეტი 138.
მაისურაძე გიორგი, მუშა პოეტი 96
მაკბეტი — შექსპირის ტრაგედია „მაკბეტის“ პერსონაჟი 156.
მაკიაველი ნიკოლო (1469—1527) — იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე, მოაზროვნე, მწერალი 144.
მაკრინე 80
მანია (ოკუჯავა მარიამი (1899—1982) — ოლიას და) 79, 80, 113, 124, 125, 130, 148, 183, 189, 191, 197, 203.
მარგალიტა (ოლიას ამხანაგი) 15, 186.
მარი 99
მარლო ანდრე — მე-20 საუკუნის ფრანგი პოეტი 98

„მარსელინა ვალმორი“ (ცვაიგის) 162.
მარუსია (ოლიას ამხანაგი) 14, 16.
მაქსიმე 80.
მაქსიმ მაქსიმიჩი ლერმონტოვის რომანის „ჩვენი დროის გმირის“ მოქმედი პირი 70.
მაშა 117
მაკავარიანი ლადო (1893—1939) პოეტი 176.
მახარაძე ფილიპე იასეს ძე (1868—1941) პროფესიონალი რევოლუციონერი, სახელმწიფო მოღვაწე, ლიტერატორი 95.
მეი ლევ ნიკოლოზის ძე (1822—1862) — რუსი პოეტი და დრამატურგი 134, 145.
„მე და ღამე“ (გალაკტიონის) 176.
მეიმანი ერნსტ (1862—1915) — გერმანელი პედაგოგი და ფსიქოლოგი 85.
მელიქიშვილი პეტრე გრიგოლის ძე (1850—1927) — ქიმიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი და პირველი რექტორი 73.
მერეშკოვსკი დიმიტრი სერგის ძე (1866—1941) — რუსი პოეტი 180.
მინერალური წყლები 203
მიქელაძე კატო (ოლიას ამხანაგი) 69.
მიშა (მიხეილ სტეფანეს ძე ოკუჯავა (1882—1937), ოლიის ძმა) 26, 35, 63, 118, 123, 178, 180, 191, 197, 198.
მიშელ (ბოჭორიშვილი მიხეილი (1890—1924) — მწერალი, გალაკტიონის მეგობარი) 178.
მიხაი (მიშა ოკუჯავა) 80
„მკვდარი სულები“ (გოგოლის) 138.
„მნათობი“ 124.
„მოლოტი“ (როსტოვის გაზეთი) 203
მოსკოვი 26, 55, 61, 100, 101, 113, 124, 159, 170, 171, 174, 190—192, 194—196, 204.
„მსოფლიოს ორკესტრი“ (გალაკტიონის) 106
„მშობლიური ქარი“ (გალაკტიონის ლექსი — „ეს მშობლიური ქარია“) 91.
„მწერლების შესახებ“ (გორკის) 144.

ნ

ნაკრაშევიჩი პ. ი. 105.
„ნა რუბეჟე ვოსტოკა“ 83, 94.
ნატაშა 45, 181.
ნეგორელოე 206.
ნიკოფსია 203

ნ ი ნ ა (ოლიას ამხანაგი) 14, 173, 184, 189.
ნ ო ვ ი კ ო ვ-პ რ ი ბ ო ი (ნოვიკოვი ალექსანდრე სილის ძე (1877—1944), რუსი მწერალი 143
ნ უ ც ა (ოლიას მეგობარი) 26—30, 33, 34, 40, 78, 165, 173, 184, 190, 200.

ო

ო... (ოკუჯავა ოლია) 34
ო კ უ ჯ ა ვ ა ო ლ ი ა 205
ო კ უ ჯ ა ვ ა ს ა შ ა (ალექსანდრე სტეფანეს ძე (1884—1937), ოლიას ძმა) 173.
ო ლ ი (ოლია ოკუჯავა) 146, 150, 153, 190, 194.
ო ლ ი ა (ოკუჯავა) 32, 52, 104, 109, 113—115, 127—129, 132, 134—146, 149, 151—153, 156, 158, 160, 162, 166--173, 184, 185, 191—198, 201, 202, 204, 205, 206.
ო ლ ი ნ ი 100.
ო ლ ი ნ კ (ოლია ოკუჯავა) 187, 197.
ო ლ ი უ შ კ ა (ოლია ოკუჯავა) 196.
ო ლ კ ი ნ ი (ოლია ოკუჯავა) 175, 177, 178.
ო ლ ო ლ ი (ოლია ოკუჯავა) 63, 164, 165, 169, 173, 175, 179, 181, 182, 184, 185, 186, 200, 201.
ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ო 203
„ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს ს ი მ ფ ო ნ ი ა“ (გალაკტიონის) 93.
26 კომისარი 114, 115

პ

პ ა რ ი ზ ი 97, 98, 208.
პ ა ს კ ე ვ ი ჩ ი ს ქ უ ჩ ა (თბილისი) 125.
პ ა ს ტ ე რ ნ ა კ ი ბორის ლეონიდეს ძე (1890—1960) რუსი მწერალი 83.
„პ ა ც ი ფ ი ზ მ ი“ გ. ტაბიძის პოემა (1930), რომელიც 1935 წ. ავტორმა ლექსებად დაშალა 92, 96.
„პ ე რ ო“ ოლია ოკუჯავას ფსევდონიმი 50.
პ ე ტ რ ე ნ კ ო პ. (1904—1936) — პოეტი და მთარგმნელი 84.
პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი 61.
პ ე ფ ს ი ნ ი (მსახიობი) 61.
პ ე ჩ ო რ ი ნ ი — ლერმონტოვის რომანის „ჩვენი დროის გმირის“ მთავარი მოქმედი პირი 70.
პ ი ე ტ რ ა — „ექიმ შტოკმანის“ მოქმედი პირი 48.
პ ო ვ ა რ ს კ ა ი ა ს ქ უ ჩ ა — ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკა მოსკოვში 203

პოლონეთი 206
«Посвящаю Лиц» 50
„პრავდა“ 81, 101, 158
პრომეთე 53, 76
პროხლადნაია 203
პუშკინი ალექსანდრე სერგის ძე (1799—1837) 93, 145, 151.
„პუშკინის ენა“ (ვინოგრადოვის) 148.
„პუშკინის შესახებ“ (პუშჩინის) 148
„პუშკინი ცხოვრებაში“ (ვერესაევის) 147, 148
პუშჩინი ივანე ივანეს ძე (1798—1859) — რუსი მკმუარისტი, დეკაბრისტი 148.

ჟ

ჟენია 14

რ

„რადიუმი“ კინოთეატრი ჭიათურაში 39.
„რა ვაკეთოთ? (ჩერნიშევსკის) 34
რევეკა (ვაშაძე) 181.
რიონი 151, 161.
„როგორ მუშაობდა გოგოლი“ (ვერესაევის) 138
„როზაულა“ (იბანიეს ბლანკოს) 153.
როლანი რომენ (1886—1944) ფრანგი მწერალი. საზოგადო მოღვაწე, მუსიკათმცოდნე 159
რომაშოვი სერგეი — რუსი მსახიობი, დრამატურგ ბორის რომაშოვის მამა 181.
„რომენ როლანი“ (ცვაიგის) 162.
როსტოვი 187, 203.
რუსთაველი შოთა 94, 95.
რუსლანი — პუშკინის პოემის „რუსლან და ლუდმილას“ პერსონაჟი 151.

ს

„სალამი“ (ბუნინის) 86
სამარყანდი 114, 115
სამტრედია 88, 175, 184.
სანდი ჟორჟ (ავროორა დიუპენ — დიუდევანი) ფრანგი მწერალი ქალი (1804—1876). 152

სანია 111.
სასამართლოს ქუჩა (თბილისში) 129.
საფო — პოეტი ქალი ძველ საბერძნეთში ცხოვ. მე-6 საუკ. I ნახევარში ძვ. წ. აღ. 151.
საფრანგეთი 97, 106.
საყვარელიძე (ოლიას მეგობარი) 199.
საჩხერე 17.
„სახარება" 47.
სევერიანინი იგორ ვასილის ძე (1887—1941) რუსი პოეტი 193.
სიმონიკა 165.
სიმფეროპოლი 122, 124, 125
სიხარულიძე შალვა 199.
სოხუმი 67, 69, 88, 150.
სპერანსკი ალექსანდრე დიმიტრის ძე (1887—1939) საბჭ. ფიზიოლოგი, აკადემიის ნამდვილი წევრი. 74.
„სტენკა რაზინი" 129.
„სტრასტნაია" (ქუჩა მოსკოვში).
სხვიტორი 46.

ტ

ტვერის ქუჩა (მოსკოვში) 54.
ტიტე — ტიციან იუსტინეს ძე ტაბიძე (1895—1937)—ქართველი პოეტი. გალაკტიონის ბიძაშვილი 174, 175, 190, 194, 197.
„ტიფლისსკი რაბოჩი" (გაზეთი) 94.
ტიხონოვი ნიკოლოზ სიმონის ძე (1896—1981) რუსი საბჭოთა მწერალი 93, 94
ტოლსტოი ლევ ნიკოლოზის ძე (1828—1910) 19, 20.
ტოსია 87
ტუაფსე 173

უ

უზბეკეთი 117.
ურალი 59
ურიცკი მოსე სოლომონის ძე (1873—1918) — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. მოჰკლეს ესერებმა 61, 62.
ურუშაძე პეტრე 108.

ფ

ფაცია 19.
ფეტი ათანასე ათანასეს ძე (1820—1892) რუსი პოეტი 207.
„ფორელი“ (შვეიცარული ჟურნალი) 64.

ქ

„ქალბატონ ადლერის ლატარია“ (ლავრენიოვის) 152.
ქვიტირი 182
ქობულეთი 101, 102, 151.
ქსენია (ოლიას ამხანაგი) 199
ქუთაისი 19, 23, 37, 39, 71, 104, 164, 167, 171, 173, 174, 179, 180, 184 187, 195.

უ

უაზანი 65
უარასუბაზარი 120
უვირილა 14, 19
უირიმი 122, 125.

შ

„შაგრენის ტყავი“ (ბალზაკის) 152
„შადრევანი“ სალიტერატურო და პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა 1915 წელს 183.
შალიკო (ოკუჯავა შალვა (1902—1937), ოლიას ძმა) 109, 183, 189, 196.
შანხაი 3
შექსპირი უილიამ (1564—1616) 156
შიუკაშვილი ნიკო (1870—1938) დრამატურგი 172
„შუანეთა“ (გალაკტიონის თხზულება, რომელიც დღესდღეობით მიკვლეული არ არის) 104.
შურა 89

ჩ

ჩარჯოუ 116.
ჩერნიშევსკი ნიკოლოზ გაბრიელის ძე (1828—1889) 34.
ჩეხოსლოვაკია 62
ჩინეთი 65

ჩიხლაძე რაისა რაფიელის ასული (1891—1944) 178
ჩმოკლინი (ოლია ოკუჯავა) 178.
ჩუდეცკი თედორე თედორეს ძე (1893—1949) მხატვარი, გალ. ტაბიძის ახლო მეგობარი 190.

ც

ცვაიგი სტეფანე (1881—1942) ავსტრიელი მწერალი 162
ცინცაძე კოტე (1886—1937) პარტიული მუშაკი.
„ცისფერი ყანწები“ (ქართველი სიმბოლისტების ორგანო გამოვიდა ორი ნომერი 1916 წელს) 190.
ცოესკი (მსახიობი) 61
„ცუსიმა“ (ნოვიკოვ-პრიბოის) 143.

წ

წეველი სიმონი (სიმონი გიორგის ძე გაჩეჩილაძე (1898—1980) მწერალი და ლიტერატურათმცოდნე) 181
წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840—1916) 204
წვერავა სიმონ დიმიტრის ძე (1905—1981) მწერალი და კრიტიკოსი 181.
წივწიეაძე ვასო 80.
წულუკიძე მიხეილი 180.

ხ

„ხალხი“ (გორკის) 162
ხაჩატუროვი გრიგოლ (სახლის მეპატრონე ქუთაისში — ვისთანაც ცხოვრობდა გალაკტიონი) 185
„ხე-ტყის ქარხანა“ (კარავაევას) 162.

ჯ

ჯოკონდა 17
„ჯონ-რიდი“ (გალაკტიონის) 198.
ჯუმბერი (ოლიას თანამშრომელი) 198, 199.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
ოლია ოკუჯავას დღიურები	13
ოლია ოკუჯავას წერილები გალაკტიონისადმი	103
გალაკტიონის წერილები ოლია ოკუჯავასადმი	164
Резюме	211
შენიშვნები	212
საძიებელი	217

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3061

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
კორექტორი ს. წ ა ხ ნ ა გ ი ა

გადაეცა წარმოებას 16.5.86; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.12.86;
ქაღალდის ზომა 84×108 1/32; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 12,2;
პირ. საღ. გატ. 12,6; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.5.
უე 04744; ტირაჟი 15000; შეკვეთა № 1620;

ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბ., 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тб., 380060, ул. Кутузова. 19

ДНЕВНИКИ И ПЕРЕПИСКА ОЛЬГИ ОКУДЖАВА С ГАЛАКТИОНОМ ТАБИДЗЕ

(на грузинском языке)

Текст к изданию подготовили и указателями снабдили Лейла Георгиевна Санадзе и Ламара Акакиевна Мегрелишвили.

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1987